

178/
1970/3

სსსრ
საქართველოს
ბიბლიოთეკა

საბჭოთა სამართალი

საქართველოს კვ. ტენგაბერი კომიზაჟის გამომცემლობა

1970 3

საბჭოთა სამართალი

№ 3

მაისი-ივნისი

1970 წელი

გამოცემის XVII წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო
ო რ თ ვ ი უ რ ი ქ ე რ ნ ა ლ ი

ზინაარსი

ბ. კარტოზია — დანაშაულობასთან ბრძოლის პარტიული ხელმძღვანელობის ზოგიერთი საკითხი	3
გ. ბახტაძე — სასამართლოს როლი მექრთამეობასთან ბრძოლის საქმეში	8
ი. ჟორდანიას — თანამონაწილის ექსცესის საკითხისათვის	12
რ. ჭოღოშვილი — მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვის ფსიქოლოგიური საფუძვლები	20
მ. ნანიკაშვილი — ბრალდებულის კანონიერი ინტერესების გაგებისათვის	26
გ. ლილიაშვილი — საქმის ფაქტიურ გარემოებებთან სასამართლო დასკვნების შეუსაბამობა	31
ზ. წულაია — საფეიქრო საწარმოებში გატაცების მიზნით პროდუქციის აღურიცხავი მარაგის შექმნის თავისებურებანი	35

სასამართლო და პროკურატურის ორგანოების მუშაობის კრახტიკა

ა. ლულუნიშვილი — მოქალაქეთა უფლებები სახლის აღებასთან დაკავშირებით	41
გ. ცირაშვილი — ბინიდან მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გასახლება	48
გ. ქველიძე, ა. ბაქრაძე — გამოძიებლისა და მილიციის ურთიერთდამოკიდებულების ზოგიერთი საკითხი	51
ოფიციალური მასალა	56

საქართველოს ადვოკატურის ისტორიიდან

გ. თარხნიშვილი — ლუარსაბ ანდრონიკაშვილი	87
---	----

მოწინავეთა პორტრეტები


მ. სილაგაძე — როცა სწამს, სჯერა	91
ლ. ისაკაძე — მთავარი და კეთილი მიზანი	92

კრიტიკა და გიგლიოგრაფია

ზ. შესენგისერი — ნაშრომი პირობით მსჯავრზე	94
ნეკროლოგი	96



11-707



СОДЕРЖАНИЕ

Б. Каргози — Некоторые вопросы партийного руководства борьбы с преступностью	3
Г. Бахтадзе — Роль суда в борьбе со взяточничеством	8
И. Жордания — К вопросу об эксцессе соучастника	12
Р. Чогошвили — Психологические основы допроса свидетеля и пострадавшего	20
М. Наникашвили — К понятию законных интересов виновного	26
Г. Лилуашвили — Несоответствие выводов суда, изложенных в приговоре, с фактическими обстоятельствами дела	31
З. Цулаиа — Особенности создания в предприятиях текстильной промышленности неисчисленных запасов продукции с целью хищения	35

ПРАКТИКА РАБОТЫ ОРГАНОВ СУДА И ПРОКУРАТУРЫ

А. Гугунишвили — Права граждан в связи со снесением дома	41
Г. Цирамуа — Выселение граждан из дома в административном порядке	48
Г. Квелидзе, А. Бакрадзе — Некоторые вопросы взаимодействия следователя и милиции	51
Официальный материал	56

ИЗ ИСТОРИИ АДВАКАТУРЫ ГРУЗИИ

Г. Тархнишвили — Луарсаб Андроникашвили	87
---	----

ПОРТРЕТЫ ПЕРЕДОВЫХ ЛЮДЕЙ

М. Силагадзе — Когда верит	91
Л. Исакадзе — Главная и добрая цель	92

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

З. Месенгисери — Труд об условном осуждении	94
Некролог	96

საკრედიტო კოლეგია

შეგ. № 1973
ტირაჟი 20.200
შპ 11378

თ. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ვ. აბაშმაძე,
ბ. ბარათაშვილი, თ. დადიანი, გ. ინწკირველი,
აკ. კარანაძე, მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე,
ზ. რატინი, ა. ტაკიძე, ვ. ქვაჩახია,
თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—99-09-62

გადაეცა წარმოებას 19/VI-70 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/VII-70 წ., ქალაქის ზომა 70X108 1/16; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14,
Типография изд-ства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

დანაშაულობასთან ბრძოლის პარტიული ხელმძღვანელობის ზოგადი საკითხი

2. პარტიზა

მილიონობით საბჭოთა ადამიანის ნათელი გონება და მტკიცე ნებისყოფა კეთილსინდისიერად ემსახურება ხალხის კეთილდღეობის საქმეს. კომუნისტური მშენებელი საბჭოთა ხალხის წარმატებები სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე უდავო და შთამაგონებელი ფაქტებია.

ჩვენს ქვეყანაში დამნაშავეობას სოციალური საფუძველი გამოეცალა და ამიტომ მასთან წარმატებით ბრძოლის ბედი მნიშვნელოვან წილად საზოგადოებრიობაზეა დამოკიდებული.

კ. ი. ლენინის პარტიას თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნია დანაშაულობასთან ბრძოლის მაღალი ორგანიზაცია. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ იქ, სადაც პარტიული ორგანიზაციები, პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტები სისტემატურად, სათანადო ყურადღებით განიხილავენ დამნაშავეობასთან ბრძოლაში ფართო საზოგადოებრიობის მოხაწილეობის საკითხებს, დაძნალება თვალსაჩინოდ იკლებს.

ამ მხრივ რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი მუშაობა მიმდინარეობს.

ამჟამად, დამნაშავეობასთან ბრძოლის კონკრეტული მიზანია უზრუნველყოფილი იქნეს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, ადმინისტრაციული ორგანოების, მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მობილიზაცია ისეთი ძირითადი პრობლემების გადასაწყვეტად, როგორცაა მექრთამეობის, სოციალისტური საკუთრების გაფლანგვა-გატაცების აღმოფხვრა და სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცება.

აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს დამნაშავეობასთან ბრძოლის მთელ ფრონტზე წარმატებით მუშაობა.

როგორც მთელი რიგი პარტიული კომიტეტების გამოცდილება გვიჩვენებს, ამისათვის პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ, პროფკავშირულ, ადმინისტრაციულ, სახალხო კონტროლის, პროპაგანდის ორგანოებს, მაფს პირველადს ორგანიზაციებს ესაჭიროებათ დანაშაულთან ბრძოლის, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების სპეციალური გეგმა, საგანგებო ღონისძიებათა კომპლექსი. ასეთი გეგმა იქმნება სამოქმედო ტერიტორიაზე დამნაშავეობასთან ბრძოლის მდგომარეობის ღრმა ანალიზის საფუძველზე. გეგმამ უნდა უზრუნველყოს ამ საქმისათვის მოწოდებული ყველა რგოლის ამოქმედება, მათი მაქსიმალური და სისტემატური მუშაობა (ამხანაგური სასამართლოები, სახალხო რაზმები, სახალხო კონტროლის ჯგუფები, ქუჩის, სახლის კომიტეტები, „კომკავშირული პროექტორები“, მშობელთა კომიტეტები, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები, დეპუტატთა ჯგუფები, უბნის ინსპექტორები, სახლმმართველები და ა. შ.).

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, ადმინისტრაციული ორგანოების

მუშაობა ძირითადად უნდა წარიმართოს დანაშაულის პროფილაქტიკისა და თავიდან აცილების ღონისძიებათა განხორციელების გზით.

ამგვარ ღონისძიებათა შორის თავისი ეფექტურობით გამოირჩევა სამართალდარღვევის ყოველ ფაქტზე საზოგადოებრივი რეაგირების მაღალი ორგანიზაცია.

აუცილებელია, დანაშაულის, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ყოველი ფაქტი გახდეს დროული და ეფექტური საზოგადოებრივი რეაგირების საგანი დამნაშავე პირის, საჭირო შემთხვევაში მისი მშობლების სამუშაო, საცხოვრებელი ან სასწავლებელი ადგილის მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ ამგვარ საზოგადოებრივ რეაგირებას ახორციელებს რესპუბლიკის პარტიული კომიტეტების უმრავლესობა. ისინი, როგორც წესი, რეგულარულად ღებულობენ ინფორმაციას სამართალდარღვევის ფაქტების შესახებ და განიხილავენ მათზე რეაგირების ორგანიზაციის საკითხებს. სწავლობენ რეაგირების შედეგებს და თუ საჭიროა სახავენ დამატებით ღონისძიებებს — საქმეში აბამენ პრესას, რადიოსა და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღებით უნდა იქნას განხილული დანაშაულობათა შესახებ მილიციის ორგანოების შეტყობინების, საგამოძიებო და პროკურატურის ორგანოების წარდგინებების, სასამართლო კერძო განჩინების დანიშნულებისამებრ დაგზავნისა და მათზე სათანადო რეაგირების პრაქტიკა.

დამნაშავეობასთან წარმატებით ბრძოლის ვადამწყვეტი პირობაა სწორი პარტიული ხელმძღვანელობა.

პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული, სამეურნეო, ადმინისტრაციული, სახალხო კონტროლის ორგანოებისა და პროპაგანდის ყველა რგოლის მუშაობის კოორდინაციას, მათი ვეგმებით დასახულ ღონისძიებათა დროულად და ეფექტურად განხორციელებას. პრაქტიკული შედეგების მიხედვით ამა თუ იმ რგოლის მუშაობის პრინციპულ შეფასებას.

აქამად პარტიული კომიტეტები შეუწელებელი ყურადღებით აანალიზებენ დამნაშავეობასთან ბრძოლის პრაქტიკას, აზოგადებენ დანაშაულის თავიდან აცილების ფორმებსა და მეთოდებს, უზრუნველყოფენ დანაშაულობასთან ბრძოლაში კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებას ისე, როგორც ამის შესახებ აღინიშნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმსა და რესპუბლიკის პარტიული აქტივის იანვრის კრებაზე ამხ. ვ. პ. მყავანაძის გამოსვლებაში.

ჩვენს პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მექრთამეობასთან შეურიგებელი ბრძოლის ატმოსფეროს შექმნა. მექრთამეობის ყოველი ფაქტი უნდა გახდეს მშრომელთა კოლექტივების, ფართო საზოგადოებრიობის დროული და ეფექტური რეაგირების საგანი.

მექრთამეობასთან ბრძოლის ინტერესები მოითხოვს მკაცრად იქნენ გაკრიტიკებული ის კოლექტივები და ხელმძღვანელები, რომლებიც ურიგდებიან გამომძალველებს.

კარგია, როდესაც პარტიული ორგანიზაციები გამოდიან გამომძალველთა მხილების ინიციატორებად. ამ შემთხვევაში უზრუნველყოფილია სათანადო პროფილაქტიკა და ამ მეტად საშიში დანაშაულის ხელშემწყობი პირობების აღკვეთა.



პარტიული კომიტეტები განსაკუთრებული ყურადღებით სწავლობენ მინისტრაციულ ორგანოებში მექრთამეობის საქმეთა განხილვის პრაქტიკას. ამ პრაქტიკის ანალიზი იძლევა მექრთამეობასთან ბრძოლის კონკრეტულ რეკომენდაციებს.

მექრთამეობა ხშირად დაკავშირებულია სოციალისტური საკუთრების გაფლანგვა-გატაცების მრავალნაირ გამოვლინებებთან.

პარტიული კომიტეტები მაღალი პარტიული პრინციპულობით განიხილავენ ხელმძღვანელ, მატერიალურად პასუხისმგებელ, სამეურნეო, საკონტროლო-სარევიზიო თანამდებობებზე კადრების შერჩევისა და შემოწმების საქმეს. ამგვარი თანამდებობები უნდა გაიწმინდოს იმ პირებისაგან, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ სახელმწიფო ქონების, მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი სახსრების, ნედლეულის, პროდუქციის სწორად აღრიცხვასა და შენახვას, პასუხისგებაში იყვენენ ანგარებითი ღანაშაულისათვის და ნდობის ღირსი არ არიან, სახელი აქვთ გატეხილი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამო. საჭიროა სისტემატურად მოეწყოს საზოგადოებრივი აქტივის რეიდები ცალკეულ წარმოებებსა და ობიექტებზე სახელმწიფო ქონების დაცვის შემოწმების მიზნით. რეიდის, ყოველგვარი შემოწმებების, რევიზიების, ინვენტარიზაციის შედეგების შესახებ, როგორც წესი, უნდა იმსჯელონ მშრომელთა კოლექტივებმა, პრესამ.

ყველა შემთხვევაში დამნაშავე პირები, იმ ორგანიზაციებისა და ობიექტების ხელმძღვანელები, სადაც ადგილი ჰქონდა სოციალისტური საკუთრების ხელყოფას, მიცემულ უნდა იქნან პარტიულ, ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

განსაკუთრებული ყურადღებით შესწავლილ და განხილულ უნდა იქნას მოძველები, საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებში სოციალისტური საკუთრების გაფლანგვა-გატაცებისა და განიავეების საქმეების წარმოების პრაქტიკა. ამ პრაქტიკის ანალიზი პასუხს იძლევა უამრავ კითხვებზე — ვინ, როგორ ჩაიდინა ღანაშაული? შეეძლოთ თუ არა კომუნისტებს, კომკავშირებს თავიდან აეცილებინათ ღანაშაული?

სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი ჩვენი ცხოვრების აუცილებელი წესია. ამიტომ პარტია მუდამ დიდი ყურადღებით განიხილავს საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლის ამოცანას.

მთელი რიგი პარტიული კომიტეტების მუშაობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისა და ქცევის მაღალი კულტურისათვის ფართო სახალხო მოძრაობის წარმატებით ხელმძღვანელობის აუცილებელი პირობაა არ დაუშვან ამ საქმეში ფორმალისმი და კამპანიურობა.

ფართო პროპაგანდა უნდა გაეწიოს შეჯიბრებას სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისა და მაღალი კულტურის, სოფლის, უბნის, დაბის, კოლმეურნეობისა თუ საბჭოთა მეურნეობის, საწარმოსა თუ დაწესებულების, სკოლისა თუ სასწავლებლის, რაიონისა და ქალაქის სახელისათვის.

მთელი რიგი პარტიული კომიტეტები ეფექტურად წარმართავენ ამ მიზნისათვის სოფლის ყრილობებს, ეზოს, ქუჩის მოსახლეობის კრებებს, ტერიტორიული პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას.

პარტიული, კომკავშირული აქტივი, დეპუტატები, უბნის ინსპექტორები,



ავტორიტეტული, მოწინავე ადამიანები სათავეში უნდა ჩაუდგნენ საზოგადოებრივი წესრიგისა და მაღალი კულტურისათვის ბრძოლას.

საჭიროა ისე დაიგეგმოს და განისაზღვროს ამ ადამიანების მუშაობა, რომ ყოველი მათგანი, დეპუტატი თუ უბნის ინსპექტორი ხშირად იყოს თავის სამსახურში, კარგად იცნობდეს მის უბანში დანაშაულებათა გამომწვევ მიზეზებს, ე. წ. „დაზიანებულ ადგილებს“, საკონფლიქტო სიტუაციებს ოჯახებში, მეზობლებში, ნათესავებში და, რაც მთავარია, დროულად, მშვიდობიანად აწესრიგებდეს ყოველნაირ დავას. ყველაფერს აკეთებდეს აქტივის დახმარებით იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული დანაშაული.

საზოგადოებრივი აქტივის, დეპუტატებისა თუ უბნის ინსპექტორების საქმიანობის შესახებ სისტემატურად ბარდება ანგარიში ამომრჩეველებს, მოსახლეობას. ამ ღონისძიებამ თავის მხრივ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის აქტიურად ჩაბმა დანაშაულის თავიდან აცილების საქმეში.

სასურველია დეპუტატი თავისი ამ საქმიანობის შესახებ ყოველთვიურად აბარებდეს ანგარიშს დეპუტატთა ჯგუფს, რომელიც იქმნება სოფლების ან უბნების მიხედვით. აგრეთვე, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭომ ხშირად უნდა მოისმინოს სესიაზე სპეციალური ინფორმაცია, რომელშიაც შეფასება მიეცემა დანაშაულის პროფილაქტიკისა და თავიდან აცილებისათვის თვითნებური დეპუტატის მიერ საარჩევნო უბანში გაწეულ მუშაობას.

დიდა უბნის ინსპექტორის როლი მართლწესრიგისათვის ბრძოლის საქმეში. როგორც წესი, იგი ზედმიწევნით უნდა იცნობდეს უბნის ოპერატიულ ვითარებას, აღრიცხავდეს და კონტროლს უწევდეს ცალკეულ ანტისაზოგადოებრივ პირობა საქმიანობას, ახლოს იყოს საზოგადოებრივ აქტივთან, წარმატებით ახორციელებდეს პროფილაქტიკურ ღონისძიებებს.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, განათლებისა და ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბავშვთა დამნაშავეობის ლიკვიდაციის საკითხებს.

სწავლისა და შრომის გარეშე დარჩენილ უკლებლივ ყველა ახალგაზრდის აღრიცხვა, მათი კოლექტივებში დამაგრება და შემდგომი აღზრდა მეტად შრომატევადი, მაგრამ აუცილებელი სამუშაოა და მოითხოვს შეუწინაღებელ ზრუნვასა და ყურადღებას. ამ მიმართებით მუშაობა მოითხოვს მშობელთა და ყველა იმათ (პედაგოგი, სკოლის დირექტორი, პედაგოგიური კოლექტივი, კომკავშირული, პიონერული ორგანიზაცია) პასუხისმგებლობის ამაღლებას, ვინც დაკავშირებულია გზაბნეული მოზარდის სწავლა-აღზრდის საქმესთან.

ბევრგან წარმატებით ატარებენ რეიდებს იმ უზედამხედველოდ დარჩენილ ბავშვთა გამოსავლინებლად, რომლებიც უმიზეზოდ აცდენენ სკოლას და უმიზნოდ დასეირნობენ ქუჩაში, ერთობიან ახარტული თამაშებით, ხუთღვინობენ და გატაცებული არიან საეჭვო საქმიანობით, იარაღის ტარებით ან ნარკოტიკული ნივთიერებით და ა. შ.

საჭიროა საწარმო-დაწესებულებებთან შექმნილი „ოჯახისა და სკოლის დამხმარე კომისიების“ განსაკუთრებული აქტივობა.

ყოველდღიურმა პროპაგანდამ, კერძოდ, სამართლის პროპაგანდამ უნდა უზრუნველყოს ადამიანებში სამართალდარღვევისადმი მხოლოდ უარყოფითი გრძნობის აღზრდა, მხარი დაუჭიროს იმათ, ვინც კეთილსინდისიერად ემსახურება სახალხო საქმეს, აქტიურად ებრძვის მექრთამეებს, სახალხო დოვლათის



გამტაცებლებს, ყველა სახის დამნაშავეებს, ერთგულად ასრულებს თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას.

დამნაშავეობასთან, საზოგადოებრივი წესრიგისათვის ბრძოლის გაძლიერების დონისძიებათა მთელ კომპლექსში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ადმინისტრაციული ორგანოების, მათი მუშაკების საქმიანობის საკითხები.

მათელი რიგი პარტიული კომიტეტები სისტემატურად სწავლობენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორც არის დამნაშავეობის წინააღმდეგ, საზოგადოებრივი წესრიგისათვის ბრძოლის ორგანიზაციის საქმეში ადმინისტრაციული ორგანოების პირველადი პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციების, კომუნისტებისა და კომკავშირელების ავანგარდული როლის ამაღლება. პარტიული კომიტეტების ჯეროვანი ყურადღება და პრინციპული შეფასება სჭირდება ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობას, კერძოდ, სოციალისტური კანონიერების განმტკიცების, დანაშაულის თავიდან აცილების, მექრთამეობის, სოციალისტური საკუთრების გატაცების, სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ხაზით.

დანაშაულის თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკის საქმეში დიდ როლს ასრულებს პროკურატურის ორგანოების საერთო სახედამხედველო საქმიანობა. ყველა საწარმო-დაწესებულების, თანამდებობის პირების მიერ სოციალისტური კანონიერების დაცვაზე საპროკურორო ზედამხედველობის მაღალი ორგანიზაცია დანაშაულობასთან ბრძოლის მნიშვნელოვანი პირობაა.

სისტემატური ყურადღება სჭირდება გამოძიების, სასამართლო განხილვისა და განაჩენის ხარისხს, კანონიერების სტაბილურობის საკითხებს. გადაჭრით უნდა ამაღლდეს სავამოძიებო და სასამართლო დოკუმენტების აღმზრდელობითი და გამაფრთხილებელი მნიშვნელობა.

ხშირად და ორგანიზებულად უნდა მოეწყოს საჩვენებელი, გამსვლელი სასამართლო პროცესები ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობით დანაშაულის ჩადენისა თუ დამნაშავე პირის საქმიანობის ადგილის მიხედვით.

მკაცრი პარტიული, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით უნდა იქნას განხილული დანაშაულის ან დამნაშავეის დაფარვის, დაუსჯელად დატოვების ყოველი ცდა.

გადაჭრით უნდა ამაღლდეს ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკების პარტიული, ადმინისტრაციული და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისადმი კეთილსინდისიერი, ერთგული და თავდადებული დამოკიდებულებისათვის.

ყოველდღე ზემოხსენებული არასრული ჩამოთვლაა იმ მეტად საჭირო დონისძიებებისა, რომლებსაც წარმატებით ახორციელებენ პარტიული კომიტეტები დანაშაულობასთან ბრძოლის პროცესში. მთავარია, რომ ეს მუშაობა წარმოებდეს სისტემატურად, არსებული მდგომარეობის ღრმა ცოდნითა და ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობით.

სასამართლოს როლი მექრთამეობასთან ბრძოლის საქმეში

მ. ბახტაძე

დამნაშავეობასთან საერთოდ და, პირველ რიგში, მექრთამეობასთან ბრძოლაში დიდი როლი ეკუთვნით სასამართლო ორგანოებს. მტკიცე სასამართლო პრაქტიკა განსაზღვრავს საბოლოო ანგარიშით დანაშაულობასთან, განსაკუთრებით — მექრთამეობასთან ბრძოლის ეფექტურობას.

მექრთამეობის ერთ-ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სხვა დახაშულთაგან განსხვავებით მექრთამეობის კონკრეტული ფაქტი სხვა სამართალდარღვევებისაგან იზოლირებული არ არის. ქრთამი, არის რა კანონის უბატვიცემლობის და მისი დარღვევის შედეგი, თავის მხრივ აგრძელებს კანონის შემდგომ დარღვევებს და ამით ქმნის უკანონობათა ისეთ ჯაჭვს, რომლის ბოლო არც თუ ადვილად მისაგნებია.

ეს გარემოება სასამართლოს ვალდებულს ხდის სოციალისტური ქონების გატაცების და ყველა იმ დანაშაულთა სისხლის სამართლის საქმეზე, რომელთა სათავე და გავრცელება, როგორც წესი, მექრთამეობაა, განსაკუთრებულად გაამახვილოს ყურადღება მექრთამეობის ფაქტების გამოვლინებაზე.

აქ სასამართლოს მართებს განსაკუთრებული აქტივობა მექრთამეობის ხელისშემწყობი პირობების გამოვლინების საქმეში. პირველ რიგში აუცილებელია ხაზი გაესვას იმას, რომ, მართალია, სოციალისტური ქონების გატაცების სისხლის სამართლის საქმეში, შესაბამისი საწარმო-ორგანიზაცია თუ დაწესებულება დაზარალებულის სახით გამოდის, სასამართლომ სწორედ ამ ორგანიზაციის მუშაობაში უნდა გამოავლინოს ის ხარვეზები, რომლებმაც შესაძლებელი გახადეს გატაცების და მექრთამეობის ფაქტები და გამოიტანოს კერძო განჩინება.

სისხლის სამართლის კანონი საკმაოდ მკაცრია მექრთამეობის მიმართ. მიუხედავად ამისა, ჩვენ საფუძველი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ მექრთამეობასთან ბრძოლის სისხლისსამართლებრივი ღონისძიებები დღეს საკმაო ეფექტურობით გამოიყენება.

როგორც ფაქტიური მდგომარეობის და მექრთამეობის სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესწავლა გვიჩვენებს, მექრთამეობის ფაქტების ძხოლოდ ნაწილი ხდება გამოძიებისა და სასამართლოს მსჯელობის საგნად და ისინიც ყოველთვის როდი პოულობენ სათანადო გადაწყვეტას.

ამ მიმართებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლენინის განმარტებას, რომ მთავარია არა სასჯელის სიმკაცრე, არამედ მისი გარდუვალობა.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ეს ჭეშმარიტად სწორი დებულება სრულიად არ იძლევა საფუძველს დავამციროთ კონკრეტული მექრთამის მიმართ მკაცრი სასჯელის გამოყენების მნიშვნელობა.

ჩვენი საზოგადოების განვითარების დღევანდელ ეტაპზე მექრთამეობა გან-

საკუთრებით საშიში დანაშაულია და თვით მექრთამეც განსაკუთრებით საშიშ პიროვნებას წარმოადგენს.

ეს გარემოება სასამართლოს ვალდებულს ხდის მექრთამის მიმართ სასჯელის განსაზღვრისას განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებათა შეფასებაში.

საქართველოს სსრ სსკ 189, 189¹ და 190 მუხლების სანქციები საკმაოდ მოქნილია იმისათვის, რომ მათ ფარგლებში სათანადო სასჯელი მიეზღოთ როგორც ბოროტ მექრთამეს, ისე მათ, რომლებმაც ეს მძიმე დანაშაული შემამსუბუქებელ გარემოებაში ჩაიდინეს.

ამიტომ საქართველოს სსრ სსკ 45-ე მუხლით სასამართლოსათვის მიცემული უფლება დანიშნოს კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელი სასამართლომ მხოლოდ სრულიად გამონაკლის შემთხვევებში უნდა გამოიყენოს.

სასამართლო, რა თქმა უნდა, ვალდებულია გაითვალისწინოს მექრთამეობის ყოველი კონკრეტული საქმის თავისებურებები, მაგრამ მას არ შეუძლია დამნაშავეს სასჯელი შეუშუბუქოს კანონისა და მორალის შეუფერებელი მოტივებით.

ცნობილია, მაგალითად, რომ არის ცდა ქრთამის აღება თუ არ გაამართლონ, ახსნან მაინც ქრთამის ამლების მატერიალური მდგომარეობით.

ამ „თეორიის“ ავტორებს შეიძლება მხოლოდ იმაში დავეთანხმოთ, რომ ქრთამის ამლები მართლაც იმ მიზნით იღებს ქრთამს, რომ მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესოს, მაგრამ, რამდენად გამართლებულია თვით ეს მიზანი?

უეჭველია, რომ სოციალიზმმა ხალხის ცხოვრების დონე მკვეთრად ასწია, შესაბამისად გაიზარდა მოთხოვნილებაც, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ სოციალიზმში სრულიადაც არ გულისხმობს ადამიანთა ეკონომიურ თანასწორობას. პირიქით, შრომის მიხედვით განაწილების სოციალისტური პრინციპის თანმიმდევრული განხორციელება აუცილებლობით იწვევს ეკონომიურ უთანასწორობას.

სოციალისტური საზოგადოება კომუნისმის მხოლოდ პირველი საფეხური და ამიტომ მას არ შეუძლია თავისი ყოველი წევრი მატერიალურად მაქსიმალურად დააკმაყოფილოს.

სოციალისტური საზოგადოების წევრის მატერიალური დაკმაყოფილების დონე განისაზღვრება საზოგადოებაში არსებული მატერიალური დოვლათის ოდენობით და ამ პირის წვლილით ამ დოვლათის შექმნაში.

ჩვენი საზოგადოების თვითეული წევრი ვალდებულია დაემორჩილოს შრომის მიხედვით განაწილების სოციალისტურ პრინციპს.

აღნიშნულის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ მექრთამე ქრთამის აღებით იძენს რა საშუალებას შრომის მიხედვით განაწილების პრინციპს აუაროს გვერდი, ამით ხელყოფს სოციალიზმის ძირითად პრინციპს. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ სწორედ ეს პრინციპი უდევს საფუძვლად საბჭოთა საზოგადოებრივ და სახელმწიფო წყობილებას, აუცილებლობით მივალთ იმ დასკვნამდე, რომ მექრთამეობა ძირს უთხრის ჩვენს საზოგადოებრივ და სახელმწიფო წყობილებას და ამით ის თავისი საზოგადოებრივი და პოლიტიკური საშიშროებით უტოლდება განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულს.

ყოველივე ეს სასამართლოს მიერ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მექრთამეობის საქმის განხილვისა და სასჯელის ზომის განსაზღვრისას.

შრომის მიხედვით განაწილების სოციალისტური პრინციპი საზოგადოების

ყოველ წევრზე ვრცელდება. თანაბრად ვრცელდება ის სასამართლოს მუშაკებზეც.

განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მოსამართლე განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა ეკიდებოდეს ამ პრინციპის დაცვას.

ეს გარემოება სასამართლოს ავალდებულებს იმუშაოს უშეცდომოდ, კანონის სრული შესაბამისობით, ე. ი. არა მხოლოდ იყოს ობიექტური, არამედ, საზოგადოებრიობაც დაარწმუნოს თავის ობიექტურობაში.

საჭიროა გვახსოვდეს, რომ მოსამართლის რეპუტაცია უფრო ადვილად ილახება, ვიდრე სხვა მუშაკისა. მოსამართლის კეთილსინდისიერ შეცდომასაც კი მოქალაქეები ხშირად მის არაობიექტურობას მიაწერენ და ეჭვის ქვეშ აყენებენ სასამართლოს განაჩენისა თუ გადაწყვეტილების კანონიერებას.

მოსამართლე პირადი ცხოვრებით მაგალითის მიმცემი უნდა იყოს მოსახლეობისათვის. აუცილებელია, რომ მოსამართლეს მოსახლეობაში ავტორიტეტი ჰქონდეს.

მოსამართლის უმწიკვლო ავტორიტეტი ის ჯებირია, რომელზეც უნდა დაიმსხვრეს ამა თუ იმ პირთა სურვილი სხვადასხვა საშუალებით გაეღწესა მოახდინონ მის ობიექტურობაზე.

მოსამართლის ურყევი პიროვნული ავტორიტეტი, მისი მორალური სიმტკიცის რწმენა სავსებით აუცილებელია იმისათვის, რომ ყველას ერთხელ და სამუდამოდ ააღებინოს ხელი მოსამართლეზე ზემოქმედების ყოველგვარ ცდხზე.

ამის აუცილებელი პირობა კი არის სასამართლო ორგანოთა კადრების სწორი შერჩევა.

ანალოგიურ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ სახალხო მსაჯულებიც. კანონის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებს არა მოსამართლე, არამედ სასამართლო.

უნდა ვაღიაროთ, რომ მთელი რიგი მსაჯულების პასუხობის გამო საზოგადოებრიობას არ ექმნება ღრმა რწმენა სასამართლოს კოლეგიალობაში.

ეს კი ლახვარს სცემს სასამართლოს ავტორიტეტს, რადგან სასამართლო დაპყავთ მოსამართლის პიროვნებად: სჯის არა სასამართლო და არც მოსამართლე, არამედ პიროვნება. სასამართლოს დადგენილება დამაჯერებლობას კარგავს, ხოლო კანონი — ავტორიტეტს.

ამიტომ მოსახლეობაში სასამართლოს ობიექტურობაში ღრმა რწმენის დასანერგავად აუცილებელია სახალხო მსაჯულთა აქტივობა და მათ მიერ დაკისრებული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება.

უნდა ვაღიაროთ, რომ დღემდე ჩატარებულმა ღონისძიებებმა ვერ უზრუნველყვეს მსაჯულთა საქმიანობის მკვეთრი აქტივიზირება.

ჩვენი აზრით, ამის მიზეზი სახალხო მსაჯულთა შემადგენლობაში უნდა ვეძებოთ. პრაქტიკულად, სახალხო მსაჯულებად ირჩევენ იმ პირებს, რომელთაც მეტი თავისუფალი დრო აქვთ. ეს პირები კი ყოველთვის როდი არიან საზოგადოებრიობის აქტივის რეალური წარმომადგენლები.

მართლმსაჯულების საქმეში სახალხო მსაჯულთა რეალურად ჩასაბმელად, რაც სასამართლოს ავტორიტეტის, მის მიუკერძოებლობაში რწმენის განმტკიცების ქმედითი საშუალებაა, აუცილებელია სახალხო მსაჯულებად არჩეულ იქნან ფართო საზოგადოებრივი ავტორიტეტის მქონე პირები.

სახალხო მსაჯულთა კანდიდატურების შერჩევისას განსაკუთრებული ყუ-

რადღებდა უნდა მიექცეს საზოგადოებაში პატიოსნებითა და პრინციპულობით ცნობილი პირების მოზიდვას.

წარმოება-დაწესებულებებში მსაჯულების კანდიდატურებისათვის აგიტაცია უნდა გადაიქცეს პატიოსნებისა და პრინციპულობის აგიტაციად, მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების აგიტაციად.

საზოგადოებამ კანდიდატურების შერჩევაში უნდა დაინახოს მათი პატიოსნების, პრინციპულობის, მოუსყიდველობისა და ცხოვრებისეული სიბრძნის აღიარება.

ავტორიტეტი, საზოგადოებრივი მდგომარეობის მნიშვნელობა იქმნება არა მხოლოდ უფლებებით, არამედ ვალდებულებებითაც.

ამიტომ სასამართლო ორგანოთა საქმიანობის, კონკრეტული საქმეების გაშუქებისას (პრესაში, ტელევიზიასა და სხვ.) აუცილებელია ხაზი გაესვას სასამართლოს ყველა წევრის (მოსამართლისა და მსაჯულების) თანაბარ შორალურ პასუხისმგებლობას საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

უფრო მეტიც, ვფიქრობთ, საჭიროა საკითხი დაისვას სახალხო მსაჯულთა არა მარტო მორალური, არამედ პარტიული პასუხისმგებლობის შესახებაც.

მოსახლეობაში სასამართლო დადგენილებათა კანონიერებაში ღრმა რწმენის ჩანერგვის მნიშვნელოვანი საშუალება არის მოსამართლის და სახალხო მსაჯულთა ანგარიშების სათანადო დონეზე ჩატარება.

ამას კი, უეჭველია, ხელს შეუწყობდა ამომრჩეველთა წინაშე სასამართლოს ანგარიშის შესახებ პრესაში წინასწარი ცნობის გამოქვეყნება და შემდეგ პრესის მეშვეობით მოსახლეობის ინფორმირება ჩატარებული ანგარიშის შესახებ.

ეს სასამართლოს ჩაყენებს არა მარტო ამომრჩეველების, არამედ მთელი საზოგადოებრიობის ქმედითი კონტროლის ქვეშ.

დიდია მოსამართლის ლექცია-საუბრების როლი დანაშაულობასთან ბრძოლის გაძლიერების საქმეში.

მოსამართლემ ლექცია-საუბრებში განსაკუთრებული ადგილი უნდა დაუთმოს მექრთამეობასთან ბრძოლის საკითხებს. ამასთან აუცილებელია ყურადღების გამახვილება მექრთამეობის მომიჯნავე იმ მოქმედებებზეც, რომლებიც მექრთამეობის ჩანასახოვან ფორმას წარმოადგენენ. გასათვალისწინებელია, რომ ზოგ სფეროში საქმე გვაქვს არა მარტო ქრთამის (საჩუქრის) ცალკეულ ფაქტებთან, არამედ მათ შემუშავებულ სისტემასთან, როდესაც მრავალჯონის განმეორებით იქმნება საზოგადოებრივი აზრი ამ გამოსაღების სავალდებულობის შესახებ და მისი ზომის შესახებაც კი (ძღვენი ექიმს, მასწავლებელს და სხვ.).

რალა თქმა უნდა, თვით მოსამართლე განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყოს, რაათ ანალოგიური საეჭვო სიტუაციის მონაწილე არ გახდეს.

„პარტია პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენს მუშაობაში ხელშემშლელი ნაკლოვანებებისა და ხარვეზების, ყოველივე უვარგისისა და დრომოკმუნის საქმიანი კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებასა და უთუო მხარდაჭერას“ (ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები).

ამ პრინციპული დებულების მომარჯვებით სასამართლოს შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს მექრთამეობასთან ბრძოლის საქმეში.



თანამონაწილის ექსცესის საკითხისათვის

ი. შორღანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

თანამონაწილეობა დანაშაულში სისხლის სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და რთული ინსტიტუტია, რომლის გამოკვლევას მიძღვნილი აქვს არაერთი მონოგრაფიული თუ სხვა ხასიათის ნაშრომი. მიუხედავად ამისა თანამონაწილეობის მთელ რიგ საკითხზე ჯერ კიდევ არ არის მიღწეული აზრთა ერთსულოვნება, ხოლო ზოგიერთი დღემდე გადაუჭრელია. სახელდობრ, არ არის შემუშავებული მეცნიერთა ერთიანი შეხედულება თანამონაწილეთა პასუხისმგებლობაზე, კერძოდ აღმსრულებლის ექსცესის დროს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხზე.

წინამდებარე წერილი მიზნად ისახავს გააშუქოს ზოგიერთი პრობლემატური საკითხი, რომელიც დაკავშირებულია თანამონაწილეთა პასუხისმგებლობასთან აღმსრულებლის ექსცესის დროს.

თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა ემყარება იმ ძირითად პრინციპს, რომ თანამონაწილენი პასუხს აგებენ იმავე დანაშაულისათვის, რომელსაც დანაშაულის უშუალო აღმსრულებელი იღენს. ამასთან თანამონაწილეებს აღმსრულებელთან თანაბრად შეეჩვენება მხოლოდ ის შედეგი, რაც მოკლულია მათი საერთო დანაშაულებრივი განზრახვით. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა დანაშაულის უშუალო აღმსრულებელი სცილდება საერთო დანაშაულებრივი განზრახვის ფარგლებს და იღენს უფრო მძიმე დანაშაულს, ვიდრე მას მოიცავდა თანამონაწილეთა საერთო დანაშაულებრივი განზრახვა. შეთანხმების ფარგლებიდან ასეთ გასვლას სისხლის სამართლის თეორიაში აღმსრულებლის ექსცესს უწოდებენ.

საკითხების წრე, რომელზეც შესაძლებელია თანამონაწილეთა შეთანხმება, ბევრად ფართოა. თანამონაწილეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ დანაშაულის ჩადენის დროზე, ადგილზე, დანაშაულის განხორციელების ხერხზე და სხვ. ჩვენ განვიხილავთ ისეთ შემთხვევებს, როცა აღმსრულებლის ექსცესი გამოწვეულია იმით, რომ აღმსრულებელმა დანაშაული განახორციელა არა იმ ხერხით, რაზეც არსებობდა შეთანხმება თანამონაწილეთა შორის, არამედ სრულიად სხვა ხერხით, რომელიც ან თვისობრივად სრულიად განსხვავებულ დანაშაულის შემადგენლობას ქმნის, ან თუმცა არ ქმნის ახალ თვისობრიობას, მაგრამ აღმსრულებლის მიერ ჩადენილ ერთგვაროვან დანაშაულს უფრო მძიმე დანაშაულად აქცევს.

ვიდრე უშუალოდ ამ საკითხს განვიხილავდეთ მოკლედ შევჩერდეთ თვით თანამონაწილეობის ცნებაზე.

სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლები ისეა შედგენილი, რომ კანონმდებელი გულისხმობს ამ მუხლებში მითითებული დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას ინდივიდუალურად მოქმედი პირის მიერ. მაგრამ პრაქტიკაში არც თუ ისე იშვიათია შემთხვევები, როცა დანაშაულს ჩადის რამდენიმე პირი თანამონაწილეობის ფორმით. თანამონაწილეთა დანაშაულში ნიშნავს, რომ დანაშაულის ჩასადენათ ერთიანდება რამდენიმე შერაცხვადი პირი, რომლებიც ერთობლივად ახორციელებენ დანაშაულებრივ ქმედობას, თანაც თვითულის ქმედობა მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან და თვითიული მოქმედებს ბრალეულად.

იმის მიხედვით, თუ როგორია კავშირი თანამონაწილეთა შორის და რა როლს ასრულებს თვითიული თანამონაწილე, განასხვავებენ თანამონაწილეობის ფორმებს და თანამონაწილეთა სახეებს. ზოგჯერ თვითიული თანამონაწილე

გამოდის, როგორც სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლში მოცემული დანაშაულის შემადგენლობის უშუალო ამსრულებელი. მაგალითად რამდენიმე პირი ერთდროულად შედის დაზარალებულის ბინაში და იპარავს მის პირად ნივთებს. თანამონაწილეობის ასეთ ფორმას თანამსრულებლობას უწოდებენ. პრაქტიკაში ვგვხვდება ისეთი შემთხვევაც, როცა ყველა თანამონაწილე უშუალოდ არ ასრულებს კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობას. ზოგჯერ ადგილი აქვს თანამონაწილეთა შორის როლების განაწილებას, როცა თვითველი თანამონაწილე ვალდებული იღებს შეასრულოს გარკვეული მოქმედება ან თავი შეიკავოს გარკვეული მოქმედების შესრულებისაგან (ე. წ. ინტელექტუალური დახმარების დროს) და ამ გზით შექმნას პირობები, რათა ამსრულებელმა უშუალოდ განახორციელოს დანაშაულის შემადგენლობა. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს თანამონაწილეობას ვიწრო გაგებით. როგორც პირველი, ისე მეორე სახის თანამონაწილეობის დროს თვითველი თანამონაწილის ქმედობა მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან, რომელიც მათი საერთო საქმიანობის პროდუქტია.

საბჭოთა სისხლის სამართალი იცნობს თანამონაწილის ოთხ სახეს: ორგანიზატორს, წამკეზებელს, დამხმარესა და ამსრულებელს. დანაშაულის შემადგენლობას უშუალოდ ახორციელებს მხოლოდ ამსრულებელი, ხოლო ამავე შემადგენლობას ამსრულებლის მეშვეობით ახორციელებენ დანარჩენი თანამონაწილენი.

დანაშაულის ჩადენის სერბი, რომლითაც თანამონაწილენი ახორციელებენ დანაშაულის შემადგენლობას, ქმედობის თუ უმოქმედობის გარეგანი გამოვლინების ფორმით არსებითად განსხვავებულია ერთმანეთისაგან. თანამონაწილეთა მოქმედება თუ უმოქმედობა, თანამონაწილეობაში მათთვის განკუთვნილი როლის გამო თვისობრივად და რაოდენობრივად ურთიერთ განსხვავებულია. თავისი ხასიათით განსხვავდება ის მიზეზობრივი კავშირი, რომელიც თანამონაწილეთა მოქმედებასა (უმოქმედობასა) და დამდგარ მავნე შედეგს შორის არსებობს. ნიუხედავად იმისა, თუ როგორია თანამონაწილეთა დანაშაულში მონაწილეობის სუბიექტური და ობიექტური ნიშნები, ისინი ერთ მთლიანობაში და ერთობლობაში არიან მოცემულნი. სწორედ შენიშნავს პროფესორი ა. ნ. ტრაინინი „...ეს ერთიანობა იმანიც გამოიხატება, რომ ყველა თანამონაწილე, როგორც არ უნდა იყოს ჩადენილ დანაშაულში მათი მონაწილეობის ობიექტური თუ სუბიექტური ნიშნები, ყოველთვის პასუხს აგებენ ერთი და იგივე დანაშაულისათვის. ა., რომელიც მეთვალყურედ იდგა, ბ., რომელმაც თოფი იშოვნა, გ., რომელიც მანქანით იცდიდა ტყეში, დ., რომელმაც უშუალოდ ჩაიღინა დანაშაული, — ყველა პასუხს აგებს მკვლელობისათვის“¹

ამავე საკითხზე საუბრით მართებული მოსაზრება აქვს გამოთქმული პროფესორ თ. ვ. წერეთელს, რომელიც ხაზს უსვამს რა იმ გარემოებას რომ დამდგარ შედეგთან უშუალო მიზეზობრივ კავშირში მხოლოდ ამსრულებლის მოქმედება, ხოლო დანარჩენი თანამონაწილენი მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში ამსრულებლის მეშვეობით ებმებიან — მიუთითებს თანამონაწილეთა ერთიანობაზე, მიუხედავად იმისა, რომ მათი ობიექტური როლი მოცემულ დანაშაულებრივ შედეგის წარმოქმნაში სხვადასხვაგვარია. მისი აზრით, თანამონაწილეთა მოქმედების „...სხვადასხვაობა არ გამოორიცხავს იმას, რომ თვითველი თანამონაწილე ობიექტურადაც და სუბიექტურადაც დაკავშირებულია იმავე დანაშაულთან, რომელსაც ამსრულებელი იდენს, და ამასთან ერთად ერთ ორგანულ მთლიანობას წარმოადგენს“²

თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის სუბიექტური მხარე ემყარება ბრალის პრინციპს, რომლის მიხედვით, როგორც უკვე აღინიშნა, თანამონაწილენი პა-

¹ А. Н. Трайнин, Учение о соучастии, Юридическое издательство НКЮ СССР, М., 1941 г., стр. 66.

² თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში. გამოცემლობა „მეცნიერება“. თბ., 1965 წ. გვ. 66—67.



სუხს აგებენ მხოლოდ შეთანხმების ფარგლებში. ის, რაც ამსრულებელმა ჩაი-
დინა საკუთარი ინიციატივით და რასაც არ მოიცავდა სხვა თანამონაწილეთა
საერთო დანაშაულებრივი განზრახვა, მათ ბრალად არ შეერაცხება, რადგან ასეთ
შემთხვევაში სახეზე იქნება ამსრულებლის ექსცესი.

სისხლის საძარბოს თეორიაში განასხვავებენ: რაოდენობრივ და თვისობ-
რივ ექსცესს.

თვისობრივი ექსცესი სახეზეა მაშინ, როდესაც ამსრულებლის მიერ
ფაქტიურად ჩადენილ დანაშაულსა და იმ დანაშაულს შორის, რომლის ჩადეხა-
ზეც შეთანხმდნენ თანამონაწილენი არსებობს თვისობრივი განსხვავება. ე. ი.
ეს დანაშაულებანი არ არიან ერთგვაროვანი. მაგალითად დამხმარემ გააკეთა კი-
ბე და მიუტანა ამსრულებელს ქურდობის ჩასადენად. ამსრულებელმა კი აღნი-
შნული კიბე გამოიყენა დაზარალებულის ბინაში შესასვლელად და ქურდობის
ნაცვლად ეს უკანასკნელი გააუპატიურა.

რაოდენობრივ ექსცესს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც, დანაშაული,
რომლის ჩადენაზეც შეთანხმდნენ თანამონაწილენი, და ის დანაშაული, რომელიც
ამსრულებელმა ფაქტიურად ჩაიდინა, თუმცა თვისობრივად არ განსხვავდებიან
ერთმანეთისაგან და ერთგვაროვანი არიან, მაგრამ ამსრულებლის მიერ ჩადენი-
ლი დანაშაული უფრო მძიმეა. მაგალითად თანამონაწილენი შეთანხმდნენ ქურ-
დობის ჩადენაზე, ამსრულებელმა კი ძარცვა ჩაიდინა. თვისობრივი ექსცესის
დროს, წამქეზების, დამხმარის ან ორგანიზატორის მოქმედება ფაქტიურად არ
არის მიზეზობრივ კავშირში დამდგარ შედეგთან, რადგან ამსრულებელმა თვი-
სობრივად სხვაგვარი დანაშაული ჩაიდინა. თუ ამსრულებლებს აქეზებდნენ ქურ-
დობაზე, მან კი გაუპატიურება მოახდინა, მაშინ წამქეზების მოქმედება არ არის
მიზეზობრივ კავშირში გაუპატიურებასთან, რამდენადაც, როგორც მართებულად
შენიშნავს მ. კოვალიოვი, — ამსრულებელი „...გადაწყვეტს დანაშაულის ჩადე-
ნას უკვე წამქეზებისა და დამხმარის გარეშე, საკუთარი მოსაზრების გამო,
რომლებიც მეტად არიან დაშორებული, ზოგჯერ კი სავსებით ეწინააღმდეგებიან
იმ მოსაზრებებს, რასაც მას თანამონაწილენი უნერგავდნენ“.³

ასეთ პირობებში ... აღარ არის წამქეზებელი ან დამხმარე, არსებითად
აქ საქმე გვაქვს უშედეგო წაქეზებასთან და დამხმარებასთან, ხოლო ის პირები,
რომლებიც ცდილობდნენ წაქეზებინათ ან დახმარება აღმოეჩინათ სხვისთვის
დანაშაულის ჩადენაში პასუხს აგებენ ამ დანაშაულის მომზადებისათვის“.⁴

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ გარემოებანი, რომელთა შესახებაც შეიძლება
შეთანხმდნენ თანამონაწილენი, შეიძლება შეეხებოდეს, როგორც დანაშაულის
სუბიექტურ, ისე ობიექტურ მხარეს. პრაქტიკა მოწმობს, რომ თანამონაწილენი
უფრო ხშირად თანხმდებიან: დანაშაულის ობიექტზე, მისი ჩადენის დროზე,
ადგილზე და, რაც მთავარია, დანაშაულის ჩადენის ხერხზე. მაშასადამე, შეთან-
ხმების შინაარსს შეადგენს უფრო ხშირად დანაშაულის შენადგენლობის ობიექტი
და ობიექტური მხარე. ცხადია ზოგი რამ თანამონაწილეთა შეთანხმების გარე-
შე რჩება, მაგრამ ასეთი იგულისხმება. მაგალითად თანამონაწილენი შეთანხმ-
დნენ ჩაიდინონ ქურდობა გარკვეული ხერხით გარკვეული ობიექტის მიმართ.
ისინი არ აწარმოებენ შეთანხმებას იმაზე, რომ ეს დანაშაული განზრახვ ჩაიდი-
ნონ. პირითად შეთანხმებასთან ბრალის ფორმაც იგულისხმება. ამას შეიძლება
ადგილი ჰქონდეს დანაშაულის შემადგენლობის სხვა ელემენტების მიმართაც.

ცხადია, იმისათვის, რომ სახეზე იყოს თანამონაწილეთა განზრახვა და მა-
თი პასუხისმგებლობის საფუძველი ამსრულებლის მიერ უშუალოდ ჩადენილ
დანაშაულისათვის, არ არის აუცილებელი, რომ თანამონაწილეთა განზრახვა
მოიცავდეს დანაშაულებრივი შედეგის ყველა კონკრეტულ ნიშანს. როდესაც
დანაშაულს ერთი პირი ჩადის, მაშინაც კი შეუძლებელია, რომ მისი განზრახვით
მოცული იყოს დამდგარი მკენე შედეგის ყველა ნიშანი, ყველა დეტალი. ეს დე-
ბულება ფართო ფორმას ღებულობს თანამონაწილეობის დროს. „ითვალისწი-

3 М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, часть вторая. Свердловск, 1962, стр. 179.
4 ი. წერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 201.

ნებად თუ არა თანამონაწილედ კონკრეტულ შედეგს, არსებითად წარმოადგენს მიზეზობრივ კავშირის გათვალისწინების საკითხს. როგორც ცნობილია, განზრახვა სულაც არ გულისხმობს იმას, რომ სუბიექტი ითვალისწინებდეს მიზეზობრივი კავშირის თვითივე ცალკეულ რგოლს, საკმარისია იგი ითვალისწინებდეს ამ კავშირის ძირითად რგოლებს. ამ დებულებას მნიშვნელობა აქვს იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავე უშუალო მონაწილეობას არ იღებს დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებაში, არამედ აქეზებს ან დახმარებას უწევს სხვას დანაშაულის ჩადენაში და ა. შ...⁵

ყოველივე ზემოთ აღნიშნული იმაზე მეტყველებს, რომ შესაძლებელია ორგანიზატორმა, დამხმარე და წამქეზებელმა ამსრულებლის მოქმედების ზოგიერთი დეტალის შესახებ არ იცოდეს, მაგრამ ისინი მაინც მოქმედებდნენ განზრახვ. მაგრამ არის გარემოებანი, რომელთა არცოდნა ორგანიზატორის, წამქეზებლის ან დამხმარის მიერ, მოქმედებს მათი პასუხისმგებლობის ფარგლებსა და მოცულობაზე. საკუთრად სტატის მოცულობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ამომწურავად იქნას განხილული ყველა საკითხი, კერძოდ, თუ რომელი გარემოება არის არსებითი ან არაარსებითი თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტის დროს ამსრულებლის ექსცესთან დაკავშირებით. შევჩერდებით მხოლოდ ერთ პრაქტიკულად მეტად მნიშვნელოვან საკითხზე: შეიძლება თუ არა ადგილი ქონდეს ამსრულებლის ექსცესს დანაშაულის განხორციელების ხერხთან დაკავშირებით.

პროფესორ ა. ნ. ტრაინინის აზრით შეიძლება წამქეზებელმა არ იცოდეს თუ მის მიერ დანაშაულის ჩადენაზე შეგულიანებული პირი სად და როდის ჩაიდენს დანაშაულს, მაგრამ ეს არ გამორიცხავს წამქეზებლის და დამხმარის განზრახვას. არ შეიძლება არ დავეთანხმებით ამ დებულებას. დანაშაულის ჩადენის დრო და ადგილი მიეკუთვნება ისეთ გარემოებათა რიცხვს, რომელთა არცოდნა და გაუთვალისწინებლობა გადაწყვეტ როლს არ ასრულებს თანამონაწილეთა განზრახვის შინაარსისა და მიმართულების განსაზღვრის დროს. როგორც წესი არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ორგანიზატორის, წამქეზებლის ან დამხმარის პასუხისმგებლობისათვის იმას, თუ როდის და სად ჩაიდენს მკვლელობას ამსრულებელი; ჩაიდენს იგი ტყეში, სახლში თუ სხვა ადგილას ან განხორციელებს მკვლელობას დღით თუ ღამით.

მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით პროფესორ ა. ნ. ტრაინინს იმაში, თითქოს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტის დროს, დანაშაულის ჩადენის ხერხს იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც დანაშაულის ჩადენის დროს და ადგილს. ამ საკითხთან დაკავშირებით პროფ. ტრაინინი აღნიშნავს: ...წამქეზებელმა შეიძლება არ იცოდეს სად და როდის ჩაიდენს ფაქტიურად დანაშაულს მის მიერ შეგულიანებული პირი. ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენის ხერხის არცოდნას იგივე მნიშვნელობა აქვს...⁶

პროფ. ა. ნ. ტრაინინის აზრით დანაშაულის ჩადენის ხერხის არცოდნას მაშინაც კი არა აქვს არავითარი მნიშვნელობა თანამონაწილეთა პასუხისმგებლობისათვის, როცა დანაშაულის ჩადენის ხერხზე, როგორც მაკვალიფიცირებელ გარემოებაზე, სპეციალურად არის მითითებული კანონში. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დანაშაულის ჩადენის ხერხი ქმნის სხვა თვისობრიობას, ე. ი. თვისობრივად განსხვავებული დანაშაულის შემადგენლობას, პროფ. ტრაინინი შესაძლებლად სთვლის რომ ეს დანაშაული ბრალად არ შეერაცხოს თანამონაწილეს და იგი ცნობილი იქნეს როგორც ამსრულებლის ექსცესის შედეგი. ამ დებულების სისწორის საილუსტრაციოდ ტრაინინს მოყავს მაგალითი, როცა ერთი პიროვნება აგულიანებს მეორეს მოიპაროს ძვირფასი სურათი. ქურდობაზე შეგულიანებული პირი ვერ ხედავს რა შესაძლებლობას ქურდობით დაეუფლოს ამ სურათს, კლავს სურათის პატრონს და ეუფლება ამ ძვირფას სურათს.

⁵ თ. წერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 200.

⁶ А. Н. Трайнин, Учение о соучастии. Юридическое издательство НКЮ СССР, М., 1941 г., стр. 155.



ტრაინინი სთვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში წამქეზებელმა არ უნდა აგოს პასუხი სურათის პატრონის მკვლელობაში წამქეზებლობისათვის, რადგან ამსრულებლის მოქმედების სხვაგვარაა ხერხმა თვისობრივად სრულიად განსხვავებული დანაშაულის შემადგენლობა შექმნა. ამ მოსაზრებაში ექვსის შეტანა არ შეიძლება; რადგან სახეზეა თვისობრივი ექსცესი. მოცემულ შემთხვევაში წამქეზებელმა პასუხი უნდა აგოს ქურდობის მომზადებისათვის, რამდენადაც ამსრულებელმა მკვლელობა ჩაიდინა თავის სურვილით და გადაწყვეტილებით.

მაგრამ როგორ მოვიქცეთ მაშინ, როცა დანაშაულის ჩადენის ხერხი არ ქმნის თვისობრივად განსხვავებული სხვა დანაშაულის შემადგენლობას, მაგრამ კანონმდებლის მიერ მითითებულია განსაკუთრებული ნაწილის მუხლში ან როგორც კონსტრუქციული ნიშანი ან მას მინიჭებული აქვს დამამძიმებელი გარემოების მნიშვნელობა. პროფ. ა. ნ. ტრაინინის ზემოთ მოყვანილი დებულების მიხედვით ასეთ ვითარებაში ამსრულებლის მიერ დანაშაულის განხორციელების ხერხის არცოდნას სხვა თანამონაწილეთა მიერ, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მათი პასუხისმგებლობის საკითხს გადაჭრისათვის. ეს დებულება საფუძვლიან ეჭვს იწვევს. მისი პრაქტიკული განხორციელება ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ ამსრულებლის მოქმედების ზოგიერთი გარემოება ობიექტური შერაცხვის წესით შეერაცხოს დანარჩენ თანამონაწილეებს, რაც შეუთავსებელია საბჭოთა სასხლის სამართლის ძირითადი პრინციპებისათვის, როგორც შერაცხვა ბრალის გარეშე.

ჩვენი მოსაზრების საილუსტრაციოდ მოვიყვანთ შემდეგ მაგალითს: ა. რომელსაც ამოძრავებდა ექვიანობის მოტივი. წამქეზებს ბ-ს, მოკლას გ. წამქეზების დროს ა-ს არ უთქვამს გ-სათვის, თუ რა ხერხით უნდა ჩაედინა მკვლელობა. ბ-ე თვითონ ყოფილა შურისძიებით გამსჭვალული გ-ს მიმართ, რაც ცნობილი არ იყო წამქეზებელ ა-სთვის, ამიტომ მან გ-ე მოკლა განსაკუთრებული სისასტიკით. თუ ა. ტრაინინის იმ დებულებას გავყვებით, რომ წამქეზებლის პასუხისმგებლობისათვის არა აქვს მნიშვნელობა თუ რა ხერხით ჩაიდენს ამსრულებელი მკვლელობას, მაშინ, როგორც ა-მ ისე ბ-მ პასუხი უნდა აგონ თანაბრად დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობისათვის. ამრიგად, გამოდის, რომ მოცემულ შემთხვევაში ამსრულებლის ქმედობის დამამძიმებელი გარემოება — მკვლელობის ჩადენა განსაკუთრებული სისასტიკით — უნდა შეერაცხოს წამქეზებელ ა-ს, მიუხედავად იმისა, რომ მას არ წაუქეზებია ბ-ე სწორედ ამ ხერხით ჩაედინა მკვლელობა და მისი დანაშაულებრივი განზრახვა არ მოიცავდა მოქმედების ამ ხერხს.

ბრალის საბჭოთა სასხლის სამართლის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე ჩვენ მიგვაჩნია, რომ თუ დანაშაულის ჩადენის ხერხზე სპეციალურად აქვს მითითებული კანონმდებელს ამა თუ კონკრეტული ნორმის ჩამოყალიბების დროს ან თუ იგი დანაშაულის ჩადენის ხერხს აძლევს დამამძიმებელი გარემოების მნიშვნელობას, მაშინ დანაშაულის ჩადენის ხერხს მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაული შეერაცხოს სხვა თანამონაწილეებს. თუ საქმის მასალებით დგინდება, რომ თანამონაწილეთა განზრახვა არ მოიცავდა ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენას მოცემულ ხერხით, მაშინ სახეზეა ამსრულებლის რაოდენობრივი ექსცესი და თანამონაწილეებმა პასუხი უნდა აგონ იმავე გვარის უფრო ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემადგენლობაში თანამონაწილეობისათვის.

სავსებით სწორია პროფ. თ. ვ. წერეთლის მოსაზრება იმის შესახებ, რომ „როდესაც ამსრულებელმა ერთგვაროვანი, მაგრამ უფრო მძიმე დანაშაული ჩაიდინა, აქ საკითხი, ბრალის პრინციპის თანახმად, შემდეგნაირად უნდა გადაწყდეს. თანამონაწილემ ექსცესისათვის პასუხი არ შეიძლება აგოს. თანამონაწილისათვის ექსცესის შერაცხვა ობიექტური შერაცხვა იქნებოდა. მაგრამ რამდენადაც ერთგვაროვან უფრო მძიმე დანაშაულში მოცემულია ამავე გვარის უფრო მსუბუქი დანაშაულის ნიშნები, რომელიც თანამონაწილის მიერ გათვალის-

საქართველო
საბჭოთაო

წინებული იყო, იგი პასუხს აგებს ამ უფრო მსუბუქ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის...“⁷.

მოსაზრება იმის შესახებ, რომ დანაშაულის ჩადენის ხერხის არცოდნას თითქოს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის მოცულობის და ფარგლების განსაზღვრისათვის, საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაში გაბატონებულ აზრს არ წარმოადგენს.

პროფ. ა. ნ. ტრანინის ზემოთ ხსენებული შეხედულების კრიტიკის დროს პ. ნ. გრიშაევმა და გ. ა. კრივერმა მართებულად გაუსვეს საზი იმას, რომ „...ასეთ თვალსაზრისს პრაქტიკულად მიეყვარათ თანამონაწილეთათვის დამამძიმებელ გარემოებათა ობიექტურ შერაცხვამდე. რამდენადაც სავსებით შესაძლებელია ისეთი შემთხვევები, როდესაც წამქეზებელი ან დამხმარე არ აძლევს არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ თანხმობას დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენაზე და არც იციან მათ იმის შესახებ, რომ ამსრულებელი იდენს ასეთ დანაშაულს“⁸.

დანაშაულის ჩადენის ხერხთან დაკავშირებით ამსრულებლის ექსცესის შესაძლებლობის შესახებ მართებული მოსაზრება აქვს გამოთქმული მ. ა. შნეიდერს, რომელიც აყალიბებს რა ამსრულებლის ექსცესის ცნებას თვლის რომ „ამსრულებლის ექსცესი — ეს არის თანამონაწილეთა შეთანხმების ფარგლებიდან გასვლა, რომელიც აღმოცენდება ისეთ შემთხვევებში, როდესაც ამსრულებელი ჩაიდენს მოქმედებას, რომელიც თავის ხასიათის, მოცულობის, ხერხის (კურსივი ჩვენია-ი. ყ.) მიხედვით არ პასუხობს შეთანხმების შინაარსს და ქმნის მოცემული დანაშაულის კვალიფიციურ სახეს“⁹.

ამავე პოზიციასზე დგას პროფ. ა. ა. პიონტოვსკი, რომელსაც მიაჩნია, რომ „...არ შეიძლება ცალკეულ თანამონაწილეებს ბრალად შეერაცხოს მაკვალიფიცირებული გარემოებანი, დანაშაულის ჩადენის ხერხი (კურსივი ჩვენია ი. ყ.), დანაშაულის ჩადენის ადგილი და სხვა, რასაც ადგილი ჰქონდა დანაშაულის ჩადენისას, რომლებსაც მოიცავდა ამსრულებლის განზრახვა, მაგრამ არ შედიოდა სხვა თანამონაწილეთა განზრახვაში“¹⁰.

რესპუბლიკის სასამართლო პრაქტიკის შესწავლა მოწმობს, რომ სასამართლოები უარს ამბობენ შერაცხონ თანამონაწილეებს დამამძიმებელი გარემოებანი თუ კი მას აქვს მაკვალიფიცირებული მნიშვნელობა და იგი არ იყო მოცული თანამონაწილეთა განზრახვით.


ნათქვამის ნათელსაყოფად შეიძლება მოყვანილ იქნას ა. კ-ს ბრალდების საქმე, რომელიც ქ. თბილისის 26 კომისრიის სახ. რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ მსჯავრი დაედო კვალიფიციურ სპეკულაციაში თანამონაწილეობისათვის. მოცემული საქმის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიაში განხილვის დროს ა. კ-ს ქმედობა გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 19 და 165 მუხლის 1 ნაწილზე, როგორც თანამონაწილეობა არაკვალიფიციურ სპეკულაციაში. კოლეგიის განჩინებაში პირდაპირ იქნა ხაზგასმული „...იმი-სათვის, რომ ა. კ-ს ქმედობა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 19 და 165 მუხლის II ნაწილით დაკვალიფიცირებულიყო, წინასწარი გამოძიება და სასამართლო ვალდებული იყვნენ დაედგინათ, რომ ა. კ-ს ცნობილი იყო, რომ გ. მ-ი სპეკულაციას ეწეოდა განსაზღვრული ხერხით — ხელობის სახით და დიდი ოდენობით. ამ გარემოებათა დადგენის გარეშე არ შეიძლებოდა ამსრულებელ გ. მ-ს ქმედობის დამამძიმებელი ეს გარემოებანი შერაცხოდა დამხმარე ა. კ-ს. საქმის მსაჯულებით არ არის დადგენილი რომ ა. კ-მ იცოდა ამ დამამძიმებელ გარემოებათა არსებობის შესახებ... ბრალის პრინციპებიდან გამო-

⁷ თ. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 201—202.

⁸ П. Н. Гришаев, Г. А. Кригер, Соучастие по уголовному праву. Госюриздат, М., 1959, стр. 198.

⁹ Советское уголовное право. Часть Общая, М., 1964, стр. 218.

¹⁰ А. А. Пионтковский, Учение о преступлении по советскому уголовному праву, М., 1961, стр. 587.



მდინარე მან პასუხი უნდა აგოს როგორც დამხმარე გ. მ-ს დანაშაულის იმპროვიზაციის, რომლის განხორციელებაშიც ის ლეზულობდა მონაწილეობას და რომელიც მისი განზრახვით იყო მოცემული. ამ მიმართებით საგულისხმოა გ. ი-ს, დ. ა-ს და სხვათა ბრალდების საქმე, რომლებიც ცნობილი იქნენ დანაშაულებრივად დასჯის სახალხო სასამართლოს მიერ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 152 მუხლის II ნაწილით და სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ საქმეში გამავალმა პირებმა მოილაპარაკეს გაეჭურდათ მოქ. გ. კ-ს ბინა. წინასწარ შეთანხმდნენ დანაშაულის განხორციელების ხერხზე. მათ წინასწარ მოამზადეს კიბე, რომლის საშუალებითაც ისინი უნდა ასულიყვნენ ი. კ-ს ბინის მეორე სართულზე, ამოეღოთ ფანჯრის მინა და გადასულიყვნენ ოთახში. მსჯავრდებულებმა წინასწარ გაინაწილეს როლები, რომლის მიხედვით, გარეთ მეთვალყურედ უნდა დამდგარიყო დ. ა-ე, დანარჩენები კი კიბის საშუალებით უნდა გადასულიყვნენ ბინაში და უშუალოდ განეხორციელებინათ ქურდობა, ე. ი. მსჯავრდებულები ი. კ-ს ქონებას უნდა დაუფლებოდნენ ფარული ხერხით. შემთხვევის აღვილზე ყველაფერი ვითარდებოდა წინასწარ დასახული გეგმით. დ. ა-ე დადგა ქუჩაში მეთვალყურედ, ხოლო დანარჩენები გადავიდნენ ი. კ-ს ბინაში. მსჯავრდებულებმა დაიწყეს მოსაპარავი ნივთების მოგროვება. ოთახში შესულ პირის ხმაურზე გამოეღვიძათ დაზარალებულებს, რა დროსაც მსჯავრდებულებმა ამოიღეს დანები და სიკვდილის მუქარით წინადადება მისცეს დაზარალებულებს დაწოლიყვნენ ლოგინში და ხმა არ ამოეღოთ. დაზარალებულებს ხმა არ ამოუღიათ მანამდის, სანამ თავდაუმსხმელებმა არ შეაგროვეს მათი პირადი ნივთები და არ მიიმალნენ. ამრიგად ფარული ხერხით ქონების დაუფლება, დანაშაულის განხორციელების პროცესში გადაიზარდა ყაჩაღურ თავდასხმაში ე. ი. მსჯავრდებულებმა დანაშაული სრულიად სხვა ხერხით განახორციელეს, ვიდრე ისინი შეთანხმებული იყვნენ გარეთ ქუჩაში მეთვალყურედ მდგარ დ. ა-ს. ყველა მსჯავრდებულის ქმედობა, მათ შორის მეთვალყურე დ. ა-ს ქმედობაც, როგორც წინასწარ ისე სამსჯავრო გამოცემების მიერ დაკვალიფიცირებული იქნა საქართველოს სსრ სამსახრო სამართლის კოდექსის 152 მუხლის II ნაწილით. დასახელებული პირების ქმედობის სსკ 152 მუხლის II ნაწილით დაკვალიფიცირების სისწორე ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ჩვენ მივგაჩნია, რომ ქუჩაში მეთვალყურედ მდგარ დ. ა-ს ქმედობა არასწორად იქნა დაკვალიფიცირებული ამ მუხლით. დ. ა-ს არასწორად შეერაცხა ამსრულებლების ექსცესია, რაც დანაშაულის ჩადენის ხერხთან იყო დაკავშირებული. მეთვალყურედ მდგარი დ. ა-ე დარწმუნებული იყო რომ ხელს უწყობდა საქმეში გამავალ სხვა პირებს ქურდობაში. მისთვის ცნობილი არ იყო, რომ ი. კ-ს ბინაში შექმნილმა ობიექტური პირობების შეცვლამ განაპირობა ის, რომ მსჯავრდებულებმა ფარული ხერხი შესცვალეს და ნაცვლად ქურდობისა ყაჩაღური თავდასხმა განახორციელეს. ამის შესახებ დ. ა-მ გაიგო მას შემდეგ რაც გარეთ ქუჩაში გამოსული მსჯავრდებულები მას შეუერთდნენ და შემთხვევის აღვილიდან მიიმალნენ. ყაჩაღური თავდასხმა არ იყო მოცული დ. ა-ს განზრახვით, ეს ამსრულებლის ექსცესია იყო. ამიტომ არ შეიძლებოდა მოქმედების ხერხი, რომელსაც მოქმედების უფრო მძიმე დანაშაულის შემადგენლობა შექმნა შეერაცხა და დ. ა-ს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რამდენადაც დ. ა-ს დანაშაულებრივ განზრახვაში შედიოდა კვალიფიცირებული ქმედობის დადგენა და მას შეგნებული ქონდა, რომ იგი დახმარებას უწყევდა სწორედ ასეთი ქურდობის ჩადენაში, ბრალის პრინციპებიდან გამომდინარე მისი ქმედობა ნაცვლად სსკ 152 მუხლის II ნაწილისა უნდა დაკვალიფიცირებულიყო 150 მუხლის II ნაწილით.

პრაქტიკაში ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც მართალია თანამონაწილენი არ შეთანხმებულან დანაშაულის განხორციელების კონკრეტულ ხერხზე, მაგრამ საქმის მთელი რიგი გრაემოებანი მიუთითებენ იმაზე, რომ თანამონაწილეს შეგნებული ქონდა ამსრულებლის მიერ ამ დანაშაულის განხორციელების შესაძლო ხერხები. ასეთ შემთხვევაში თანამონაწილემ პასუხი უნდა აგოს ამსრულებლის მიერ ფაქტურად ჩადენილი დანაშაულისათვის, რამდენადაც ის

უშვებს, რომ ამსრულებელმა შეიძლება დანაშაული ჩაიდინოს მოცემული ხერხითაც.

ნათქვამი რომ ნათელი გახდეს, მოვიყვანთ შემდეგ მაგალითს:

ქ. თბილისის 26 კომისიის სახ. რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით უ-ა, ნ-ე და სხვები ცნობილი იქნენ დამნაშავედ სისტემატურად ძარცვების ჩადენისათვის. მრავალრიცხოვან ეპიზოდებს შორის მათ ბრალად წარედგინათ ლავოდენის რაიონის სოფ. ჩაღუნთანში მცხოვრები ა-ს ბინაზე თავდასხმა და მისი გაძარცვა. საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ ამავე სოფელში მცხოვრები შ-ლი განაწყენებული იყო რა ა-ზე, გადაწყვიტა შური იმით ეძია, რომ შეეგულიანებია დამნაშავე პირები რათა თავს დასხმოდენ მის ბინას და დაუფლებოდა მის ქონებას. შ-ლი დაუკავშირდა რამდენჯერმე სასამართლევ ნ-ს და გაანდო, რომ ა-ლი ავტომანქანის შესაძენად აგროვებდა ფულს და შესაძლებელი იყო ამ ფულის დაუფლება. შ-ლი დაპირდა ნ-ს, რომ აჩვენებდა ა-ს ბინას. შ-ი და ნ-ე არ შეთანხმებულან თუ რა ხერხით უნდა განხორციელებულიყო ა-ს ქონების დაუფლება. დანაშაულის ჩადენის ხერხზე მათ ლაპარაკი საერთოდ არ ქონდათ. შემთხვევის ღამეს შ-მ, ნ-ს და მისი თანამზრახველებს აჩვენა ი-ს ბინა და თვითონ თავის სახლში დაბრუნდა. უშუალოდ მონაწილეობა მას ამ დანაშაულის ჩადენაში არ მიუღია. ნ-მ და სხვებმა იმ ღამით გაძარცვეს ა-ი და წაართვეს ფული.

წინასწარ გამოძიების და სასამართლოს მიერ შ-ს ქმედობა, როგორც წამქეზებისა და დამხმარის დაკვალიფიცირებული იქნა სსკ 19 და 151 მუხლის II ნაწილით. სწორია თუ არა შ-ს ქმედობის ასეთი კვალიფიკაცია? იმისათვის, რომ ზასტუნი გაეცეს ამ კითხვას, საჭიროა ზოგიერთი საკითხის დაზუსტება, რაც დანაშაულის ჩადენის ხერხთან არის დაკავშირებული. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შ-ს და ნ-ს შორის დანაშაულის ჩადენის ხერხზე შეთანხმება არ ყოფილა. შ-ის სულერთი იყო თუ ნ-ე და მისი თანამზრახველები რა ხერხით დაეუფლებოდნენ ა-ს ქონებას, მალულად, აშკარად, ძალადობით, მუქარით თუ სხვა. უფრო მეტიც, საქმის მონაცემების მიხედვით შ-ი ითვისებდა, რომ ა-ს ბინაზე უნდა მომხდარიყო აშკარა თავდასხმა და რომ ნ-ე და სხვები ა-ს ქონებას უნდა დაუფლებოდნენ ასეთი ხერხით. ამაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ შ-მა ნ-ს უთხრა, რომ თქვენ ა-ი კარებს არ გაგიღებთ, ამიტომ უნდა უთხრათ ვითომ სოფ. ჭუგაანიდან ხართ საიდანაც წარმოშობით იყო ა-ლი და მაშინ ის კარებს გაგიღებთ. ე. ი. შ-ვის ცნობილი იყო, რომ ნ-ს და სხვებს უნდა განხორციელებინათ აშკარად თავდასხმა ძარცვის ან ყაჩაღობის ხერხით. რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში შ-ლი უშვებდა ა-ს გაძარცვასაც და ფაქტიურად ნ-მ და სხვებმა ძარცვა ჩაიდინეს, მას პასუხი უნდა ეგო ძარცვაში თანამონაწილეობისათვის. ამიტომ მისი ქმედობა წინასწარ გამოძიების და სასამართლოს მიერ სწორად იქნა დაკვალიფიცირებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 19 და 151 მუხლის II ნაწილით.

კოველივე ზემოაღნიშნულიდან ნათელი ხდება, თუ როდენ დიდი მნიშვნელობა აქვს კონკრეტულ საქმეში გამოძიება-განხილვის დროს დანაშაულის ჩადენის ხერხის დადგენას და მის სრულყოფილ ანალიზს.

მონიშნა და დაზარალებულის დაკითხვის ფსიქოლოგიური საუბრებები

რ. ზოლოზვილი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

დანაშაულის გახსნისა და დამნაშავეთა გამომჟღავნებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოწმის და დაზარალებულის დროულად და ტაქტიკურად სწორად წარმართულ დაკითხვას.

საკითხის მართებულად გადაჭრისათვის აუცილებელია ცოდნა არა მარტო მოქმედი საკანონმდებლო აქტებისა, არამედ დასაკითხი პირის ფსიქოლოგიური კომპონენტებისაც. უამისოდ ძნელია შეაფასო არა მარტო მოწმის ან დაზარალებულის ჩვენებანი, არამედ თვით დამნაშავეს პიროვნება და დანაშაულის სიმძიმე და საშიშროება.

მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ჩვენებანი როგორც ფსიქოლოგიური ხასიათით, ისე პროცესუალურად ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. მაგრამ ყველა ამ ჩვენებათა მთავარი საერთო ნიშანია ის, რომ ჩვენების ჩამოყალიბების პროცესი, მიუხედავად პირის პროცესუალური მდგომარეობისა, ხასიათდება ადამიანის ფსიქიკისათვის დამახასიათებელი საერთო კანონზომიერებით.

პრაქტიკაში ხშირად გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა მოწმე ან დაზარალებული დაბეჯითებით მიუთითებს რაიმე გარემოებაზე, მაგრამ გამოძიება და სასამართლო ასეთს არ იზიარებს, რადგან, საქმის ფაქტიური გარემოება და ამ პირთა მიერ მიცემული ჩვენება ერთმანეთთან წინააღმდეგობაშია. მაგალითისათვის მოვიყვანო სამართალში მიცემულ რ-ს საქმეს. მას ბრალი ედებოდა საქართველოს სსკ 111 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში. ამ საქმეზე დაზარალებული მ-ე კატეგორიულად აცხადებდა, რომ მან სხეულის დაზიანება მიიღო რ-ს მიერ თავში რკინის ნაჭრის ჩარტყმის შედეგად. დაზარალებულის ეს განცხადება არ იქნა ვაზიარებული, რადგან მოწმეთა ჩვენებანი და დაზიანების ხასიათი არ იძლეოდა იმის საფუძველს, რომ დაზიანება მიყინებული იყო მკვრივი ან ბლაგვი საგნის მოქმედებით.

ჩვენების მიცემის პროცესი ააქტიურებს მეხსიერებას. ამიტომ დაკითხვის დროს ჩვენების მიცემს ბევრი რამ მოაგონდება. მაგრამ მეხსიერების პროცესი, დაკითხვიდან დაწყებული, გრძელდება მის დამთავრების შემდეგაც, რის გამო ხშირია შემთხვევები, როცა მოწმის ან დაზარალებულის მეხსიერებაში ჩვენების მიცემის შემდეგ ზუსტდება ზოგიერთი დეტალები იმ გარემოებათა შესახებ, რომლებზეც მათ უკვე აღრე ჩვენება მისცეს. ამიტომ ცვლილებანი განმეორებითი დაკითხვის დროს მოსალოდნელი და შესაძლებელია.

საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ჩვენებათა შეცვლა, ცალკეული გარემოების არაზუსტად გადმოცემა გამოწვეულია ხშირად დასაკითხი პირის დაუდევრობით, შეცდომებით. ზოგჯერ მოწმე ან დაზარალებული განმეორებით დაკითხვისას ცდილობს სიტყვა-სიტყვით გაიმეოროს და აღადგინოს მეხსიერებაში არა საქმის ფაქტიური გარემოება, არამედ თავისი პირველი ჩვენება. ფსიქოლოგიაში წარსულში განცდილის რეპროდუქციის მო-

საქართველო
საინჟინერო


მენტის მესხიერების წარმოსახვის ვიწრო გაგებით არის ცნობილი. ასეთი წარმოსახვა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, კერძოდ, კი ნებისყოფაზე, აქტივობაზე, პირის ინტელექტუალურ ფსიქოლოგიურ შეგარძნებასა და ფიზიოლოგიურ ფაქტორებზე.

მოკლედ შეგვიჩვენებთ ფიზიოლოგიურ ფაქტორზე. ფიზიოლოგიური ფაქტორის ერთ-ერთი სახეა პიროვნების დაღლილობა. საგამოძიებო და სამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც კეთილსინდისიერი, საკმაოდ განვითარებული მოწმე ვერ იმასსოვრებს და სრულად ვერ აღიქვამს ფაქტებს, რაც ზოგჯერ გაკვირვებას იწვევს. ასეთს კი იგი ხსნის დაღლილობით. პირის განცხადებას დაღლილობის შესახებ ხშირად საგამოძიებო და სასამართლო დარგის მუშაკები სერიოზულ მოტივად არ იღებენ და ეჭვი შეაქვთ პირის კეთილსინდისიერებაში, მაშინ როდესაც ფსიქოლოგიაში დაღლილობის ფაქტორი მიღებულია ადამიანის მესხიერების დაქვეითების ერთ-ერთი მნიშვნელოვან მომენტად. ამიტომ გაუმართლებელია ისეთი პრაქტიკა, როდესაც გამოძიებელი ან სასამართლოს შემადგენლობა, აწარმოებენ რა პირის დაკითხვას ცდილობენ ადრე მიცემული ჩვენების წაკითხვით და გახსენებით პირს გამეორებინონ პირველადი ჩვენებანი თუ კი იგი გადაუხვევს პირვანდელ ჩვენებებს. ასეთი მოქმედება დაუშვებლად მიგვაჩნია, რადგან დასაკითხი პირები, განსაკუთრებით კი არამტკიცე ხასიათის მქონენი, ადვილად ექცევიან გამოძიებლის ან სასამართლოს გავლენის ქვეშ. ამ მხრივ საინტერესოა თბილისის ორჯონიკიძის სახალხო სასამართლოში განხილული ფ-ს სისხლის სამართლის საქმე.

ამ საქმეზე წინასწარ გამოძიებაზე დაკითხული დაზარალებული ყ-ი ყველა თავის ჩვენებაში ხსნიდა ფ-ს ხულიგნურ საქციელს და აღწერდა, თუ რა ფორმის და ფერის სახელური ჰქონდა დანას, რომელიც დამნაშავეს ხელში ეჭირა. სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე კი დაზარალებულმა დაცვის შეკითხვაზე განაცხადა, რომ მას დანა არ დაუნახავს და ასეთი ჩვენება ადრე მისცა იმიტომ, რომ დამნაშავეს ცალი ხელი ჯიბეში ედო და ამით დაასკვნა, რომ მას დანა უნდა ჰქონოდა.

ყ-ს ეს განცხადებასა სამართლომ არ გაიზიარა, რადგან სამსჯავრო სხდომაზე აღნიშნულმა ჩვენებამ დადასტურება ვერ ჰპოვა და წინააღმდეგობაში აღმოჩნდა სხვა მოწმეთა ჩვენებებთან და თვით იმ ფაქტთან, რომ დანა, რომელიც დამნაშავეს დაკავების მომენტში თვით ყ-ს თანდასწრებით ჩამოართვეს, საქმეს თან ერთვოდა როგორც ნივთმტკიცება.

რა თქმა უნდა, ჩვენების შეფასების აუცილებელი პირობაა წინააღმდეგობათა მიზეზების გამორკვევა. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მოწმის ან დაზარალებულის ჩვენებათა შეთანხმებულება მათს უტყუარობას მოწმობდეს. პრაქტიკაში არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც რამდენიმე პირი ერთნაირ ჩვენებას იძლევა წინასწარი შეთანხმებით ანდა ჩავთვების ან სხვა ამის მსგავსი ფაქტორების ზეგავლენით. ამიტომ ჩვენების ყოველმხრივი შემოწმება ხელს უწყობს სინამდვილის დადგენას, მიუხედავად იმისა, არის ეს ჩვენების მიმცემის სიცრუის თუ კეთილსინდისიერი შეცდომის შედეგი, ანდა თუ ეს აიხსნება ჩვენების მიმცემის მესხიერებაში აღქმის და მისი მახსოვრობის უნარით. ამ ფსიქოლოგიური მონაცემების გარკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ერთი და იმავე მიზეზით შესაძლოა ცრუ ჩვენებას ჰქონდეს ადგილი, ანდა უნებლიე შეცდომას, ე. ი. ჩვენების კეთილსინდისიერ მოუფიქრებლობას.



ჩვენების სისწორის შეფასება დიდად არის დამოკიდებული ჩვენების მიცემის პიროვნებაზე. განსაზღვრული მნიშვნელობა ამ შემთხვევაში აქვს მოწმის ან დაზარალებულის იდეურ-პოლიტიკურ და მორალურ სახეს, პირის შეგნებულობის დონეს, მის დამოკიდებულებას სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებისადმი. არავითარი მოტივი არ წააქეზებს მოწმეს მისცეს არასწორი ჩვენება, თუ კი მისი დამოკიდებულება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებისადმი, მისი მოვალეობის და პასუხისმგებლობის გრძნობა შეესაბამება ჩვენი საზოგადოების მორალურ, ეთიკურ პრინციპებს.

ცრუ ჩვენება შეიძლება გამოიხატოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რაიმე ცნობის გადამალვაში, ამა თუ იმ სინამდვილის დამახინჯებაში, წინასწარი განზრახვით გამოგონილი ამბის გადაცემაში და სხვ.

ცრუ ჩვენებები მოსალოდნელია მისცენ ისეთმა პირებმა, რომლებსაც არ გააჩნიათ საქმის გარემოებებზე გამოსამყდავებელი რაიმე ცნობები, ანდა ისეთმა პირმაც, რომლებმაც იციან საქმის შესახებ ზოგიერთი მონაცემები, მაგრამ შეგნებულად აწვდიან გამოძიებას ან სასამართლოს ცრუ ჩვენებებს.

ასეთ შემთხვევაში ცრუ ჩვენება განპირობებულია არა უსწორო ფაქტების აღქმით ან მეხსიერების დაქვეითებით, არამედ, მოწმის ან დაზარალებულის შეგნებული გადაწყვეტილებით — არასწორი გაშუქება მისცეს ფაქტებს.

მოწმეს ან დაზარალებულს შეიძლება აღეძრათ ცრუ ჩვენების მიცემის სურვილი გარედან ჩაურევლად, აგრეთვე სხვა პირთა გავლენითაც, როგორც არის დაშინება, მოსყიდვა, შანტაჟი, შთაგონება და სხვ.

არაკეთილსინდისიერი მოწმის ჩვენებათა ჩამოყალიბებაში მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნებით პროცესებს, რომლებზეც დამოკიდებულია მათი მიზანი — მისცენ უსწორო ჩვენება.


ამიტომ მოწმის ან დაზარალებულის მიერ ცრუ ჩვენების მიცემის ასხნა მოუფიქრებლობით, როდესაც გვაქვს შეგნებული ცრუ ჩვენების მიცემა, სწორი არ იქნებოდა და ასეთი პირი თავს ვერ უნდა აღწევდეს პასუხისმგებლობას, რადგან ცრუ ჩვენების მიცემა ნებისმიერი მოქმედებაა. ფსიქოლოგიაში კი ნებისმიერი მოქმედებას სამი პერიოდი აქვს. პირველ პერიოდში ხდება მოქმედების ვაცნობიერება და მისი შეფასება, მეორე პერიოდში პირი ახდენს გადაწყვეტილების მიღებას, მესამე პერიოდში კი ხდება მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება.

ამრიგად, ცრუ ჩვენება ყოველთვის განპირობებულია ამა თუ იმ მოტივით, წარმართულია განსაზღვრული მიზნისაკენ და მის ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ნებით პროცესებს.

ჩვენებათა სისწორით, რა თქმა უნდა, არ განისაზღვრება მათი სისრულე. აღამიანის აქვს შეგრძნების უნარი ობიექტურად სწორად ასახოს სინამდვილე, მაგრამ ამავე დროს მან შესაძლებელია ყოველგვარი წინასწარ განზრახვის გარეშე დაამახინჯოს ფაქტები.

აღამიანების მიერ ერთი და იგივე მოვლენის სხვადასხვაგვარად აღქმას ფსიქოლოგია ხსნის იმით, რომ „აღქმა არ არის საგნის — „სარკისებური“, პასიური და სრულიად ობიექტური, უცვლელი ასახვა, გარკვეულ ფარგლებში იგი პიროვნებისეულ ხასიათს ატარებს“¹.

¹ რ. ნათაძე, ფსიქოლოგიის მოკლე კურსი, თბ., 1969 წ.



აქ მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების გამოცდილებას და მის განწყობას, აღქმის ილუზიას, რაც იმას ნიშნავს, რომ ხდება მცდარი, დამახინჯებული აღქმა. ამის გამომწვევი მიზეზები მრავალია. მათ შორის განასხვავებენ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ილუზიებს.

აღქმის მეხსიერებაში შენარჩუნებისა და ასახვის სისრულე მრავალ ფაქტორთან არის დაკავშირებული. მათ შორის მთავარია ის ობიექტური პირობები, რომელთა გარემოცვაში აღმქმელი იმყოფება და თვით აღმქმელის სუბიექტური თვისებები. ჩვენების ჩამოყალიბებისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება მოწმის ან დაზარალებულის პიროვნების ინდივიდუალურ თვისებებებს, მათ ფსიქიკურ თვისებებს. ჩვენების მიცემის პროცესში ვლინდება პიროვნების ზნეობრივი სახე, აზროვნების დონე. აქ მნიშვნელობა ენიჭება მის მეხსიერებას, პროფესიას, საქმიანობას, ცოდნასა და გამოცდილებას. ჩვენების ჩამოყალიბების პროცესი დამოკიდებულია ჩვენების მომცემის ხასიათზე, მის ტემპერამენტზე, ემოციურობაზე, მგრძობელობაზე, აგრეთვე იმაზე, თუ რამდენად იჩენს მასში თავს მიდრეკილება შთაგონების, გაზვიადებისა და ფანტაზიის მიმართ. ჩვენების ჩამოყალიბების პროცესზე დიდი გავლენა აქვს პიროვნების გრძნობის ორგანოთა ხარისხს, თვალზომას, უნარს — სწორად განსაზღვროს დრო—და სხვა ინდივიდუალურ თვისებებს. ამიტომ საკითხი იმის შესახებ, ამა თუ იმ ფაქტორმა მოახდინა თუ არა ჩვენებაზე გავლენა, უნდა გადაწყდეს მოწმის, დაზარალებულის ფსიქიკის ინდივიდუალურ თვისებათა მხედველობაში მიღებით. ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ იმ ფაქტორებზე, რომლებიც პრაქტიკაში უფრო ხშირად წარმოიშობა.

აღქმა პირველი გრძნობადი ეტაპია, იგი ასახავს ადამიანის ცხოვრებაში საგნებსა და მოვლენებს, რომლებმაც უშუალო გავლენა მოახდინეს გრძნობის ორგანოებზე. აღქმა ემყარება შეგვრძნებას, იგი ხასიათდება მთლიანობით, ე. ი. ასახავს საგნებს, შემთხვევებს, სიტუაციას როგორც ერთ მთლიანს, ერთმანეთთან გარკვეულ თანაფარდობაში, აღქმის ობიექტის გარემომცველ წრესთან ურთიერთობაში. აღქმა დაკავშირებულია ობიექტის გააზრებასთან, იგი შეგვრძნების და აზროვნების ერთიანობაა.

აღქმის ხარისხისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმასაც, იცნობს თუ არა პირი კონკრეტულად აღებულ საგანს, რომელიც წარმოადგენს აღქმის ობიექტს. პიროვნება უდავოდ ყურადღებას აქცევს საგნის დამახასიათებელ ნიშნებსა და თვისებებს, მაგრამ, მეორე მხრივ, საგნის ამა თუ იმ დეტალს შეიძლება არ მიაქციოს ყურადღება.

აღქმის ობიექტურობა შეიძლება შემოწმდეს ჩვენების მიმცემის იმ კონკრეტულ შეგვრძნებათა გამორკვევის გზით, რომელთა საფუძველზეც მის გონებაში წარმოიშვა საგნის სახე.

აღქმაში ყურადღება თავს იჩენს, როგორც მარეგულირებელი ფაქტორი. ზოგჯერ აღქმა ატარებს არჩევით ხასიათს, რადგან მოვლენის ერთი ნიშნები ანუ ნაწილები იმყოფებიან ამთვისებელის ყურადღების ცენტრში. ამ შემთხვევაში პირი არა თუ ხედავს, არამედ განიხილავს კიდევაც, არა თუ ესმის, არამედ ყურსაც დაუგდებს ხოლმე სხვა გარემოებებს, მაგრამ ყველა ამ ფაქტორს ნაკლებ ყურადღებას აქცევს და არასრულად, არაზუსტად ითვისებს რის შედეგადაც ბევრი მოვლენა ყურადღების გარეშე რჩება. ასე, მაგალითად, ექიმმა, რომელიც შეესწრო მოქალაქის დანით დაჭრის ფაქტს, დაკითხვის დროს განაცხადა, რომ მას არ დაუნახავს დამნაშავემ დანა გადაადგო თუ არა და რა მი-

მართლებით გაიქცა იგი. ეს მან იმით ახსნა, რომ მთელი მისი ყურადღება მიქცეული იყო დაჭრილ მოქალაქეზე.

ეს იმის შედეგია, რომ მოწმის, დაზარალებულის, როგორც ყოველი ადამიანის ყურადღება მიპყრობილია იმაზე, რაც მისთვის მნიშვნელოვანს წარმოადგენს, რაც ინტერესს იწვევს. ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ რაც უფრო ინტენსიურია ყურადღება რაიმე შემთხვევის მიმართ, მით უფრო უყურადღებოა ადამიანი სხვა მიმართულებით. პიროვნებამ, რომელიც ყურადღებით უყურებს რაიმე შემთხვევას, შესაძლოა ვერ შეამჩნიოს, რომ მას ჯიბიდან ჰპარავენ საფულეს. ეს აიხსნება ფსიქოლოგიური მომენტით, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანის ყურადღება მიმართულია ერთი მოვლენისაკენ, რის გამოც მას უქვეითდება ყურადღება სხვა მოვლენებისადმი. ე. ი. ადგილი აქვს ფსიქოლოგების ენით რომ ვთქვათ — „ნაწილობრივ ძილს“².

როგორც ჩვენების ჩამოყალიბებისას, ყურადღების გამახვილების დროსაც ადგილი აქვს აღქმულის გონებრივ გადამუშავებას, რის შედეგადაც ხდება არსებითის გამოყოფა არაარსებითისაგან.

აღქმა სინამდვილის პირველადი ასახვაა, აზროვნება კი მეორადი, აღქმის მონაცემებზე დარყნობილი, მაგრამ აზროვნების გარეშე შეუძლებელია აღქმული ობიექტის გაგება, მისი კავშირი და დამოკიდებულება. აზროვნების მონაწილეობით განპირობებულია აღქმის მთლიანობა, მისი სიღრმე, ის, რაც მიუღწეველია ზოგიერთი პირისათვის, მისაწვდომია სხვისი აღქმისათვის, რომლის აზროვნება უფრო მაღალ დონეზეა.

მოწმის თუ დაზარალებულის ჩვენების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მეხსიერების პროცესს.

აღქმულის შენარჩუნება მეხსიერებაში ჩვენებათა ჩამოყალიბების აუცილებელი პირობაა.

აღქმულის შენარჩუნების სისრულე და სიზუსტე გარკვეულ პირობებში დამოკიდებულია განვილი დროზე, მაგრამ იშვიათი როდია ისეთი შემთხვევები, როცა ის, რაც მოხდა ახლახან, მივიწყებას ეძლევა და, პირიქით, დიდი ხნის წინ მომხდარი შემთხვევები მტკიცედ გამჯდარია მეხსიერებაში. აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სხვა ფაქტორებს, კერძოდ, რა მიზნით ისწრაფოდა პიროვნება, რომ მეხსიერებაში შენარჩუნებულიყო აღრე მომხდარი შემთხვევა. იღებდა თუ არა იგი ზომებს ნანახის მეხსიერებაში შესანარჩუნებლად, და უკეთეს იღებდა, მაშინ სახელდობრ როგორს, კერძოდ, ჩაწერა თუ არა მან ეს გარემოებანი, როდის და რა პირობებში.

მეხსიერების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ყურადღება, ემოცია, აზროვნება. მეხსიერების პროცესი ატარებს არჩევით ხასიათს. უკეთესად იქნება შენარჩუნებული მეხსიერებაში ის, რაც ინტერესს იწვევს და მნიშვნელოვნად ეჩვენება.¹

განსაკუთრებით კარგად ინარჩუნებენ მეხსიერებაში იმას, რაც დაკავშირებულია ჩვენების მიმცემის შრომით პროცესთან და წარმოადგენს მისი საქმიანობის განხორციელების საშუალებას. ასე, მაგალითად, ავტომატქანის მძღოლი, რომელიც შეესწრო ქუჩაში მომხდარი მანქანების შეჯახებას, მიუხედავად ხანგრძლივი დროის გასვლისა, უფრო ზუსტად აღწერს მანქანების შეჯახების

² რ. ნათაძე, — ფსიქოლოგიის მოკლე კურსი, გვ. 121.

მომენტს და მოძრაობის წესების დარღვევის ფაქტს, ვიდრე სხვა პროფესიის პირი.

გარდა ჩვენების მიმცემის პროფესიული საქმიანობისა, ჩვენების შენარჩუნების სისრულისა და სიზუსტისათვის მნიშვნელობა აქვს ჩვენების მიმცემის მესხიერების ინდივიდუალურ თვისებებსაც.

მესხიერების პროცესი, შეუძლებელია აზროვნების აქტიური მონაწილეობის გარეშე. გახსენება დაკავშირებულია მასალის შეპირისპირებასთან, ისწრაფვის რა ყველაზე უფრო სრულად და ზუსტად წარმოადგინოს აღქმულის სახე, ადამიანი მესხიერებაში აღადგენს დავიწყებულ ან მქრალად შენარჩუნებულ საგნებს აზროვნების მეშვეობით.

გახსენება, ერთი მხრივ, ახდენს მესხიერების გააქტიურებას, მეორე მხრივ კი შესაძლებელია გამოიწვიოს არაზუსტი, დამახინჯებული აღდგენა, ფანტაზირობა, სინამდვილის შეცვლა სხვისგან ჩაგონებით და ა. შ., რის გამო მოწმის მიერ აღქმული ცნობები მის მესხიერებაში შეიცვლება სხვა წყაროებიდან გაგონილით.

ჩაგონება შესაძლებელია იყოს წინასწარგანზრახული და წინასწარგანუზრახავი. ერთ შემთხვევაში პირი მიზნად ისახავს რაიმე შთაგონოს მოწმეს ან დაზარალებულს, ხოლო მეორე შემთხვევაში თავისი თხრობით, შეკითხვებით, რეპლიკებით აღწევს თავისი მოსაზრების თავზე მოხვევას. მოწმის თუ დაზარალებულის მიდრეკილება შთაგონებისადმი დაკავშირებულია როგორც პიროვნების ინდივიდუალურ თვისებებთან და მის მდგომარეობასთან დაკითხვის დროს, ისე გარკვეულ შემთხვევაში საქმეზე შექმნილ სიტუაციასთან. არის შემთხვევა, როდესაც პირი დაინტერესებულია საქმით და სურს დაიმსახუროს გამომძიებლის ან მოსამართლის კეთილი განწყობა. ამ შემთხვევაში იგი ცდილობს არ გაიფუჭოს მათთან ურთიერთობა, ანდა იმისათვის, რომ მალე დააღწიოს თავი პროცესში მონაწილეობას, თავისი ინდიფერენტული ხასიათის ძალით ობიექტულად თავს არიდებს ჭეშმარიტებას და აძლევს ჩვენებას, რომელიც მისი აზრით სასურველია დამკითხველისათვის. შთაგონების ალბათობა უფრო იზრდება, როდესაც ჩვენების მიმცემი გრძნობს, რომ დამკითხვის მოსაზრებანი მისთვის ხელსაყრელია.

მოწმე ან დაზარალებული ადვილად ექცევა შთაგონების სფეროში მაშინაც, როდესაც მან სრულად და ზუსტად არ იცის გარემოებანი, რომლებიც აინტერესებს გამომძიებელს ან სასამართლოს, ან არ არის დარწმუნებული თავის ცოდნაში საქმის ზოგიერთ მონაცემების შესახებ.

გამორიცხული არ არის ისეთი შემთხვევაც, როცა შთამაგონებელ ზეგავლენას ახდენს დამკითხველის დამოკიდებულების სხვა ფორმებიც ჩვენების მიმცემისადმი, კერძოდ შეკითხვის რამდენჯერმე გამეორება. ასეთ დროს ჩვენების მიმცემს ექმნება შთაბეჭდილება, რომ დამკითხავი უკმაყოფილოა მისი ჩვენებით, თავისდა უნებურად ასწორებს ჩვენებას ანდა ექცევა დამკითხველის გავლენის, მისი შთაგონების ქვეშ.

ერთ-ერთი აუცილებელი პირობა დასაკითხი პირისაგან ჩვენების სრული მიღებისათვის არის დაკითხვის კანონიერად და ტაქტიკურად სწორად ჩატარება იმ ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით და შეფასებით, რომლებიც თვითველ დასაკითხ პირს ახასიათებს.

ბრალდებულის კანონიერი ინფორმაციის გაგებისათვის



მ. ნანიკაშვილი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

საბჭოთა კანონიერებისა და მართლმსაჯულების სწორად განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ურთიერთობას, რომელიც მყარდება პროცესის მონაწილეთა შორის, როგორც წინასწარი გამოძიების ასევე სასამართლოში საქმის განხილვის დროს.

ამ მხრივ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ბრალდებულის (სამართალში მიცემულის, მსჯავრდებულის) კანონიერი ინტერესების სწორად გაგება.

ხშირად ლაპარაკია ბრალდებულის კანონიერი ინტერესების შესახებ, მაგრამ რატომღაც არ არის ახსნილი, თუ რა შედის კანონიერი ინტერესების ცნებაში. არ ხდება მისი კონკრეტიზაცია. ვერ ვნახულობთ პასუხს თუ რა ურთიერთობაში იმყოფებიან ბრალდებულის უფლებები და კანონიერი ინტერესები, ხომ არ არიან ისინი ერთი და იგივე შინაარსის მატარებელი და სხვა. ჩვენ შევეხებით მხოლოდ ბრალდებულის კანონიერი ინტერესების გაგებას. „არაფერი არ ხორციელდება ინტერესის გარეშე“, წერდა ჰეგელი¹. ამდენად ჰეგელის მიხედვით ინტერესი არის გარკვეული მიმართულებით პიროვნების წარმმართველი ძალა. მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი როდია. იურისტებისათვის მეტად საინტერესოა გ. ვ. პლენანოვის დებულება, რომლის მიხედვითაც „იმისათვის რათა დაცვა გარკვეული ინტერესები, საჭიროა შეიცნო იგი“². ბრალდებულის კანონიერი ინტერესების სწორად გაგების, მისი სწორად შეცნობის სათავე პირველ რიგში იმყოფება იმ ურთიერთობაში, რომელიც არსებობს საზოგადოებრივ და პირად ინტერესებს შორის.

საკანონმდებლო წესითაა გარანტირებული პიროვნების კანონიერი ინტერესების დაცვა. კანონიერი ინტერესები მოითხოვენ, რომ არ დაისაჯოს უდანაშაულო და დამნაშავეს კი მიეზღოს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და პიროვნების გათვალისწინებით. აი სწორედ ამ მიზანს ემსახურება ადვოკატის მოღვაწეობა სისხლის სამართლის საქმეში.

სასამართლო წყობილების კანონმდებლობის საფუძვლების მე-2 მუხლში, სადაც ლაპარაკია მართლმსაჯულების ამოცანებზე, ნათქვამია, რომ მართლმსაჯულების მიზანია, როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების ასევე მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა. ასე რომ კანონი ადვოკატის მოღვაწეობას საჭირო და სავალდებულოდ თვლის. ადვოკატის გარეშე საქმის განხილვის შემთხვევაში განაჩენი როგორც უკანონო უნდა გაუქმდეს.

უფრო მეტიც, ბრალდებულის ადვოკატით (დამცველით) უზრუნველყოფის საკითხი კონსტიტუციურ პრინციპამდება აყვანილი (სსრ კავშირის კონსტიტუციის 111 მუხლი).

სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების 23-ე მუხლში ნათქვამია ადვოკატის მოვალეობის შესახებ, რომლის მიხედვითაც „დამცველი მოვალეა გამოიყენოს კანონში აღნიშნული დაცვის ყველას საშუალება და ხერხი იმ მიზნით, რომ გაირკვეს გარემოებანი, რომლებიც ამართლებენ ბრალდებულს ან ამსუბუქებენ მის პასუხისმგებლობას, და გაუწიოს ბრალდებულს საჭირო იურიდიული დახ-

¹ ჰეგელი, соч., т. 3. Госполитиздат, 1956, გვ. 289.

² Г. В. Плеханов, Избранные философские произведения, т. 2, ст. 266.

მარება“. აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ დავეთანხმებით გ. ხარატიშვილის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ადვოკატი მისი პროფესიული მოვალეობის თანახმად ვალდებულია გაჰყვეს ბრალდებულის დაუფრებელ ვერსიას და ფაქტების გვერდის ავლით ამტკიცოს მისი უდანაშაულობა. ხარატიშვილის აზრით ამ მიზნით წინასწარ იდება ორმხრივი ხელშეკრულება მათ შორის და თუ ადვოკატი რაიმე ზომით აღიარებს ბრალდებულის ბრალს ამით იგი არღვევს ხელშეკრულებას.³

ხელშეკრულება იდება არა ბრალდებულსა და ადვოკატს შორის, არამედ ბრალდებულსა და იურიდიულ კონსულტაციას შორის, გარდა ამისა ამ ხელშეკრულებით ადვოკატი ვალდებულია დაიცვას ბრალდებულის მხოლოდ კანონიერი ინტერესები.

ხარატიშვილი შემდეგ აღნიშნავს, რომ ადვოკატურის პრინციპები ისეთნაირადაა დადგენილი, რომ ცნობილ ადვოკატებს „...ამ ჭეშმარიტად ინტელიგენტ ადამიანებსაც ხშირად უხდებათ სამართლისა და ზნეობის წინააღმდეგ მოქმედება“.⁴

სინამდვილეში კი ჩვენი სისხლის სამართლის პროცესი და დებულება ადვოკატთა კოლეგიების შესახებ, მოგვიწოდებენ, რომ დავიცვათ ბრალდებულის მხოლოდ კანონიერი ინტერესები და არა ბრალდებულის უკანონო დაჩემებანი. კანონის მიხედვით ადვოკატს არ აქვს უფლება უარი თქვას დაცვაზე, რომელიც მან იკისრა, მაგრამ თუ კი ბრალდებულს არ სურს მის მიერ არჩეული დამცველი, მას უფლება აქვს პროცესის ყოველ სტადიაში უარი თქვას დამცველზე.

არ შეიძლება გავაიგივეოთ დაცვა ადვოკატის მიერ იურიდიული დახმარების გაწევასთან, როგორც ამას პროფ. ი. დ. პერლოვი თვლის. მისი აზრით, როდესაც ადვოკატი მსჯავრდებულის სახელით ადგენს საკასაციო საჩივარს, საჩივარშიც მსჯავრდებულის განვითარებული მოსაზრებანი მოჰყავს. ამით ადვოკატი მსჯავრდებულს უწევს იურიდიულ დახმარებას და განაგრძობს დაცვას.⁵

პროფ. ი. დ. პერლოვის მსგავსად დაცვასა და იურიდიულ დახმარებას ერთმანეთში აიგივებებს გ. ნ. აგევა.⁶

სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების 23-ე მუხლი განმარტავს დაცვას და შემდეგ დასძენს, რომ დამცველი ვალდებულია ბრალდებულს გაუწიოს იურიდიული დახმარება. საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის დებულების მე-5 მუხლში გამოყოფილია დაცვა და იურიდიული დახმარების აღმოჩენა.

იურიდიულ კონსულტაციებში მსჯავრდებულებს მორიგე ადვოკატები უდგენენ ხოლმე საკასაციო და ზედამხედველობის წესით საჩივრებს მსჯავრდებულთა სახელით. ამით, ადვოკატები დაცვას კი არ აწარმოებენ, არამედ იურიდიულ დახმარებას უწევენ მათ.

გ. ი. ლენინი ამხ. ვ. ვ. ადორატსკის (რომელიც მაშინ ცენტრალური არქივის სამმართველოს გამგის მოადგილედ მუშაობდა) წერდა: „ამხ. ადორატსკი... მთელი დახმარება რომელიც თქვენ უნდა აღმოუჩინოთ მთხოვნელებს უნდა

³ გ. ხარატიშვილი, „ადვოკატის ავტორიტეტის საკითხისათვის“, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1966 წ. № 5, გვ. 54.

⁴ იქვე.

⁵ И. Д. Перлов, Кассационное производство в советском уголовном процессе, М., 1968 г., стр. 134.

⁶ Уголовный процесс, 1969, ст. 293.



მდგომარეობდეს მათ (იურიდიულ) დახმარებაში ე. ი. ასწავლოთ (დაეხმაროთ-მათ) **იბრძოლონ თავიანთი უფლებებისათვის...**⁷

კოველივე აღნიშნულის შემდეგ არ უნდა გახდეს სადავოდ ის საკითხი, რომ იურიდიული დახმარების აღმოჩენა და დაცვა განსხვავდება ერთი მეორისაგან და არ შეიძლება მათი გაიგივება.

სისხლის სამართლის პროცესის თეორიასა და პრაქტიკაში ვერ ვნახულობთ პასუხს კითხვაზე, ბრალდებულის კანონიერი ინტერესების ცნებაში შედის თუ არა, საქმეზე სისხლის სამართლის საპროცესო კანონის დარღვევა.

პროფ. მ. ა. ჩელცოვის მიხედვით ბრალდებულის კანონიერი ინტერესების ცნებაში შედის დაცვა არა სწორად წარდგენილი ბრალდებისაგან, რომ ბრალდებულს არ ჩაუდენია დანაშაული, არ ქონია ადგილი დანაშაულს, მტკიცება ბრალდებულის ნაკლები როლისა, როდესაც რამდენიმე პირის მიერაა ჩადენილი დანაშაული და სხვა.⁸

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ბრალდებულის კანონიერი ინტერესების ცნებაში უნდა შევიდეს, ბრალდებულის პროცესუალური უფლებების დაცვაც. თუ ბრალდებულის უფლებები შელახული იქნა დაცვაზე, ამას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა, ბრალდებულის დანაშაულის კვალიფიკაციაზე, სასჯელზე და სხვ. კანონი და სასამართლო პრაქტიკა საპროცესო ნორმების არსებით დარღვევას თვლის განაჩენის გაუქმების საფუძველად.

ზოგ შემთხვევაში საკასაციო ინსტანციაში ადვოკატი მხოლოდ საპროცესო კანონის არსებით დარღვევებზე უთითებს, და შემდგომ სასამართლო განაჩენს აუქმებს. თუ გავყვებით იმ მოსაზრებას, რომ ბრალდებულის კანონიერი ინტერესების ცნებაში არ შედის საპროცესო ნორმების დარღვევა, რომელიც ადვოკატმა უნდა ამტკიცოს, მაშინ გამოვა, რომ ადვოკატს მოცემულ შემთხვევაში დაცვა არ განუხორციელებია, რაც არასწორი იქნება.

საკასაციო ინსტანციის სასამართლოში განიხილეს მსჯავრდებულ ქურციკიძის საქმე ქ. ჭიათურის პროკურორის პროტესტის საფუძველზე. საქმეზე მონაწილე პროკურორმა მხარი დაუჭირა პროტესტს და მოითხოვა განაჩენის გაუქმება, სასჯელის სიმსუბუქის გამო. საქმეზე მონაწილე ადვოკატმა კი განაცხადა, რომ არ შეიძლება მოცემული პროტესტის საფუძველზე საქმის განხილვა, ვინაიდან იგი შეტანილი იქნა საკასაციო ვადის გასვლის შემდეგ. მართალია სასამართლოს მიერ საკასაციო ვადა აღდგენილი იქნა, მაგრამ ის მოტივები, რომლითაც პროკურორი ითხოვდა საკასაციო ვადის აღდგენას, არ შეიძლებოდა საპატიო მიზეზად ჩათვლილიყო. სწორად მოიქცა საკასაციო ინსტანციის სასამართლო, რომელმაც საქმე არ განიხილა.⁹

ანდენად არ უნდა იყოს სადავო ის საკითხი, რომ ბრალდებულის კანონიერი ინტერესების ცნებაში შედის რეაგირება საპროცესო კანონთა ნორმების ისეთ არსებით დარღვევებზე, რომლებიც ლახავენ ბრალდებულის უფლებას დაცვაზე.

კანონში ლაპარაკია არა მარტო კანონიერი ინტერესების დაცვაზე, არამედ ადვოკატის მიერ კანონიერი ინტერესების, კანონით დაშვებული ხერხითა და მეთოდით დაცვაზე.

⁷ В. И. Ленин, Полн. собр. соч., т. 53, гл. 149.

⁸ М. А. Чельцов, «К вопросу о процессуальном положении защитника адвоката», Ученые записки ВЮЗИ, выпуск XIV, стр. 105 — 128.

⁹ ქ. ჭიათურის სახ. სასამართლოს არქივი.



რიგის ერთ-ერთი რაიონის სახალხო სასამართლოში ადვოკატმა წარადგინა მის მიერ გადაღებული იმ ადგილის ოთხი ფოტოსურათი, სადაც მოხდა დანაშაული — გაუბატოურება და საქმეს დაერთო. ლატვიის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განჩინება გამოიტანა ადვოკატის მიმართ და ამავე დროს აცნობა ლატვიის სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს, რომ ადვოკატმა დაარღვია სსსკ 108 მუხლის მოთხოვნა და გამომძიებლის ფუნქციებში შეიჭრაო.

ლატვიის სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა გააუქმა კერძო განჩინება და თავის დადგენილებაში მიუთითა, რომ განჩინებაში არაა მითითებული, სახელდობრ გამომძიებლის რა ფუნქცია მიითვისა ადვოკატმა, რაში გამოხატა 108 მუხლის დარღვევა. ფოტოსურათი არ წარმოადგენს შემთხვევის ადგილის დათვალიერების საპროცესო აქტს. ასევე არა სწორია მითითება სახალხო სასამართლოს მიერ რაიმე კანონის დარღვევაზე.¹⁰

როდესაც ადვოკატი საქმეს ეცნობა, ცხადია პირველ რიგში ეძებს ბრალდებულის გამამართლებელ მასალებს, და თუ ასეთი ვერ ნახა, შემდეგ იწყებს ბრალდებისა და სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოების ძებნას.

ზოგადად ბრალდებულის კანონიერ ინტერესებს შემდეგი კლასიფიკაცია შეიძლება მიეცეს, რომლის მიხედვითაც ადვოკატი ვალდებულია საქმის მასალების შესწავლის შედეგად აღმოაჩინოს და ამტკიცოს... რომ:

- 1) არ ქონია ადგილი დანაშაულებრივ ქმედობას;
 - 2) ბრალდებულს არ მიუღია მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში;
 - 3) ბრალდებულის ქმედობა არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს;
 - 4) საქმის განხილვის მომენტისათვის ქმედობამ დაკარგა საზოგადოებრივი საშიშროება;
 - 5) დანაშაულის ჩამდენი პირი აღარ არის საზოგადოებრივად საშიში;
 - 6) საქმე წარმოებით შეწყდეს პირის შეურაცხადობის დადგენასთან დაკავშირებით;
 - 7) საქმე წარმოებით შეწყდეს საქმის ამხანაგურ სასამართლოზე გადაცემასთან დაკავშირებით;
 - 8) საქმე წარმოებით შეწყდეს ხანდაზმულობის ან ამნისტიის გამო, თუ ეს უკანასკნელი ათავისუფლებს პირს სასჯელისაგან;
 - 9) საქმე წარმოებით შეწყდეს პირის არასრულწლოვანთა საქმეების კომისიისათვის გადაცემასთან დაკავშირებით;
 - 10) საქმე წარმოებით შეწყდეს დამნაშავის თავდებქვეშ გადაცემასთან დაკავშირებით;
 - 11) ბრალდება შეიცვალოს მისი შემსუბუქების მიზნით;
 - 12) სამართალში მიცემული ნაკლებად აქტიური იყო დანაშაულის სხვა თანამონაწილეებთან შედარებით, როდესაც დანაშაული რამდენიმე პირის მიერაა ჩადენილი;
 - 13) სამართალში მიცემულს შეუფარდონ კანონით გათვალისწინებულ სასჯელზე უფრო მსუბუქი სასჯელი;
 - 14) სამართალში მიცემულს შეუფარდონ პირობითი მსჯავრი.
- აღნიშნულის გარდა ადვოკატმა საქმეში უნდა გამოავლინოს პასუხისმგებ-

¹⁰ Судебная практика Верховного Суда СССР, 1958, № 5, зб. 34.



ლობის სხვა გარემოებანი, რომლის შესახებაც ნათქვამია სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლში.

ადვოკატმა უნდა გამოავლინოს სასჯელის შემამსუბუქებელი სხვა საშეღავათო გარემოებანი, რომელიც სასამართლო პრაქტიკამ შეიმუშავა, მაგალითად, პირის დამსახურება სამშობლოს წინაშე, პირის შრომითი წარმატებანი, ოჯახის მრავალშვილიანობა, განსაკუთრებით თუ მის კმაყოფაზე იმყოფება არასრულწლოვანი ბავშვები და შრომისუუნარო მოხუცები, ბრალდებულის, მისი მეუღლის ან ოჯახის სხვა წევრის ავადმყოფობა.

ბრალდებულის კანონიერი ინტერესების სწორად გაგებას მნიშვნელობა აქვს არა მარტო ადვოკატისათვის და ბრალდებულისათვის, არამედ თვით გამოძიებისა და სასამართლო ორგანოს მუშაკთათვის.

ადვოკატის როლი დიდია და პასუხსაგები გვახსენდება დეპუტატ ი. ა. კაიროვის ჰიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე თქმული სიტყვები: „ჩვენ გვყავს საქმისათვის თავდადებული ადვოკატები, მაგრამ ისინი ხშირად შეუჩინველი გვრჩება, არ იცნობენ და ზოგჯერ ნაკლებად აფასებენ მათ. ზოგჯერ ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა უცნაური დამოკიდებულება ადვოკატისადმი, როგორც ხელის შემშლელისა და არა ხელის შემწყობისა მართლმსაჯულებისათვის. ადვოკატისადმი ასეთი დამოკიდებულებას არაფერი აქვს საერთო საბჭოთა იუსტიციის ნამდვილ ამოცანებთან. ზოგიერთი ადვოკატები თვითომ ექცევიან ადვოკატისადმი ასეთი დამოკიდებულების ქვეშ; კარგავენ წარმოდგენას თავიანთი ფუნქციის მნიშვნელობის შესახებ. ეშინიათ ჩაებან ნამდვილ და პრინციპულ კამათში სახელმწიფო ბრალდების წარმომადგენელთან. ბოლო უნდა მოეღოს ადვოკატისადმი ასეთ დამოკიდებულებას და ადვოკატში ვხედავდეთ სიმართლისა და სამართლიანობის დამცველებს“.

საქმის ფაქტიურ გარემოებათა და სასამართლოს დასკვნების შეუსაბამობა

3. ლილუაშვილი

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების 49-ე მუხლისა და საქართველოს სსრ სსსკ 352-ე მუხლის თანახმად, განაჩენის გაუქმების ან შეცვლის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს განაჩენში მოცემული სასამართლოს დასკვნების შეუსაბამობა საქმის ფაქტიურ გარემოებებთან. განაჩენის გაუქმების ან შეცვლის აღნიშნულ საფუძველს უაღრესად დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მისი სწორი გარკვევა წარმოადგენს იმის აუცილებელ პირობას, რომ დროულად გაუქმდეს ან შეიცვალოს ყველა უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენი, გასწორდეს სასამართლოს შეცდომა, აღიკვეთოს საბჭოთა მართლმსაჯულების განხორციელებისას კანონიერების დარღვევის შემთხვევები.

განაჩენში მოცემული სასამართლოს დასკვნების შეუსაბამობა საქმის ფაქტიურ გარემოებებთან, რაც იწვევს საკასაციო და ზედამხედველობითი წესით საქმის განხილვის დროს განაჩენის გაუქმებას ან შეცვლას, განმარტებულია მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში. საქართველოს სსრ სსსკ 354-ე მუხლის მიხედვით „განაჩენი საქმის ფაქტიურ გარემოებებთან შეუსაბამოდ ჩაითვლება: 1. თუ სასამართლოს დასკვნა არ დასტურდება სამსაჯვრო სხდომაზე განხილული დამამტკიცებელი საბუთებით; 2. თუ სასამართლომ არ მიიღო მხედველობაში საქმის გარემოება, რომელსაც შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა მის დასკვნაზე; 3. თუ ერთმანეთის საწინააღმდეგო დამამტკიცებელი საბუთების არსებობისას, რომელთაც სასამართლოს დასკვნისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, განაჩენში არ არის აღნიშნული, რა საფუძველით მიიღო სასამართლომ ერთი ამ საბუთთაგანი და სხვა კი უარყო; 4. თუ სასამართლოს დასკვნები, რაც განაჩენშია ჩამოყალიბებული, არსებით წინააღმდეგობას შეიცავენ, რომლებმაც გავლენა მოახდინეს ან შეეძლო გავლენა მოეხდინათ მსჯავრდებულისა თუ გამართლებულის ბრალეულობის ან უდანაშაულობის საკითხის გადაჭრაზე, სისხლის სამართლის კანონის გამოყენების სისწორეზე ან სასჯელის ზომის განსაზღვრაზე“.

განაჩენს თუ ერთ-ერთი ამ ნაკლოვანებათაგანი ახასიათებს, იგი უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს იმისდა მიხედვით თუ კონკრეტულად რა ხასიათს ატარებს გამოვლენილი ნაკლი.

განაჩენის კანონიერებისა და დასაბუთებულობის აუცილებელი პირობაა, რომ სასამართლოს დასკვნები ემყარებოდეს და გამომდინარეობდეს სამსაჯვრო სხდომაზე განხილული მტკიცებულებებიდან. კანონით მტკიცედ დადგენილი წესის თანახმად, სასამართლო განაჩენს საფუძველად უდებს მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რომლებიც განხილული იყო სამსაჯვრო სხდომაზე (საქართველოს სსრ სსსკ 303-ე მუხ.). კანონის ამ მოთხოვნიდან გამომდინარე სასამართლო ვალდებულია გამოიკვლიოს საქმეზე არსებული ყველა მტკიცებულება ე. ი. უშუალოდ თვითონ დაკითხოს სამართალში მიცემული, დაზარალებული, მოწმეები, მოსმინოს ექსპერტის დასკვნა, დაათვალიეროს ნივთიერი მტკიცებულებები, გაეცნოს საგამომძიებლო აქტებს და ა. შ. თუ სასამართლომ

რომელიმე მტკიცებულება უშუალოდ თვითონ არ შეამოწმა და არ გამოიკვლია. მან ასეთ მტკიცებულებებზე თავისი დასკვნა საფუძვლად არ უნდა დაუდოს განაჩენს. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 18 მარტის დადგენილებაში „სასამართლოების მიერ სისხლის სასამართლოს საქმეთა განხილვისას კანონების ზუსტად დაცვის შესახებ“ ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ არ შეიძლება განაჩენს საფუძვლად დაედოს წინასწარი გამოძიების მასალები, რომლებიც განხილული არ ყოფილა სასამართლოს სხდომაზე ზეპირობის, საქვეყნობისა და უშუალობის დაცვით.¹

მტკიცების საგანში შემავალი ყველა ფაქტი, საქმის ყველა არსებითი გარემოება სასამართლომ უნდა დაადგინოს სამსჯავრო სხდომაზე სრულად, ყოველმხრივად და ობიექტურად გამოკვლეული მტკიცებულებებით. განაჩენის დასაბუთებისათვის აუცილებელია, რომ სასამართლომ სწორად შეაფასოს განხილული მტკიცებები და ამ მტკიცებულებებიდან გააკეთოს სწორი დასკვნა. განაჩენი მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დასაბუთებულად თუ მისი დასკვნები შეესაბამება სამსჯავრო სხდომაზე მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად დადგენილ ფაქტებს.

განაჩენი უკანონოდ და დაუსაბუთებლად ჩაითვლება, თუ სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო საქმის გარემოება, რომელსაც შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა მის დასკვნაზე. განაჩენის დადგენისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ბრალდებულის მამხილებელი და გამამართლებელი, მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი ყველა გარემოება. ბრალდებულის მამხილებელი და გამამართლებელი გარემოებები — ეს საქმის ისეთი არსებითი გარემოებებია, რომელთა საფუძველზე სასამართლო ადგენს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირის ბრალეულობას ან არაბრალეულობას. რაც შეეხება საქართველოს სსრ სსკ 38-ე და 39-ე მუხლებში აღნიშნული პასუხისმგებლობის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს, მათი გათვალისწინება აუცილებელია სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის, იმისათვის, რომ სასამართლომ დამნაშავეს დაუნიშნოს სამართლიანი, მისი ქმედობისა და ბრალის თანაზომიერი სასჯელი. სასამართლომ არა მარტო უნდა დაადგინოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, არამედ, მასთან ერთად განაჩენის დადგენისას უნდა გაითვალისწინოს, მხედველობაში მიიღოს ეს გარემოებები, მისცეს მათ ჯეროვანი შეფასება. თუ სასამართლო სამსჯავრო სხდომაზე დაადგენს პირის ბრალეულობასა და პასუხისმგებლობის საკითხის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობის გარემოებებს, მაგრამ განაჩენის გამოტანისას ამ გარემოებებს მხედველობაში არ მიიღებს და ჭკვრდს აუვლის, ასეთი განაჩენი არ იქნება კანონიერი და დასაბუთებული.

თბილისის ლენინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ ვ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სსრ სსკ 228 მუხლის მეორე ნაწილით და შეუფარდა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა. სამართალში მიცემულის, დაზარალებულისა და მოწმეების ჩვენებებით დადგინდა, რომ ვ. რესტორანში შევიდა გვიან ღამით და მეტუფეტეს თხოვა მიეყიდა მისთვის ბორჯომის წყალი, რომელიც უნდა წავედო სახლში ავადმყოფი ბავშვისთვის. მეტუფეტემ უთხრა, რომ წყლის გატანა არ შეიძლება და თუ გინდა აქ დალიეო. ამის შემდეგ ვ-მ ჩაიღინა ხულოგნური

¹ იხ. «Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР 1924—1963 гг.», М., 1964, стр. 172.

მოქმედება. საქმეში არსებული მასალებიდან ჩანს, რომ ვ. არის წარმოების მოწინავე მუშა, რაიმე ცუდ საქციელში ადრე შემჩნეული არ ყოფილა, კმაყოფაზე ყავს ოთხი მცირეწლოვანი შვილი, სამსახურის ადმინისტრაცია დადებითად ახასიათებს. პასუხისმგებლობის ყველა ეს შემამსუბუქებელი გარემოება სასამართლომ სასჯელის განსაზღვრისას არ მიიღო მხედველობაში. ჩვენის აზრით, სავსებით სწორად და სამართლიანად მოიქცა საკასაციო ინსტანციის სასამართლო, რომელმაც აღნიშნულ განაჩენში შეიტანა ცვლილება და ვ-ს თავისუფლების აღკვეთა შეუცვალა პირობით მსჯავრით.

განაჩენი არ შეესაბამება საქმის ფაქტიურ გარემოებებს, თუ ურთიერთსაწინააღმდეგო დამამტკიცებელი საბუთების არსებობისას განაჩენში არ არის აღნიშნული, რა საფუძვლით მიიღო სასამართლომ ერთი ამ მტკიცებულებათაგანი და სხვა კი უარყო. მტკიცებულებებს შორის წინააღმდეგობა შეიძლება გამოწვეული იყოს მოწმეების არაკეთილსინდისიერებით, დაზარალებულის დაინტერესებით, ექსპერტის არაკომპეტენტურობით, წარმოდგენილი დოკუმენტის სიყალბით და ა. შ. სასამართლო ვალდებულია განაჩენში დაასაბუთოს მტკიცებულებებს შორის არსებულ წინააღმდეგობათა მიზეზი, რომელი მტკიცებულება მიაჩნია მას დამაჯერებლად და რატომ.

განაჩენის გამოტანისას სასამართლომ უნდა დაასაბუთოს თავისი დასკვნები, გაანალიზოს და შეაფასოს ყველა მტკიცებულება, გამოიკვლიოს და შეამოწმოს საქმეზე არსებული ყველა ვერსია. სასამართლოს დასკვნა საქმის ფაქტიური გარემოებების დადგენისა და მათი იურიდიული მნიშვნელობის შესახებ უნდა იყოს სწორი და გამორიცხავდეს ყველა სხვა დასკვნის შესაძლებლობას. რასაკვირველია, მტკიცებულებათა შეფასებისას სასამართლო არავითარი ფორმალური მომენტებით არ არის შეზღუდული, მისთვის არავითარ მტკიცებულებას წინასწარ დადგენილი ძალა არა აქვს. სასამართლო ყველა მტკიცებულებას აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, ხელმძღვანელობს მხოლოდ კანონით და სოციალისტური მართლშეგნებით. მაგრამ მტკიცებულებათა შეფასებისას სასამართლოს შინაგანი რწმენა უნდა ემყარებოდეს საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, სასამართლოს დასკვნა ამა თუ იმ მტკიცებულების სარწმუნობის შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული, უნდა გამოდინარეობდეს საქმის ფაქტიური გარემოებებიდან.

მხარაძის რაიონის სახალხო სასამართლომ ნ. დამნაშავედ ცნო მასში, რომ მან სასადილოში ჩხუბი აუტეხა მოქალაქე თ-ს და დანით მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა. სასამართლომ ნ-ს ბრალდებას საფუძვლად დაუდო მოწმე ჭ-სა და დაზარალებულის მშობლების ჩვენებები. კერძოდ, ჭ-მ სამსჯავრო სხდომაზე აჩვენა, რომ მან დაინახა ნ-ს მიერ თ-ს დაჭრის ფაქტი, ხოლო დაზარალებულის მშობლებმა განმარტეს, რომ საავადმყოფოში სიკვდილის წინ მათმა შვილმა განაცხადა, რომ იგი დაჭრა ნ-მ. განაჩენის დადგენისას სასამართლომ ვერ დაასაბუთა მოწმეთა ეს ჩვენებები, თუ რატომ არის წინააღმდეგობაში საქმეში არსებულ და სამსჯავრო სხდომაზე გამოკვლეულ სხვა მტკიცებულებებთან. სახელდობრ, მოწმე დ-მ აჩვენა, რომ მან ჭ-საგან გაიგო, რომ თ. დაჭრა ბიჭმა. რომელსაც კისრის მარჯვენა მხარეს სისხლი ჩამოსდიოდა. საქმის მასალებიდან კი ირკვევა, რომ ნ. კისრის არეში დაჭრილი არ ყოფილა. მოწმე ზ-მ არ დაადასტურა დაზარალებულის მშობლების ჩვენებები თითქოს საავადმყოფოში გ-ს მისი თანდასწრებით განეცხადებინოს მშობლებისათვის, რომ იგი დაჭრა ნ-მ. საქმეში არსებული ასეთი და სხვა ამგვარი წინააღმდეგობების გამო საქარ-

ქველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა გააუქმა აღნიშნული განაჩენი და საქმე დააბრუნა ხელახალი გამოკვლევისათვის.

მტკიცებულებებს შორის წინააღმდეგობების არსებობის მოტივით განაჩენი შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს მხოლოდ მაშინ, თუ ამ ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებებს არსებითი მნიშვნელობა აქვთ სასამართლოს დასკვნებისათვის. რასაკვირველია, წინდაწინ შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რომელ მტკიცებულებებს აქვს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა. ეს დამოკიდებულია თითოეული საქმის კონკრეტულ შინაარსსა და თავისებურებებზე. მაგალითად, დანაშაულის ჩადენის დროის ზუსტად განსაზღვრას პირის ბრალეულობის საკითხის გადასაწყვეტად ერთ შემთხვევაში შეიძლება არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს, ხოლო მეორე შემთხვევაში კი არა. საქმის გადასინჯავმა სასამართლომ განაჩენის შეცვლის ან გაუქმების საკითხის გადაწყვეტისას უნდა დაადგინოს არა მარტო ის, რომ განაჩენში შეფასებული არ არის ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებები, არამედ უნდა დაასაბუთოს ისიც, რომ სამ მტკიცებულებებს არსებითი მნიშვნელობა აქვთ განაჩენში ჩამოყალიბებული სასამართლოს დასკვნებისათვის.

დასასრულ, განაჩენის გაუქმების ან შეცვლის საფუძველს წარმოადგენს სასამართლოს დასკვნებში არსებითი წინააღმდეგობები. წინააღმდეგობა შეიძლება არსებობდეს განაჩენის აღწერილობით ნაწილში, ან აღწერილობით და სარეზოლუციო ნაწილებში გადმოცემულ დასკვნებს შორის. არსებით წინააღმდეგობას შეიცავდა, მაგალითად, გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენი ტ-ს საქმეზე. საბრალდებო დასკვნით ტ-ს ბრალი ედებოდა ბოროტი ხულიგნობის ჩადენაში. სასამართლოს განაჩენის აღწერილობით ნაწილში აღნიშნული იყო, რომ ტ-ს ხულიგნური მოქმედება გამოირჩეოდა განსაკუთრებული თავხედობით და უადრესად დიდი ცინიზმით, ხოლო სარეზოლუციო ნაწილში სასამართლომ ტ-ს ქმედობა დააკვალიფიცირა საქართველოს სსრ სსკ 228 მუხლის I-ლი ნაწილით. სასამართლოს ეს ორი დასკვნა ურთიერთსაწინააღმდეგოა, რადგანაც ის ნიშნები, რითაც სასამართლომ ტ-ს ქმედობა დაასაბუთა, ბოროტი ხულიგნობის კონსტრუქციული ნიშნების მატარებელია და მისი ქმედობა უნდა დაკვალიფიცირებულიყო სსკ 228 მუხლის მეორე ნაწილით. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გააუქმა აღნიშნული განაჩენი და საქმე დააბრუნა ხელახლა განსახილველად.

კანონის თანახმად, განაჩენის გაუქმების ან შეცვლის საფუძველს წარმოადგენს განაჩენში ისეთი არსებითი წინააღმდეგობების შემცველი დასკვნების არსებობა, რომლებმაც გავლენა მოახდინეს ან შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ პირის ბრალეულობის ან არაბრალეულობის საკითხის გადაჭრაზე, სისხლის სამართლის კანონის გამოყენების სისწორეზე ან სასჯელის ზომის განსაზღვრაზე: ამიტომ, საკასაციო ან ზედამხედველობითი წესით საქმის გადასინჯვისას სასამართლომ განაჩენში არსებული წინააღმდეგობები უნდა შეაფასოს კანონში აღნიშნული ნიშნების თვალსაზრისით და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება განაჩენის გაუქმების ან შეცვლის შესახებ.

საფეიქრო საწარმოებში გაჯახების მიზნით პროდუქციის ალუკისხავი მარაგის შექმნის თავისებურებანი

ზ. შულაია,

სისხლის სამართლის კათედრის ასპირანტი

საფეიქრო მრეწველობის საწარმოებში ჩადენილი სოციალისტური ქონების გატაცების გამოძიება მოითხოვს არა მარტო სოციალისტური ქონების გატაცების გამოძიების მეთოდის შესახებ ზოგადი საკითხების ცოდნას, არამედ თვით ამ დარგში ჩადენილი გატაცებისათვის დამახასიათებელ თავისებურებათა ცოდნასაც. საფეიქრო მრეწველობაში ჩადენილი გატაცების გამოძიების სრულფასოვნად ჩატარებისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა მოცემული სახის საწარმოს საქმიანობის ყველა მხარის გაცნობა.

საგამოძიებო ორგანოების მუშაობის პრაქტიკაში მრავალი შემთხვევა გვხვდება საფეიქრო მრეწველობის საწარმოებში საკმაოდ შენიღბული ფორმით ჩადენილი დანაშაულის წარმატებით გახსნისა. მაგრამ ამასთან ერთად აღნიშნული კატეგორიის დანაშაულთა გამოძიებისას ხშირად გვხვდება მთელი რიგი ხასიათის შეცდომები და ნაკლოვანებები, რაც თავის მხრივ განპირობებულია საფეიქრო მრეწველობის საწარმოების საქმიანობის სპეციფიკურობით და განსახილველი კატეგორიის დანაშაულთა გამოძიების მეთოდის საკითხების არასთანადოდ დამუშავებით.

სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის შესწავლითა და განზოგადებით ნათელი ხდება, რომ საფეიქრო მრეწველობის ზოგიერთ საწარმოში მოკალათებული სოციალისტური ქონების გამტაცებლები აღურიცხავი მარაგის შექმნას ყველაზე ხშირად მიმართავენ შემდეგი ხერხების გამოყენებით:

ა) სახელმწიფო სტანდარტით დაშვებული პლუსისა და მინუსის საფუძველზე. საფეიქრო მრეწველობის საწარმოები აწარმოებენ რა სხვადასხვა არტიკულის პროდუქციის დამზადებას თვითეულ ამ სახეთა პროდუქციის დამზადებაზე სახელმწიფო სტანდარტით, ტექნიკური პირობებით, შინასაუწყებო აქტებითა და ნორმატივებით გარკვეული ვადახრები დაშვებული. ეს ვადახრები პლუსისა და მინუსის სახელწოდებით არის ცნობილი და ეწება ნაწარმის სიგრძეს, სივანესა და წონას.

საწარმოებში მოკალათებული დამნაშავეები ცდილობენ პროდუქცია ყოველთვის მინუსით დაამზადონ. ასეთი მოქმედების შედეგად იქმნება ძაფის გარკვეული ეკონომია, რომელსაც დამნაშავეები წარმოების სასარგებლოდ არ უჩვენებენ და მისგან ამზადებენ პროდუქციის აღურიცხავ მარაგს.

პროდუქცია, მინუსით იქმნება დამზადებული თუ პლუსით, იგი არ ითვლება სახელმწიფო სტანდარტის, ტექნიკური პირობების და სხვ. დარღვევად, რადგან თვით სახელმწიფო სტანდარტი, ტექნიკური პირობები და სხვ. უშვებს ასეთ ვადახრებს.

სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო პრაქტიკის შესწავლით ნათლად



დასტურდება ის ფაქტი, რომ დამნაშავეები სწორედ პროდუქციის მინუსით დამზადებით ქმნიან ნართის აღურიცხავ მარაგს. უფრო მეტიც, ხშირად დამნაშავეები პროდუქციას სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული ნორმების დარღვევით ამზადებენ.

ბ) ქსელსა და მისაქსელში ძაფების არასათანადო რაოდენობით ჩადებით. სოციალისტური ქონების გამტაცებლები ძაფის აღურიცხავი მარაგის შექმნას სწორედ ქსელსა და მისაქსელში ძაფების არასაკმარისი რაოდენობის ჩადებით აღწევენ. ასეთი გზით შექმნილ ნართის აღურიცხავ მარაგს დამნაშავეები იყენებენ პროდუქციის აღურიცხავი მარაგის დასამზადებლად. ქსელსა და მისაქსელში ძაფების არასათანადო რაოდენობით გაშვების შედეგად ქსოვილის წონა და ქსოვილში ძაფების სიმჭიდროვე კლებულობს. სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში მრავალი მაგალითი გვხვდება, როცა დამნაშავეები ნართის აღურიცხავ მარაგს სწორედ ზემოაღნიშნული ხერხით ქმნიან. ნათქვამის საილუსტრაციოდ შემდეგი მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ: ქ. ცხაკაიას ხაოიანი ქსოვილების ფაბრიკაში მოკალათებული დამნაშავეთა ჯგუფი წლების მანძილზე ნართის აღურიცხავი მარაგის შექმნას ახერხებდა ქსელსა და მისაქსელში ძაფების არასათანადო რაოდენობის ჩადებით. სახელდობრ, 7103 არტიკულის პლუმის ქსოვილის დამზადებისათვის ქსელში ძაფი № 85/2 ნომრით უნდა ყოფილიყო 6.656. მთავარი ინჟინრის გ-ს განკარგულებით კი ქსელში აღნიშნული ძაფის რაოდენობა განისაზღვრა 190 ძაფით ნაკლები. მისაქსელში ძაფების ნაკლებობა 5%-ის ოდენობით განისაზღვრა. ყოველ 1 მ² პლუმის ქსოვილს აკლდა 4,84 გრამი ნართი. ამ გზით 1965 წლის დეკემბერში საქსოვმა სამქრომ, გამოუშვა რა 45.533 მეტრი პლუმის ქსოვილი, ამით შექმნა 220,4 კგ. ნართის აღურიცხავი ეკონომია. ამ ნართიდან დამნაშავეებმა დაამზადეს პლუმის ქსოვილის აღურიცხავი მარაგი, რომლის რეალიზაციით მიღებული თანხები მიითვისეს¹.

გ/ პროდუქციის დამზადებისათვის საჭირო ნედლეულის ხარჯების ნორმების გადიდებით. იმ შემთხვევაში, როცა დაწესებული ნორმები ზოგიერთი არტიკულის პროდუქციის დამზადებაზე დამნაშავეებს ნედლეულისა და მასალის აღურიცხავი მარაგის შექმნის შესაძლებლობას არ აძლევს, ისინი ცდილობენ სახე შეუცვალონ იმ არტიკულის პროდუქციას, რომელზეც არსებობს ნედლეულის ხარჯვის უფრო ეკონომიური ნორმები, ან ცდილობენ მოახდინონ ისეთი არტიკულის პროდუქციის ათვისება, რაც მათთვის უფრო ხელსაყრელია, და ა. შ. გადიდებული ნორმების დამტკიცების მიზნით სოციალისტური ქონების გამტაცებლები მიუთითებენ მთელ რიგ გარემოებებზე, სახელდობრ, ნედლეულისა და მასალის დაბალ ხარისხზე, საწარმოო ტექნოლოგიის არასრულყოფილობაზე, კვალიფიციური მუშახელის არყოლაზე და სხვ.

დ/ ქსელისა და მისაქსელის ძაფების ზენორმატული გაჭიმვით. ამ ხერხით აღურიცხავი მარაგის შექმნის არსი იმაში მდგომარეობს, რომ დამნაშავეები როგორც ქსოვის, ისე ქსელისა და მისაქსელის ძაფების გახამების პროცესში მიმართავენ ძაფების ზენორმატულ გაჭიმვას. ამის შედეგად ადგილი აქვს ქსოვილის მეტი ოდენობით მიღებას. ქსოვი-

¹ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არქივი, საქმე № 14696.

ლის აღორცხავ მარაგს დამნაშავეები რეალიზაციას უკეთებენ და რეალიზაციის შედეგად მიღებულ თანხებს ითვისებენ.

გამომძიებელმა თვით ამ ფაქტის დადგენასთან ერთად საჭიროა ყურადღება გაამახვილოს იმაზე, თუ ქსოვისა და გახამების პროცესში ქსელისა და მისაქსელის ძაფების ზენორმატულმა გაჭიმვამ რა გავლენა მოახდინა პროდუქციის ხარისხზე, სახელდობრ, ქსოვილის სიმჭიდროვეზე და 1 მ² ქსოვილის წონაზე. აღნიშნული ხერხით აღორცხავი მარაგის შექმნის ფაქტის დადგენაში გამომძიებელს დიდ დახმარებას გაუწევს ტექნოლოგიური და საქონელმცოდნეობის ექსპერტიზების ჩატარება.

ე/ ნაწარმში დაბალი ნომრის ძაფის მაგიერ მაღალი ნომრის ძაფის გაშვებით. სისხლის სამართლის საქმეთა საგამომძიებო და სასამართლო პრაქტიკის შესწავლითა და განზოგადებით დადგენილია ის გარემოება, რომ საფეიქრო მრეწველობის ზოგიერთ საწარმოში მოკალათებული დამნაშავეები ქსოვილის აღორცხავი მარაგის შექმნას ახერხებენ ქსელისა და მისაქსელის დამზადებისათვის განკუთვნილი დაბალი ნომრის ძაფის მაგიერ მაღალი ნომრის ძაფის გამოყენებით.

მაღალი ნომრის ძაფით ქსოვილის დამზადება მეტ გამოსავლიანობას იძლევა. კარგად იციან რა ყოველივე ეს, სოციალისტური ქონების გამტაცებლები ცდილობენ ქსოვილი დაამზადონ ყოველთვის მაღალი ნომრის ძაფის გამოყენებით. თავიანთი დანაშაულებრივი საქმიანობა რომ შენიღბონ, დამნაშავეები სათანადო დოკუმენტებში აფორმებენ დაბალი ნომრის ძაფის ხარჯვას, ე. ი. იმ ნომრის ძაფის ხარჯვას, რაც სინამდვილეში უნდა დახარჯულიყო მოცემული სახის არტიკულის პროდუქციის დამზადებაზე.

ზემოაღნიშნული ხერხით სოციალისტური ქონების გატაცების გამოძიებისას გამომძიებელს დიდად დაეხმარება ტექნოლოგიური, საქონელმცოდნეობისა და საბუღალტრო ექსპერტიზების ჩატარება. სახელდობრ, ექსპერტებს შეუძლიათ პასუხი ვასცენ ისეთი არსებითი ხასიათის კითხვებზე როგორც არის: აქვს თუ არა ადგილი აღორცხავი მარაგის შექმნას ქსოვილში დაბალი ნომრის ძაფის მაგიერ მაღალი ნომრის ძაფის გამოყენებით, უპასუხებს თუ არა ქსოვილი სახელმწიფო სტანდარტის, ტექნიკური პირობებისა და სხვ. მოთხოვნებს; აღნიშნული ხასიათის მოქმედებათა შედეგად რა ხასიათის ზარალია მიყენებული მოცემული საწარმოსათვის და სხვ.

ვ/ ყალბი აქტის შედგენით ნართისა და მზანაწარმის წუნში ჩამოწვებით. უპირველეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ ქსოვის პროცესში ხშირად მართლაც აქვს ადგილი წუნის წარმოქმნას. წუნის შედეგად ირღვევა ხლართის სახე და იგი უარყოფითად მოქმედებს ქსოვილის გარეგნობაზე. იმ შემთხვევებში, როცა წუნის აღმოფხვრა შეუძლებელია, ხდება პროდუქციის ჩამოწვრა, რაზეც შედგება სათანადო აქტი. ამ აქტის ძალით პროდუქცია ჩაითვლება როგორც გამოუსადეგარი სავაჭრო ქსელში სარეალიზაციოდ. პროდუქციის შემოწმება წარმოებს ტექნიკური კონტროლის განყოფილების წარმომადგენლების მიერ, რომლებიც პროდუქციის შემოწმების შემდეგ ხელს აწერენ აქტს. წუნდებული პროდუქციის გარკვეული ნაწილი შეიძლება გადაფასდეს სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მოცემული საწარმოსა და სავაჭრო დაწესებულების წარმომადგენლები.

პრაქტიკის შესწავლითა და განზოგადებით დგინდება, რომ საფეიქრო



მრეწველობის ზოგიერთ საწარმოში მოკალათებული დამნაშავეები აღურიცხავი მარაგის შექმნას სწორედ პროდუქციის სავაჭრო ქსელის მეშვეობით გასაყიდად გამოუსადეგრობის შესახებ აქტის შედგენით აღწევენ. ისინი აქტში აღნიშნავენ პროდუქციის გამოუსადეგრობას მეტი რაოდენობით, ვიდრე ამას სინამდვილეში აქვს ადგილი. უფრო მეტიც, დამნაშავეები ხშირად მიმართავენ სავსებით ყალბი აქტების შედგენას პროდუქციის უვარგისობაზე. ამ გზით ქმნიან რა პროდუქციის აღურიცხავ მარაგს, დამნაშავეები მას სათანადო მარკირებას უკეთებენ და მათი რეალიზაციის შედეგად მიღებულ თანხებს ითვისებენ.

ზ/ ი ა ფ ფ ა ს ი ა ნ ი ა რ ტ ი კ უ ლ ი ს პ რ ო დ უ ქ ც ი ი ს გ ა მ ო შ ვ ე ბ ი ს ნ ა ც ვ ლ ა დ მ ა ლ ა ლ ფ ა ს ი ა ნ ი პ რ ო დ უ ქ ც ი ი ს გ ა მ ო შ ვ ე ბ ი თ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი თ ი ზ ე დ მ ე ტ ო ბ ი ს შე ქ მ ნ ი თ. ამ ხერხის შირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ დამნაშავეები სოციალისტური ქონების გატაცების მიზნით ანგარიშებში, ფაქტურებში, სპეციფიკაციებში, სამუშაოთა შესრულების განრიგებში, მუშების გამომუშავების პირად ბარათებსა და სხვა დოკუმენტებში გამოშვებულად უჩვენებენ იაფფასიანი არტიკულის პროდუქციას, სინამდვილეში კი უშვებენ მაღალფასიანი არტიკულის პროდუქციას, რომლის რეალიზაციის შედეგად მიღებულ თანხობრივ სხვაობას ითვისებენ. თანხობრივი სხვაობის შექმნის მიზნით დამნაშავეები ახერხებენ იაფფასიანი არტიკულის პროდუქციის გამოშვების გეგმის გაზრდას და შესაბამისად ამცირებინებენ ზემდგომ ორგანოებს მაღალფასიანი არტიკულის საქონლის გამოშვების გეგმას. ყოველივე ამას დამნაშავეები იმისათვის მიმართავენ, რომ საშუალება ჰქონდეთ რაც შეიძლება მეტი რაოდენობით გამოუშვან მაღალფასიანი საქონელი და ფიქტიურად კი დოკუმენტებში რეალიზებულად უჩვენონ დაბალფასიანი არტიკულის პროდუქცია.

თ/ პ რ ო დ უ ქ ც ი ი ს ა ლ უ რ ი ც ხ ა ვ ი მ ა რ ა გ ი ს შე ქ მ ნ ა უ ფ ა ქ ტ უ რ ო დ შე ტ ა ნ ი ლ ი ნ ე დ ლ ე უ ლ ი თ. სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის შესწავლით ირკვევა, რომ საფეიქრო მრეწველობის საწარმოებში მოკალათებული დამნაშავენი, პროდუქციის აღურიცხავ მარაგს ყველაზე ხშირად სწორედ უფაქტუროდ შეტანილი ნედლეულის საფუძველზე ქმნიდნენ.

უფაქტურო ნედლეული საქსოვ ფაბრიკებში დამნაშავეებს შეჰქონდათ როგორც ნედლეულის პირველადი დამუშავების სხვადასხვა ფაბრიკებიდან, ასევე თვით ერთი სამრეწველო საწარმოს შიგნით არსებული ნედლეულის პირველადი დამუშავების წარმოებიდან.

უნდა შევნიშნოთ ის გარემოება, რომ საფეიქრო მრეწველობის საწარმოებში უფაქტუროდ შეტანილი ნედლეულის გამოვლენა იმით არის გაძნელებული, რომ დამნაშავეებს ჯერ ერთი, უფაქტურო ნედლეული საწარმოში შექონდათ მას შემდეგ, რაც მათ უკვე მოახერხეს საწყობში არსებული ნედლეულისაგან აღურიცხავი პროდუქციის დამზადება და მისი რეალიზაცია. ასე რომ მათ უფაქტურო ნედლეულის შეტანით სურთ შეავსონ აღურიცხავი პროდუქციის დამზადებისა და რეალიზაციის შედეგად შექმნილი დანაკლისი. რევიზიისა და ინვენტარიზაციის ჩატარებამ ასეთ შემთხვევაში შეიძლება სასურველი შედეგი ვერ გამოიღოს. მეორეც, იმისათვის, რომ შენიღბონ თავიანთი დანაშაულებრივი საქმიანობა. დამნაშავენი უფაქტურო ნედლეულის შეტანისას ადგენენ ყალბ შემოსავლის ფაქტურებს, რომ ნედლეული თითქოს მიიღეს სხვადასხვა ფაბრიკებიდან და უფაქტუროდ შემოზიდულ ნედლეულს ფიქტიურად

ატარებენ შემოსავალში. ამ გარემოებებს გამომძიებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს განსახილველი კატეგორიის საქმეების გამოძიებისას.

o/ ნართის აღურიცხავი მარაგის შექმნა შენაზავის საერთოდ დიდი რაოდენობით დამზადებისა და მასში იაფფასიანი მინარევების გაზრდით. ამ შემთხვევაში დამნაშავეთა დანაშაულებრივი საქმიანობა იმაში გამოიხატება, რომ შენაზავის დამზადების შესახებ არსებულ დოკუმენტებში შენაზავის წონას უჩვენებენ ნაკლები ოდენობით, ვიდრე ამას სინამდვილეში აქვს ადგილი.

რაც შეეხება შენაზავში იაფფასიანი მინარევების გაზრდით ნართის აღურიცხავი მარაგის შექმნას, უნდა შევნიშნოთ, რომ ამ დროს დამნაშავეები მიმართავენ შენაზავის დამზადებისათვის საჭირო ტექნოლოგიური მოთხოვნების დარღვევას, რითაც საბოლოო ანგარიშით ადგილი აქვს დაბალი ხარისხის ნართის მეტი ოდენობით მიღებას დადგენილ ნორმასთან შედარებით. დამნაშავეებს შესაძლებლობა ეძლევათ დაზოგონ ძვირფასი ნედლეული და მეტი რაოდენობით ხარჯონ იაფფასიანი ნედლეული. რაც შეეხება შენაზავის შესახებ არსებულ დოკუმენტებს, დამნაშავენი მათში აღნიშნავენ, რომ თითქოს დაცულია შენაზავის დამზადებისათვის საჭირო ყველა ტექნოლოგიური მოთხოვნა. როგორც ვრთ, ისე მეორე შემთხვევაში, ზემოაღნიშნული ხერხების გამოყენებით, დამნაშავეები ახერხებენ ნართის აღურიცხავი მარაგის შექმნას.

ზემოაღნიშნული ხერხებით ჩადენილი სოციალისტური ქონების გატაცების გამოძიებისას გამომძიებელმა უნდა მოითხოვოს დოკუმენტური რევიზიის, ჩვენტარიზაციის, ტექნოლოგიური და საქონელმცოდნეობის ექსპერტიზის ჩატარება.

კ/ აღურიცხავი მარაგის შექმნა ნაგრეხი ძაფში წვერთა რაოდენობის დაკლებით. ამ ხერხით აღურიცხავი მარაგის შექმნა იმაში მდგომარეობს, რომ რაკი ნაგრეხი ძაფის მიღება დამყარებულია რამდენიმე წვერის ურთიერთშეგრეხვაზე, დამნაშავენი ცდილობენ დასამზადებელი ნომრის ძაფში შეამცირონ საგრეხი ძაფის წვერთა რაოდენობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ აკლებენ რა დასამზადებელი ნომრის ძაფში ძაფის წვერთა რაოდენობას, ამით ბუნებრივია, კლებულობს მოცემული ნომრის ნართის ძაფის როგორც წონა, ისე მისი სისქე. ყოველივე ეს კარგად იციან დამნაშავეებმა და, სურთ რა შენიღბონ თავიანთი დანაშაულებრივი საქმიანობა, ძაფის წონასა და სისქეს ზრდიან ძაფზე სახამებლის პროცენტის გადიდებით. ამ გარემოებას გამომძიებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

ლ/ პროდუქციის აღურიცხავი მარაგის შექმნა აღურიცხავაზე აუყვანელი საქსოვი დაზგების გამოყენებით. ამ ხერხით პროდუქციის აღურიცხავი მარაგის შექმნაზე როცა ვლაპარაკობთ, უპირველეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ დამნაშავეებს აღურიცხავაზე არ აჰყავთ როგორც ყველა დაზგა-დანადგარი, რომლებიც წარმოებაზე ირიცხება, ისე დაზგები, რომლებიც მათ მიერ შექმნილია პირადი თანხებით. თვითნებურად შექმნილი და საწარმოო ბალანსში გაუტარებელი დაზგა-დანადგარების გამოყენებით პროდუქციის აღურიცხავი მარაგის შექმნის მრავალი ფაქტი გვხვდება საგამომძიებო და სასამართლო პრაქტიკაში. ასე, მაგალითად, სოციალისტური ქონების დამატაცებელთა ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც მოკალათებული იყო ტაჯიკეთის სსრ საფეიქრო მრეწველობის ერთ-ერთ საწარმოში, წლების მანძილზე ეწეოდა პროდუქციის აღურიცხავი მარაგის დი-

დი ოდენობით დამზადებას და მისი რეალიზაციით მიღებული თანხების მითვისებას. სახელდობრ, დადგინდა ის გარემოება, რომ მოცემულ საწარმოში არსებული საქსოვი და საქსელე დაზგებიდან, რომელთა საერთო რაოდენობა 64-ს შეადგენდა, აღრიცხვაზე არ იყო აყვანილი 40 დაზგა. უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ აღრიცხვაზე აუყვანელ დაზგებზე მუშაობდნენ როგორც მოცემული საწარმოს მუშები, ასევე ისეთი პირები, რომლებიც საერთოდ გაფორმებული არ იყვნენ დირექტორის ბრძანებით. დამანაშავეები მქსოველებს ანგარიშს უსწორებდნენ აღურიცხავი პროდუქციის მარაგის რეალიზაციის შემდეგ².

განსახილველი კატეგორიის საქმეების შესწავლით დგინდება ასევე ის გარემოებაც, რომ პროდუქციის აღურიცხავი მარაგის შექმნის მიზნით, დამანაშავენი საქსოვი დაზგების დადგმა-დამონტაჟებას ახდენენ საცხოვრებელ სახლებში. მაგალითად, საფეიქრო მრეწველობაში ჩადენილ სოციალისტური ქონების გატაცების ერთ-ერთ ფაქტზე გამომძიებელმა დაპკითხა მქსოველები ნ. და ნ. მათ აჩვენეს, რომ პროდუქციის აღურიცხავ მარაგს ამზადებდნენ როგორც საწარმოში, ასევე საამქროს უფროსის კ-ს ბინაში არსებულ საქსოვ დაზგებზე. გამომძიებელმა შეამოწმა ეს ვერსია, და ჩხრეკის დროს კ-ს ბინაში მართლაც აღმოჩნდა 4 საქსოვი დაზგა.

უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ დამანაშავენი პროდუქციის აღურიცხავი მარაგის შექმნის მიზნით რეკონსტრუქციას უკეთებენ საქსოვ წარმოებაში არსებულ დაზგა-დანადგარებს. მაგალითად, ქ. თბილისის № 4 ტრიკოტაჟის ფაბრიკაში მოკალათებულმა დამანაშავეთა ჯგუფის წევრებმა დიდი რაოდენობით შეიძინეს უფაქტურო ნართი № 9/1 და სურდათ დაემზადებინათ პროდუქციის აღურიცხავი მარაგი, აღმოჩნდა, რომ ამ ნომრის ნართის დამუშავება საქსოვ წარმოებაში არსებულ დაზგებს არ შეეძლოთ სათანადო რეკონსტრუქციის მოუხდენლად. ყოველივე ამის გამო ფაბრიკის მთავარმა ინჟინერმა ლ-მ, რომელიც დამანაშავეთა ჯგუფის წევრი იყო, განკარგულება გასცა გადაეკეთებინათ რამდენიმე საქსოვი დაზგა და გადაემუშავებინათ აღნიშნული ნომრის ნართი. დამანაშავეთა ჯგუფის წევრებმა, მოახდინეს რა აღნიშნული დაზგების რეკონსტრუქცია, დაამუშავეს ზემოაღნიშნული ნომრის ნართი და ამ ნართიდან დამზადებული პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხები მიითვისეს³.

ზემოაღნიშნული ხერხებით ჩადენილ სოციალისტური ქონების გატაცების გამომძიებისას, გამომძიებელს დიდ დახმარებას გაუწევს დოკუმენტური რევიზიის, ინვენტარიზაციისა და ტექნიკური ექსპერტიზების ჩატარება. გამომძიებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს არაოფიციალური დოკუმენტების, ე. წ. „შავი ჩანაწერების“ დაძებნისა და აღმოჩენის საქმეს. ამ მიზნით უნდა მოახდინოს ჩხრეკა, როგორც მოცემული საწარმოს დამხმარე სათავსებში, ისე ექვმიტანილთა სამუშაო ოთახებსა და საცხოვრებელ ბინებში. საგამომძიებო პრაქტიკაში გვხვდება მრავალი შემთხვევა, რომ სწორედ „შავი ჩანაწერების“ მეშვეობით გახდა შესაძლებელი დანაშაულში თანამონაწილე პირთა დადგენა, მათი როლის გამიჯვნა ჩადენილ დანაშაულში და ა. შ.

ასეთია, საფეიქრო მრეწველობის საწარმოებში დამანაშავეთა ჯგუფის მიერ გატაცების მიზნით გამოყენებული პროდუქციის აღურიცხავი მარაგის შექმნის ხერხების ზოგიერთი თავისებურება.

² Следственная практика, № 50, стр. 115.

³ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არქივი, საქმე № 1002, ტ. 13.



მოქალაქეთა უფლებები სახლის აღებასთან დაკავშირებით

სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ფართობის გამოყოფასთან დაკავშირებით მოქალაქეთა პირადი საკუთრების სახლის აღება ჩვენს რესპუბლიკაში შეიძლება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში თბილისის და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის ნებართვით, ხოლო ყველა სხვა შემთხვევებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვით. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 3 იანვრის № 4 დადგენილებით ასეთი უფლება მიეცა დამატებით რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების — რუსთავის, ჭიათურის, გორის, ფოთისა და ტყიბულის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომებს. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ სასამართლოები სარჩელს სახლის აღების შესახებ აკმაყოფილებენ ამ უფლებამოსილ ორგანოთა გადაწყვეტილების გარეშე¹.

მაგალითად, მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლომ დააკმაყოფილა ტრესტ „ზაქტრანსსტროის“ სარჩელი

ვ. ჯ-ს და გ. ე-ს გამოსახლების შესახებ მათი პირადი საკუთრების სახლის აღებასთან დაკავშირებით.

მოპასუხეთა სახლის აღების შესახებ არსებობს მარნეულის რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება, რომელიც არ იყო უფლებამოსილი გამოეტანა ასეთი გადაწყვეტილება. ამის გამო სასამართლოს არ უნდა დაეკმაყოფილებინა სასარჩელო მოთხოვნა გამოსახლების შესახებ.

სახლის აღებასთან დაკავშირებით მოქალაქეთა გამოსახლება და მათთვის ზარალის ანაზღაურების საკითხი წესრიგდება სსრ-ს მინისტრთა საბჭოს 1961 წლის № 1131 დადგენილებით „მოქალაქეთათვის მათი კუთვნილიმ შენობების ღირებულების ანაზღაურების წესის შესახებ, რომლებიც აღებული იქნება ქალაქებში, ქალაქის ტიპის დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან დაკავშირებით“ და ამ დადგენილების საფუძველზე გამოცემული სხვა ნორმატიული აქტებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბ-

¹ სახლის აღების ნებართვის მიცემა გულისხმობს სათანადო აღმასკომის გადაწყვეტილების არსებობას სახლის აღების შესახებ, რომელიც მოტივირებული უნდა იყოს და გამოძიებულად სათანადო გეგმიდან, ასეთ გეგმად უნდა ჩაითვალოს განაშენიანების დეტალური დაგეგმვის პროექტი და ესკიზები, რომლებიც მუშავდებიან გენერალური ვეგმის საფუძველზე. უახლოესი 3-5 წლისათვის. ამავდროს საჭიროა ამ გეგმიდან გამომდინარე სამუშაოები გათვალისწინებულ იქნას სათანადო აღმასკომის წლიური გეგმით.



ქოს 1966 წლის 8 ოქტომბრის № 569 დადგენილობის „მოქალაქეთა კუთვნილი იმ შენობების ღირებულების ანაზღაურების წესის შესახებ, რომლებიც აღებულ უნდა იქნან ქალაქებში, ქალაქის ტიპის დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 2 ივლისის № 436 დადგენილების გამოყენებასთან დაკავშირებულ ზოგიერთი საკითხის თაობაზე“ პირველი მუხლის თანახმად საბინაო ფართობის ოდენობა, რომელიც უნდა მიეცეს მოქალაქეებს მათი პირადი საკუთრების შენობის აღების შემთხვევაში, არ უნდა იყოს თითოეულ სულზე 12 კვ. მეტრზე ნაკლები.

მიუხედავად ამისა, ზოგჯერ სასამართლოები ამ საკითხს სწორად არ წყვეტენ.

თბილისის 26 კომისიის რაიონის სახალხო სასამართლომ დააკმაყოფილა საბინაო სამმართველოს სარჩელი მ. ს-ს მიმართ და მოპასუხის 4 სულისაგან შემდგარი ოჯახი შეასახლა ოროთახიან 30 კვ. მეტრიან ფართობის ბინაში.

ასევე არასწორი გადაწყვეტილება გამოიტანა გორის რაიონის სახალხო სასამართლომ, რომელმაც 1968 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა გორის საქალაქო საბჭოს კომუნალური მეურნეობის განყოფილების სარჩელი მ. ნ-ს მიმართ. სასამართლოს გადაწყვეტილებით მ. ნ-ს 4 სულისაგან შემდგარი ოჯახისათვის აღმასკომს უნდა მიეცა სამოთახიანი ბინა სამოცბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დამთავრების შემდეგ ან მისთვის უნდა აენაზღაურებინა სახლის ღირებულება.

ეს გადაწყვეტილება, გარდა იმისა, რომ პირობითია, არარეალურიც არის, რადგან გადაწყვეტილებაში არ არის

მითითებული სახლის საერთო და ბინის ნომერი, რომელშიც მოქ. მ. ნ. უნდა შესახლებულიყო. ამავე დროს გაურკვეველია, თუ რა ფართობის ბინა უნდა მისცემოდა მას.

სასამართლომ ამ საქმის განხილვის დროს იხელმძღვანელა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 325-ე მუხლით, მაშინ როდესაც ასაღები სახლი მოპასუხის საკუთრებას წარმოადგენდა და, მაშასადამე, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 15 დეკემბრის № 1131 და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 8 ოქტომბრის № 569 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 8 ოქტომბრის № 569 დადგენილების პირველი პუნქტის მეორე ნაწილის თანახმად ასაღები სახლების მესაკუთრეებს უპირატესი უფლება აქვთ შევიდნენ საბინაო — სამშენებლო კოოპერატივში წევრებად, თუ ამის სურვილს გამოთქვამენ. კოოპერატივში შემსვლელი მესაკუთრე, მიიღებს რა სახლის ღირებულებას, შეიძლება გახდეს კოოპერატივის წევრი ბინის ღირებულების კოოპერატივში შეტანის შემდეგ.

საქართველოს სსრ-ში მოქმედი საბინაო — სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდების მე-6 მუხლის მე-2 ნაწილით კოოპერატივში შესვლის უფლება აქვთ, გარდა პირადი სახლის მესაკუთრისა, აგრეთვე ასაღებ სახლში მცხოვრებ მობინადრეებს, რომლებიც ასაღებ სახლში ცხოვრობდნენ არანაკლებ ერთი წლისა.

წესდების მე-14 მუხლის მესამე ნაწილით კოოპერატიული სახლის მშენებლობის საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება უნდა შეიცავდეს იმ ბინების ღირებულებას, რომლებიც ეძლევათ ამ წესდების მე-6 პუნქტის მე-2 აბზაცში მოხსენიებულ პირებს და დაიფაროს კოოპერატივის ფონდიდან. ამ

შემთხვევაში აღნიშნული პირებისათვის მისაცემი საცხოვრებელი ფართობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება გაფორმდება საპაიო შენატანის სახით (1965 წლის 18 ივნისის № 384 დადგენილებით).

ამგვარად, აღნიშნული წესდების თანახმად მესაკუთრეები და ბინის დამქირავებლები კოოპერატივში შედიან საპაიო შესატანების გადაუხდელოდ. ერთი შეხედვით მესაკუთრის და მისი მდგმურის უფლებები ამ შემთხვევაში თითქოს ერთნაირია, თუ ისინი გამოთქვამენ კოოპერატივში შესვლის სურვილს, მაგრამ მათი მდგომარეობის განსხვავება თავალსაჩინო ხდება კოოპერატივიდან გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში. წესდების 33-ე პუნქტის შენიშვნის თანახმად კოოპერატივიდან გასვლის შემთხვევაში ბინის ყოფილ დამქირავებელს პაი არ მიეცემა, ყოფილი მესაკუთრენი კი მსგავს შემთხვევაში მიიღებენ პაის მათთვის გამოყოფილი ბინის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ოდენობით.

კოოპერატივის წევრთა უფლების ამგვარი განსხვავება, ჩვენი აზრით, ეწინააღმდეგება კოოპერატივის წევრთა თანასწორობის პირობებს. ასეთი შეზღუდვის არსებობით კოოპერატივის წევრს ესპობა საშუალება გაეიძღეს კოოპერატივიდან, რადგან მას არ შეუძლია მიიღოს საცხოვრებელი ბინის კომპენსაცია.

ვფიქრობთ, რომ ეს საკითხი მოითხოვს საკანონმდებლო მოწესრიგებას იმ მიმართებით, რათა აღნიშნული კატეგორიის კოოპერატივის წევრები ერთნაირი უფლებებით სარგებლობდნენ.

სასამართლოები ზოგჯერ არ აძლევენ პირადი საკუთრების ასაღებ სახლში მცხოვრებ მობინადრეებს კოოპერატივში წევრად შესვლის უპირატეს უფლებას. საბინაო — სამშენებლო კოოპერატივი № 232 მოითხოვდა გ. მ. და ნ.

თ. 4 სულისაგან შემდგარი ოჯახის გამოსახელებას. ეს ოჯახი ცხოვრობდა მდგმურის უფლებით მესაკუთრის სახლში. კოოპერატივი სთავაზობდა მათ სხვა ადგილას ოროთახიან 32 კვ. მეტრ. ფართობის ბინას. მოპასუხეები შეგებებული სარჩელით მოითხოვდნენ ბინით დაკმაყოფილებას იმავე კოოპერატივის ახლად აგებულ სახლში. სასამართლომ შეგებებული სარჩელი არ დააკმაყოფილა.


თავისთავად ცხადია, რომ ეს შეგებებული სარჩელი ემყარება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 18 ივნისის № 384 დადგენილებას, რომელმაც შეიტანა ცვლილება მოქმედი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის საინჟინურო წესდების მე-6 პუნქტში. ამიტომ სასამართლოს შეგებებული სარჩელი უნდა დაეკმაყოფილებინა.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ საბინაო — სამშენებლო კოოპერატივში სახლის მესაკუთრეების და ამ სახლში მცხოვრები მობინადრეების წევრად მიღება უმეტესად ხდება ე. წ. „საგარანტიო ხელშეკრულების“ გაფორმების გზით. ასეთი წესით კოოპერატივის წევრად მიღებას კანონი არ ითვალისწინებს, მაგრამ პრაქტიკაში დამკვიდრებული ეს წესი არ ეწინააღმდეგება კანონის აზრს (სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-4 მუხლი).

პრაქტიკაში გვხვდება დავები, რომლებიც შეეხება საგარანტიო ხელშეკრულების გაუქმებას სხვადასხვა მოტივით.

მაგალითად, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი საბურთალო „166“ მოითხოვდა მოქ. გ. ა-ნ, ა-ნ და ლ. ხ-ნ დადებული ხელშეკრულების გაუქმებას იმ მოტივით, რომ ხელშეკრულებით მოპასუხეებისათვის მისაცემი 95 კვ. მეტრი ფართობი მათი ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით მეტად დიდია.

თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ ჩათვალა, რომ



მოპასუხეებს უნდა მიეცეს სულზე 12 კვ. მეტრი ფართობი და ამის გამო ნაწილობრივ გააუქმა ხელშეკრულება და მოპასუხეებს ჩამოერთვა ერთი ზედმეტად მიღებული ოთახი 21 კვ. მეტ. ფართობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 8 ოქტომბრის № 569 დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებულია, რომ მისაცემი ბინის ფართობი თითოეულ სულზე არ უნდა იყოს იმ საცხოვრებელი ფართობის ნორმაზე ნაკლები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 309-ე მუხლით, ე. ი. სულზე 12 კვ. მეტრ ფართობზე ნაკლები. ამგვარად, კანონით დადგენილია მისაცემი ფართობის მინიმუმი. კანონსაწინააღმდეგოდ არ უნდა მივიჩნიოთ კოოპერატივის მოქმედება, თუ იგი მესაკუთრისათვის სულზე 12 კვ. მეტრზე მეტ ფართობს გამოყოფს. ამიტომ ხელშეკრულების ამ საფუძვლით გაუქმება არ შეიძლება, თუ არ არსებობს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 41-60 მუხლებში გათვალისწინებული სხვა პირობები ხელშეკრულების გაუქმებისათვის.

ზნირად დავას იწვევს საკითხი მობინადრისათვის მისაცემი ბინის ოდენობის შესახებ იმ შემთხვევაში, როდესაც მას ასაღებ სახლში უკავია სულზე 12 კვ. მეტრზე ნაკლები, ან აშკარად არასაკმარისი ფართობი.

სსრ კავშირის მ. ნისტრთა საბჭოს 1961 წლის 15 დეკემბრის № 1131 დადგენილების პირველი პუნქტით იმ პირებს, რომლებიც ასაღებ სახლებში ცხოვრობენ არანაკლებ ერთი წლისა, საცხოვრებელი ფართობი მიეცემათ არსებული ნორმების მიხედვით, ასეთსავე პირობებს ითვალისწინებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 2 ივლისის № 436 დადგენილება „მოქალაქეთა კუთვნილი იმ შენობების

ღირებულების ანაზღაურების წესის შესახებ, რომლებიც აღებულ უნდა იქნან ქალაქებში, ქალაქის ტიპის დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან დაკავშირებით“.

რა იგულისხმება არსებულ ნორმებად?

ყოფნა „სოციალისტიკისა და ზაკონოსტში“ (1968 წ., № 11, გვ. 86) მოყვანილია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება შემდეგი სათაურით: „ასაღები სახლებიდან დამქირავებლების გამოსახლების შესახებ დავების გადაწყვეტისას სასამართლო უნდა ხელმძღვანელობდეს არამარტო რსფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 332-331 მუხლებით (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი 325-324 მუხლები — ა. ლ.), არამედ სხვა ნორმატიული აქტებითაც, რომლებითაც განსაზღვრულია მოქალაქეთათვის მისაცემი საცხოვრებელი ფართობი“.

ამ დადგენილების მიხედვით გამოსახლებულ პირს უნდა მიეცეს საცხოვრებელი ფართობი 6 კვ. მეტრის ოდენობით, რადგანაც თვითოეული მოქალაქის საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის საშუალო დონე ქ. კიროვოში 6 კვ. მეტრს შეადგენს. ამის გამო სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ მართებულად ჩათვალა კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელის დაკმაყოფილება ამ ნორმის მიხედვით.

რადგან ქალაქში ან დაბაში გამოსახლებული პირისათვის მისაცემი ფართობი განსაზღვრულია საშუალო უზრუნველყოფის დონის მიხედვით, ზოგიერთი სასამართლო ორგანოს მუშაკი არ დაეთანხმა ამ დადგენილებას, რის გამო ყურნალ „სოც. ზაკონოსტში“ (1969 წლის № 1, გვ. 87) გამოქვეყნდა სარედაქციო სტატია, რომლის მიხედ-

ვით დასაბუთებულია აღნიშნული წესის სავალდებულობა სასამართლო პრაქტიკისათვის.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ 1964 წლის 31 ივლისს დაამუშავა საცხოვრებელი ფართობის საჭიროების მიხედვით მოქალაქეთა აღრიცხვის და საცხოვრებელი ფართობის განაწილების სავარაუდო წესები.² ამ წესების მე-15 მუხლით საცხოვრებელი ფართობი ოჯახის თითოეულ წევრზე უნდა გაიცეს იმ ოდენობით, რომელიც არ იქნება ნაკლები მოცემული დასახლებული პუნქტის საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის საშუალო დონეზე. ეს დონე კი ქალაქებში სხვადასხვაა. მაგალითად, თბილისში 1967 წლის მონაცემებით თვითეულ სულზე 7,1 კვ. მეტრს უდრის. ამიტომ სასამართლომ ამ საკითხის გადაწყვეტის დროს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა გამოარკვიოს ბინით დაკმაყოფილების საშუალო უზრუნველყოფის დონე და ამის მიხედვით დააკმაყოფილოს სარჩელი.

თბილისში ამჟამად მოქმედებს სხვა წესიც: ქ. თბილისის მოქალაქეების აღრიცხვაზე აყვანისა და მათთვის საცხოვრებელი ფართობის მიცემის წესის შესახებ 1964 წლის 19 აგვისტოს დამტკიცებული ინსტრუქციის 27-ე მუხლის მიხედვით დამჭირავებლებს, რომლებიც ცხოვრობენ ასაღებ სახლებში, უნდა მიეცეთ ძველი ბინის სრულფასოვანი საცხოვრებელი ფართობი, მაგრამ არანაკლებ 5 კვადრატული მეტრისა და არა უმეტეს სანიტარული ნორმისა ოჯახის თვითეულ წევრზე დამატებითი ფართობის გათვალისწინებით, თუ მას ასეთი ფაქტიურად უკავია ასაღებ სახლში. ამ ინსტრუქციაში მოხსენებული

არ არის ბინით უზრუნველყოფის საშუალო დონე.

ამგვარად, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 324-ე მუხლის ის ნაწილი, სადაც აღნიშნულია, რომ ბინიდან გამოსახლებულისათვის მისაცემი სადგომი „ფართობით არ იყოს იმაზე ნაკლები, რაც გამოსახლებულს ეჭირა“, გაგებულ უნდა იქნას ზემოთ მითითებული ნორმატიული აქტების გათვალისწინებით.

არის შემთხვევები, როდესაც სასამართლო მდგმურის უფლებით მცხოვრებ პირებს ათანაბრებს მესაკუთრესთან.

თბილისის ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომი მოითხოვდა ო-ს 6 სულისაგან შემდგარი ოჯახის გამოსახლებას ბინიდან.

ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა. სასამართლოს აზრით, მოპასუხის ოჯახს, რომელიც 6 სულისაგან შედგება, უნდა მიეცეს სულზე 12 კვ. მეტრი ფართობი და ამის გამო მოპასუხისათვის გამოყოფილი ბინა 51,46 კვ. მეტრის ფართობის ოდენობით სასამართლომ არასაკმარისად ჩათვალა მოპასუხის ოჯახისათვის.

ეს გადაწყვეტილება არასწორია. მოპასუხე ე. ო-ი ცხოვრობს მდგმურის უფლებით მოქ. ს-ს პირადი საკუთრების სახლში. მას უკავია 40 კვ. მეტრი ფართობი. მოპასუხის უფლება საცხოვრებელ ფართობზე სახლის ადგბის შემთხვევაში არ შეიძლება გასცდეს კომუნალურ ბინაში მცხოვრები მდგმურის უფლებას. ამის გამო მოპასუხისათვის შეთავაზებული ბინის ფართობი — 51,46 კვ. მეტრის ოდენობით აკმაყოფილებს იმ მოთხოვნას, რომელიც აღნიშნულია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ზემომითითებულ დადგენილებაში.

² საბინაო კანონმდებლობა, 1966 წ. გვ. 159 და 161.



იმ შემთხვევაში, როდესაც ასაღებ ბინის დამქირავებელთა მიმართ კოოპერატივის მიერ აღძრულია საქმე გამო-სახლების შესახებ, სასამართლო ვალდებულია განიხილოს დამქირავებლის კოოპერატივის წევრად მიღების საკითხიც, თუ გამოსახლებული პირი გამოთქვამს სურვილს კოოპერატივის წევრად მიღებაზე. სასამართლოები ხშირად წყვეტენ ასეთ საქმეებს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 325-ე მუხლის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს გასახლებული პირისათვის სხვა კეთილმოწყობილი ბინის მიცემას. როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს სსრ-ში, განსხვავებით სხვა რესპუბლიკებისაგან, ეს საკითხი სხვაგვარად წყდება — კოოპერატივში შესვლის უპირატესი უფლება მინიჭებული აქვთ ასაღები სახლის მესაკუთრეებს და ამავე სახლში მცხოვრებ დამქირავებლებს. ამის გამო ამ პირების სურვილის წინააღმდეგ საბინაო სამშენებლო კოოპერატივი ვერ შეაძლებს აღნიშნულ პირებს სხვაგან ბინებს. 325-ე მუხლი ჩვენს პირობებში მოქმედებს ზემოთ მითითებული შენიშვნების მხედველობაში მიღებით.

პრაქტიკაში დავას იწვევს საკითხი იმის შესახებ, შეუძლია თუ არა გამო-სახლებულ პირს მოითხოვოს კუთვნილ ფართობზე მეტი ბინა კოოპერატივის სახლში დამატებით ფართობზე სათანადო საპაიო თანხის შეტანის პირობით. მეტ წილ შემთხვევებში კოოპერატივები ასეთ მოთხოვნას არ აკმაყოფილებენ. ჩვენი აზრით, ასეთი მოთხოვნა შედის მოქალაქის სუბიექტურ უფლებათა სფეროში და სასამართლო ვალდებულია ასეთი მოთხოვნის მართლზომიერების საკითხი გადაწყვიტოს სასარჩელო წესით. ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილება კანონსაწინააღმდეგო არ იქნება, თუ გასახლებული პირის მდგომარეობა მართლაც მოითხოვს უფ-

რო მეტი საცხოვრებელ ფართობით დაკმაყოფილებას.

გარდა პირადი საკუთრების სახლებისა, ქალაქებსა და დაბებში გვხვდება ნაგებობები, რომლებიც აგებულია წინასწარ შედგენილი პროექტის გარეშე. სახელმწიფოს სათანადო ორგანოს ნებართვის გარეშე ან მიწის ნაკვეთზე, რომელიც სათანადო წესით არ იყო გამოყოფილი, ე. ი. ლაპარაკია ე. წ. თვითნებურ ან არაგეგმიან ნაგებობებზე. ასეთი სახლების აღების შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნას მთელი რიგი გარემოებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 27 ივლისის № 395 დადგენილების „საქართველოს სსრ ქალაქებსა და დაბებში მიწათსარგებლობის წესების დარღვევასთან და თვითნებურ საბინაო მშენებლობასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ მე-10 პუნქტის თანახმად მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს ნება მიეცათ გააფორმონ ჯეროვანი წესის შესაბამისად მიწის ნაკვეთების გამოყოფა იმ თვითნებური მენაშენეებისათვის, რომლებმაც ააგეს კაპიტალური ნაგებობანი ამ დადგენილებების გამოცემაში, თუ ამავე დროს ეს ნაგებობანი ქალაქის განაშენიანების მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ.

✓ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1969 წლის 4 მარტს მიიღო № 110 დადგენილება „თვითნებურად აშენებულ სახლებში მოქალაქეთა გასაწერად დროებით სახლის წიგნების გაცემის შესახებ“. აქ ნათქვამია, რომ დროებითი სახლის წიგნების მიცემა არ ანიჭებს სახლის თვითნებურად მშენებლებს საკუთრების უფლებას სახლზე.

პირადი საკუთრების სახლების აღება უნდა მოხდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, თბილისის, ქუთაისისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების

ქალაქების აღმასკომების ნებართვით, ხოლო თვითნებურად აგებული სახლის აღებისათვის საკმარისია რაიონის აღმასკომის გადაწყვეტილება (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 107-ე მუხლი).

საკითხი, თუ როგორ უნდა დაკმაყოფილდნენ თვითნებურ სახლში მცხოვრები პირები საცხოვრებელი ფართობით ბინის აღების შემთხვევაში, გადაწყდება შემდეგნაირად: თვითნებური სახლები უნდა დავყოთ ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება სახლები, აგებული 1956 წლის იენისამდე. ასეთი სახლების მფლობელები უნდა გაუთანაბრდნენ მესაკუთრეებს და საცხოვრებელი ფართობები მათ უნდა მიეცეთ მესაკუთრეთა თანაბრად.

მეორე კატეგორიის სახლებს ეკუთვნის სახლები, აგებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემოღები შემდეგ, ე. ი. 1961 წლის 1 მარტიდან, რამდენადაც ამ კოდექსის შემოღებიდან თვითნებური მშენებლობა დასჯად მოქმედებად იქნა მიჩნეული (სსკ 221-ე მუხლი).

1956 წლიდან 1961 წლამდე აგებული სახლები ვაიზირებენ 1956 წლამდე აგებული სახლების ბედს, ე. ი. გაუთანაბრდებიან გეგმიან სახლებს, თუ ეს სახლები წარმოადგენენ კაპიტალურ ნაგებობას და აკმაყოფილებენ განაშენიანების გეგმის მოთხოვნებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 26 ივლისის დადგენილების თანახმად აღმასკომებს უნდა დაედგინათ ვადები თვითნებური სახლების დანგრევისა, რომლებიც კაპიტალური არ იყვნენ და განაშენიანების მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდნენ. ვინაიდან ეს ღონისძიება საერთოდ არ იქნა გატარებული, 1956 წლიდან 1961 წლამდე აგებული თვითნებური სახლები ანაზღაურების საკითხში უნდა გაუთანაბრდეს გეგმიან სახლებს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 28 მაისის საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ მიღებული ბრძანებულების მე-11 მუხლი, რომლითაც სამოქალაქო სამართლის კოდექსის 107-ე მუხლს უკუქცევითი ძალა მიეცა, შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ სახლების მიმართ, რომლებიც აგებულია 1961 წლის შემდეგ. ამგვარად, აღნიშნული კანონის უკუქცევას საზღვარი უნდა დაედოს შემოთ აღნიშნული ნორმატიული აქტების განმარტების საფუძველზე.

ა. ლუღუშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

ბინიდან მოქალაქეთა აღმინისგრაჰიული ნუსხით განსახლება

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე და ამ საფუძველების შესაბამისად 1965 წელს სამოქმედოდ შემოღებულმა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსმა მკვეთრად შეამცირა ის შემთხვევები, როდესაც შესაძლებელია მოქალაქეთა გა-

სახლება ბინიდან აღმინისტრაციული წესით პროკურორის სანქციით. კერძოდ, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 330-334 მუხლების თანახმად აღმინისტრაციული წესით გასახლება დასაშვებია მხოლოდ ხუთ შემთხვევაში — სახლის ჩამოქცევის საფრთხის შემთხვევაში, თვითნებ-



ბურად დაჭერილი სადგომიდან, სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომიდან, საერთო საცხოვრებლებიდან და სასტუმროდან.

როგორც საქართველოს სსრ პროკურატურის მიერ ჩატარებულმა შემოწმებამ ცხადყო, პროკურორების მიერ ძირითადად სწორად არის განხილული და გადაწყვეტილი ბინიდან მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოსახლება.

ადმინისტრაციული წესით გამოსახლების საქმე კარგადაა დაყენებული ქალაქ რუსთავის პროკურატურაში. გარდა იმისა, რომ დადგენილების ასლები მისი გამოტანის მეორე დღესვე ეგზავნება დაინტერესებულ ორგანიზაციას და თვით გამოსახლებელ მოქალაქეებს, ქალაქის პროკურორმა შეისწავლა პრაქტიკა ადმინისტრაციული წესით გამოსახლების დადგენილების სისრულეში მოყვანის შესახებ და მაღალხარისხვნად შედგენილი წარდგინება შეიტანა ქალაქის საბჭოს აღმასკომში, რომელმაც ამ წარდგინების საფუძველზე გამოიტანა სპეციალური გადაწყვეტილება და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით.

როგორც დადებითი მოვლენა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი პროკურორი (ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობისა და პირველი მაისის სახელობის რაიონის პროკურორები) მასალების შემოწმების დროს გამოარკვევს რა, რომ ამა თუ იმ მოქალაქის საბინაო პირობები მძიმეა და საჭიროა მათი საბინაო უფლებების დასაცავად დახმარების გაწევა, ისინი დებულობენ შესაბამის ზომებს (შუამდგომლობის აღძვრა სათანადო რაისაბჭოს აღმასკომის ან წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელობის წინაშე და სხვა).

მიუხედავად ამისა, საპროკურორო მუშაობის ამ უბანზე აღინიშნება მთელი რიგი სხვადასხვა ხასიათის დარღვევები: ზოგჯერ არ ხდება პროკურატურაში შესული მასალების სრული და ყოველმხრივი შემოწმება იმის გამოსარკვევად არის თუ არა საფუძველი ადმინისტრაციული წესით გამოსახლების შესახებ სანქციის მისაცემად; დადგენილება ადმინისტრაციული წესით გამოსახლების შესახებ გაცემულია

ისე, რომ გამოსახლებელ პირს არ სთხოვენ ახსნა-განმარტებას; ხშირად გამოსახლების შესახებ დადგენილების გამოტანისას არ განსაზღვრავენ დადგენილების სისრულეში მოყვანის ვადას და განაჩივრების წესს; არ უგზავნიან დადგენილების ასლს ყველა იმ პირებს, ვისაც კანონის თანახმად იგი უნდა ჩაბარდეს (მათ შორის თვით გამოსახლებელ მოქალაქეებს); არ თხოვლობენ პასუხს დადგენილების სისრულეში მოყვანის შესახებ; არ ახდენენ საჭირო რეაგირებას ამა თუ იმ დაწესებულების ხელმძღვანელის ან თანამდებობის პირის მიმართ, რომელმაც დაარღვია საბინაო კანონმდებლობა; არ აყენებენ საკითხს თვითნებობის ჩამდენი პირის მიმართ სისხლის სამართლის ან სხვა სახის პასუხისმგებლობის შესახებ და სხვ.

ზოგჯერ საბინაო ფონდის გამოყენება ხდება არადანიშნულებისამებრ, მაგრამ ამ ფაქტზე სათანადო რეაგირებას არ ახდენენ პროკურორები. მაგალითად გორის ბამბეულის კომბინატის მედსანაწილის გამგეს ნ. კ. ხოფერიას 1964 წლიდან ფაქტიურად დაკეტილი ჰქონდა ოროთახიანი ბინა, სადაც არ უცხოვრია (იგი ცხოვრობდა ამავე ქალაქში ცოლის ბინაში), ხოლო შემდეგ ბინა მიიღო კოოპერაციულ სახლში. 1969 წლის 1 მარტს კი აღნიშნული ბინის ერთი ოთახი ხოფერიას ხელისშეწყობით თვითნებურად დაიკავა მოქ. ლ. ს. ჩიგოგიძემ, მაშინ როდესაც გორში ზოგიერთი განიცდის ბინის ფართობის აშკარა სიმცირეს.

ავილი აქვს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელები და საბინაო ორგანოები დავვიანებით ახდენენ შეგროვილი მასალების პროკურატურაში გაგზავნას. ასე მაგ. ქ. თბილისის პირველი მაისის რაისაბჭოს საბინაო სამმართველომ 1968 წ. 2 აგვისტოს შეადგინა აქტი იმის შესახებ, რომ მოქ. ა. ა. არაბოვმა 1 აგვისტოს დაიკავა ბინა თვითნებურად. მასალა კი რაიპროკურატურას გაუგზავნა 5 თვის დაგვიანებით იმავე წლის 31 დეკემბერს. ამავე საბინაო სამმართველომ ორთვენახევრის დაგვიანებით გაუგზავნა მასალები პროკურატურას თვითნებურად ბინის დამკავებ-

ლის ა. ზ. ონაზაშვილის მიმართ და სხვ.

იმ შემთხვევაში, როდესაც შეგროვილი მასალა არ იძლევა საფუძველს ბინიდან ადმინისტრაციული წესით გამოსახლებაზე სანქციის მიცემის შესახებ, პროკურორების უმრავლესობას გამოაქვს მოტივირებული დადგენილება ადმინისტრაციული წესით გამოსახლებაზე უარის თქმის შესახებ, რაც სწორად უნდა ჩაითვალოს; მაგრამ ზოგიერთი პროკურორი კმაყოფილდება იმით, რომ დაინტერესებულ პირს წერილობით ატყობინებს ბინიდან ადმინისტრაციული წესით გამოსახლების უსაფუძვლობაზე, ამასთან არც კი განუმარტავს აქვს თუ არა სარჩელის აღძვრის უფლება სახალხო სასამართლოში.

როგორც აღვნიშნეთ, მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს ადმინისტრაციული წესით გამოსახლების მხოლოდ ხუთ შემთხვევას. ყველა სხვა შემთხვევაში გამოსახლების საკითხი შეიძლება დასმული იქნეს სასამართლოში, საერთო სასარჩელო წესით.

ამასთან ადმინისტრაციული წესით გამოსახლების საკითხი უნდა გადაწყდეს მოკლე ვადაში და უნდა იქნას გამოტანილი მოტივირებული დადგენილება სათანადოდ შეგროვილი საჭირო მასალის საფუძველზე.

გამოსახლებებზე პირს აუცილებლად უნდა ჩამოერთვას ახსნა-განმარტება, ჩაბარდეს დადგენილების ასლი და მიეცეს გასაჩივრების ვადა.

როგორც ცნობილია ბინიდან თვითნებურად დამკავებლის გამოსახლება ჯნდა მოხდეს 7 დღის ვადაში პროკურორის მიერ დადგენილების გამოტანის (იჯულისხმება მოქალაქისათვის დადგენილების ჩაბარების) დღიდან.

მასალების უდიდესი უმრავლესობა პროკურორების მიერ მოკლე ვადაში (რამოდენიმე დღეში) არის გადაწყვეტილი, მაგრამ არის ერთეული შემთხვევები დადგენილების გამოტანის გაჭინურებისა. მაგალითად, ქ. ბათუმის პროკურორმა ვ. ღუმბაძის გამოსახლების საკითხი გადაწყვიტა მასალის მიღებიდან 1 თვისა და 7 დღის ვადაში, ხოლო აკიმინის გამოსახლების საკითხი — 21 დღის შემდეგ.


უფრო ხშირია საწინააღმდეგო მასალების შემთხვევები. კერძოდ, ერთი და იგივე დღეს ხდება მასალების შეგროვება, მათი პროკურატურაში წარდგენა, პროკურორის მიერ დადგენილების გამოტანა და მისი აღსასრულებლად წარმართვა. ამასთან აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა ამ შემთხვევაში შედგენილია აქტები იმის შესახებ, რომ გამოსახლებელმა პირმა უარი თქვა ახსნა-განმარტების მიცემაზე.

ასეთი გზით მოხდა დადგენილების გამოტანა კასპის რაიონის პროკურორის მიერ ა. ბ. ცქიტიშვილის, გ. ზ. კაციაშვილის და ვ. ს. ყოჩიაშვილის მიმართ, ბორჯომის რაიონის პროკურორის მიერ თ. მ. გელაშვილის მიმართ, ქ. ქუთაისის პროკურორის მიერ ი. ვ. კობრეიძის მიმართ და სხვ.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პროკურატურაში არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთი დადგენილებით ხდება ორი ან მეტი სხვადასხვა ოჯახის გამოსახლება სხვადასხვა ბინებიდან, რაც ყოველად დაუშვებელია. კერძოდ, თუმცა შ. ი. აფციაურმა და ზ. ს. შახბაინდუროვმა სხვადასხვა ბინები დაიკავეს თვითნებურად, მაგრამ მათი გამოსახლების შესახებ ერთი დადგენილება იქნა გამოტანილი. ასევე ერთი დადგენილებით გამოსახლეს ზ. მ. კრავეიშვილისა და ს. მ. ანდრიაძის ოჯახები სხვადასხვა ბინებიდან.

ზოგჯერ ადგილი აქვს ადმინისტრაციული წესით ბინიდან მოქალაქეთა არასწორად გამოსახლების შემთხვევებს.

ასე მაგალითად, თერჯოლის რაიონის პროკურორმა გამოიტანა ოთხი დადგენილება აჯამეთის სილიკატური აგურის ქარხნის დასახლებაში არსებული ბინებიდან მოქ. მოქ. გ. მ. ისაკუვას, ო. თ. მალლაკელიძის, მ. ვ. ლამაძეოვის და ვ. დ. გუნცაძის ადმინისტრაციული წესით გამოსახლების შესახებ. შეგროვილი მასალებიდან არ სჩანს, რა სახის ბინებში ცხოვრობდნენ აღნიშნული მოქალაქეები (საუწყებო ბინებში, სამსახურებრივ საცხოვრებელ სადგომებში თუ საერთო საცხოვრებელში). გარდა ამისა დადგენილების ასლი არ გაუგზავნეს გამოსახლებელ მოქალაქეებს. აღსანიშნავია ის მდგომარეობაც, რომ როგორც მილიციის უბნის



ინსპექტორის მიერ შედგენილი ცნობიდან ჩანს. გუნცაძე პატიმრობაში იყო და იგი ფაქტიურად ბინიდან გამოსახლებულად ითვლებოდა. ასეთ შემთხვევაში კი არ იყო საჭირო დადგენილების გამოტანა.

ზოგჯერ დადგენილებებში არასათანადოდ არის შეფასებული გამოსასახლებელი პირის ახსნა-განმარტება. ასე მაგ. მოქ. ლომიძის ახსნა-განმარტებაში, რომელიც შედგენილია გარდაბნის რაიპროკურორის თანაშემწის ო. კარაკოვის ხელით, მითითებულია, რომ მან (ლომიძემ) თითქოს სადავო ოთახი მიიღო მომჩივანი ორგანიზაციის თბოელექტრო სადგურის სამშენებლო სამმართველოდან და აქვს ამის დამადასტურებელი საჭირო საბუთები. დადგენილებაში არ არის აღნიშნული ამ ახსნა-განმარტების შესახებ და ლომიძე გამოსახლებულია ბინიდან როგორც თვითნებურად დაკავებული.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პროკურატურის მასალებში თვითნებურად დაკავებული ბინიდან მ. ა. კობაიძის გამოსახლების შესახებ არ არის აქტი ბინის თვითნებურად დაკავების შესახებ და ასეთი აქტი პროკურატურასაც არ მოუთხოვია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დადგენილებების უმრავლესობაში არ არის მითითებული მათი სისრულეში მოყვანისა და გასაჩივრების წესი. კიდევ მეტი, ქ. თბილისის კალინინის რაიონის პროკურორმა გამოიტანა რა დადგენილება თვითნებურად დაკავებული ოთახიდან ი. ვ. გურგენიძის გამოსახლების შესახებ, დადგენილებაში ჩაწერა — „გამოსახლება მოხდეს მილიციის მეშვეობით დაუყოვნებლივ“.

იმისათვის, რომ მიეცეს სანქცია სახლის ჩამოქცევის საფრთხის შემთხვევაში გამოსახლებაზე კანონის შესაბამისად საჭიროა წარმოდგენილი იქნეს სათანადოდ შედგენილი აქტი, ტექნიკური დასკვნა, ცნობა სამაგიეროდ მისაცემი ბინის შესახებ და სხვ. მაგრამ კანონის ეს მოთხოვნა ყოველთვის არ არის დაცული. კიდევ მეტი, ცალკეულ შემთხვევებში ადმინისტრაციული წესით ასახლებენ ისეთი სახლებიდან,

რომლებიც აღებული უნდა იქნებოდა ხელმწიფობები ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის გამო (ქუჩების რეკონსტრუქცია და სხვა). თუმცა ასეთ შემთხვევებში სამოქალაქო სამართლის კოდექსის 325 მუხლის თანახმად გამოსახლება უნდა მოხდეს სასამართლო წესით.

კერძოდ, ასეთი ხასიათის შეცდომა დაუშვა თელავის რაიონის პროკურატურამ. როგორც ამ პროკურატურის მიერ გამოტანილ დადგენილებაშია აღნიშნული, რუსთაველის ქუჩის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით ნგრევაში არის მოყოლილი ე. დ. კარალაშვილის სახლი, შეფასებული 3553 მან. ვინაიდან მოქ. კარალაშვილი არ დაეთანხმა ქალაქის საბჭოს წინადადებას, მიიღოს შენობის ღირებულება და დაცალოს ბინა, რაიპროკურორმა გამოიტანა დადგენილება გამოსახლებული იქნას ე. დ. კარალაშვილი „ადმინისტრაციული წესით სამაგიერო ბინის ან ბინის ღირებულების მიცემით“.

ქ. თბილისის კიროვის რაიონის პროკურატურამ სამი დადგენილება გამოიტანა ბინიდან გამოსახლების შესახებ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 330-ე მუხლის შესაბამისად (გამოსახლება სახლის ჩამოქცევის საფრთხის შემთხვევაში), მაგრამ მასალებიდან არ სჩანს მართლა მყოფოდა თუ არა სახლს ჩამოქცევა. ამასთან როგორც რ. ნამოივას გამოსახლების შესახებ თვით დადგენილებაშია აღნიშნული, დადგენილების გამოტანა მოხდა „პირველი გამოძახებიდან 70 დღის შემდეგ“.

საჭიროა ადმინისტრაციული წესით ბინიდან მოქალაქეთა გამოსახლების საკითხის გადაწყვეტის დროს პროკურორებმა უფრო მეტი ინიციატივა და პრინციპულობა გამოიჩინონ მოქალაქეთა კანონიერი საბინაო ინტერესების დასაცავად.

3. ცირაშუა.

საქართველოს სსრ პროკურატურის სამოქალაქო საქმეთა სასამართლო განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსის მოადგილე, იუსტიციის უფროსი მრჩეველი.

გამომძიებლისა და მილიციის პროცესუალური მოქმედებისა ზოგიერთი საკითხი

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლებმა შეიმუშავა ძირითადი დებულებანი წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის ორგანოების კომპეტენციათა გასამიჯნავად. „საფუძვლების“ მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის ორგანოთა საერთო ამოცანები და მოვალეობანი ხორციელდება კანონით გათვალისწინებულ სხვადასხვა პირობებსა და პროცესუალურ ფორმებში.

ამასთან ეს გამიჯვნა არა მარტო არ გამოირიცხავს წინასწარი გამოძიებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა შეთანხმების შესაძლებლობასა და აუცილებლობას, არამედ, პირიქით, ამ ორგანოთა შეთანხმებული მუშაობა წარმოადგენს დამნაშავეობასთან ბრძოლის სწორი ორგანიზაციის აუცილებელ პირობას.

გამომძიებლის დავალებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მოკვლევისა და საგამომძიებლო მოქმედებათა წარმოება არა მარტო პირდაპირი მოვალეობაა მოკვლევის ორგანოებისა დანაშაულის გახსნის საქმეში, არამედ მილიციის თვითეული მუშაკის სამსახურებრივი ვალიც არის.


კანონში არ არის მოცემული ისეთი პროცესუალური ნორმები, რომლებიც ითვალისწინებდნენ, თუ რა სახის დავალებანი უნდა მისცეს გამომძიებელმა მის გამოსაძიებელ საქმეებზე მოკვლევის ორგანოებს.

ჩვენს რესპუბლიკაში არსებული

პრაქტიკა გამომძიებელთა დავალების შესრულებისა მოკვლევის ორგანოების მიერ პრინციპიალურ შენიშვნებს არ იწვევს და ეს მოწმობს „საფუძვლების“ 30-ე მუხლის მე-3 ნაწილის ზუსტად დაცვას.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი გამომძიებელი მოკვლევის ორგანოს ავალებს მხოლოდ ისეთი სამძებრო მოქმედების წარმოებას, რომელიც დაკავშირებულია მიმალული დამნაშავის ძებნასთან. ამასთან მოკვლევის ორგანოებს შეუძლიათ და მოვალენიც არიან გამომძიებლის დავალებით აწარმოონ მოწმეთა, ნივთმტკიცების, გატაცებულ ფასეულობათა და ა. შ. დაქვანა.

ამ დავალებათა მიცემის დროს გამომძიებელი, როგორც წესი, არ მიუთითებს მოკვლევის ორგანოს სამძებრო მოქმედებათა მეთოდებსა და საშუალებებზე. გამომძიებელს უფლება არა აქვს განსაზღვროს ის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, რომელთა საშუალებითაც მილიციამ უნდა შეასრულოს საქმეზე ესა თუ ის დავალება, რადგანაც ისინი არ წარმოადგენენ მილიციის ორგანოთა საპროცესო საქმიანობას. მილიცია დამოუკიდებლად განსაზღვრავს ამ ღონისძიებათა ხასიათს და ახორციელებს მათ თავისი შეხედულებით. მოქმედი კანონმდებლობა არ ანიჭებს ასეთ უფლებას არც პროკურატურისა და არც შინაგან საქმეთა ორგანოების გამომძიებლებს. საერთოდ გამომძიებელი უშუალოდ არ უნდა ჩაერიოს მოკვლევის ორგანოთა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში, აუცილებლობის შემთხვევაში — დანაშაულის სწრაფი და სრული გახსნის ინ-



ტერესებისათვის — გამომძიებელმა უნდა გააცნოს მოკვლევის ორგანოებს საქმის გარემოება და ხელთარსებული მასალები, რათა გააადვილოს სამძებრო მოქმედება.

სამძებრო ორგანოებისათვის ცალკეული საგამომძიებლო მოქმედების დავალებისას გამომძიებელს უფლება არა აქვს ამ ორგანოებს დაავალოს ისეთი მოქმედების შესრულება, რომელიც კანონის მიხედვით თვით მან უნდა შეასრულოს, მაგალითად, ბრალდების წაყენება, ბრალდებულის დაკითხვა, აღმკვეთი ღონისძიებების შერჩევა, ექსპერტიზის დანიშვნა და ა. შ.

გამომძიებელმა არ უნდა დაავალოს მოკვლევის ორგანოებს ისეთი მნიშვნელოვანი საგამომძიებლო მოქმედების ჩატარება, რაც თხოულობს განსაკუთრებით მოხერხებულ და კვალიფიციურ აღსრულებას, მაგალითად, განზრახვი მკვლელობის დროს დანაშაულის ადგილის დათვალიერება, ამოცნობის ჩატარება, პირზე წაყენება და ა. შ. არ შეიძლება აგრეთვე მოკვლევის ორგანოს გადაქცევა გამომძიებლის ტექნიკურ თანაშემწედ და მისთვის კანცელარიული ხასიათის დავალების მიცემა. გამომძიებლისა და მოკვლევის ორგანოს შორის პროცესუალური ურთიერთობა არ ნიშნავს მათ შორის რაიმე სამსახურებრივ დაქვემდებარებას.

ცალკეულ მოქმედებათა შესრულებისას გამომძიებლისათვის მოკვლევის ორგანოს ხელის შეწყობა გამოიხატება დამნაშავის, მოწმის ან სხვა პირის მიყვანაში, დანაშაულის ადგილის დაცვაში, ჩხრეკის ადგილის გარემოცვაში, ქონებაზე ყადაღის დადებაში, გამომძიებლის ხელმძღვანელობით დათვალიერებაში, საგამომძიებლო ექსპერიმენტში მონაწილეობაში და ა. შ.

გამომძიებელს უფლება აქვს დაიხმავს

როს მოკვლევის ორგანო ისეთ შემთხვევებშიც, როგორც არის მოწმეთა და დაზარალებულთა გამოკვლევა, ნივთმტკიცებათა ამოღება, გარკვეული ტერიტორიის ან რომელიმე ობიექტის გამოკვლევა და ა. შ.

მოკვლევის ორგანოების მიერ ცალკეულ საგამომძიებლო მოქმედებათა წარმოებისას გამომძიებლისთვის ხელის შეწყობაზე კარგად არის ნათქვამი ა. რ. რატინოვის მოხსენებაში. ესენია:

„ა) საგამომძიებლო მოქმედების წარმოებაში უშუალო მონაწილეობა; მაგ., დათვალიერებასა ან ჩხრეკაში გამომძიებლებს ეხმარებიან მილიციის თანამშრომლები, რომელნიც ასრულებენ სამუშაოს ნაწილს, რაც შედის ამა თუ იმ საგამომძიებლო მოქმედებათა შინაარსში.

ბ) ხელის შეწყობა იძულებითი ღონისძიების შეფარდებაში: შეიარაღებულ მილიციის მუშაკთა მონაწილეობა დამნაშავის დაკავებაში, გამომძიებელთან გამოცხადებისათვის თავის ამრიდებელი პირის მიყვანა, ცალკეულ მოქალაქეთა მხრივ გამომძიებლისათვის წინააღმდეგობის გაწევის აღკვეთა;

გ) ხელის შეწყობა სამეცნიერო და ტექნიკური საშუალებებით; მხედველობაში მიიღება მილიციის განყოფილებათა სამეცნიერო-ტექნიკური დახმარება, საგამომძიებლო მოქმედებაში სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების ექსპერტთა და შსს ორგანოთა სხვა სპეციალისტების (ავტონისპექციის, სახანძრო ზედამხედველობის ინსპექტორების) მონაწილეობა.

დ) ხელის შეწყობა მილიციის ორგანოების ოპერატიული ღონისძიებებით“¹.

პროკურორმა უნდა იცოდეს, თუ რა სახის დავალებებს აძლევს გამომძიებელი მოკვლევის ორგანოებს. არასწორი დავალების შემთხვევაში პროკურორი ან აუქმებს დავალებას ან ცვლის სხვა

¹ იხ. Материалы научной конференции, посвященной вопросам прокурорского надзора за дознанием и предварительным следствием, М., 1964 г., стр. 89.

დავალებით ან თვითონ უგზავნის საჭირო მიწერილობას მილიციის ორგანოს. ამ საკითხებზე პროკურორის წინადადებანი სავალდებულოა გამომძიებლისათვის. ამგვარ მითითებათა გასაჩივრება ზემდგომ პროკურორთან არ აჩერებს მათს აღსრულებას.

კანონი არ ადგენს მოკვლევის ორგანოს პერსონალურად, რომელმა თანამდებობის პირმა უნდა შეასრულოს გამომძიებლის დავალება და დაეხმაროს მას ცალკეულ სავამოძიებო მოქმედებათა წარმოებისას.

ამასთან რასაკვირველია გამომძიებლის დავალებათა შესრულების ხარისხი და გამომძიების შედეგიც დამოკიდებულია მასზე, ვინც დაეხმარება გამომძიებელს დანაშაულის გახსნაში. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე აღიძრა მილიციის ორგანოს ოპერატიულ სამძებრო მასალების საფუძველზე ან მისი მონაწილეობით, გამომძიებელმა უნდა მისცეს დავალება მილიციის იმ მუშაკს, რომელიც აწარმოებდა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას, ვინც აღძრა საქმე, ან კარგად იცის საქმის მდგომარეობა. ამ შემთხვევაში დავალება სრულდება არა მარტო სწრაფად და ეფექტურად, არამედ, რაც მთავარია, მილიციის თანამშრომელს უჩნდება თავის მიერ აღძრულ საქმეზე უფრო მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა. ის ფორმალურად კი არა, ინტერესით ეკიდება გამომძიებლის დავალების შესრულებას, გამომძიების დამთავრებას აფასებს როგორც თავისი მუშაობის შედეგს. რასაკვირველია, გამომძიებლის წერილის პირი ეგზავნება მოკვლევით ორგანოს უფროსს.

დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლაში დასახულ ღონისძიებათა ეფექტურად გამოყენებისათვის სასურველია გაფართოვდეს პროკურატურის გამომძიებლის უფლებანი, რათა მას საშუალება მიეცეს სრულყოფილად გაეცნოს ყველა იმ მასალას, რომელსაც ოპერა-

ტიული მუშაკები ფლობენ. ჩვენი აზრით, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოების გამომძიებლის უფლება-მოვალეობათა შორის დღეისთვის არსებულ სხვაობას მოკვლევის ორგანოების ოპერატიულ-სამძებრო მონაცემების გაცნობის საკითხში ადგილი არ უნდა ქონდეს. კანონის თანახმად შინაგან საქმეთა ორგანოების გამომძიებელმა პროკურატურის გამომძიებელთან შედარებით ვერ მოიპოვეს რაიმე განსაკუთრებული უფლებამოსილება მილიციის ორგანოების მიმართ.

როგორც პროკურატურის, ისე შინაგან საქმეთა ორგანოების გამომძიებლებს უნდა ჰქონდეთ მთელი იმ ოპერატიულ-სამძებრო მონაცემებისა და მასალების გაცნობის უფლება, რომელსაც კავშირი აქვს მათ მიერ გამოსაძიებელ სისხლის სამართლის საქმესთან. გამომძიებელს უნდა მიეცეს უფლება აუცილებლობის შემთხვევაში მოკვლევის ორგანოში გაეცნოს მის ქვემდებარე სისხლის სამართლის საქმეს ან იმ საქმის სამძებრო მასალებს, რომელიც მის მიერ შეჩერებულია ბრალდებულის ძებნასთან დაკავშირებით.

შინაგან საქმეთა ორგანოებისა და მილიციის ორგანოების ურთიერთობა რეგულირდება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით და უნდა ემყარებოდეს დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციას, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის პრინციპს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შინაგან საქმეთა ორგანოების ქვეგანყოფილებების ურთიერთობას დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში ხელმძღვანელობს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსი, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს სავამოძიებო აპარატს გამომძიებისას დიდ დახმარებას უწევს, უზრუნველყოფს საჭირო ტრანსპორტით, სადგომით, მატერიალურ-ტექნიკური საჭიროებით და სხვ...

პროკურორი, ახორციელებს რა შინაგან საქმეთა ორგანოებში გამოძიების კანონიერებისადმი ზედამხედველობას, ვალდებულია თვალყური ადევნოს გამოძიებელთა კოორდინირებულ საქმიანობას სოციალისტური საკუთრების გატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებასა და სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებაში. პროკურორმა უნდა აღკვეთოს შინაგან საქმეთა ორგანოების გამოძიებლის მცდელობა უხელმძღვანელონ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას, აგრეთვე რაიონების შინაგან საქმეთა ორგანოების უფროსების მცდელობა შეზღუდონ გამოძიებელთა პროცესუალური დამოუკიდებლობა.

ასეთი პრაქტიკა რომ არ აღმოიფხვრას, ბრალდების მტკიცებანი დაემყარება დაუდგენელ და შეუმოწმებელ მონაცემებს, არ იქნება შემოწმებული ბრალდებულის ბრალეულობის თუ არაბრალეულობის შესახებ შეკრებილი ყველა მასალა².

ფუნქციების აღრევის საშიშროება კიდევ შესაძლოა იმიტომ, რომ შინაგან საქმეთა ორგანოების გამოძიებლებს უფლება აქვთ გაეცნონ მთელ მონაცემებს, რომლებსაც კავშირი აქვს აღსაძვრელ საქმესთან. „ასეთ მითითებას კანონი არ ითვალისწინებს. სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე გამოძიებლისათვის ოპერატიული მასალების გაცნობასა და ოპერატიული მასალების რეალიზაციის საკითხების მათთან შეთანხმებას ერთ დროს პრაქტიკულად ახორციელებდნენ ქ. მოსკოვის პროკურატურა და სოციალისტური საკუთრების გატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილება.

ხშირ შემთხვევაში ეს იწვევდა კანონიერების უხეშ დარღვევას, და მსგავსი პრაქტიკა უარყოფილი იქნა³.

„გამომძიებლის საქმიანობა რეგლამენტირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით. მათ მიერ ოპერატიული მასალების შემკრებ პირთა შეცვლა, ამ საქმიანობაში მათი მონაწილეობა დაუშვებელია არა მარტო იმიტომ, რომ მათ კანონით არა აქვთ მინიჭებული ეს უფლება, არამედ იმიტომაც, რომ მტკიცების არსებული რეჟიმი წარმოადგენს სისხლის სამართალწარმოების კანონიერებისა და სამართლიანობის დადგენის გარანტიას“⁴.

ახორციელებს რა ზედამხედველობას მოკვლევასა და გამოძიებაზე, პროკურორი ვალდებულია უზრუნველყოს მოკვლევისა და გამოძიებლის ურთიერთობა სისხლის სამართალწარმოების 29-ე და 30-ე მუხლების საფუძველზე.

ამ საკითხთან დაკავშირებით არ შეიძლება არ შევეხოთ შინაგან საქმეთა ორგანოებში სისხლის სამართლის საქმეთა აღძვრის წესს.

საგამომძიებო პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როდესაც მოკვლევის ორგანოები შეზღუდული იყვნენ აღძვრათ გამოძიებლის ქვემდებარე საქმე.

ასეთ წესს კანონი არ ითვალისწინებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში საგამომძიებო აპარატის შექმნით მილიციის ორგანოებს მოკვლევის წარმოების ფუნქციები არ დაუკარგავთ. სისხლის სამართალწარმოების საფუძველების 30-ე მუხლის თანახმად, მილიცია, როგორც მოკვლევით ორგანო, ვალდებულია აღძვრას სისხლის სამართლის საქმე მიუხედავად იმისა, თუ ვის

² იხ. Пособие, «Прокурорский надзор за расследованием преступлений органами охраны общественного порядка», под общей редакцией Н. В. Жогина, М., 1968 г., стр. 40.

³ Материалы научной конференции, посвященной вопросам прокурорского надзора за дознанием и предварительным следствием, М., 1964 г., стр. 28.

⁴ Н. В. Жогин, «Роль и место следственного аппарата в СССР», «Социалистическая законность», № 7, 1969 г., стр. 23.

კომპენტენციაში შედის საქმის სრული გამოძიება.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრისას კანონიერების დაცვისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა განვმარტოთ მილიციის ორგანოების საქმიანობა დანაშაულის შესახებ შემოსული შეტყობინებისა და განცხადების შემთხვევაში.

ცხადია, თუ მილიციის ორგანოებში შემოსული შეტყობინება შეიცავს დანაშაულს, რომელიც გამოძიებლის ქვემდებარეა და არ თხოულობს დამატებით შემოწმებას, იგი საქართველოს სსსკ 110-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად გადაეცემა პროკურატურას ან შინაგან საქმეთა საგამოძიებო განყოფილებას.

იმ შემთხვევაში, როდესაც შესამოწმებლად საჭიროა ოპერატიული სამტბრო ღონისძიებანი, მილიციის ორგანოები გარკვეულ მუშაობას ატარებენ და შედეგების მიხედვით მასალებს აგზავნიან პროკურატურაში ან შინაგან საქმეთა ორგანოებში სისხლის სამართლის საქმის აღსაძვრელად ან თვით აღძრვენ მას თუ აუცილებელია გადაუღებელ საგამოძიებო მოქმედებათა წარმოება.

ამრიგად გამოძიებლის ქვემდებარე საქმის აღძვრის საკითხში მილიციის ორგანოების მოვალეობის კრიტერიუმს წარმოადგენს გადაუღებელ საგამოძიებო მოქმედებათა წარმოების აუცილებლობა. იმ შემთხვევაში კი როდესაც არ არსებობს გადაუღებელი საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობა, იმ მასალებზე, რომლებიც პროკურატურის კომპეტენციაში შედის, მილიციის ორგანომ არ უნდა აღძრას საქმე, ისევე როგორც პროკურატურისა და შინაგან საქმეთა გამოძიებელმა არ უნდა აღძრან საქმე,

რომელიც მის კომპეტენციაში არ შედის.

სწორედ ამიტომ საქართველოს სსრ სსსკ მე-3 მუხლში ლაპარაკია სისხლის სამართლის საქმის აღძვრასა და დანაშაულის გახსნის მოვალეობაზე. პროკურორი, გამოძიებელი, და მოკვლევის ორგანო მოვალენი არიან თავისი კომპენტენციის ფარგლებში, აღძრან სისხლის სამართლის საქმე დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის ყველა შემთხვევაში, მიიღონ კოდექსით გათვალისწინებული ზომები დანაშაულის შემთხვევის, დანაშაულის ჩადენაში დამნაშავე პირთა დასადგენად და მათ დასასჯელად. საქართველოს სსრ სსს კოდექსის 118-ე მუხლი მიუთითებს აგრეთვე მოკვლევის ორგანოების მოვალეობაზე განახორციელონ საჭირო ოპერატიული სამტბრო ღონისძიებანი იმ მიზნით, რომ აღმოაჩინონ დანაშაულის ნიშნები და მისი ჩამდენი პირნი.

სისხლის სამართლის კოდექსის ნორმები არ ითვალისწინებს გამოძიებელთა და მოკვლევის მწარმოებელ პირთა მოვალეობას მიიღონ პროკურორისაგან თანხმობა სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე.

მაგრამ ქალაქის ბევრ რაიონში დადგენილია წესი, რომლის მიხედვით მილიციის მუშაკები თვითთულ თუნდაც უმნიშვნელო დანაშაულზე დაუყოვნებლივ ატყობინებენ პროკურატურას.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის და არაღძვრის საკითხი, როგორც წესი, წყდება შემოწმების მასალების ერთობლივად განხილვის შემდეგ. აღნიშნული წესი გამორიცხავს სისხლის სამართლის საქმეთა დაუსაბუთებელ აღძვრას ან მის აღძვრაზე უარის თქმას.

ბ. შველიძე, ბ. ზაზაძე,

საქართველოს სსრ პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების პროკურორები



თქვისათვის

ქ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადვენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსი და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1970 წლის 1 ოქტომბრიდან.
2. დევლოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაადგინოს საქართველოს

სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის სამოქმედოდ შემოღების წესი და დამტკიცოს საქართველოს სსრ იმ საკანონმდებლო აქტების ნუსხა, რომლებიც ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი

საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ქოქვანიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი
თბილისი, 1970 წლის 18 ივნისი.

საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
წ. კვაჭავაძე

საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსი

ზრუნვა საბჭოთა ოჯახისათვის, რომელშიც ჰარმონიულად არის შეხამებული მოქალაქეთა საზოგადოებრივი და პირადი ინტერესები, საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

საბჭოთა კავშირში, რომლის შემადგენლობაში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შედის სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან ნებაყოფლობითი გაერთიანებისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, შექმნილია ოჯახის განმტკიცებისა და აყვავების ყველაზე ხელშემწყობი პირობები. განუხრელად უმჯობესდება მოქალაქეთა მატერიალური კეთილდღეობა, ოჯახის საბინაო-საყოფაცხოვრებო და კულტურული პირობები, სოციალისტური საზოგადოება დიდ ყურადღებას უთმობს დედობის დაცვასა და წახალისებას, ბედნიერი ბავშვობის უზრუნველყოფას.

მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდა, მისი ფიზიკური და სულიერი ძალების განვითარება ოჯახის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა. სახელმწიფო და საზოგადოება ყოველმხრივ ეხმარებიან ოჯახს შვილების აღზრდაში, ფართოდება საბავშვო ბაღების, ბაგების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებათა ქსელი.

საბჭოთა ქალს უზრუნველყოფილი აქვს საკმარისი სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობები, რომ ბედნიერი დედობა შეუხამოს სულ უფრო აქტიურ და შემოქმედებით მოწაწილებას საწარმოო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საბჭოთა კანონმდებლობა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ მოწოდებულია აქტიურად შეუწყოს ხელი ოჯახური ურთიერთობის საბოლოოდ გათავისუფლებას მატერიალური ანგარიშიანობისაგან, ყოფაცხოვრებაში ქალის უთანასწორო მდგომარეობის ნაშთების აღმოფხვრას და ისეთი კომუნისტური ოჯახის შექმნას, რომელშიც სრულად დაკმაყოფილება ადამიანთა ღრმა პირადი გრძნობები.


პ ა რ ი

ზოგადი დებულებანი

თავი პირველი

ძირითადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის ამოცანები
საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის ამოცანებია:



შემდგომი განმტკიცება საბჭოთა ოჯახისა, რომელიც კომუნისტური მორალის პრინციპებს ემყარება;

საოჯახო ურთიერთობის დამყარება ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობით საქორწინო კავშირზე, ოჯახის ყველა წევრის მატერიალური ანგარიშთანობისაგან თავისუფალი ურთიერთსიყვარულის, მეგობრობისა და პატივისცემის გრძნობებზე;

სამშობლოს ერთგულების, შრომასთან კომუნისტური დამოკიდებულების სულსკვეთებით ოჯახის მიერ შეიღების აღზრდა, რაც ორგანულად შეხამებულია საზოგადოებრივ აღზრდასთან, და შეიღების მოზადება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის;

დედისა და ბავშვის ინტერესების ყოველმხრივი დაცვა და თითოეული ბავშვისათვის ბედნიერი ბავშვობის უზრუნველყოფა;

საოჯახო ურთიერთობაში წარსულის მავნე გადმონაშთებისა და ჩვეულებების საბოლოოდ აღმოფხვრა;

ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის დანერგვა.

მუხლი 2. ურთიერთობა, რომელსაც აწესრიგებს საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსი

ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსი აღდგენს დაქორწინების წესსა და პირობებს, აწესრიგებს პირად და ქონებრივ ურთიერთობას, რომელიც წარმოიშობა ოჯახში მეუღლეთა შორის, მშობლებსა და შვილებს შორის, ოჯახის სხვა წევრებს შორის, ურთიერთობას რომელიც წარმოიშობა შეილაღ აყვანასთან, მეურვეობასა და მზრუნველობასთან, ბავშვების აღსაზრდელად აყვანასთან დაკავშირებით, ქორწინების შეწყვეტის წესსა და პირობებს, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესს.

მუხლი 3. ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა საოჯახო ურთიერთობაში

საოჯახო ურთიერთობაში ქალსა და მამაკაცს თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებები აქვთ.

უფლებათა თანასწორობას ოჯახში საფუძვლად უქვეს ქვეყნის სახელმწიფო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლებები, რაც განმტკიცებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით და საქართველოს სსრ კონსტიტუციით.

მუხლი 4. საოჯახო ურთიერთობაში მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა მიუხედავად მათი ეროვნებისა, რასისა და რელიგიასთან დამოკიდებულებისა

ყველა მოქალაქეს, მიუხედავად მისი ეროვნებისა, რასისა და რელიგიასთან დამოკიდებულებისა, საოჯახო ურთიერთობაში აქვს თანაბარი უფლება.

დაქორწინების დროს და საოჯახო ურთიერთობაში არ დიშვება უფლებათა რაიმე პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, პირდაპირი ან არაპირდაპირი უპირატესობის მიჩიქება ეროვნული, რასობრივი კუთვნილების ან რელიგიასთან დამოკიდებულების მიხედვით.

მუხლი 5. დედობის დაცვა და წახალისება

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში დედობა გარემოცულია საყოველთაო-სახალხო პატივისცემითა და დაფასებით, მას იცავს და ახალისებს სახელმწიფო.

დედისა და ბავშვის ინტერესთა დაცვა უზრუნველყოფილია სამშობლო სახლების, საბავშვო ბავშვისა და ბაღების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებათა ფართო ქსელის შექმნით, ორსულობისა და მშობიარობის გამო ქალისათვის ხელფასიანი შევებულების მიცემით, ორსული ქალებისა და დედებისათვის შეღავათების დაწესებით, წარმოებაში ქალთა შრომის დაცვით, მარტოხელა და მრავალშვილიანი დედებისათვის სახელმწიფო დახმარების მიცემით, აგრეთვე ოჯახისათვის სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დახმარების გაწევით.

მუხლი 6. სახელმწიფოს მიერ საქორწინო და საოჯახო ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგება

საქორწინო და საოჯახო ურთიერთობის სამართლებრივ მოწესრიგებას საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ახორციელებს მხოლოდ სახელმწიფო.

ალიარებულია მხოლოდ ის ქორწინება, რომელიც რეგისტრირებულია მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოებში. ქორწინების რელიგიურ წესს, ისე როგორც სხვა რელიგიურ წეს-ჩვეულებებს, სამართლებრივი მნიშვნელობა არა აქვს.

ეს წესი არ ეხება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი საბჭოთა ორგანოების შექმნამდე ან აღდგენამდე შესრულებულ რელიგიურ წეს-ჩვეულებებს და მათ დამადასტურებელ დოკუმენტებს დაბადების, ქორწინების, განქორწინებისა და გარდაცვალების შესახებ.



თავი მეორე

კანონმდებლობა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ

მუხლი 7. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ

საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობა შედგება ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლებისა და მის შესაბამისად მიღებული სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების, ამ კოდექსით და საქართველოს სსრ სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან.

საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობა წყვეტს საკითხებს, რომლებიც მიეკუთვნება მის გამგებლობას ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლებით, აგრეთვე საქორწინო და საოჯახო ურთიერთობის იმ საკითხებს, რომლებიც უშუალოდ საფუძვლებით არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 8. სხვა მოკავშირე რესპუბლიკის საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის გამოყენება საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში დაქორწინებას, ურთიერთობას მეუღლეთა შორის, მშობლებსა და შვილებს შორის, შვილად აყვანას, მამობის დადგენას, აღიშენების გადახდევინებას, მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესებას, განქორწინებასა და მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციას აწესრიგებს საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობა.

ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად ქორწინების, შვილად აყვანის, მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესების ნამდვილობას და მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ნამდვილობას, რომლებიც მომხდარია სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, განსაზღვრავს იმ მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობა, რომლის ტერიტორიაზედაც მოხდა დაქორწინება, შვილად აყვანა, მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესება ან რეგისტრირებული იყო მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტი.

თავი მესამე

სასარჩელო ხანდაზმულობა

მუხლი 9. სასარჩელო ხანდაზმულობის გამოყენება

სასარჩელო ხანდაზმულობა არ ვრცელდება

მოთხოვნებზე, რომლებიც გამოინდინაგობს საქორწინო და საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ კოდექსით დადგენილია ვადები დარღვეული უფლებების დასაცავად.

მუხლი 10. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა იწყება ამ კოდექსის შესაბამის მუხლში დადგენილი დროიდან, ხოლო, თუ ეს დრო აღნიშნული არ არის, მაშინ იმ დღიდან, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევა.

მუხლი 11. სასარჩელო ხანდაზმულობის გამოყენების წესი

იმ ნორმების გამოყენებისას, რომლებითაც დადგენილია სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები, სასამართლო ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 77-ე—79-ე და 82-ე—84-ე მუხლებით.

მუხლი 12. ვადების გამოთვლა

გამოთვლა ამ კოდექსით დადგენილი ვადებისა ხდება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-5 თავში გათვალისწინებული წესებით.

პარტი II

ქორწინება

თავი მეოთხე

დაქორწინების წესი და პირობები

მუხლი 13. დაქორწინება

დაქორწინება ფორმდება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოში.

ქორწინების რეგისტრაცია წესდება როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებისათვის, ისე მეუღლეთა და მათი შვილების პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით.

მუხლი 14. დაქორწინების პირობები


დაქორწინებისათვის აუცილებელია დასაქორწინებელ პირთა თანხმობა და საქორწინო ასაკი.

მუხლი 15. საქორწინო ასაკი

საქორწინო ასაკად დაწესებულია 18 წელი. გამონაკლის შემთხვევაში მშრომელთა დეპუტატების რაიონული და მოქალაქე საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ შეამცირონ საქორწინო ასაკი, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლით. ამ შემთხვევაში, ის პირი, რომელსაც შეუმიცრდა საქორწინო ასაკი სრულ ქმედუნარიანობას მოიპოვებს დაქორწინების დღიდან.

მუხლი 16. დაქორწინების ვადა და წესი

დაქორწინება ფორმდება ერთი თვის გასვლის შემდეგ იმ დღიდან, როცა დაქორწინების



მსურველნი განცხადებას შეიტანენ მოქალაქე-ობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოში.

ცალკეულ შემთხვევებში, საპატიო მიზეზის არსებობისას ერთვნიანი ვადა შეიძლება შემცირებულ იქნეს მშრომელთა დებუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მიერ.

მუხლი 17. დაქორწინების საზეიმო ვითარებაში ჩატარება

დაქორწინება ტარდება საზეიმო ვითარებაში. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოები უზრუნველყოფენ ქორწინების რეგისტრაციის საზეიმო ვითარებაში ჩატარებას დაქორწინების მსურველ პირთა თანხმობით.

მუხლი 18. დაქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები

- დაქორწინება არ დაიშვება:
 - ა) იმ პირთა შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი დაქორწინებულია სხვასთან;
 - ბ) პირდაპირი აღმავალი და დამავალი შტოს ნათესავებს შორის, ღვიძლ და აგრეთვე არაღვიძლ დასა და ძმას შორის;
 - გ) მშვილებელსა და ნაშვილებს შორის;
 - დ) იმ პირებს შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო სასამართლოს მიერ ცნობილია არაქმედუნარიანად.

თავი მეხუთე

მეუღლეთა უფლებები და მოვალეობანი

მუხლი 19. მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობა

მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოში გაფორმებული დაქორწინება.

მუხლი 20. მეუღლეთა პირადი უფლებები

დაქორწინების დროს მეუღლენი თავიანთი სურვილისამებრ აირჩევენ ერთ-ერთი მეუღლის გვარს თავიანთ საერთო გვარად, ანდა თითოეული დაიტოვებს თავის ქორწინებამდელ გვარს ან თავის გვარს შეუერთებს მეუღლის გვარს. გვარების შეერთება არ შეიძლება, თუ ორივე მეუღლეს ან ერთ მათგანს ორმაგი გვარი აქვს.

მეუღლეები ოჯახში სარგებლობენ თანაბარი უფლებებით და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობანი.

შვილების აღზრდისა და ოჯახის სხვა საკითხებს მეუღლეები ერთად წყვეტენ.

თითოეულ მეუღლეს თავისუფლად შეუძლია აირჩიოს საქმიანობა, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი.

მუხლი 21. მეუღლეთა საერთო თანასაკუთრება

მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო თანასაკუთრებას. მეუღლეებს აქვთ ამ ქონებით სარგებლობის, მისი მფლობელობისა და განკარგვის თანაბარი უფლება.

მეუღლეებს თანაბარი უფლებები აქვთ ქონებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო მეურნეობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზების გამო არა ქონდა დამოუკიდებელი შემოსავალი.

მუხლი 22. მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებაში წილის განსაზღვრა ქონების გაყოფის დროს

იმ ქონების გაყოფის შემთხვევაში, რომელიც მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებას შეადგენს, მეუღლეთა წილი თანაბარია. ცალკეულ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისს, გაითვალისწინოს არასრულწლოვანი შვილების ინტერესი ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესები. კერძოდ, ერთ-ერთი მეუღლის წილი შეიძლება გადიდებულ იქნეს იმის გათვალისწინებით, რომ მასთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რომ ის შრომისუუნაროა, აგრეთვე რომ მეორე მეუღლე თავს არიდებდა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში მონაწილეობას ან ხარჯავდა საერთო ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ.

მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების გაყოფისას სასამართლო განსაზღვრავს, თუ რომელი ნივთი რომელ მეუღლეს უნდა მიეკუთვნოს. პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთები (მუსიკალური ინსტრუმენტები, საქეიმიო მოწყობილობა, ბიბლიოთეკა და ა. შ.), რომლებიც თუმცა ქორწინების დროს არის შეძენილი მეუღლეთა საერთო სახსრებით, გადაეცემა იმ მეუღლეს, რომელსაც ეს ნივთები თავისი საქმიანობისათვის ესაჭიროება.


იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთ მეუღლეს გადაეცემა ისეთი ნივთი, რომლის ღირებულება მის კუთვნილ წილს აღემატება, მეორე მეუღლეს შეიძლება მიეკუთვნოს შესაბამისი ფულადი კომპენსაცია.

განქორწინებულ მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების გაყოფის თაობაზე სარჩელების ნიმართ გამოიყენება სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

მუხლი 23. თითოეული მეუღლის პირადი საკუთრება

თითოეული მეუღლის პირად საკუთრებას წარმოადგენს:

- ა) ქონება, რომელიც თითოეულ მათგანს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე;



ბ) ჩუქების ან მემკვიდრეობის წესით მიღებული ქონება.

მეუღლეთა პირად საკუთრებად ითვლება აგრეთვე პირადი მოხმარების ნივთები (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ა. შ.), თუნდაც ისინი შექმნილი იყოს ქორწინებაში ყოფნის დროს მეუღლეთა საერთო სახსრებით, გარდა ძვირფასეულობისა.

თითოეული მეუღლის ქონება შეიძლება ცნობილ იქნეს მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებად, თუ დადგენილი იქნება, რომ ქორწინების განმავლობაში დახარჯული თანხების შედეგად ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გადიდდა (კაპიტალური რემონტი, მშენებლობის დასრულება, გადაკეთება და სხვ.).

მუხლი 24. იმ მეუღლეთა უფლებები ქონებაზე, რომლებიც საკოლმეურნეო კომლის წევრები არიან

თუ მეუღლეები ითვლებიან საკოლმეურნეო კომლის წევრებად, ამ კოდექსის 21-ე — 23-ე და 25-ე მუხლებით გათვალისწინებული წესები გამოიყენება მხოლოდ იმ ქონების მიმართ, რომელიც მათი პირადი საკუთრებაა.

მეუღლეთა უფლებები საკოლმეურნეო კომლისა და ერთპიროვნული გლეხური კომლის ქონებაზე განისაზღვრება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 122-ე — 130-ე მუხლებით.

მუხლი 25. გადახდებიან მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებიდან

ერთ-ერთი მეუღლის ვალდებულებათა დასაფარავად გადახდებიან შეიძლება მხოლოდ მისი პირადი ქონებიდან და მისი წილიდან საერთო თანასაკუთრებაში. ასეთი ვალდებულებებისათვის მეუღლეები პასუხს აგებენ ქონებით, რომელიც მათ საერთო თანასაკუთრებას შეადგენს იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ რაც ვალდებულებით იყო მიღებული, გამოყენებულია მთელი ოჯახის ინტერესებისათვის.

ერთ-ერთი მეუღლის დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გადახდებიან შეიძლება მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებიდან იმ შემთხვევაში თუ სასამართლოს განაჩენით სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი იქნება, რომ ეს ქონება შექმნილი იყო დანაშაულის ჩადენის შედეგად მიღებული სახსრებით.

მუხლი 26. მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა

მეუღლეები მოვალენი არიან მატერიალურად დაეხმარონ ერთმანეთს. ასეთ დახმარებაზე უარის თქმის შემთხვევაში შრომისუუნარო მეუღლეს, რომელიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებს, უფლება აქვს, სასამართლოს სა-

შუალეობით მიიღოს სარჩო (ალიმენტი) მეორე მეუღლისაგან, თუ ამ უკანასკნელს შეუძლია მისი მიცემა.

ცოლს ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში უფლება აქვს, სასამართლოს საშუალებით მიიღოს სარჩო (ალიმენტი) ქმრისაგან, თუ ამ უკანასკნელს შეუძლია მისი მიცემა. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯებიც.

მუხლი 27. განქორწინების შემდეგ მეუღლის რჩენის მოვალეობა

შრომისუუნარო მეუღლე, რომელსაც დახმარება სჭირდება, მეუღლისაგან ალიმენტის მიღების უფლებას ინარჩუნებს განქორწინების შემდეგაც, თუ იგი შრომისუუნარო გახდა განქორწინებამდე, ან ერთი წლის განმავლობაში განქორწინების დღიდან.

თუ მეუღლენი ხანგრძლივი დროის განმავლობაში იმყოფებოდნენ ქორწინებაში, სასამართლოს უფლება აქვს ერთ-ერთ მეუღლეს გადაახდებინოს ალიმენტი იმ განქორწინებული მეუღლის სასარგებლოდ, რომელსაც დახმარება სჭირდება, იმ შემთხვევაშიც, როცა მეუღლეს საბუნსიო ასაკი შეუსრულდა არაუგვიანეს ხუთი წლისა განქორწინების დღიდან.


ამ კოდექსის 26-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ უფლებას ცოლი ინარჩუნებს იმ შემთხვევაშიც, თუ იგი დაორსულდა განქორწინებამდე.

მუხლი 28. მეუღლის გათავისუფლება მეორე მეუღლის რჩენის მოვალეობისაგან ან ამ მოვალეობის ვადით შეზღუდვა

სასამართლოს შეუძლია გათავისუფლოს მეუღლე მეორე მეუღლის რჩენის მოვალეობისაგან ან განსაზღვრული ვადით შეზღუდოს ეს მოვალეობა, თუ მეუღლეები ქორწინებაში იმყოფებოდნენ ხანმოკლე დროით, თუ მატერიალური დახმარების მომთხოვნმა მეუღლემ უღირსი საქციელი ჩაიდინა ალიმენტის გადახმდელის მიმართ, აგრეთვე, თუ მატერიალური დახმარების მომთხოვნი მეუღლის შრომისუუნარობა გამოწვეულია სპორტიანის სასმელების, ან ნარკოტიკული ნივთიერებების ბოროტად გამოყენებით, ანდა მის მიერ დანაშაულის ჩადენით.

მუხლი 29. მეუღლის სარჩენი სახსრების ოდენობა

მეუღლის სასარგებლოდ გადასახდელი სახსრების ოდენობა განისაზღვრება ყოველთვიურად გადასახდელი მტკიცე თანხის სახით მეუღლეთა მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით.



ერთ-ერთი მეუღლის მატერიალური ან ოჯახური მდგომარეობის შეცვლისას თითოეულ მეუღლეს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს სარჩელით ალიმენტის ოდენობის შეცვლის შესახებ.

მუხლი 30. მეუღლისაგან სარჩოს მიღების უფლების მოსპობა

მეუღლისაგან სარჩოს მიღების უფლება მოიხსნება, თუ აღარ არსებობს ამ კოდექსის 26-ე და 27-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლები, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც სარჩოს მიმღები განქორწინებული მეუღლე ხელახლა დაქორწინდა.

თუ სარჩოს ახდენებდნენ სასამართლოს გადაწყვეტილებით, სარჩოს გადახდელ მეუღლეს ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს სარჩელით შემდგომში ალიმენტის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ.

თავი მეექვსე

ქორწინების შეწყვეტა

მუხლი 31. ქორწინების შეწყვეტა

ქორწინება წყდება ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებით ან კანონით დადგენილი წესით ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებულად აღიარებით.

მეუღლეთა სიცოცხლეში ქორწინება წყდება განქორწინებით ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის განცხადებით.

მუხლი 32. განქორწინების წესი

განქორწინება ხდება სასამართლო წესით, ხოლო ამ კოდექსის 38-ე, 39-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევისას — მშრომელთა დებუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ბიუროში (განყოფილებაში).

ცოლის ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში ქმარს უფლება არ აქვს, ცოლის თანხმობის გარეშე აღძრას საქმე განქორწინების შესახებ.

მუხლი 33. განქორწინება სასამართლოს მიერ

განქორწინების საქმეებს სასამართლო განიხილავს სასარჩელო წარმოების წესით, რომელიც დადგენილია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საბროცესო კოდექსით.

სასამართლო იღებს ზომებს მეუღლეთა შესარიგებლად, უფლება აქვს, გადადოს საქმის განხილვა და მეუღლეებს დაუნიშნოს ვადა შერიგებისათვის მაგრამ არაუმეტეს ექვსი თვისა.

განქორწინება მოხდება, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მეუღლეთა შემდგომი ერთად ცხოვრება და ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია.

განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო, როცა აუცილებელია, ზომებს იღებს მეცარეულოვანი შვილებისა და შრომისუუნარო მეუღლის ინტერესების დასაცავად.

მუხლი 34. შვილების აღზრდის შესახებ დავის გადაწყვეტა

როცა მეუღლეთა შორის არ არის შეთანხმება, იმის შესახებ თუ განქორწინების შემდეგ ვისთან უნდა დარჩნენ შვილები საცხოვრებლად და რა სახსრები იქნეს შვილების შესანახად გადახდილი, სასამართლო მოვალეა, განქორწინებასთან ერთად განსაზღვროს, რომელი შვილი რომელ მშობელთან დარჩეს და რომელ მშობელს რა ოდენობით უნდა გადახდეს ალიმენტი.

ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საჭიროებისამებრ, საქმეში მონაწილეობის მისაღებად ჩაბმულ უნდა იქნეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

მუხლი 35. მეუღლის სარჩენი სახსრების გადახდევინება

იმ მეუღლის თხოვნით, რომელსაც უფლება აქვს მიიღოს სარჩო მეორე მეუღლისაგან, სასამართლო ვალდებულია, განქორწინების საქმის გადაწყვეტასთან ერთად განსაზღვროს იმ სახსრების ოდენობა, რომელიც უნდა გადახდეს მეორე მეუღლეს.

მუხლი 36. მეუღლეების საერთო თანასაკუთრების გაყოფა

მეუღლეებს ან ერთ-ერთი მათგანი თხოვნით სასამართლო ვალდებულია განქორწინების საქმის გადაწყვეტასთან ერთად განიხილოს იმ ქონების გაყოფის საკითხი, რომელიც წარმოადგენს მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებას.


თუ ასეთი გაყოფა ეხება მესამე პირის უფლებებს, დაეა ქონების გაყოფის შესახებ არ შეიძლება გადაწყდეს განქორწინების საქმესთან ერთად.

მუხლი 37. სახელმწიფო ბაჟი განქორწინების საქმეებზე

განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო განსაზღვრავს თანხას 50-დან 200 მანეთამდე, რომელიც უნდა გადახდეს ერთ-ერთ ან ორივე მეუღლეს განქორწინების მოწმობის გაცემისას. თუ სასამართლო საჭიროდ ცნობს, რომ ბაჟი უნდა გადახდეს ორივე მეუღლეს, განსაზღვრავს ერთოეული მეუღლის მიერ გადასახდელ თანხას.

მუხლი 38. იმ მეუღლეთა ურთიერთთანხმობით განქორწინება, რომელთაც არ ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები

იმ მეუღლეთა ურთიერთთანხმობით განქორწინება, რომელთაც არ ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები, ხდება მშრომელთა დებუტატ-



ტების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმას-
კომისის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქ-
ტების ჩამწერ ბიუროში (განყოფილებაში). ამ
შემთხვევაში განქორწინების გფორმება და
განქორწინების მოწმობის გაცემა წარმოებს
მეუღლეთა მიერ განქორწინების შესახებ გან-
ცხადების შეტანის დღიდან სამი თვის გასვლის
შემდეგ. განქორწინების მოწმობის გაცემისას
გადახდებით სახელმწიფო ბაჟი 50 მანეთის
ოდენობით.

თუ მეუღლეთა შორის არის დავა, განქორ-
წინების საქმეს განიხილავს სასამართლო.

**მუხლი 39. განქორწინება მოქალაქეობრივი
მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში
ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით**

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების
ჩამწერ ორგანოში განქორწინება ხდება იმ
პირობაზე, რომელიც:

- ა) კანონით დადგენილი წესით აღიარებულ-
ლი უკვალოდ დაკარგულად;
- ბ) სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტო-
ბის გამო სასამართლოს მიერ აღიარებულია
არაქმედუნარიანად;
- გ) სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია და-
ნაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით არა-
ნაკლებ სამი წლისა.

თუ მეუღლე, რომელიც მსჯავრდებულია თა-
ვისუფლების აღკვეთით, აღძრავს დავას ბავშვე-
ბის ან ქონების გაყოფის შესახებ, ან თუ არა-
ქმედუნარიანი პირის მეურვე მოთხოვს ქო-
ნების გაყოფას ან აღიშენების გადახდევინებას,
ასეთ შემთხვევებში განქორწინება მოხდება
სასამართლო წესით.

ამ შემთხვევებში განქორწინების მოწმობის
გაცემისას იმ მეუღლეს, რომელმაც შეიტანა
განცხადება, გადახდება სახელმწიფო ბაჟი 50
კაპიკის ოდენობით.

მუხლი 40. ქორწინების შეწყვეტის დრო

განქორწინების შესახებ სასამართლოს გა-
დაწყვეტილება, რომელიც კანონიერ ძალაშია
შესული, ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის მო-
თხოვნით აღსრულებდა არაუგვიანეს სამი
წლისა მშრომელთა დეპუტატების რაიონული
(საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტე-
ტის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების
ჩამწერ ბიუროში (განყოფილებაში) რეგისტრა-
ციის საშუალებით.

ქორწინება შეწყვეტილი ითვლება მოქალა-
ქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორ-
განოში განქორწინების რეგისტრაციის დღიდან.

**მუხლი 41. განქორწინების დროს მეუღლის
მიერ გვარის შეცვლა**

მეუღლეს, რომელმაც გვარი შეიცვალა და-
ქორწინების დროს, უფლება აქვს განქორწინე-
ბის შემდეგაც ატაროს იგივე გვარი ან მისი

მოთხოვნით მიეკუთვნება ქორწინების დროს
გვარი.

თუ სასამართლო განხილვის დროს არ იყო
განცხადებული გვარის შეცვლის შესახებ, მაშინ
მხარეებს უფლება აქვთ ამის თაობაზე განა-
ცხადონ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქ-
ტების ჩამწერ ორგანოში განქორწინების რე-
გისტრაციის დროს.

**მუხლი 42. ქორწინების აღდგენა გარდა-
ცვლილად გამოცხადებული ან უკვალოდ და-
კარგულად აღიარებული მეუღლის გამოჩენის
შემთხვევაში**

იმ შემთხვევაში, თუ გამოჩნდება კანონით
დადგენილი წესით გარდაცვალებულად გამო-
ცხადებული ან უკვალოდ დაკარგულად აღიარ-
ებული მეუღლე, რომელთანაც ამ საფუძველ-
ზე შეწყვეტილი იყო ქორწინება, და გაუქმდე-
ბა სასამართლოს გადაწყვეტილება მისი გარ-
დაცვალებულად ან უკვალოდ დაკარგულად
აღიარების შესახებ, ქორწინება შეიძლება
აღადგინოს მოქალაქეობრივი მდგომარეობის
აქტების ჩამწერმა ორგანომ მეუღლეთა ერთ-
ობლივი განცხადებით, ხოლო იმ შემთხვევა-
ში, თუ ისინი განქორწინებული იყვნენ სასა-
მართლო წესით, სასამართლო მათი განცხადე-
ბით აუქმებს გადაწყვეტილებას განქორწინების
შესახებ.

ქორწინება არ შეიძლება აღდგენილ იქნეს,
თუ გარდაცვლილად გამოცხადებულის ან უკ-
ვალოდ დაკარგულად აღიარებულის მეუღლე
ხელახლა დაქორწინდა.

თავი მეშვიდე

ქორწინების ბათილობა

**მუხლი 43. ქორწინების ბათილობის სა-
ფუძვლები**


ქორწინება შეიძლება ცნობილ იქნეს ბათი-
ლად, თუ დარღვეულია ამ კოდექსის მე-14,
მე-15 და მე-18 მუხლებით დაწესებული პი-
რობები და აგრეთვე იმ შემთხვევაში თუ
ქორწინების რეგისტრაცია მიზნად არ ისახავდა
ოჯახის შექმნას (ფიქტიური ქორწინება).

საქმეს ქორწინების ბათილობის შესახებ გა-
ნიხილავს სასამართლო საერთო სასარჩელო
წესით.

**მუხლი 44. ქორწინების ბათილად ცნობა მე-
უღლის მიერ საქორწინო ასაკის მიუღწევლობის
შემთხვევაში**

იმ პირობაზე ქორწინება, რომელსაც საქორწინ-
ო ასაკისათვის არ მიუღწევია და არ ქონდა
შემცირებული საქორწინო ასაკი, შეიძლება
ცნობილ იქნეს ბათილად, თუ ამას მოითხოვს იმ
მეუღლის ინტერესები, რომელიც დაქორწინდა
საქორწინო ასაკის მიუღწევად.

ამ საფუძვლით ქორწინების ბათილად ცნო-



ბის მოთხოვნის უფლება აქვს არასრულწლოვან მეუღლეს, მის მშობლებს ან მის მეურვეს (მზრუნველს), აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ან პროკურორს.

ასეთი საქმის განხილვის ყველა შემთხვევისას საქმეში მონაწილეობის მისაღებად ჩაბმულ უნდა იქნეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

თუ საქმის განხილვის მომენტისათვის არასრულწლოვანმა მეუღლემ საქორწინო ასაკს მიაღწია, მაშინ ქორწინება შეიძლება ცნობილ იქნეს ბათილად მხოლოდ მისი მოთხოვნით.

მუხლი 45. ქორწინების ბათილად ცნობა და ქორწინებისას ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებათა არსებობის გამო

ქორწინება, რომელიც გაფორმდება ამ კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული პირობების დარღვევით, შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი სასამართლოს მიერ.

თუ საქმის განხილვის მომენტისათვის აღარ არსებობს დაქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები, სასამართლოს შეუძლია ქორწინება კანონიერად ცნოს ამ გარემოებათა მოსპობის მომენტისადაც.

ასეთი საფუძვლით ქორწინების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება აქვთ მეუღლეებს და იმ პირთ, რომელთა უფლებებიცაა დარღვეული ამ დაქორწინებით, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს ან პროკურორს.

სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო არაქმედუნარიანად ცნობილ პირთან ქორწინების გაბათილების საქმის განხილვისას აუცილებელია საქმეში მონაწილეობის მისაღებად მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩაბმა.

მუხლი 46. იძულების შედეგად მომხდარი დაქორწინების ბათილად ცნობა

იძულების შედეგად მომხდარი დაქორწინების შემთხვევაში მეუღლეს (მეუღლეებს) შეუძლია აღძრას სარჩელი ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ.

იძულებით დაქორწინების ფაქტი უნდა დადგინდოს სასამართლომ.

მუხლი 47. ფიქტიური ქორწინების ბათილად ცნობა

ქორწინება, რომელიც მოხდა ისე, რომ მიზნად არ ისახავდა ოჯახის შექმნას, შეიძლება ცნობილ იქნეს ბათილად.

ფიქტიური ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის აღძვრის უფლება აქვს პროკურორს, ხოლო თუ ერთ-ერთი მეუღლე დაქორწინდა ისე, რომ მიზნად არ ისახავდა ოჯახის შექმნას, ასეთი სარჩელი შეუძლია აღძვრას აგრეთვე მეორე მეუღლემაც.

ქორწინება არ შეიძლება ცნობილ იქნეს ფიქტიურად, თუ პირებმა, რომლებმაც მოახდინეს ასეთი ქორწინების რეგისტრაცია, სასამართლოს მიერ საქმის განხილვამდე ფაქტიურად უკვე შექმნეს ოჯახი.

მუხლი 48. ქორწინების ბათილად ცნობის შედეგები

ბათილად ცნობილი ქორწინება ბათილად ითვლება ქორწინების გაფორმების დღიდან.

ბათილად ცნობილი ქორწინება არ წარმოშობს მეუღლეთა უფლებებსა და მოვალეობებს.

იმ პირთა ქონებრივი ურთიერთობები, რომელთა ქორწინება ბათილად იქნა ცნობილი, წესრიგდება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 111-ე — 120-ე მუხლებით.

ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლოს უფლება აქვს, იმ მეუღლეს, რომელმაც არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობის შესახებ, მიაკუთვნოს მეორე მეუღლისაგან სარჩოს მიღების უფლება ამ კოდექსის 26-ე — 30-ე მუხლების შესაბამისად, ხოლო ქორწინების ბათილად ცნობამდე შექმნილი ქონების გაყოფისას გამოიყენოს ამ კოდექსის 21-ე — 25-ე მუხლებით გათვალისწინებული წესები.

ქორწინების ბათილად ცნობა გავლენას არ ახდენს ასეთი ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვთა უფლებებზე.

პ ა რ ი III

ოჯახი

თავი მერვე

შვილების წარმოშობის დადგენა და ჩაწერა

მუხლი 49. მშობლების და შვილების უფლება-მოვალეობათა წარმოშობის საფუძვლები

მშობლების და შვილების ურთიერთ უფლება-მოვალეობებს საფუძვლად უქვეს შვილების წარმოშობა, რაც დადასტურებულია კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 50. დაქორწინებული მშობლების შვილის წარმოშობის დადგენა

შვილის წარმოშობა იმ მშობლებისაგან, რომლებიც ქორწინებაში არიან, დასტურდება ჩანაწერით მშობელთა ქორწინების შესახებ.

მუხლი 51. დაუქორწინებელ მშობელთა შვილის წარმოშობის დადგენის წესი

შვილის წარმოშობა იმ მშობლებისაგან, რომლებიც ერთმანეთთან ქორწინებაში არ არიან, დადგინდება მათ მიერ ერთობლივი განცხადე-



ბის შეტანით მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამოწერის სახელმწიფო ორგანოში.

მშობელთა ერთობლივი განცხადების უქონლობის შემთხვევაში მამობა შეიძლება დადგენილ იქნეს სასამართლო წესით ერთ-ერთი მშობლის, ბავშვის მეურვის (მზრუნველის) ან იმ პირის განცხადებით, რომლის კმაყოფაზე იმყოფება ბავშვი, აგრეთვე თვით ბავშვის განცხადებით მის მიერ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ.

მამობის დადგენისას სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრებას და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე, ან ბავშვის ერთად აღზრდას ან რჩენას, ან დამამტიცებელ საბუთს, რომელიც სავესებით ადასტურებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას.

ამ მუხლით გათვალისწინებული წესით მამობის დადგენისას მშობლებისა და მათი ნათესავების მიმართ ბავშვებს აქვთ ისეთივე უფლებები და მოვალეობები, როგორც დაქორწინებულ პირთაგან დაბადებულ ბავშვებს.

მუხლი 52. დაქორწინებული მშობლების ჩაწერა

დაბადების ჩაწერის წიგნში შვილის მშობლებად დაქორწინებული დედა და მამა ჩაიწერება ერთ-ერთი მათგანის განცხადებით.

ბავშვის დედად ან მამად ჩაწერილ პირს უფლება აქვს, სასამართლო წესით სადავოდ გახადოს ჩანაწერი ერთი წლის განმავლობაში იმ მომენტიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ან ცნობილი უნდა ყოფილიყო ჩანაწერის შესახებ.

მუხლი 53. დაუქორწინებელი მშობლების ჩაწერა

თუ მშობლები დაუქორწინებელი არიან ერთმანეთთან, ჩანაწერი ბავშვის დედის შესახებ წარმოებს დედის განცხადებით, ხოლო ჩანაწერი მამის შესახებ — ბავშვის მშობლების ერთობლივი განცხადებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით.

თუ დედა გარდაიცვალა ან შეუძლებელია მისი საცხოვრებელი ადგილის დადგენა, ბავშვის მამის ჩაწერა ხდება მამის განცხადებით.

მუხლი 54. ჩანაწერი მამის შესახებ, როდესაც მამობა დადგენილი არ არის

როცა ბავშვი შეეძინება დედას, რომელიც დაუქორწინებელია, თუ არ არსებობს მშობელთა ერთობლივი განცხადება ან სასამართლოს გადაწყვეტილება მამობის დადგენის შესახებ, დაბადების ჩაწერის წიგნში ბავშვის მამის გვარად ჩაიწერება დედის გვარი, ხოლო სახელი და მამის სახელი ბავშვის მამისა ჩაიწერება დედის მითითებით.

მუხლი 55. შვილის სახელი და მამის სახელი
შვილს სახელი დაერქმევა მშობლების შეთანხმებით, მამის სახელი ეძლევა მამის სახელის მიხედვით, ხოლო ამ კოდექსის 54-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში — იმ პირის სახელის მიხედვით, რომელიც მამად არის ჩაწერილი.

მუხლი 56. შვილის გვარი
შვილის გვარი განისაზღვრება მშობლების გვარის მიხედვით, თუ მშობლებს საერთო გვარი არ აქვთ შვილს მიეკუთვნება დედის ან მამის გვარი მშობლების შეთანხმებით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში — მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების მითითებით.

მუხლი 57. შვილის გვარის გამოცვლა
მშობლებს შორის ქორწინების შეწყვეტა არ იწვევს შვილის გვარის გამოცვლას.

მშობელს, რომელთანაც არასრულწლოვანი შვილი საცხოვრებლად დარჩა ქორწინების შეწყვეტის ან ბათილად ცნობის შემდეგ, უფლება აქვს, შვილის ინტერესების შესაბამისად მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შვილისათვის თავისი გვარის მიკუთვნების შესახებ. თუ ბავშვი ათ წელზე მეტი ხნისაა, გვარის შეცვლისათვის საჭიროა მისი თანხმობა.

თავი მეცხრე

მშობლების უფლებანი და მოვალეობანი შვილების აღზრდის საქმეში

მუხლი 58. მშობლების უფლებანი და მოვალეობანი


დედა და მამა თავიანთი შვილების მიმართ სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და მოვალეობებით.

მშობლებმა თავიანთი შვილები უნდა აღზარდონ კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის სულისკვეთებით, იზრუნონ მათი ფიზიკური განვითარებისათვის, სწავლებისათვის და საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობისათვის მოსამზადებლად.

არასრულწლოვანი შვილების უფლებებისა და ინტერესების დაცვა ეკისრება მათ მშობლებს.

მშობლები თავისი არასრულწლოვანი შვილების ჯანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე გამოდიან მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად ყველა დაწესებულებაში, მათ შორის სასამართლოშიც.

მშობლის უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნას შვილების ინტერესების საწინააღმდეგოდ.



შვილების მიმართ მშობლებს აქვთ თანაბარი უფლებები და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობები იმ შემთხვევაშიც, როცა ისინი განკურწინებული არიან.

მუხლი 59. შვილების აღზრდაში მშობლების შეთანხმების აუცილებლობა

შვილების აღზრდის ყველა საკითხს მშობლები ურთიერთთანხმობით წყვეტენ.

შეთანხმებლობის შემთხვევაში სადავო საკითხს გადაწყვეტს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მშობლების მონაწილეობით.

მუხლი 60. შვილების საცხოვრებელი ადგილი მშობლების ცალ-ცალკე ცხოვრების შემთხვევაში

თუ განქორწინების ან სხვა მიზეზის გამო მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზეა დამოკიდებული, ვისთან უნდა ცხოვრობდნენ არასრულწლოვანი შვილები.

შეთანხმებლობის შემთხვევაში დავას გადაწყვეტს სასამართლო შვილების ინტერესების გათვალისწინებით.

მუხლი 61. ცალკე მცხოვრები მშობლის უფლება შვილის აღზრდაში მონაწილეობისა

მშობელს, რომელიც შვილთან ერთად არ ცხოვრობს, უფლება აქვს, ურთიერთობა ჰქონდეს შვილთან და ვალდებულია, მონაწილეობა მიიღოს მის აღზრდაში. მშობელს, რომელთანაც შვილი ცხოვრობს, უფლება არა აქვს, ხელი შეუშალოს მეორე მშობელს ურთიერთობა იქონიოს შვილთან და მონაწილეობა მიიღოს მის აღზრდაში.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლება აქვს ცალკე მცხოვრებ მშობელს განსაზღვრული ვადით ჩამოართვას შვილთან ურთიერთობის უფლება, თუ ასეთი ურთიერთობა ხელს უშლის შვილის ნორმალურ აღზრდას და მავნე გავლენას ახდენს მასზე.

თუ ცალ-ცალკე მცხოვრები მშობლები ვერ შეთანხმდებიან შვილთან ურთიერთობის წესსა და მის აღზრდაში მონაწილეობის თაობაზე და არ ემორჩილებიან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიითითებას, ამ უკანასკნელს უფლება აქვს, დავას გადასაწყვეტად მიმართოს სასამართლოს.

მუხლი 62. ბებისა და პაპის უფლება შვილიშვილებთან ურთიერთობისა

ბებისა და პაპს უფლება აქვთ, ურთიერთობა იქონიონ თავიანთ არასრულწლოვან შვილიშვილებთან. იმ შემთხვევაში, თუ მშობლები უარს ეუბნებიან ბებისა და პაპის შვილიშვილებთან ურთიერთობაზე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შეუძლია დაავალდებულოს მშობლები, საშუალება მისცენ ბებისა და პაპს ურთიერთობა იქონიონ შვილიშვილებთან ამ ორგანოს მიერ დადგენილი წესით,

თუ ეს ხელს არ შეუშლის ბავშვების ნორმალურ აღზრდას და მავნე გავლენას არ მოახდენს მათზე.

მუხლი 63. მშობლების უფლებათა დაცვა

მშობლებს უფლება აქვთ სასამართლო წესით მოითხოვონ არასრულწლოვანი შვილის დაბრუნება იმ პირისაგან, რომელიც კანონიერი საფუძვლის ან სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე ამყოფებს მას თავისთან.

სასამართლომ შეიძლება არ დააქაყოფილოს მშობლების ასეთი მოთხოვნა თუ იგი ეწინააღმდეგება შვილის ინტერესებს.

მუხლი 64. მშობლის უფლებათა ჩამორთმევა მშობლის უფლების ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ სასამართლო წესით.

მშობლებს ან ერთ-ერთ მათგანს შეიძლება ჩამოერთვას მშობლის უფლებები, თუ გამოირკვევა, რომ ისინი თავს არიდებენ შვილების აღზრდის მოვალეობის შესრულებას ან ბოროტად იყენებენ მშობლის უფლებებს — სასტიკად ეპყრობიან შვილებს, მავნე გავლენას ახდენენ მათზე თავიანთი ამორალური, ანტიზნობრივი ან სხვადასხვა სახის ურთიერთობებით, თუ მშობლები ქრონიკული ალკოჰოლიკები ან ნარკომანები არიან.

იმ შემთხვევაში, თუ ორივე მშობელს ჩამოერთმევა მშობლის უფლება, ბავშვი მზრუნველობისათვის გადაეცემა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

მშობლის უფლების ჩამორთმევა არ ათავისუფლებს მშობლებს შვილების რჩენის მოვალეობისაგან.

საქმეს მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ სასამართლო განიხილავს პროკურორისა და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის მონაწილეობით.

მუხლი 65. მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ საქმის აღძვრის წესი

საქმეს მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ სასამართლო განიხილავს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ერთ-ერთი მშობლის ან ბავშვის მეურვის (მზრუნველის) განცხადებით, აგრეთვე პროკურორის სარჩევლით.

მშობლისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანასთან ერთად სასამართლო წყვეტს ამ პირისაგან ალიმენტის გადახდის საკითხს.

მუხლი 66. მშობლის უფლების ჩამორთმევის შედეგები

მშობელი, რომელსაც ჩამოერთვა მშობლის უფლება, კარგავს ამ შვილის მიმართ ყველა უფლებას დამყარებულს შვილთან ნათესაობაზე.

თუ მშობელი, რომელსაც ჩამოერთვა მშობ-



ლის უფლება, სისტემატურად არღვევს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს და ამით შეუძლებელს ხდის ბავშვის მასთან ერთად ცხოვრებას, არ ემორჩილება გაფრთხილებებსა და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებს, შეიძლება გამოსახლებულ იქნეს ბინიდან საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 326-ე მუხლის შესაბამისად სხვა საცხოვრებელი ფართობის მათეცემლად.

**მუხლი 67. ბავშვის ნახვა მშობლის უფლებ-
ბაჩამორთმეული პირისაგან**

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შეუძლია, მშობლის უფლებაჩამორთმეულ პირს ღართოს ნახვის ნება, თუ ეს მავნე გავლენას არ მოახდენს ბავშვზე.

მუხლი 68. მშობლის უფლების აღდგენა

მშობლის უფლების აღდგენა შეიძლება მხოლოდ სასამართლო წესით ბავშვის ერთ-ერთი მშობლის, მეურვის (მზრუნველის), სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების განცხადებით, აგრეთვე პროკურორის სარჩელით.

მშობლის უფლების აღდგენა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგენილი იქნება, რომ მშობლის ყოფაქცევა და მისი ცხოვრების პირობები შეიცვალა და მას შეუძლია აღზარდოს შვილი, და თუ მშობლის უფლების აღდგენას მოითხოვს ბავშვის ინტერესები.

თუ ბავშვს შეუსრულდა ათი წელი, სასამართლო ითვალისწინებს აგრეთვე ბავშვის სურვილსაც.

მშობლის უფლების აღდგენა არ დიშვება იმ ბავშვის მიმართ, რომელიც ნაშვილებია სხვა პირის მიერ.

მუხლი 69. მშობლებსათვის შვილის ჩამორთმევა მშობლის უფლების ჩამოურთმევლად

თუ მშობლებთან შვილის დატოვება ბავშვისათვის სასიანოა, სასამართლოს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება მშობლის უფლების ჩამოურთმევლად მშობლებსათვის შვილის ჩამორთმევისა და მისი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანიზაციისათვის გადაცემის შესახებ.

თუ მოისპო შვილის ჩამორთმევის საფუძველი, სასამართლოს შეუძლია მშობლების ან პროკურორის სარჩელით, შვილის ინტერესების შესაბამისად, გამოიტანოს გადაწყვეტილება მშობლებსათვის შვილის დაბრუნების შესახებ.

მუხლი 70. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მონაწილეობა შვილების აღზრდასთან დაკავშირებით დავის გადაწყვეტაში

შვილების აღზრდასთან დაკავშირებით აღძრული დავის სასამართლო წესით განხილვისას საქმეში მონაწილეობისათვის აუცილებლად

უნდა იქნეს ჩაბმული მეურვეობის ევლობის ორგანო.

თავი მეთე

**მშობლებისა და შვილების
საალიმენტო მოვალეობანი**

**მუხლი 71. მშობლების მიერ შვილები
არჩენის მოვალეობა**

მშობლები მოვალე არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე შრომისუუნარო სრულწლოვანი შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ.

**მუხლი 72. არასრულწლოვანი შვილებისათვის
გადასახდელი ალიმენტის ოდენობა**

არასრულწლოვანი შვილებისათვის მშობლებს ალიმენტი გადახდებათ შემდეგი ოდენობით: ერთი ბავშვის სარჩენად — ხელფასის (შემოსავლის) ერთი მეოთხედი, ორი ბავშვის სარჩენად — ერთი მესამედი, სამი და მეტი ბავშვის სარჩენად — ხანევარი.


ამ წილთა ოდენობა სასამართლოს შეუძლია შეამციროს, თუ მშობელს, რომელიც მოვალეა, იხდიდეს ალიმენტს, ჰყავს სხვა არასრულწლოვანი შვილები, რომლებიც ამ მუხლის შესაბამისად დადგენილი ოდენობით ალიმენტის გადახდისას შეიძლება აღმოჩნდნენ მატერიალურად უფრო ნაკლები უზრუნველყოფილი, ვიდრე ის შვილები, რომლებიც ალიმენტს იღებენ, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მშობელი, რომელსაც ალიმენტს ახდევინებენ, პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდაა, ან, თუ შვილები მუშაობენ და საკმარისი ხელფასი აქვთ.

სასამართლოს უფლება აქვს, შეამციროს ალიმენტის ოდენობა ან ალიმენტის გადახდისაგან გაათავისუფლოს მშობელი, თუ შვილები სახელმწიფოს ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის სრულ კმაყოფაზე არიან.

მუხლი 73. ხელფასის (შემოსავლის) სახეობები, რომლებიც მხედველობაში შიიდება ალიმენტის გადახდევინებისას

ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძველებს შესაბამისად ხელფასის (შემოსავლის) ის სახეობები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს ალიმენტის გადახდევინების დროს, განისაზღვრება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 74. ალიმენტის გადახდევინება იმ პირისაგან, რომელსაც აქვს დამატებითი შემოსავალი საკარმიდამო ნაკვეთზე მოწყობილი დამხმარე მეურნეობიდან



შვილების სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრებისას მშობელს — კოლმეტურნიკების წევრს, აგრეთვე მუშასა და მოსამსახურეს, რომელსაც აქვს დამატებითი შემოსავალი საკარმიდამო ნაქვეთზე მოწყობილ დაძმარე მეურნეობიდან, კოლმეტურნიკების სასოფალოებრივ მეურნეობაში მუშაობისათვის მიღებული შემოსავლიდან და ხელფასიდან ალიმენტის წილობრივი გადახდვინების გარდა, შეიძლება გადახდეს აგრეთვე გარკვეული თანხა, რომლის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს იმ შემოსავლის მიხედვით, რაც ერგება მომასუხეს დამხარე მეურნეობიდან.

მუხლი 75. შვილებისათვის ალიმენტის გადახდა მტკიცედ განსაზღვრული თანხის სახით იმ შემთხვევაში, როდესაც მშობელს, რომელიც ვალდებულია გადაიხადოს ალიმენტი, აქვს არარეგულარული, ცვალებადი ხელფასი (შემოსავალი), ან, როდესაც მშობელი ხელფასის (შემოსავლის) ნაწილს ღებულობს ნატურით, ანდა სხვა ისეთ შემთხვევაში, როდესაც ხელფასის (შემოსავლის) წილის მიხედვით ალიმენტის გადახდევინება შეუძლებელია ან ძნელია, დაინტერესებული პირის თხოვნით შვილებისათვის ალიმენტის ოდენობა შეიძლება განისაზღვროს ყოველთვიურად გადასახდელი მტკიცე თანხის სახით.

გადასახდელი თანხის ოდენობა განისაზღვრება მშობლების ნაგარაუდვეი ხელფასიდან (შემოსავლიდან) და ამ კოდექსის 72-ე მუხლის წესების შესაბამისად.

თუ შვილებს აღსაზრდელად ინაწილებენ მშობლები, ალიმენტის ოდენობას, რომელიც ერთ მშობელს უნდა გადახდეს ნაკლებად უზრუნველყოფილი მეორე მშობლის სასარგებლოდ, სასამართლო განსაზღვრავს მტკიცე თანხის სახით მშობელთა მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით, ამ კოდექსის 72-ე მუხლით დადგენილ ფარგლებში.

მუხლი 76. მშობლების მონაწილეობა დამატებით ხარჯებში

მშობელს, რომელიც ალიმენტს უხდის არასრულწლოვან შვილებს, შეიძლება დაეკისროს მონაწილეობა დამატებით ხარჯებში, რომლებიც გამოწვეულია განსაკუთრებული გარემოებებით (ბავშვის მძიმე ავადმყოფობით, დასახიჩრებით და სხვ.).

მუხლი 77. საბავშვო დაწესებულებაში მოთავსებული შვილებისათვის ალიმენტის გადახდა

საბავშვო დაწესებულებაში მოთავსებული შვილების შესაძახი ხარჯები შეიძლება გადახდეს მშობლებს დაწესებულებათა სასარგებლოდ ამ კოდექსის 72-ე მუხლით დაწესებული ოდენობით.

სასამართლოს უფლება აქვს, მშობლებს მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით მოლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს ისინი ამ სახსრების გადახდისაგან.

მუხლი 78. საქმის არსებითად განხილვამდე შვილებისათვის ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა

იმ შემთხვევაში, როდესაც მომასუხე მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში ბავშვის მშობლად არის ჩაწერილი, ამ კოდექსის 52-ე და 53-ე მუხლების შესაბამისად, სასამართლო შეუძლია საქმის არსებითად განხილვამდე გამოტანოს განჩინება შვილის შესაძახი სახსრების გადახდევინების შესახებ.

გადასახდელი თანხის ოდენობა განისაზღვრება მომასუხის ხელფასის (შემოსავლის) წილით ან ყოველთვიურად გადასახდელი მტკიცე თანხის სახით.

მუხლი 79. სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილისათვის გადასახდელი ალიმენტის ოდენობა

შრომისუუნარო სრულწლოვანი შვილისათვის, რომელიც დახმარებას სჭიროებს, მშობლებს ალიმენტი გადახდება ყოველთვიურად მტკიცე თანხის სახით, შვილებისა და მშობლების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით.

მუხლი 80. შვილების მიერ მშობლების რჩენის მოვალეობა

სრულწლოვანი შვილები მოვალე არიან, არჩაინ შრომისუუნარო მშობლები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ, და იზრუნონ მათთვის.


შვილები შეიძლება გაათავისუფლდნენ მშობლების რჩენის მოვალეობისაგან, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მშობლები თავს არიდებდნენ მშობლის მოვალეობის შესრულებას.

მშობელი, რომელსაც მშობლის უფლება აქვს ჩამორთმეული, კარგავს შვილებისაგან ალიმენტის მოთხოვნის უფლებას.

მუხლი 81. მშობლებისათვის გადასახდელი ალიმენტის ოდენობა

თითოეული შვილის მონაწილეობას იმ შრომისუუნარო მშობლების რჩენაში, რომლებიც დახმარებას სჭირებენ, განსაზღვრავს სასამართლო ყოველთვიურად გადასახდელი მტკიცე თანხის სახით, მშობლებისა და შვილების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით.

ამ თანხის განსაზღვრისას სასამართლო ითვალისწინებს მშობლების ყველა სრულწლოვანი შვილის მოვალეობას მიუხედავად იმისა,



სარჩელი წარდგენილია ყველა, რამდენიმე თუ ერთი შეილის მიმართ.

მუხლი 82. არასრულწლოვანი შვილისათვის გადასახდელი ალიმენტის ოდენობის შეცვლა

მშობელს, რომელიც არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ იხდის ალიმენტს, ამ კოდექსის 72-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებათა დადგომის შემთხვევაში უფლება აქვს, აღძრას სარჩელი სასამართლოს მიერ დადგენილი ალიმენტის ოდენობის შემცირების შესახებ.

72-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილით გათვალისწინებული პირობების შეცვლის შემთხვევაში ალიმენტის მიმღებ პირს უფლება აქვს, მოითხოვოს ალიმენტის განსაზღვრა ამ კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ოდენობით.

იმ მშობლების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის შეცვლის შემთხვევაში, რომლებიც ალიმენტს იხდიან მტკიცე თანხის სახით სასამართლოს უფლება აქვს, დაინტერესებული პირის მოთხოვნით შეამციროს ან გაადიდოს ალიმენტის ოდენობა.

მუხლი 83. სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილებისათვის და შრომისუუნარო მშობლებისათვის გადასახდელი ალიმენტის ოდენობის შეცვლა

თუ შეიცვალა მშობლების ან შვილების მატერიალური თუ ოჯახური მდგომარეობა მას შემდეგ, რაც სასამართლო დაადგინა იმ თანხის ოდენობას, რომელიც უნდა გადაიხადონ მშობლებმა სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილების სასარგებლოდ, ან შვილებმა შრომისუუნარო მშობლების სასარგებლოდ, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ სასამართლოს უფლება აქვს, ერთ-ერთი მათგანის სარჩელით შეცვალოს ალიმენტის დადგენილი ოდენობა.

თავი მეთერთმეტე

ოჯახის სხვა წევრების საალიმენტო მოვალეობანი

მუხლი 84. ბებიისა და პაპის მიერ შვილიშვილის რჩენის მოვალეობა

ბებია და პაპა, რომელთაც საკმაო სახსრები აქვთ, მოვალე არიან, არჩინონ თავისი არასრულწლოვანი შვილიშვილი, რომელიც დახმარებას საჭიროებს, თუ მას არ შეუძლია სარჩო მიიღოს თავისი მშობლებისაგან. ასეთივე მოვალეობა ეკისრებათ მათ იმ შრომისუუნარო სრულწლოვანი შვილიშვილის მიმართ, რომელიც დახმარებას საჭიროებს, თუ მას არ შეუძლია მიიღოს სარჩო თავისი მშობლების ან მეუღლისაგან.

მუხლი 85. შვილიშვილის მიერ ბებიისა და პაპის რჩენის მოვალეობა

შვილიშვილი, რომელსაც საკმაო სახსრები აქვს მოვალეა არჩინოს თავისი შრომისუუნარო ბებია და პაპა, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, თუ მათ არ შეუძლიათ, მიიღონ სარჩო თავისი შვილისაგან ან ერთმეორისაგან.

მუხლი 86. დისა და ძმის მიერ თავისი დისა და ძმის რჩენის მოვალეობა

დები და ძმები, რომელთაც საკმაო სახსრები აქვთ, მოვალე არიან არჩინონ თავისი არასრულწლოვანი დები და ძმები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, თუ მათ არ შეუძლიათ, სარჩო მიიღონ მშობლებისაგან. ასეთივე მოვალეობა ეკისრებათ მათ იმ შრომისუუნარო სრულწლოვანი დებისა და ძმების მიმართ, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, თუ მათ არ შეუძლიათ, მიიღონ სარჩო თავისი მშობლების, მეუღლის ან შვილებისაგან.

მუხლი 87. დედინაცვლისა და მამინაცვლის მიერ გერების რჩენის მოვალეობა

დედინაცვალი და მამინაცვალი, რომელთაც საკმაო სახსრები აქვთ, მოვალე არიან არჩინონ თავისი არასრულწლოვანი და აგრეთვე შრომისუუნარო სრულწლოვანი გერი, რომელსაც დახმარება ესაჭიროება, თუ იგი იმყოფებოდა მათთან აღსაზრდელად ან სარჩენად და არა ჰყავს მშობლები, ან მათგან არ შეუძლია მიიღოს თავის სარჩენი სახსრები.

მუხლი 88. გერების მიერ დედინაცვლისა და მამინაცვლის რჩენის მოვალეობა


გერი, რომელსაც საკმაო სახსრები აქვს, მოვალე არის არჩინოს თავისი შრომისუუნარო დედინაცვალი და მამინაცვალი, რომელთაც დახმარება სჭირდებათ, თუ ისინი ზრდიდნენ ან არჩენდნენ მას.

სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს გერი დედინაცვლისა და მამინაცვლის რჩენის მოვალეობისაგან, თუ ისინი მას ზრდიდნენ ან არჩენდნენ ხუთ წელზე ნაკლები დროის განმავლობაში, აგრეთვე, თუ ისინი სათანადოდ არ ასრულებდნენ გერის აღზრდის მოვალეობას.

მუხლი 89. ფაქტიური აღზრდელის მიერ აღსაზრდელის რჩენის მოვალეობა

პირი, რომელიც მუდმივ აღსაზრდელად და სარჩენად აიყვანა ბავშვი, იმ შემთხვევაში, თუ უარს იტყვის მის შემდგომ აღზრდასა და რჩენაზე, მოვალეა არჩინოს არასრულწლოვანი აღსაზრდელი და აგრეთვე შრომისუუნარო სრულწლოვანი აღზრდილი, რომელიც დახმარებას საჭიროებს, თუ მას არ ჰყავს მშობლები, ან არ შეუძლია მიიღოს მათგან სარჩო.

ამ მუხლით დადგენილი წესი არ ვრცელდება მეურვესა და მზრუნველზე.



მუხლი 90. აღზრდილის მიერ ფაქტიური აღმზრდელის რჩენის მოვალეობა

პირი, რომელიც იმყოფებოდა მუდმივ აღსაზრდელად და სარჩენად, მოვალეა მისცეს სარჩო თავის ფაქტიურ აღმზრდელს, თუ იგი შრომისუუნაროა, საჭიროებს დახმარებას და ამის მიღება არ შეუძლია თავისი შვილების ან მეუღლისაგან.

მუხლი 91. ოჯახის წევრებისათვის გადასახდელი ალიმენტის ოდენობა

ამ თავში მოხსენებული პირებისათვის გადასახდელი ალიმენტის ოდენობას ყოველცალკეულ შემთხვევაში განსაზღვრავს სასამართლო ყოველთვიურად გადასახდელი მტკიცე თანხის სახით, ალიმენტის გადამხდელისა და მიმღების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით.

თუ ამ პირის შენახვა ერთდროულად რამდენიმე პირს ეკისრება, სასამართლო მათი მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით განსაზღვრავს ამ მოვალეობის შესრულებაში ყოველი მათგანის მონაწილეობის წილის ოდენობას, ამასთან სასამართლო მხედველობაში იღებს ალიმენტების გადამხდელ ყველა პირს, იმისდა მიუხედავად, ალიმენტს სთხოვენ ყველა ამ პირთ, თუ მხოლოდ ერთ ან რამდენიმე მათგანს.

მუხლი 92. ალიმენტის ოდენობის შეცვლა

ამ თავში მოხსენებული პირებისათვის გადასახდელი ალიმენტის ოდენობის სასამართლო წესით დადგენის შემდეგ თუ შეიცვალა ალიმენტის გადამხდელის ან ალიმენტის მიმღების მატერიალური ან ოჯახური მდგომარეობა, სასამართლოს უფლება აქვს, ერთ-ერთი მათგანის სარჩელის საფუძველზე შეცვალოს დადგენილი ალიმენტის ოდენობა.

თავი მეთორმეტე

ალიმენტის გადახდისა და გადახდევინების წესი

მუხლი 93. ალიმენტის ნებაყოფლობითი გადახდის წესი

ის პირი, რომელიც მოვალეა ალიმენტი იხადოს, ალიმენტს ნებაყოფლობითი წესით იხდის პირადად ან აღმინისტრაციის მეშვეობით თავისი მუშაობის ადგილის მიხედვით ან პენსიისა, თუ სტიპენდიის მიღების ადგილის მიხედვით.

ალიმენტის ნებაყოფლობითი გადახდის წესი არ გამოირიცხავს ალიმენტის მიმღების უფლებას, ნებისმიერ დროს მიმართოს სასამართლოს სარჩელით ალიმენტის გადახდევინების შესახებ.

მუხლი 94. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის აღმინისტრაციის მოვალეობა ალიმენტის დაკავების საქმეში

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის აღმინისტრაცია ალიმენტის გადახდელს ხელფასიდან (პენსიიდან, დახმარებიდან, სტიპენდიიდან და სხვ.) ყოველთვიურად უკავებს ალიმენტს მისი წერილობითი განცხადების ან სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე და გადაუხდის ან გადაუზღავს განცხადებაში ან სააღსრულებო ფურცელში მოხსენებულ პირს არაუგვიანეს სამი დღისა ხელფასის (დახმარების, პენსიის, სტიპენდიის და სხვ.) გაცემის დღიდან.

იმ პირის წერილობითი განცხადება, რომელსაც სურს ალიმენტის ნებაყოფლობით გადახდა, უნდა წარედგინოს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის აღმინისტრაციას განცხადების სამუშაო ადგილის ან მის მიერ პენსიის, სტიპენდიის მიღების ადგილის მიხედვით.

მუხლი 95. ალიმენტის დაკავება განცხადების საფუძველზე

განცხადების საფუძველზე ალიმენტის დაკავება ხდება კანონით გათვალისწინებული ოდენობით, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ალიმენტის ოდენობა კანონით განსაზღვრული არ არის — განმცხადებლის მიერ მითითებული ოდენობით.

განცხადებას ალიმენტის დაკავების, აგრეთვე მისი ოდენობის შეცვლის ან დაკავების შეწყვეტის შესახებ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის აღმინისტრაცია ინახავს იმ წესით, რომელიც დადგენილია სააღსრულებო დოკუმენტების შენახვისათვის. თანამდებობის პირი, რომელიც დამნაშავეა ალიმენტის დაკავების შესახებ განცხადების დაკარგვაში, პასუხს აგებს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის სპაროცესო კოდექსის 358-ე მუხლის თანახმად.

თუ პირი, რომელიც ალიმენტს იხდის თავისი განცხადების საფუძველზე, გადავა სხვა სამუშაოზე ან გამოიცვლის საცხოვრებელ ადგილს, ალიმენტი დაკავება მის მიერ ხელახლა შეტანილი განცხადების მიხედვით. ასეთ შემთხვევაში ალიმენტის გადაუხდელობის გამო დავალიანება შეიძლება დაკავებულ იქნეს მოვალის განცხადებით ან გადახდევინებულ იქნეს სასამართლო წესით.

განცხადების საფუძველზე ალიმენტს დაკავება არ შეიძლება, თუ საერთო თანხა, რომელიც დაკავებულ უნდა იქნეს განცხადების ან სააღსრულებო დოკუმენტის საფუძველზე, აღემატება მოვალის კუთვნილი ხელფასის და მასთან გათანაბრებული სხვა შემოსავლის 50 პროცენტს, აგრეთვე იმ შემთხვევაში თუ მო-



ვალე სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეიღებოსათვის ალიმენტს უხდის სხვა დედას. ამ შემთხვევაში ალიმენტის გადახდევინების საკითხი გადაწყდება სასამართლო წესით, რის შესახებ უნდა ეცნობოს განმცხადებელს და ალიმენტის მიმღებ პირს.

მუხლი 96. ალიმენტის გადახდევინება იმ პირის პასპორტში აღნიშვნათა საფუძველზე, რომელიც პოროტად თავს არიდებს ალიმენტის გადახდას

იმ პირის პასპორტში, რომელიც მსჯავრდებული არის ალიმენტის გადახდისაგან ბოროტად თავის არიდების გამო, ან რომელიც შინაგან საქმეთა ორგანოებმა მონახეს ალიმენტის გადახდისაგან თავის არიდებასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა ორგანოები აღნიშნავენ (ჩაწერენ) იმის შესახებ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად ეს პირი მოვალეა იხადოს ალიმენტი.

იმ პირისათვის ხელფასის ან სხვა გასამრჯელოს, პენსიის, სტიპენდიის გადახდის დროს, რომლის პასპორტში არის ასეთი აღნიშვნა (ჩანაწერი), საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია მოვალეა სააღსრულებო ფურცლის მიღებამდე დაუკავოს ალიმენტი პასპორტში არსებული აღნიშვნის (ჩანაწერის) შესაბამისად სააღსრულებო ფურცლით გადახდევინებისათვის დადგენილი წესის მიხედვით და აცნობოს ამის შესახებ იმ რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლოს აღმასრულებელს სადაც მუშაობს ალიმენტის გადახდელი; თუ ცნობილი არ არის იმ პირის მისამართი, რომლის სასარგებლოდაც ახდევინებენ ალიმენტს, დაკავებული თანხა გადაირიცხება სახალხო სასამართლოს სადებოზიტო ანგარიშზე.

ამ მოვალეობის შეუსრულებლობისათვის დამნაშავე თანამდებობის პირს შეიძლება დაეკისროს ჯარიმა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლით დადგენილი ოდენობით.

მუხლი 97. ალიმენტის გადახდევინება სასამართლო წესით

პირს, რომელსაც აქვს ალიმენტის მოთხოვნის უფლება, ყოველთვის შეუძლია, სასამართლოს საშუალებით მოითხოვოს ალიმენტის გადახდევინება, მიუხედავად ვადისა, რომელიც გასულია ალიმენტის მოთხოვნის უფლების წარმოშობის დროიდან.

ალიმენტის გადახდის დაკისრება ხდება მხოლოდ მომავალი დროისათვის სასამართლოში სარჩელის აღძვრის მომენტიდან. წარსული დროის ალიმენტი შეიძლება გადახდევინებული იქნეს სამი წლის ფარგლებში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელის წარდგენამდე მიღებული იყო ზომები სარჩოს მისაღებად, მაგრამ ალიმენტი არ იქნა მიღებული იმის გამო, რომ ვალდებული პირი თავს არიდებდა მის გადახდას, აგრეთვე ამ კოდექსის 95-ე მუხლის მექამე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 98. სააღსრულებო ფურცლის მიხედვით ალიმენტის დავალიანების გადახდევინება

სააღსრულებო ფურცლის მიხედვით ალიმენტის დავალიანების გადახდევინება წარსული დროისათვის შეიძლება არა უმეტეს სამი წლისა სააღსრულებო ფურცლის გადასახდელად წარდგენამდე.

იმ შემთხვევებში, როდესაც მოვალის ძებნასთან დაკავშირებით არ მოხერხდა გადასახდელად წარდგენილი სააღსრულებო ფურცლის მიხედვით ალიმენტის დაკავება, ალიმენტის დავალიანებას ახდევინებენ მთელი გასული პერიოდისათვის მიუხედავად ხანდაზმულობის დადგენილი ვადის გასვლისა და ალიმენტის მიმღები პირის მიერ სრულწლოვანების მიღწევისა.

ალიმენტის დავალიანება განისაზღვრება მოვალის მიერ იმ პერიოდში მიღებული ფაქტობრივი ხელფასიდან (შემოსავლიდან), რომლის განმავლობაში არ მომხდარა გადახდევინება.

თუ მოვალე ამ პერიოდში არ მუშაობდა და არ იქნება წარდგენილი მისი ხელფასის (შემოსავლის) დამადასტურებელი დოკუმენტები, დავალიანება განისაზღვრება იმ ხელფასის (შემოსავლის) მიხედვით, რასაც იგი იღებს დავალიანების გადახდევინების დროს.

თუ ალიმენტის მიმღები ან მოვალე არ ეთანხმება სასამართლოს აღმასრულებლის მიერ განსაზღვრული ალიმენტის დავალიანების ოდენობას, მას შეუძლია, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 443-ე მუხლის თანახმად გაასაჩივროს სასამართლოს აღმასრულებლის მოქმედება.

მუხლი 99. ალიმენტის გადახდისაგან გათავისუფლება ან დავალიანების შემცირება

ალიმენტის გადახდისაგან გათავისუფლება ან ალიმენტის დავალიანების შემცირება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

სასამართლოს უფლება აქვს, ალიმენტის გადახდელი მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს ალიმენტის დავალიანების გადახდისაგან, თუ დაადგენს, რომ ალიმენტის გადაუხდელობას ადგილი ჰქონდა ამ პირის ავადმყოფობის ან სხვა საბაბით მიზეზების გამო.

თავი მეცამეტე
შვილად აყვანა

მუხლი 100. ბავშვი, რომელიც შეიძლება აყვანილი იქნეს შვილად



შვილად აყვანა შეიძლება მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვისა და მისი ინტერესებისათვის.

მუხლი 101. შვილად აყვანის დამდგენი ორგანო

შვილად აყვანა ხდება მშრომელთა დებუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, მშვილელის თხოვნით შვილად ასაყვანის ან მშვილელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მუხლი 102. მოქალაქე, რომელსაც უფლება აქვს იყოს მშვილელელი

მშვილელელი შეიძლება იყოს სრულწლოვანი, ქმედუნარიანი მოქალაქე, გარდა იმ პირისა, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება, ან რომელსაც აღრე ჰყავდა ნაშვილები და შვილად აყვანა გაუქმდა მის მიერ მშვილელის მოვალეობის არასათანადოდ შესრულების გამო.

მუხლი 103. ბავშვის მშობლების თანხმობა გაშვილებაზე

იმ ბავშვის გაშვილებისათვის, რომელსაც მშობლები ჰყავს, აუცილებელია მათი თანხმობა.

მშობლებს შეუძლიათ ბავშვის გაშვილების თანხმობა მოსცენ გარკვეულ პირს (პირებს) ან თანხმობა განაცხადონ გაშვილებაზე და მშვილელის შერჩევა მიანდონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

მშობლების თანხმობა გაშვილებაზე გამოტყობული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით. მშობლებს უფლება აქვთ უარი განაცხადონ თავიანთი თანხმობაზე, თუ გადაწყვეტილება გაშვილების შესახებ ჯერ კიდევ არ არის გამოტყობილი.

მუხლი 104. მეურვეობაში (მზრუნველობაში) ან სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებაში მყოფი ბავშვის შვილად აყვანა

იმ ბავშვის შვილად აყვანისათვის, რომელიც მეურვეობაში (მზრუნველობაში) იმყოფება, თუ მას მშობლები არა ჰყავს, აუცილებელია მეურვეის (მზუნველის) წერილობითი თანხმობა, ხოლო იმ ბავშვის შვილად აყვანისათვის, რომელიც სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებაში იმყოფება — საბავშვო დაწესებულების ადმინისტრაციის თანხმობა.

საბავშვო დაწესებულების ადმინისტრაციამ ამ დაწესებულებაში ბავშვის მიყვანისას უნდა გაარკვიოს, თანახმა არის თუ არა მშობელი ბავშვის გაშვილებაზე.

მუხლი 105. გაშვილება მშობლების თანხმობის გარეშე

გაშვილებაზე მშობლების თანხმობა არ არის საჭირო, თუ ისინი დადგენილი წესით აღიარებ-

ული არიან არაქმედუნარიანად ან უკვალოდ დაკარგულად.

მშობლის უფლებამართმეული მშობლის (მშობლების) თანხმობის მიუღებლად ბავშვის გაშვილება დასაშვებია ერთი წლის შემდეგ დღიდან ამ უფლების ჩამორთმევისა.

გაშვილება მშობლების თანხმობის მიუღებლად გამოხაკლისის სახით, შეიძლება აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მშობლები თავს არიდებენ ბავშვის აღზრდაში მონაწილეობას, კერძოდ, თუ ისინი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ მათი გაფრთხილების მიუხედავად ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში განზრახ არ იღებენ მონაწილეობას ბავშვის აღზრდასა და რჩენაში რაც დადასტურებულია სარწმუნო მტკიცებულებით.

მუხლი 106. მშვილელის მეუღლის თანხმობა შვილად აყვანაზე

თუ ბავშვი შვილად აყვავს ერთ-ერთ მეუღლეს, საჭიროა მეორე მეუღლის თანხმობა შვილად აყვანაზე.

მეორე მეუღლის თანხმობა შვილად აყვანაზე არ არის საჭირო, თუ ის დადგენილი წესით აღიარებულია არაქმედუნარიანად, აგრეთვე, თუ მეუღლეებმა შეწყვიტეს ოჯახური ურთიერთობა, ერთ წელზე მეტ ხანს არ ცხოვრობენ ერთად და მეორე მეუღლის საცხოვრებელი ადგილი არ არის ცნობილი.

მუხლი 107. შვილად ასაყვანის თანხმობა შვილად აყვანაზე

იმ ბავშვის შვილად აყვანა, რომელსაც ათი წელი შეუსრულდა, დაუშვებელია მისი თანხმობის გარეშე.


ბავშვის თანხმობას შვილად აყვანაზე არც ვეცს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. თუ შვილად აყვანის შესახებ განცხადების წარდგენამდე ბავშვი მშვილელის ოჯახში ცხოვრობდა და მშვილელს თავის მშობლად თვლის, შვილად აყვანა, როგორც გამოხაკლისი, შეიძლება შვილად ასაყვანის თანხმობის გარეშე.

მუხლი 108. შვილად აყვანის გაფორმება

განცხადება ბავშვის შვილად აყვანის სურვილის შესახებ შეაქვთ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში შვილად ასაყვანის ან მშვილელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება ჩატარებს სათანადო გამოკვლევას და თავის დასკვნას შვილად აყვანის შესახებ საკითხის გადასაწყვეტად წარუდგენს მშრომელთა დებუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

მუხლი 109. შვილად აყვანის წარმოშობის



შვილად აყვანა წარმოიშობა იმ დღიდან, როცა მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომი გამოიტანს გადაწყვეტილებას შვილად აყვანის შესახებ.

მუხლი 110. შვილად აყვანე უარის გასაჩივრება

მშრომელთა დეპუტატების რაიონულ (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის უარი შვილად აყვანაზე შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამისად თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოში, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოში და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში.

მუხლი 111. ნაშვილების გვარის, სახელისა და მამის სახელის შეცვლა

მშვილებლის თხოვნით ნაშვილებს გვარი და მამის სახელი მიეკუთვნება მშვილებლის გვარისა და სახელის მიხედვით, ქალის მიერ ბავშვის შვილად აყვანის შემთხვევაში მამის სახელი ნაშვილებს მიეკუთვნება ქალის მითითებით.

მშვილებლის თხოვნით ბავშვს შეიძლება შეეცვალოს სახელიც.

გვარისა და მამის სახელის მიკუთვნება, აგრეთვე სახელის შეცვლა — ნაშვილებისათვის, რომელსაც ათი წელი შეუსრულდა, შეიძლება მხოლოდ მისი თანხმობით, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 107-ე მუხლის მესამე ნაწილით.

ნაშვილებისათვის გვარისა და მამის სახელის მიკუთვნების, აგრეთვე სახელის გამოცვლის შესახებ აღნიშნული უნდა იყოს შვილად აყვანის თაობაზე მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებაში.

მუხლი 112. მშვილებლების ჩაწერა ნაშვილების მშობლებად

მშვილებლები, მათი თხოვნით, შეიძლება ჩაიწერონ დაბადების ჩაწერის წიგნში ნაშვილების მშობლებად.

მშვილებელთა მშობლებად ჩაწერის შესახებ უნდა აღინიშნოს შვილად აყვანის თაობაზე მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში.

ასეთი ჩაწერისათვის აუცილებელია ნაშვილების თანხმობა, თუ მას ათი წელი შეუსრულდა, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 107-ე მუხლის მესამე ნაწილით.

მუხლი 113. შვილად აყვანის რეგისტრაცია
შვილად აყვანა აუცილებლად უნდა იქნეს რეგისტრირებული მოქალაქეობრივი მდგომარეობის

რეობის აქტების ჩამწერ ორგანოში შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით მოვალეა, არა უგვიანეს ერთი თვისა გადააგზავნოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების პირი შვილად აყვანის შესახებ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში რეგისტრაციისათვის.

მუხლი 114. ნაშვილების გათანაბრება მშვილებლის ნათესავებთან

ნაშვილები და მისი შთამომავლობა — მშვილებლისა და მის ნათესავთა მიმართ, ხოლო მშვილებელი და მისი ნათესავები — ნაშვილებისა და მისი შთამომავლობის მიმართ პირადი და ქონებრივი უფლებებითა და მოვალეობებით უთანაბრდებათ შთამომავლობით ნათესავებს.

მუხლი 115. უფლებრივი ურთიერთობის შენარჩუნება ერთ-ერთ მშობელთან

ნაშვილები კარგავს პირად და ქონებრივ უფლებებს და თავისუფლდება მოვალეობებისაგან თავისი მშობლებისა და წარმოშობით ნათესავების მიმართ.

ერთი პირის მიერ ბავშვის შვილად აყვანის შემთხვევაში, ნაშვილები ინარჩუნებს აღნიშნულ უფლებებსა და მოვალეობებს დედის სურვილით — თუ მშვილებელი მამაკაცია, ან მამის სურვილით — თუ მშვილებელი ქალია.

მუხლი 116. მშობლების გარდაცვალების გამო დანიშნული პენსიის ან დახმარების უფლების შენარჩუნება

არასრულწლოვანი, რომელსაც შვილად აყვანამდე უფლება ჰქონდა მარჩენლის დაკარგვის გამო სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების პენსიაზე ან დახმარებაზე, ინარჩუნებს ამ უფლებას შვილად აყვანის შემთხვევაშიც.

მუხლი 117. შვილად აყვანის საიდუმლოების უზრუნველყოფა

შვილად აყვანის საიდუმლოება დაცულია ე.წ. ნონით.

მშვილებლის თხოვნით შვილად აყვანის საიდუმლოების უზრუნველსაყოფად შეიძლება შეიცვალოს ნაშვილები ბავშვის დაბადების ადგილი.

მშვილებლის თანხმობის გარეშე, მისი გარდაცვალების შემთხვევაში კი — მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობის გარეშე აკრძალულია მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების წიგნებიდან ისეთი ამონაწერების გაცემა, საიდანაც გაირკვევა, რომ მშვი-

ლებელი ნაშვილების დვიძლი მშობელი არ არის.

ის პირი, რომელიც გაამჟღავნებს შვილად აყვანის საიდუმლოებას მშვილებლის ნების წინააღმდეგ პასუხს აგებს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 118. შვილად აყვანის გაუქმებისა და ბათილად ცნობის წესი

შვილად აყვანის გაუქმება და ბათილად ცნობა შეიძლება მხოლოდ სასამართლო წესით.

მუხლი 119. შვილად აყვანის გაუქმება მშობელთა მოთხოვნით

შვილად აყვანა მშობელთა თანხმობის გარეშე, როცა ასეთი თანხმობა აუცილებელია შეიძლება გააუქმოს სასამართლომ მშობელთა სარჩელით, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მშობლებისათვის ბავშვის დაბრუნება შეესაბამება მის ინტერესებს.

მშობელთა თხოვნით შვილად აყვანის გაუქმება იმ შემთხვევაში, თუ ნაშვილებს შეუსრულდა ათი წელი, დაიშვება მხოლოდ ნაშვილების თანხმობით.

მუხლი 120. სარჩელი შვილად აყვანის გაუქმების შესახებ

სარჩელი შვილად აყვანის გაუქმების შესახებ წარედგინება მშვილებელს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მშობლებისათვის უცნობია მათი ბავშვის მშვილებლის ვინაობა — მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით.

ასეთ შემთხვევაში საქმის აღძვრის შესახებ უნდა ეცნობოს მშვილებელს, რომელსაც უფლება აქვს ჩაება საქმეში ან მიანდოს თავისი ინტერესების დაცვა მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს.

სასამართლოს, როდესაც საჭიროდ სცნობს, შეუძლია მშვილებელი გამოიწვიოს მოპასუხედ.

მშობელთა მოთხოვნა შვილად აყვანის გაუქმების შესახებ არ შეიძლება დაკმაყოფილდეს, თუ სასამართლო გამოარკვევს, რომ შვილად აყვანის დროს დატულია ამ კოდექსის 103-ე, 104-ე და 105-ე მუხლებით დადგენილი წესები და მშობლები ვერ დაამტკიცებენ, რომ საპატიო მიზეზების გამო არ შეეძლოთ, მიეწოდებინათ ცნობები თავიანთი ადგილსამყოფელის შესახებ, ან გამოეჩინათ მშობლიური ყურადღება და მზრუნველობა.

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო გამოარკვევს, რომ შვილად აყვანის დროს დარღვეული იყო ამ კოდექსის 103-ე, 104-ე და 105-ე მუხლებით დადგენილი წესები, ან მშობლები დაამტკიცებენ, რომ საპატიო მიზეზების გამო არ შეეძლოთ, მიეწოდებინათ ცნობები თავიანთი ადგილსამყოფელის შესახებ და გა-

მოეჩინათ მშობლიური ყურადღება და მზრუნველობა, დავის გადასაწყვეტად საქმეში მონაწილეობისათვის მშვილებელი უნდა იქნას ჩამოყალიბებული თანამოპასუხედ.

მუხლი 121. შვილად აყვანის გაუქმება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ან პროკურორის მოთხოვნით

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, აგრეთვე პროკურორს, ყოველთვის აქვთ უფლება, მოითხოვონ შვილად აყვანის გაუქმება სასამართლო წესით, თუ ამას არასრულწლოვანი ნაშვილების ინტერესები მოითხოვს.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე ცალკეული მოქალაქეები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ შვილად აყვანა არ შეესაბამება ბავშვის ინტერესებს და უნდა გაუქმდეს, ამის შესახებ აცნობებენ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ან პროკურორს, რომლებიც წყვეტენ შვილად აყვანის გაუქმების შესახებ მოთხოვნის წარდგენის საკითხს.

მუხლი 122. შვილად აყვანის გაუქმების დაუშვებლობა ნაშვილების სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ

დაუშვებელია შვილად აყვანის გაუქმება ნაშვილების სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შვილად აყვანის გაუქმებაზე არსებობს ნაშვილების, მისი მშობლებისა და მშვილებლის თანხმობა.

მუხლი 123. შვილად აყვანის გაუქმების შედეგები

შვილად აყვანის გაუქმებისას შეწყდება ნაშვილებსა და მშვილებელს, აგრეთვე მათ ნათესავებს შორის არსებული ურთიერთუფლებები და ურთიერთმოვალეობები, ხოლო აღდგება ურთიერთუფლებები და ურთიერთმოვალეობები შვილსა და მის მშობლებს, აგრეთვე შთამომავლობით ნათესავებს შორის.

სასამართლოს გადაწყვეტილებით ბავშვი გადაეცემა მშობლებს, ხოლო, თუ ეს ეწინააღმდეგება მის ინტერესებს, — მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

სასამართლომ ბავშვის ინტერესების შესაბამისად უნდა გადაწყვიტოს, აგრეთვე, შვილად აყვანისას ბავშვისათვის მიკუთვნილი გვარის, სახელისა და მამის სახელის შენარჩუნების საკითხი. თუ ბავშვს შეუსრულდა ათი წელი, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ბავშვის სურვილიც.

იმ შემთხვევაში, როდესაც შვილად აყვანა გაუქმებულია მშვილებლის მიერ ბავშვის აღზრდის მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების გამო, ბავშვს ენახება მშვილებლისაგან ალიმენტის მიღების უფლება ამ კოდექსის 72-ე მუხლით დაწესებული ოდენობის მიხედვით.



მუხლი 124. შვილად აყვანის შეწყვეტის დრო

შვილად აყვანა წყდება შვილად აყვანის გაუქმების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან.

სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება შვილად აყვანის გაუქმების შესახებ, აგრეთვე შვილად აყვანის ბათილად ცნობის თაობაზე, ვალდებულია, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების პირი გადაუგზავნოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით და მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოს შვილად აყვანის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

მუხლი 125. შვილად აყვანის ბათილად ცნობა

შვილად აყვანა შეიძლება ცნობილ იქნეს ბათილად იმ შემთხვევაში, თუ:

- ა) გადაწყვეტილება შვილად აყვანის შესახებ დამყარებულია ყალბ დოკუმენტებზე;
- ბ) შვილად აყვანა ფიქტიურია;
- გ) ნაშვილებია სრულწლოვანი;
- დ) მშვილებელი სასამართლოს მიერ ცნობილი იყო არაქმედუნარიანად;
- ე) მშვილებელი იყო პირი, რომელსაც ჩამორთმეული ჰქონდა მშობლის უფლება.

შვილად აყვანის ბათილად ცნობა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს შეესაბამება ბავშვის ინტერესებს.

შვილად აყვანის ბათილად ცნობისას სასამართლომ უნდა გამოარკვიოს არის თუ არა ამის თანახმა ნაშვილები, რომელმაც ათი წლის ასაკს მიაღწია.

შვილად აყვანა შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი იმ პირის მოთხოვნით, რომლის უფლება დარღვეულია შვილად აყვანით, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ან პროკურორის მოთხოვნით.

მუხლი 126. შვილად აყვანის ბათილად ცნობის შედეგები

შვილად აყვანა ითვლება ბათილად შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან.

შვილად აყვანის ბათილად ცნობისას, აღდგება ბავშვის პირადი და ქონებრივი უფლებები და მოვალეობები თავისი მშობლებისა და წარმოშობით ნათესავების მიმართ.

შვილად აყვანის ბათილად ცნობის შემთხვევაში ბავშვი სასამართლოს გადაწყვეტილებით გადაეცემა მშობლებს, ხოლო, თუ ეს არ შეესაბამება ბავშვის ინტერესებს, — მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

მუხლი 127. შვილად აყვანის გაუქმების ან ბათილად ცნობის საქმის განხილვაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მონაწილეობა

შვილად აყვანის გაუქმების ან ბათილად ცნობის საქმის განხილვის ყველა შემთხვევაში საქმეში მონაწილეობის მისაღებად უნდა ჩააბან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

ტ ა რ ი V

მეურვეობა და მზრუნველობა

თავი მეთოთხმეტი

ზოგადი დებულებანი

მუხლი 128. მეურვეობისა და მზრუნველობის მიზნები

მეურვეობა და მზრუნველობა წესდება იმ არასრულწლოვანი ბავშვების აღზრდისათვის, რომლებიც მშობლების გარდაცვალების, მშობლებისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის, მშობელთა ავადმყოფობის ან სხვა მიზეზების გამო დარჩნენ მშობლის მზრუნველობის გარეშე, აგრეთვე ამ ბავშვთა პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის.

მეურვეობა და მზრუნველობა წესდება აგრეთვე იმ სრულწლოვანი პირის პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია, დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობანი.

მუხლი 129. პირი, რომლის მიმართ წესდება მეურვეობა

მეურვეობა წესდება ბავშვზე, რომელსაც არ მიუღწევია თხუთმეტი წლის ასაკამდე და პირზე, რომელიც სასამართლოს მიერ აღიარებული არის არაქმედუნარიანად სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-15 მუხლი).

მუხლი 130. პირი, რომლის მიმართ წესდება მზრუნველობა

მზრუნველობა წესდება არასრულწლოვანზე, თხუთმეტი წლის ასაკიდან თვრამეტე წლამდე. მზრუნველობა წესდება აგრეთვე სრულწლოვან ქმედუნარიან პირზე მისი თხოვნით, თუ მას თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობანი.

მუხლი 131. მეურვეობა გარდაცვალებულისა და უკვალოდ დაკარგულის ქონებაზე

მეურვეობა გარდაცვალებულისა და უკვა-

ლოდ დეკარტის ქონებაზე წესდება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

მუხლი 132. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს წარმოადგენენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო), სადაბო და სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტები.

არასრულწლოვანი პირის მეურვეობა და მზრუნველობა ეკისრება განათლების განყოფილებას, სასამართლოს მიერ არაქმედუნარიანად აღიარებული პირისა — ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას, ხოლო იმ ქმედუნარიანი პირისა, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საჭიროებს მზრუნველობას — სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები მოქმედებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების დებულების საფუძველზე.

მუხლი 133. ზედამხედველობა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების საქმიანობაზე

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების საქმიანობაზე ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობას ახორციელებენ შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მუხლი 134. მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესება სამეურვეო (სამზრუნველო) პირის ან მეურვის (მზრუნველის) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით

მეურვეობასა და მზრუნველობას აწესებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო), სადაბო ან სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი სამეურვეო (სამზრუნველო) პირის ან მეურვის (მზრუნველის) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მუხლი 135. სამეურვეო (სამზრუნველო) არასრულწლოვანი პირის შესახებ შეტყობინების მოვალეობა

დაწესებულებები და პირები, რომელთათვისაც ცნობილი გახდა, რომ მშობლების გარდაცვალების ან ავადმყოფობის, მათთვის მშობლის უფლების ჩამორთმევის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო არასრულწლოვანი საჭიროებს მეურვეობას ან მზრუნველობას, ვალდებული არიან, აცნობონ ამის შესახებ მეურვეობისა და

მზრუნველობის ორგანოს ბავშვის ფაქტიური სამყოფელი ადგილის მიხედვით.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები მოვალე არიან, დაუყოვნებლივ შეამოწმონ ეს ფაქტი და მეურვის ან მზრუნველის დანიშვნის შესახებ საკითხის გადაწყვეტამდე იზრუნონ არასრულწლოვანზე.

მუხლი 136. მეურვეობის ან მზრუნველობის დაწესება არასრულწლოვანისათვის, რომლის მშობლები თავს არიდებენ მის აღზრდას

მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესება შეიძლება იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი არ ცხოვრობს მშობლებთან და უკანასკნელნი თავს არიდებენ მისი აღზრდის მოვალეობებს; თუ ბავშვი ცხოვრობს მშობლებთან, რომლებიც არ ასრულებენ მისი აღზრდის მოვალეობებს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს ასეთი მშობლებისათვის ბავშვის ჩამორთმევისა და მისი მეურვეობაში და მზრუნველობაში გადაცემის საკითხის გადასაწყვეტად, შემდგომ აღძრას საკითხი მშობლებისათვის სასამართლოს წესით მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ.

მუხლი 137. სასამართლოს მოვალეობა — აცნობოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს მეურვეობის ან მზრუნველობის დაწესების აუცილებლობის შესახებ

სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება პირის არაქმედუნარიანად აღიარების თაობაზე, მოვალეა, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს სამი დღისა, ამის შესახებ აცნობოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს იმ პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომელიც არაქმედუნარიანად აღიარების გამო საჭიროებს მეურვეის ან მზრუნველს.


მუხლი 138. მეურვის ან მზრუნველის დანიშვნა

მეურვის ან მზრუნველის მოვალეობათა განხორციელებისათვის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები ნიშნავენ მეურვეს ან მზრუნველს.

მეურვე ან მზრუნველი შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მათი თანხმობით.

მზრუნველის შერჩევა სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირისათვის, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია, დამოუკიდებლად დაიცვას თავისი უფლებები და შეასრულოს მოვალეობები, შეიძლება მხოლოდ სამზრუნველო პირის თანხმობით.

მეურვე ან მზრუნველი უნდა დაინიშნოს არაუგვიანეს ერთი თვისა იმ დროიდან, როდესაც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებისათვის ცნობილი გახდება მეურვეობის



ან მზრუნველობის დაწესების აუცილებლობა. მეურვის ან მზრუნველის არჩევის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი პირადი თვისებები, დაქისრებული მოვალეობის შესრულების უნარი, ურთიერთობა, რომელიც არსებობს მასა და სამეურვეო (სამზრუნველო) პირს შორის და, აგრეთვე, როცა ეს შესაძლებელია, სამეურვეო (სამზრუნველო) პირის სურვილიც.

მუხლი 139. პირი, რომელიც არ შეიძლება დაინიშნოს მეურვედ ან მზრუნველად
მეურვედ ან მზრუნველად არ შეიძლება დაინიშნოს:

- ა) პირი, რომელსაც არ მიუღწევია თვრამეტი წლის ასაკამდე;
- ბ) პირი, რომელიც სასამართლოს მიერ ცნობილია არაკომენტარობისა;
- გ) პირი, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება;
- დ) მშვილებელი, თუ შეიღად აყვანა გაუქმდა იმის გამო, რომ იგი სათანადოდ არ ასრულებდა მშვილებლის მოვალეობებს;
- ე) პირი, რომელიც ვათავისუფლებულია მეურვის ან მზრუნველის მოვალეობისაგან იმის გამო, რომ იგი სათანადოდ არ ასრულებდა ამ მოვალეობას.

მუხლი 140. ზედამხედველობა მეურვისა და მზრუნველის საქმიანობაზე

მეურვის ან მზრუნველის საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო სამეურვეო (სამზრუნველო) პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ზედამხედველობის განხორციელების წესი და პირობები განისაზღვრება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების დებულებით.

მუხლი 141. მეურვეობის ან მზრუნველობის დაწესება სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებაში მყოფ პირზე

იმ ბავშვის მიმართ, რომელიც სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებაში იზრდება, აგრეთვე იმ პირის მიმართ, რომელიც მეურვეობას ან მზრუნველობას საჭიროებს და იმყოფება სათანადო დაწესებულებაში, მეურვის ან მზრუნველის მოვალეობის შესრულება ეკისრებათ ამ დაწესებულებების ადმინისტრაციას.

ამ პირთა ქონებრივი ინტერესების (ტენისის მიღების, ქონების გამგებლობის და ა. შ.) დაცვისათვის, აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება დაინიშნოს ქონების მეურვე.

მუხლი 142. მეურვეობა იმ ქონებაზე, რომელიც არ იმყოფება სამეურვეო პირის საცხოვრებელ ადგილას

თუ პირს, რომელზედაც დაწესებულია მეურვეობა ან მზრუნველობა, სხვა ადგილას აქვს

ქონება, აუცილებლობის შემთხვევაში, მეურვის ან მზრუნველის თანხმობით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შეუძლია დანიშნოს ამ ქონების მეურვე ქონების ადგილსამყოფელს მიხედვით.

თავი მეტხუთმეტე

მეურვისა და მზრუნველის უფლება-მოვალეობანი

მუხლი 143. მეურვისა და მზრუნველის უფლება-მოვალეობა

არასრულწლოვანის მეურვე და მზრუნველი მოვალეა აღზარდოს იგი კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის სულისკვეთებით, იზრუნოს მისი ფიზიკური განვითარებისა და სწავლისათვის, მოამზადოს იგი საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობისათვის, დაიცვას მისი უფლებები და ინტერესები.

მეურვესა და მზრუნველს უფლება აქვთ, სასამართლო წესით მოითხოვონ მეურვეობაში და მზრუნველობაში მყოფი ბავშვების დაბრუნება ყველასაგან, ვინც მათ კანონიერი საფუძვლის გარეშე თავისთან ამყოფებს.

მუხლი 144. მეურვისა და მზრუნველის მოვალეობების უსასყიდლოდ შესრულება

მეურვის და მზრუნველის მოვალეობები სრულდება უსასყიდლოდ.

მუხლი 145. მეურვისა და მზრუნველის მოვალეობა — დაცვან სამეურვეო (სამზრუნველო) სრულწლოვანი პირის ინტერესები


მეურვე და მზრუნველი მოვალე არიან იზრუნონ სამეურვეო (სამზრუნველო) სრულწლოვანი პირის რჩენისათვის, შეუქმნან მას აუცილებელი საყოფაცხოვრებო პირობები, უზრუნველყონ მივლითა და მკურნალობით, დაცვან მისი უფლებები და ინტერესები.

გარდა ამისა, სულით ავადმყოფის მეურვე მოვალეა თვალყური ადევნოს სამეურვეო პირის მუდმივ სამედიცინო მომსახურებას.

მეურვე და მზრუნველი განსაკუთრებული უფლებამოსილების გარეშე იცავენ სამეურვეო (სამზრუნველო) პირის უფლებებსა და ინტერესებს ყველა დაწესებულებაში, მათ შორის სასამართლოშიც.

მუხლი 146. მეურვისა და მზრუნველის მოვალეობა — იცხოვროს სამეურვეო (სამზრუნველო) პირთან ერთად

მეურვე და მზრუნველი მოვალე არიან იცხოვრონ სამეურვეო (სამზრუნველო) არასრულწლოვან პირთან ერთად. ცალკეულ შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ შეიძლება ნებადართული იქნეს მზრუნველისა და სამზრუნველო პირის ცალკე ცხოვრება, თუ აღნიშნული ორგანო



მივა იმ დასკვნამდე, რომ მათი ცალ-ცალკე ცხოვრება უარყოფით გავლენას არ მოახდენს სამზრუნველო პირის აღზრდასა და უფლებებისა და ინტერესების დაცვაზე.

მეურვე და მზრუნველი ვალდებული არიან საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის შესახებ აცნობონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

ამ მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებული მოვალეობა არ ეკისრება არაქმედუნარიანი სრულწლოვანი პირის მეურვესა და სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირის მზრუნველს.

მუხლი 147. სულით ავადმყოფის მეურვის მოვალეობა სამეურვეო პირის გამოჯანმრთელების შემთხვევაში

სულით ავადმყოფის მეურვე სამეურვეო პირის გამოჯანმრთელების შემთხვევაში მოვალეა, სასამართლოში დაუყოვნებლივ აღძრას შუამდგომლობა სამეურვეო პირის ქმედუნარიანად აღიარებისა და მასზე მეურვეობის მოხსნის შესახებ.

მუხლი 148. გარიგების დადების წესი მეურვისა ან მზრუნველის მონაწილეობით

მეურვე კანონიერი წარმომადგენელია სამეურვეო პირისა და მისი სახელითა და მისი ინტერესებიდან გამომდინარე დებს ყველა აუცილებელ გარიგებას.

არასრულწლოვანი პირი თხუთმეტიდან თვრამეტი წლის ასაკამდე ისეთ გარიგებას, რომლის დამოუკიდებლად დადების უფლება მას კანონით არა აქვს, დებს მზრუნველის თანხმობით.

მუხლი 149. გარიგება, რომლის დადებისათვის საჭიროა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი ნებართვა

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი ნებართვა საჭირო ისეთი გარიგების დადების დროს, რომელიც სანოტარო წესით უნდა დამოწმდეს, აგრეთვე სამეურვეო პირის კუთვნილ უფლებაზე უარის თქმის, ქონების გაყოფის, საცხოვრებელი ფართობის გაცვლისა და ქონების გასხვისებისათვის

სამზრუნველო პირის მიერ სახელმწიფო შრომითს შემნახველ სალაროში ან სხვა საკრედიტო დაწესებულებაში შეტანილი ანაზრის განკარგვის წესი განისაზღვრება სსრ კავშირის კანონმდებლობით.

მუხლი 150. გარიგება, რომლის დადების უფლება მეურვესა და მზრუნველს არა აქვთ
მეურვესა და მზრუნველს, მათს მეუღლეებსა და ახლო ნათესავებს უფლება არა აქვთ, დადონ გარიგება სამეურვეო (სამზრუნველო) პირთან, აგრეთვე არ შეიძლება, ისინი იყენენ ამ პირის წარმომადგენლად გარიგების დადების ან სასამართლოში საქმის წარმოების დროს

სამეურვეო (სამზრუნველო) პირსა და მეურვის ან მზრუნველის მეუღლესა და მათს ახლო ნათესავებს შორის.

სამეურვეო (სამზრუნველო) პირის სახელით ნაჩუქრობის ხელშეკრულების დადება არ შეიძლება.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების წინასწარი თანხმობის გარეშე მეურვეს უფლება არა აქვს, სამეურვეო პირის სახელით დადოს გარიგება, ხოლო მზრუნველს, სამზრუნველო პირის სახელით დათანხმდეს გარიგების დადებაზე, თუ იგი სცილდება საყოფაცხოვრებო გარიგებათა ფარგლებს.

მუხლი 151. სამეურვეო (სამზრუნველო) პირის ქონების გამგებლობა და მეურვეთა და მზრუნველთა ანგარიშგება

სამეურვეო (სამზრუნველო) პირის ქონების გამგებლობის და მეურვეთა (მზრუნველთა) ანგარიშგების წესი განისაზღვრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების დებულებით.

მუხლი 152. სამეურვეო (სამზრუნველო) პირის მიმდინარე შემოსავლის განკარგვა

სამეურვეო (სამზრუნველო) პირის კუთვნილი თანხები (პენსია, დახმარება, ალიმენტი და სხვა მიმდინარე შემოსავალი) გადადის მეურვის (მზრუნველის) განკარგულებაში და ის იყენებს ამ თანხებს სამეურვეო (სამზრუნველო) პირის სარჩენად.

თუ ეს თანხები საკმარისი არ არის ყველა საჭირო ხარჯის დასაფარავად, გაწეული ხარჯის ანაზღაურება შეიძლება სამეურვეო (სამზრუნველო) პირის სხვა ქონებიდან იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია ამ კოდექსის 148-ე და 149-ე მუხლებით.

თუ სამეურვეო (სამზრუნველო) პირებს არ გააჩნიათ საკმარისი სახსრები, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო აღძრავს შუამდგომლობას სოციალური უზრუნველყოფის ორგანოს წინაშე მათთვის დახმარების დანიშვნის შესახებ.

არასრულწლოვან სამზრუნველო პირს თხუთმეტიდან თვრამეტი წლის ასაკამდე უფლება აქვს, დამოუკიდებლად დადოს წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგება, განკარგოს თავისი ხელფასი ან სტიპენდია, განაორციელოს ავტორისა და გამომგონებლის უფლებები.

საკმაო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისა ან სხვა დაინტერესებულ პირთა შუამდგომლობით შეუზღუდოს ან ჩამოართვას თხუთმეტიდან თვრამეტი წლის ასაკამდე არასრულწლოვანს მისი ხელფასის ან



სტიპენდიის დამოუკიდებლად განკარგვის უფლება.

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამზარუნველო სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირის კუთვნილი თანხა მზარუნველმა შეიძლება დახარჯოს მხოლოდ სამზარუნველო პირის თანხმობით.

მუხლი 153. მეურვისა და მზარუნველის მოქმედების ვასაჩივრება

მეურვისა და მზარუნველის მოქმედება შეიძლება გაასაჩივროს ყოველმა პირმა, მათ შორის სამეურვეო (სამზარუნველო) პირმაც, მეურვეობისა და მზარუნველობის ორგანოში სამეურვეო (სამზარუნველო) პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მუხლი 154. მეურვისა და მზარუნველის გათავისუფლება მოვალეობისაგან

მეურვეობისა და მზარუნველობის ორგანოები მეურვესა და მზარუნველს თავიანთი მოვალეობისაგან ათავისუფლებენ მშობლებისათვის ბავშვის აღსაზრდელად დაბრუნების, გაშვილების და სამეურვეო (სამზარუნველო) პირის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებაში მოთავსების შემთხვევებში (ამ კოდექსის 141-ე მუხლი);

მეურვე და მზარუნველი შეიძლება გათავისუფლდნენ მოვალეობისაგან, აგრეთვე, პირადი თხოვნის საფუძველზე, თუ მეურვეობისა და მზარუნველობის ორგანო ცნობს, რომ ეს თხოვნა საბატიო მიზეზით არის გამოწვეული (ავადმყოფობა, მატერიალური მდგომარეობის შეცვლა, სამეურვეო, სამზარუნველო პირთან აუცილებელი კონტაქტის უქონლობა და სხვ.).

მუხლი 155. მეურვისა და მზარუნველის გადაყენება

მეურვისა ან მზარუნველის მიერ დაკისრებული მოვალეობის არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მეურვეობისა და მზარუნველობის ორგანო გადააყენებს მეურვეს ან მზარუნველს ამ მოვალეობათა შესრულებისაგან.

თუ მეურვე (მზარუნველი) ანგარების მიზნით გამოიყენებს მეურვეობას (მზარუნველობას), აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სამეურვეო (სამზარუნველო) პირს დატოვებს ზედამხედველობისა და აუცილებელი დახმარების გარეშე, ის პასუხს აგებს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 156. სრულწლოვანი პირის მზარუნველის გათავისუფლება სამზარუნველო პირის მოთხოვნით

სრულწლოვანი პირის მზარუნველი შეიძლება გათავისუფლებულ იქნეს თავისი მოვალეობისაგან სამზარუნველო პირის მოთხოვნით.

ასეთ შემთხვევაში მეურვეობისა და მზარუნველობის ორგანოს შეუძლია სამზარუნველო

პირთან შეთანხმებით მას მზარუნველად ან მეურვეობის დამფუძნებლის პირი დაუნიშნოს.

მუხლი 157. მეურვეობის შეწყვეტა
მეურვეობა შეწყდება:

- ა) თუ გარდაიცვალა, სამეურვეო პირი;
- ბ) თუ სამეურვეო არასრულწლოვანმა მიღწეა თხუთმეტი წლის ასაკს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის კანონით დადგენილი წესით არაქმედუნარიანად არის აღიარებული;
- გ) თუ სამეურვეო არასრულწლოვანი, რომელსაც არ შესრულებია თხუთმეტი წელი, აღსაზრდელად მშობელს დაუბრუნდა;
- დ) თუ არაქმედუნარიანად აღიარებული სამეურვეო პირი სასამართლომ ცნო ქმედუნარიანად;

ე) ქონების მიმართ — უკვალოდ დაკარგული პირის გამოჩენისას ან ქონების მემკვიდრისათვის გადაცემის შემთხვევაში.

ამ შემთხვევებში მეურვეობა შეწყდება მეურვეობისა და მზარუნველობის ორგანოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 158. მზარუნველობის შეწყვეტა
მზარუნველობა შეწყდება:

- ა) თუ გარდაიცვალა სამზარუნველო პირი;
- ბ) თუ სამზარუნველო არასრულწლოვანი მიადრწევს სრულწლოვანებას;
- გ) თუ სამზარუნველო არასრულწლოვანი დაქორწინდა;
- დ) სხვა სამზარუნველო პირების მიმართ — თუ მისიპო მიზეზი, რითაც გამოწვეული იყო მზარუნველის დანიშვნა.

ამ შემთხვევებში მზარუნველობა შეწყდება მეურვეობისა და მზარუნველობის ორგანოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 159. მეურვეობისა და მზარუნველობის ორგანოს გადაწყვეტილების ვასაჩივრება

მეურვეობისა და მზარუნველობის ორგანოს გადაწყვეტილება მეურვის (მზარუნველის) დანიშვნის, გადაყენებისა და გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე მეურვეობისა და მზარუნველობის ყველა სხვა საქითხზე, დაინტერესებულ პირს შეუძლია, ვასაჩივროს შესაბამისად თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოში, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოში და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში.

პ ა რ ო ვ

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტები

თავი მეთექვსმეტე

ზოგადი დებულებანი

მუხლი 160. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაცია

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაცია წესდება როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებისათვის, ისე მოქალაქეთა პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვის მიზნით.

დაბადება, დაქორწინება, განქორწინება, შვილად აყვანა, მამობის დადგენა, სახელის, მამის სახელისა და გვარის გამოცვლა, გარდაცვალება რეგისტრაციაში უნდა ვატარდეს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოებში (მმსაჩი).

მუხლი 161. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის ორგანოები

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაცია ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ხდება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ — საქალაქო და რაიონულ ბიუროებში (განყოფილებებში), ხოლო სოფლად, მუშათა დაბებში და იმ ქალაქებში, სადაც მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროები (განყოფილებები) არ არის, — მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში.

მუხლი 162. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების კომპეტენცია

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი საქალაქო და რაიონული ბიუროები (განყოფილებები) ახდენენ დაბადების, გარდაცვალების, დაქორწინების, განქორწინების, შვილად აყვანის, მამობის დადგენის, სახელის, მამის სახელის და გვარის გამოცვლის რეგისტრაციას, აღქმებენ სააქტო ჩანაწერებს, შეაქვთ მათში შესწორებები და დამატებები, აღადგენენ დაკარგულ სააქტო ჩანაწერებს, ინახავენ საარქივო სააქტო წიგნებს და ვასცემენ განმეორებითს მოწმობებს.

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოების აღმასკომები, სადაც მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიურო (განყოფილება) არ არის, ახდენენ დაბადების, ქორწინების, მამობის დადგენის და გარდაცვალების რეგისტრაციას.

მუხლი 163. სააქტო წიგნები, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესები

ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად ძირითად დებულებებს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტებში ჩანაწერების შეცვლისა და აღდგენის წესის შესახებ, აგრეთვე მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წიგნების ფორმას და ამ წიგნებში ჩანაწერის საფუძველზე გასაცემი მოწმობების ფორმას, სააქტო წიგნების შენახვის წესსა და ვადებს ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესებს, ქორწინებისა და დაბადების სახეიშო რეგისტრაციის წესის ჩათვლით, აგრეთვე დასაქორწინებელ პირთათვის ჯანმრთელობისა და ოჯახური მდგომარეობის შესახებ ურთიერთმეტყობინებისა და მათი, როგორც მომავალი მფუძვლებისა და მშობლებსათვის, უფლება-მოვლულობების განმარტების წესს ადგენს ეს კოდექსი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქცია მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესის შესახებ.

მუხლი 164. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტის ჩაწერის დროს წარსადგენი საბუთები

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტის ჩაწერის დროს წარადგენილ უნდა იქნეს სარეგისტრაციო ფაქტის დამტკიცებელი და განმცხადებლის პიროვნების დამადასტურებელი საბუთები.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერისათვის აუცილებელი საბუთების ნუსხას ადგენს ამ კოდექსის 163-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ინსტრუქცია.

მუხლი 165. აქტების ჩაწერის წესი

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების წიგნში შეტანალი ყოველი ჩანაწერი უნდა წაეკითხოს განმცხადებელს და მისი, აგრეთვე ჩამწერი თანამდებობის პირის ხელმოწერის შემდეგ დამოწმდეს ბეჭდის დასმით.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტის ჩაწერის შესახებ განმცხადებელს მიეცემა სათანადო მოწმობა.

მუხლი 166. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერში შესწორების, ცვლილების შეტანისა და ამ აქტების გაუქმების წესი

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერში შეცდომების შესწორებისა და ცვლილებების შეტანას, თუ არის ამის საკმაო საფუძველი და არ არსებობს დავა დაინტერესებულ პირთა შორის, აწარმოებენ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოები.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების უარი ჩანაწერში შესწო-



რების ან ცვლილების შეტანაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

დინტერესებულ პირთა შორის დავის შემთხვევაში ჩანაწერში შესწორების ან ცვლილების შეტანა ხდება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების პირველადი ჩანაწერების გაუქმება წარმოებს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, გარდა ამ კოდექსის 42-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა, როდესაც ჩანაწერის გაუქმებისათვის სასამართლოს გადაწყვეტილება საჭირო არ არის.

მუხლი 167. სახელმწიფო ბაჟი

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოებში დაბადების, შვილად აყვანის, მამობის დაღვენის და გარდაცვალების რეგისტრაცია, აგრეთვე ამ აქტების რეგისტრაციის შესახებ პირველადი მოწმობების გაცემა და მამობის დაღვენასთან დაკავშირებით დაბადების შესახებ აქტის ჩანაწერში შესწორებისა და დამატების შეტანა ხდება სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ბაჟის გადახდევინების გარეშე.

დაქორწინების, განქორწინების, სახელის, მამის სახელისა და გვარის გამოცვლის რეგისტრაციისათვის, ხოლო სათანადო შემთხვევებში განქორწინების მოწმობის გაცემის, აგრეთვე მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის შესახებ განმეორებითი მოწმობების გაცემისა და სააქტო ჩანაწერების აღდგენისათვის წარმოებს სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი განაკვეთების მიხედვით.

თავი მეჩვიდმეტე

დაბადების რეგისტრაცია

მუხლი 168. დაბადების რეგისტრაციის წესი
ბავშვის დაბადების რეგისტრაცია მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში ხდება ბავშვის დაბადების ადგილის, მშობლების ან ერთ-ერთი მშობლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოები მშობლების თანხმობით უზრუნველყოფენ დაბადების რეგისტრაციის სახეიმო ვითარებაში ჩატარებას.

მუხლი 169. განცხადება დაბადების რეგისტრაციის შესახებ

განცხადება ბავშვის დაბადების რეგისტრაციის შესახებ მშობლებს ან ერთ-ერთ მათგანს შეაქვთ ზემოთ ან წერილობითი სახით, ხოლო, თუ მშობლები ავად არიან, ან გარდაიცვალნენ,

ან მათ სხვა მიზეზის გამო არ შეუძლიათ განცხადების შეტანა, — განცხადება შეაქვთ ნათესავებს ან სხვა პირთ, აგრეთვე სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაციას.

მუხლი 170. განცხადების შეტანის ვადა

განცხადება ბავშვის დაბადების შესახებ შეტანა უნდა იქნეს დაბადებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, ხოლო მეკვდარი ბავშვის დაბადების შემთხვევაში — არაუგვიანეს სამი დღისა მისი შობის მომენტიდან.

მუხლი 171. ჩანაწერი დაბადების შესახებ

დაბადების შესახებ სააქტო ჩანაწერში ბავშვის სახელი, მამის სახელი და გვარი, აგრეთვე ცნობები მისი მშობლების შესახებ შეაქვთ ამ კოდექსის 52-ე—56-ე მუხლების შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, როდესაც მამობა დაღვენილი არ არის, ბავშვის დაბადების მოწმობაში ბავშვის მამის ეროვნება ჩაიწერება დედის მითითებით.

მუხლი 172. ბავშვის დაბადებამდე გარდაცვლილი მამის ჩაწერა

თუ ბავშვი იმ პირის გარდაცვალების შემდეგ დაიბადა, რომელიც ახალშობილის დედასთან ქორწინებაში იმყოფებოდა, სააქტო ჩანაწერსა და დაბადების მოწმობაში გარდაცვალებული შეიძლება ჩაიწეროს ბავშვის მამად იმ პირობით, თუ მისი გარდაცვალების დღიდან ბავშვის დაბადებამდე გავიდა არაუმეტეს ათი თვისა.

მუხლი 173. განქორწინების ან ქორწინების ბათილად ცნობის შემდეგ დაბადებული ბავშვის დაბადების რეგისტრაცია

იმ ბავშვის დაბადების რეგისტრაციისას, რომელიც ჩასახული იყო მშობლების ქორწინებაში ყოფნის დროს, მთავრად დიხადება განქორწინების ან ქორწინების ბათილად ცნობის შემდეგ, ბავშვის მამად უნდა ჩაიწეროს პირი, რომელიც ქორწინებაში იყო ბავშვის დედასთან, თუ განქორწინების ან ქორწინების ბათილად ცნობის დღიდან ბავშვის დაბადებამდე გავიდა არაუმეტეს ათი თვისა.

თავი მეთვრამეტე

გარდაცვალების რეგისტრაცია

მუხლი 174. გარდაცვალების რეგისტრაციის წესი

გარდაცვალების რეგისტრაცია ხდება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოებში გარდაცვალების ადგილის ან გარდაცვალებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

გარდაცვალების რეგისტრაცია სასამართლოს გადაწყვეტილებით: გარდაცვალების ფაქტის დადგენის ან პირის გარდაცვალებულად გამო-

უნაღებების შემთხვევაში ხდება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში გალაშქვებილების გამომტანი სასამართლოს აღვლისამყოფლის მიხედვით.

მუხლი 175. განცხადება გარდაცვალების შესახებ

გარდაცვალების რეგისტრაცია ხდება გარდაცვალებულის ნათესავების, მისი მეზობლების, საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციათა მუშაკების განცხადებით, აგრეთვე სხვა პირებისა და იმ დაწესებულების ადმინისტრაციის შეტყობინებით, სადაც პირი გარდაიცვალა.

მუხლი 176. გარდაცვალების რეგისტრაციის ვადა

გარდაცვალების შესახებ განცხადებული უნდა იყოს არაუგვიანეს სამი დღისა გარდაცვალების ან გვამის აღმოჩენის შემდეგ.

თავი მეცხრამეტი

ქორწინების რეგისტრაცია

მუხლი 177. ქორწინების რეგისტრაციის ადგილი

ქორწინების რეგისტრაცია ხდება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირის ან მათი მშობლების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მუხლი 178. განცხადება დაქორწინების შესახებ

დაქორწინების მსურველ პირებს პირადად შეაქვთ განცხადება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში. განცხადებაში მათ უნდა აღნიშნონ, რომ არ არსებობს ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები, გათვალისწინებული ამ კოდექსის მე-18 მუხლით, იცნობენ ერთმანეთის ჯანმრთელობის მდგომარეობას, ოჯახურ მდგომარეობას, იციან აგრეთვე, მერამდენა თითოეული მათგანისათვის ეს ქორწინება და ჰყავთ თუ არა შვილები.

მუხლი 179. დასაქორწინებელ პირთათვის მათი უფლება-მოვალეობის ვაცნობა

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანო, რომელიც მიიღებს დასაქორწინებელ პირთა განცხადებას, მოვალეა გააცნოს მათ ქორწინების რეგისტრაციის პირობები და წესი, აგრეთვე ვანუშარტოს მათ მეუღლეთა და მშობლეთა უფლება-მოვალეობები გათვალისწინებული ამ კოდექსით, და გააფრთხილოს ისინი, რომ პასუხისმგებელი არიან დაქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებათა დაფარვისათვის.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოები მოვალე არიან, დარწმუნდნენ, რომ დასაქორწინებელ პირთათვის არ არსებობს ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები და მათთვის ცნობილია ერთმანეთის ჯანმრთელობა და ოჯახური მდგომარეობა.

მუხლი 180. ქორწინების რეგისტრაცია

ქორწინების რეგისტრაცია ხდება ამ კოდექსის მე-16 მუხლით გათვალისწინებული წესით დანიშნულ დღესა და საათზე, დასაქორწინებელ პირთა დასწრებით და მათი თანხმობით სახეიმო ვითარებაში.

დასაქორწინებელი პირის პასპორტში ან პირიდანების დამადასტურებელ სხვა საბუთში იწერება მეუღლის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი, ქორწინების რეგისტრაციის ადგილი და დრო.

თავი მეოცი

განქორწინების რეგისტრაცია

მუხლი 181. განქორწინების რეგისტრაციის ადგილი

განქორწინების რეგისტრაცია ხდება რაიონის (ქალაქის) მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ბიუროში (განყოფილებაში) ორივე ან ერთ-ერთი მეუღლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მუხლი 182. განქორწინების რეგისტრაცია სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე


სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე განქორწინების რეგისტრაციას ახდენს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი რაიონული (საქალაქო) ბიურო (განყოფილება), ორივე ან ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით.

ერთ-ერთი მეუღლის, განცხადებით განქორწინების რეგისტრაციის შემთხვევაში ქორწინება შეწყვეტილად ითვლება, მაგრამ მეორე მეუღლეს მის მიერ განქორწინების მოწმობის მიღებამდე უფლება არა აქვს, ხელახლა დაქორწინდეს.

ერთ-ერთი მეუღლის მიერ განქორწინების რეგისტრაციის შემთხვევაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანო აცნობებს ამის შესახებ მეორე მეუღლეს, თუ ცნობილია მისი მისამართი, აგრეთვე მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ იმ ორგანოს, რომელმაც მოახდინა ქორწინების რეგისტრაცია.

მუხლი 183. განქორწინების რეგისტრაცია მეუღლეთა ურთიერთთანხმობით.

განქორწინებაზე ურთიერთთანხმობისას მეუღლეებს, რომლებსაც არა ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები (ამ კოდექსის 38-ე მუხ-



ლი), შეაქვთ ერთობლივი განცხადება განქორწინებულ შესახებ რაიონის (ქალაქის) მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ბიუროში (განყოფილებაში) ერთ-ერთი მეუღლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

განცხადებაში განქორწინების შესახებ მეუღლეები მოვალე არიან, დაადასტურონ არა მარტო ურთიერთთანხმობა, არამედ ისიც, რომ მათ არ ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები.

განქორწინების რეგისტრაცია შეიძლება მოხდეს ერთ-ერთი მეუღლის დაუსწრებლად, თუ მას საპატიო მიზეზის გამო არ შეუძლია გამოცხადდეს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში და მისი სახელით წარმოდგენილი იქნება სათანადო წესით დამოწმებული განცხადება განქორწინებაზე მისი თანხმობის დასადასტურებლად.

განქორწინების რეგისტრაცია ხდება მეუღლეების მიერ განქორწინების შესახებ განცხადების შეტანის დღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ.

მუხლი 184. განქორწინების რეგისტრაცია ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით

მეუღლე, რომელსაც განქორწინება სურს ამ კოდექსის 39-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებით, ვალდებულია, რაიონის (ქალაქის) მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ბიუროში (განყოფილებაში) წარადგინოს სათანადო წესით დამოწმებული, კანონიერ რაღაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების პირი მეორე მეუღლის უკვალოდ დაკარგულად ან არაქმედუნარიანად ცნობის შესახებ, ან სასამართლოს განაჩენის პირი ან ამონაწერი განაჩენიდან იმის შესახებ, რომ მეორე მეუღლეს შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა არანაყოლებ სამი წლისა.

შეტანალი განცხადების შესახებ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიურო (განყოფილება) აუწყებს პატიმრობაში მყოფ მეუღლეს ან არაქმედუნარიანი მეუღლის მეტრეკს, ამ უწყებაში უნდა განისაზღვროს ვადა პასუხის შეტყობინებისა იმის შესახებ, არის თუ არა დავა ბავშვების თაობაზე, მეუღლეთა საერთო თანსაკუთრების გაყოფის ან იმ შრომისუღწარო მეუღლის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდევინების შესახებ, რომელიც დახმარებას საჭიროებს. პასუხის შეტყობინების ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს.

თუ მიღებულია ცნობა იმის შესახებ, რომ დავა არ არსებობს, ან მითითებულ ვადაში პასუხი არ იქნა მიღებული, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიურო (განყოფილება) ახდენს განქორწინების რეგისტრაციას.

მუხლი 185. განქორწინების რეგისტრაციის დროს ქორწინებამდელი გვარის მიკუთვნება

მეუღლე, რომელსაც სურს ატაროს ქორწინებამდელი გვარი, მოვალეა, განაცხადოს ამის შესახებ განქორწინების რეგისტრაციის დროს. მეუღლისათვის ქორწინებამდელი გვარის მიკუთვნება აღინიშნება ჩანაწერში განქორწინების შესახებ.

მუხლი 186. განქორწინების აღნიშვნა მეუღლეთა საბუთებში

განქორწინების აქტის ჩაწერის შემდეგ გაიციემა განქორწინების მოწმობები და ყოფილ მეუღლეთა პასპორტებში ან პიროვნების დამადასტურებელ სხვა საბუთებში კეთდება ჩანაწერი განქორწინების შესახებ.

თავი ოცდამეერთე

შვილად აყვანის რეგისტრაცია

მუხლი 187. შვილად აყვანის რეგისტრაციის წესი და ადგილი

შვილად აყვანის რეგისტრაცია ხდება მშვილბელთა ერთობლივი ან ერთ-ერთი მათგანის განცხადებით, ან მეტრეკისა და მზრუნველობის ორგანოს შეტყობინებით (ამ კოდექსის 113-ე მუხლი).


მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიურო (განყოფილება) შვილად აყვანის რეგისტრაციას ახდენს შვილად აყვანის შესახებ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით.

მუხლი 188. ნაშვილების დაბადების ჩანაწერში ცვლილებების შეტანა

ნაშვილებისათვის მშვილბელის გვარისა და სახელის მიხედვით გვარისა და მამის სახელის მიცემის დროს, ასევე ნაშვილების სახელის, აგრეთვე დაბადების ადგილის შეცვლის ან ნაშვილების მშობლად მშვილბელის ჩაწერის შემთხვევაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანო ნაშვილების დაბადების შესახებ ჩანაწერში სათანადო ცვლილებების შეტანის შემდეგ ამ ცვლილების გათვალისწინებით გასცემს დაბადების ახალ მოწმობას.

ნაშვილების გვარის, მამის სახელისა და დაბადების ადგილის შეცვლის შესახებ აღნიშნული უნდა იქნეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებაში შვილად აყვანის შესახებ.

მუხლი 189. სააქტო ჩანაწერის აღდგენა შვილად აყვანის გაუქმების ან ბათილად ცნობის შემთხვევაში



სასამართლოს მიერ შეიღად აყვანის გაუქმების ან ბათილად ცნობის შემთხვევაში შეიღად აყვანის სააქტო ჩანაწერში აღდგება ყველა მონაცემი, რომელიც ჩაწერილი იყო შეიღად აყვანამდე.

სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა გაუქმდეს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოს მიერ გაკეთებული ჩანაწერი შეიღად აყვანის შესახებ და დაბადების მოწმობა გაიცეს სასამართლოს გადაწყვეტილების მითითებების შესაბამისად.

შვილად აყვანისა და დაბადების მოწმობები, რომლებიც მშვილებელს მიღებული აქვს მამის ორგანოებისაგან, ჩამოერთმევა მას და გაუქმდება.

თავი ოცდამეორე

მამობის დადგენის რეგისტრაცია

მუხლი 190. მამობის დადგენის რეგისტრაციის წესი და ადგილი

მამობის დადგენის რეგისტრაცია ხდება მშობლების ერთობლივი განცხადების ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ხოლო დედის გარდაცვალების ან მისი საცხოვრებელი ადგილის დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში — მამის განცხადებით.

სრულწლოვანი შეიღის მიმართ მამობის დადგენის რეგისტრაცია დასაშვებია მხოლოდ მისი თანხმობით.

მამობის დადგენის რეგისტრაცია ხდება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოში ერთ-ერთი მშობლის საცხოვრებელი ადგილის ან მამობის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს ადგილსამყოფელის მიხედვით.

მუხლი 191. დაბადების ჩანაწერში მამის შესახებ ცნობების შეტანა

მამობის დადგენის თაობაზე ჩანაწერის საფუძველზე მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტებში ჩამწერი ორგანოს ცნობები მამის შესახებ შეაქვს დაბადების ჩანაწერში და გასცემს დაბადების ახალ მოწმობას.

თავი ოცდამესამე

სახელის, მამის სახელის და გვარის გამოცვლის რეგისტრაცია

მუხლი 192. სახელის, მამის სახელისა და გვარის გამოცვლის რეგისტრაციის წესი

სახელის, მამის სახელისა და გვარის გამოცვლის რეგისტრაცია ხდება მშრომელთა დებუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროში

(განყოფილებაში) განმცხადებლის მუდმივო საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მამის მიერ სახელის შეცვლის რეგისტრაციის დროს იცვლება მისი არასრულწლოვანი შვილების მამის სახელი. სრულწლოვანი შვილების მამის სახელის შეცვლა შეიძლება მხოლოდ მაშინ მიერ განცხადების შეტანის შემთხვევაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოში.

არასრულწლოვანი ბავშვის გვარი იცვლება ორივე მშობლის მიერ გვარის შეცვლის დროს, თუ გვარი ერთ-ერთმა მშობელმა შეიცვალა, არასრულწლოვანი ბავშვის გვარი შეიცვლება მშობლების შეთანხმებით, ხოლო, თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობს, გვარის შეცვლის საკითხს გადაწყვეტს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

მუხლი 193. სახელის, მამის სახელისა და გვარის გამოცვლის გამო ახალი მოწმობის გაცემა

სახელის, მამის სახელისა და გვარის გამოცვლის შემთხვევაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანო აუქმებს წინათ გაცემულ მოწმობას და შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით მის ნაცვლად გასცემს ახალ მოწმობას.

პ ა რ ო VI

ქორწინებისა და ოჯახის შესახებ საბჭოთა კანონმდებლობის გამოყენება უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ. ქორწინებისა და ოჯახის შესახებ უცხოეთის სახელმწიფოთა კანონების, საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა გამოყენება

მუხლი 194. ბავშვის მოქალაქეობა

ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძველების შესაბამისად ბავშვი, რომლის ორივე მშობელი მისი დაბადების დროს სსრ კავშირის მოქალაქე იყო, სსრ კავშირის მოქალაქედ ითვლება, მიუხედავად იმისა, თუ სად დაიბადა იგი.

მშობელთა სხვადასხვა მოქალაქეობის დროს, რომელთაგან ბავშვის დაბადების მომენტისათვის ერთი სსრ კავშირის მოქალაქე იყო, ბავშვი ითვლება სსრ კავშირის მოქალაქედ იმ პირობით, თუ ერთ-ერთი მშობელი ბავშვის დაბადების დროს სსრ კავშირის ტერიტორიაზე ცხოვრობდა, ხოლო, თუ ამ დროს ორივე მშობელი სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ ცხოვრობდა, ბავშვის მოქალაქეობა განისაზღვრება მათი შეთანხმებით.



მუხლი 195. საბჭოთა მოქალაქეების დაქორწინება უცხოელებთან და უცხოელთა დაქორწინება ერთმანეთთან საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში

საბჭოთა მოქალაქეების დაქორწინება უცხოელებთან, აგრეთვე უცხოელთა დაქორწინება ერთმანეთთან საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ხდება საერთო საფუძველზე.

საბჭოთა მოქალაქეების დაქორწინება უცხოელებთან არ იწვევს მოქალაქეობის შეცვლას.

უცხოელთა შორის დაქორწინება, რაც ხდება სსრ კავშირში უცხოეთის სახელმწიფოთა საელჩოებსა თუ საკონსულოებში, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ჩაითვლება ნამდვილად ურთიერთთანხმობის პირობით, თუ ეს პირები დაქორწინების მომენტში იმ სახელმწიფოს მოქალაქენი იყვნენ, რომელმაც ელჩი ან კონსული დანიშნა.

მუხლი 196. საბჭოთა მოქალაქეების დაქორწინება და მოქალაქეობრივი მდგომარეობის სხვა აქტების შესრულება სსრ კავშირის საელჩოებსა და საკონსულოებში, სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ დაქორწინების აღიარება

ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძველების შესაბამისად, სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ მცხოვრები საბჭოთა მოქალაქეები დაქორწინდებიან სსრ კავშირის საელჩოებში ან საკონსულოებში.

საზღვარგარეთ სსრ კავშირის საელჩოებსა და საკონსულოებში დაქორწინებისა თუ მოქალაქეობრივი მდგომარეობის სხვა აქტების შესრულების დროს გამოყენებულ იქნება საქართველოს სსრ კანონები, თუ დაინტერესებული პირები არიან საქართველოს სსრ მოქალაქენი. თუ დაინტერესებული პირები არიან სხვადასხვა მოკავშირე რესპუბლიკების მოქალაქენი, ან არ არის დადგენილი რომელი რესპუბლიკის მოქალაქენი არიან ისინი, მაშინ მათი შეთანხმებით გამოყენებული იქნება ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკის კანონები, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში საკითხს წყვეტს ის თანამდებობის პირი, რომელიც მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტის რეგისტრაციას ახდენს.

იმ შემთხვევაში, როცა საბჭოთა მოქალაქეებს შორის დაქორწინება და უცხოელთან საბჭოთა მოქალაქეების დაქორწინება ხდება სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ დაქორწინების იმ ფორმის დაცვით, რომლებიც დაქორწინების ადგილის კანონით არის დადგენილი, ეს დაქორწინება ჩაითვლება ნამდვილად საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში, თუ მის ნამდვილობას ხელს არ უშლის ამ

კოდექსის მე-14, მე-15, მე-18 და 43-ე მუხლებიდან გამომდინარე დაბრკოლებები.

სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ შესაბამისი სახელმწიფო კანონების მიხედვით უცხოელთა დაქორწინება ჩაითვლება ნამდვილად საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში.

მუხლი 197. უცხოელებთან საბჭოთა მოქალაქეების და უცხოელთა შორის განქორწინება საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში, სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ მომხდარ განქორწინებათა აღიარება

უცხოელებთან საბჭოთა მოქალაქეების და აგრეთვე უცხოელთა შორის განქორწინება საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ხდება საერთო საფუძველზე.

სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ შესაბამის სახელმწიფოთა კანონების მიხედვით საბჭოთა მოქალაქეებსა და უცხოელებს შორის განქორწინება ჩაითვლება ნამდვილად საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში, თუ ქორწინების მომენტში ერთი მეუღლე მაინც სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ ცხოვრობდა.


სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ შესაბამის სახელმწიფოთა კანონების მიხედვით საბჭოთა მოქალაქეების განქორწინება ჩაითვლება ნამდვილად საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში, თუ ორივე მეუღლე განქორწინების მომენტში სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ ცხოვრობდა.

სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ შესაბამის სახელმწიფოთა კანონების მიხედვით უცხოელთა განქორწინება ჩაითვლება ნამდვილად საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში.

საზღვარგარეთ მუდმივად მცხოვრები საბჭოთა მოქალაქეების განქორწინების საქმე შეიძლება განიხილოს საქართველოს სსრ სასამართლოებმა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს დაავალბით.

მუხლი 198. სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ მცხოვრები საბჭოთა მოქალაქეობის მქონ ბავშვის შვილად აყვანა. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში უცხოელთა მიუბავშვის შვილად აყვანის წესები

ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძველების შესაბამისად სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ მცხოვრები საქართველოს სსრ მოქალაქეობის მქონე ბავშვის შვილად აყვანა ხდება სსრ კავშირის საელჩოში ან საკონსულოში. თუ მშვილებელს საბჭოთა მოქალაქეობა არა აქვს, შვილად აყვანისათვის საჭიროა მიიღოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვა.



წამდილად ითვლება აგრეთვე საქართველოს სსრ მოქალაქეობის მქონე ბავშვის შვილად აყვანა, როცა ეს ხდება იმ სახელმწიფოს ორგანოებში, რომლის ტერიტორიაზე ცხოვრობს ბავშვი, თუ წინასწარ მიღებულია შვილად აყვანის ნებართვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე უცხოელთა მიერ საბჭოთა მოქალაქეობის მქონე ბავშვების შვილად აყვანა ხდება ამ კოდექსის მე-13 თავით დადგენილ საერთო საფუძველზე, იმ პირობით, თუ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში არსებობს შესაბამისად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თანხმობა.

მუხლი 199. ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის გამოყენება მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირები დაქორწინდებიან, განქორწინდებიან, სარგებლობენ ქორწინებისა და ოჯახის შესახებ

საქართველოს სსრ კანონმდებლობიდან გამომდინარე უფლებებით და ექისრებათ ამ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოვალეობანი საბჭოთა მოქალაქეების თანაბრად, საერთო საფუძველზე.

მუხლი 200. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში უცხოეთის კანონებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა გამოყენება

ქორწინებისა და ოჯახის შესახებ უცხოეთის კანონების გამოყენება საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ან ამ კანონებზე დაფუძნებული მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების აღიარება არ შეიძლება, თუ ასეთი გამოყენება ან აღიარება ეწინააღმდეგება საბჭოთა წყობილების საფუძველს.

თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან საერთაშორისო შეთანხმებით, რომელშიც სსრ კავშირი ან საქართველოს სსრ მონაწილეობს, დადგენილია წესები, რომლებიც განსხვავდება ქორწინებისა და ოჯახის შესახებ საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესებისაგან, მაშინ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გამოყენებული იქნება საერთაშორისო ხელშეკრულების ან საერთაშორისო შეთანხმების წესები.

ბ რ ძ კ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ი მ პ ი რ თ ა პ ა ს უ ხ ი ს მ გ ა ზ ლ ო ბ ი ს ბ ა პ ლ ი მ რ ე ბ ი ს უ ხ ი ს ა ხ ე ბ , რ ო მ ლ ე ბ ი ც თ ა ვ ს ა რ ი დ ე ბ ე ნ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ს ა ს ა რ გ ე ზ ლ ო შ რ ო მ ა ს დ ა ე წ ე ვ ი ა ნ ა ნ ტ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ , პ ა რ ა ზ ი ტ უ ლ ც ხ ო ვ რ ე ბ ა ს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დადგინდეს, რომ სრულწლოვან შრომისუნარიან მოქალაქეებს, რომლებსაც არ სურთ შესრულონ უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური მოვალეობა — იშრომონ პატიოსნად თავისი უნარის შესაბამისად, თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას, იძულებით მოიყვანენ შინაგან საქმეთა ორგანოებში და ოფიციალურად გააფრთხილებენ, რომ დაუშვებელია პარაზიტული ცხოვრება და

აუცილებელია შრომითი მოწყობა 15 დღის ვადაში.

2. იმ პირობით, რომელნიც თავს აარიდებენ შრომით მოწყობას და განაგრძობენ ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას ამ ბრძანებულების პირველი მუხლის შესაბამისად ოფიციალური გაფრთხილების შემდეგ, მშრომელთა დეპუტატების რიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში ჩააბამენ იმ საწარმოებში (მშენებლობებზე), რომლებიც განლაგებულია მათი მუდმივი საც-

ზოგრებული ადგილის რაიონში ან სხვაგან, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური რესპუბლიკის, რესპუბლიკის ფარგლებში.

3. იმ საწარმოთა (მშენებლობათა) ადმინისტრაცია და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სადაც იგზავნებიან ის პირნი, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას, ვალდებული არიან მოაწყონ ისინი სამუშაოზე, გასწიონ მათთან აღმზრდელი მუშაობა და მიიღონ ზომები საწარმოო კოლექტივებში მათი დამაგრებისათვის.

ამ პირთა სამუშაოდან დათხოვნის ყველა შემთხვევის შესახებ საწარმოს (მშენებლობის) ადმინისტრაცია ვალდებულია 3 დღის ვადაში აცნობოს იმ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება მათი შრომითი მოწყობის შესახებ.

4. იმ მოქალაქეთა გამოვლენას, რომელნიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას, და ამასთან დაკავშირებულ ყველა გარემოებათა შემოწმებას, აწარმოებენ შინაგან საქმეთა ორგანოები, როგორც მათ განკარგულებაში არსებული მასალების; ისე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივითა და მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე. შემოწმება უნდა ჩატარდეს 10 დღის ვადაში.

თუ ეს პირნი ოფიციალური გაფრთხილების შემდეგაც ამ ბრძანებულების პირველი მუხლით დადგენილ ვადაში არ შეუდგებიან პატიოსან შრომას, შინაგან საქმეთა ორგანოები მასალებს მათს შესახებ წარუდგენენ მშრომელთა

დებუტატების რაიონული (საქალაქის) აღმასრულებელ კომიტეტს. ეს მასალები განხილულ უნდა იქნეს 10 დღის ვადაში იმ პირის თანდასწრებით, რომელიც თავს არიდებს საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას.

5. რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილების შესრულებას ამ პირთა სამუშაოზე გაგზავნის შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას, კონტროლს უწევენ შინაგან საქმეთა ორგანოები.

6. თუ პირი, რომელიც ეწევა ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას, ბოროტად არიდებს თავს პარაზიტული ცხოვრების შეწყვეტის და შრომითი მოწყობის თაობაზე მშრომელთა დებუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების შესრულებას, საწარმოს (მშენებლობის) ადმინისტრაცია ვალდებულია ამის შესახებ 5 დღის ვადაში აცნობოს შინაგან საქმეთა ორგანოებს ამ პირის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 234¹ მუხლის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემის საკითხის გადასაწყვეტად.

7. ძალდაკარგულად ჩაითვალოს საქართველო სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 30 ნოემბრის ბრძანებულება „იმ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1966 წ., № 11, მუხ. 185).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვანჭიძე**

თბილისი, 1970 წლის 14 მაისი.



ლუარსაბ ანდრონიკაშვილი

ლუარსაბ ნიკოლოზის-ძე ანდრონიკაშვილი დაიბადა 1872 წელს სოფელ ოფიოში (თბილისის გუბერნია, თელავის მაზრა), საშუალო შეძლების სოფლის მეურნის ოჯახში.

თბილისის ვაჟთა პირველ კლასიკურ გიმნაზიაში, სადაც იგი მშობლებმა მიაბარეს, ანდრონიკაშვილი შეხვდა და მთელი სიცოცხლის მანძილზე შეურყეველი მეგობრობით დაუკავშირდა არჩილ ჯორჯაძეს, ივანე ჯავახიშვილსა და ზურაბ ავალიშვილს.

ზურაბ ავალიშვილის გადმოცემით, გიმნაზიაში უფროსკლასელები ადგენდნენ ხელნაწერ „ალმანახს“, რომელშიც მოთავსებული იყო მოკლე წერილები. ლირიკული და პატრიოტული ლექსები ქართულ ენაზე.

ლექსების ავტორი უფრო ხშირად ლუარსაბ ანდრონიკაშვილი ყოფილა.

სამწუხაროდ, „ალმანახები“ არ შემონახულა.

გიმნაზიის გარეთ ეს ოთხი ახალგაზრდა იყო მოწვეუნი და მსმენელი ვადაფორებული კამათისა და ბრძოლისა, რომელიც წარმოებდა ქართული საადგილმამულო ბანკის (ყველა ქართული სასოფადოებრივი წამოწყების ფინანსური ფუძის) საქმიანობის ირგვლივ. ამ ბრძოლას უადრესად დიდი ეროვნული და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

ყველა ამ გარემოებამ ხელი შეუწყო მათი პატრიოტულ სულისკვეთების გაღრმავებას და თვითუღმართვანს მიზნად დაუსახა სასოფადოებრივი სამსახურისათვის ყოველმხრივი მომზადება.

გიმნაზიის დამთავრებისთანავე ოთხივე გაემგზავრა პეტერბურგში უმაღლესი განათლების მისაღებად.

არჩილ ჯორჯაძის, ივანე ჯავახიშვილისა და ზურაბ ავალიშვილის სწავლა-განათლებისა და შემდგომი მოღვაწეობის შესახებ აქ არაფერს ვიტყვით.

უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, არჩილ ჯორჯაძე და ზურაბ ავალიშვილი მეცადინეობდნენ ფილოსოფიის, ლიტერატურისა და ხელოვნების შემსწავლელ წრეში, რომელსაც ხელმძღვანელობდა იმ დროს ცნობილი ფილოსოფოსი, ბელეტრისტი და ლიტერატურათმცოდნე ა. ვოლინსკი.

უნივერსიტეტში ორი წლის განმავლობაში გამოჩენილი მეცნიერების — კორკუნოვის, სერგიევიჩის და სხვათა ლექციების მოსმენის შემდეგ ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა გადაწყვიტა გაედრმავებინა თავისი მსოფლმხედველობა და ამ მიზნით 1894 წელს გაემგზავრა გერმანიაში, სადაც სამი წლის განმავლობაში

უსმენდა ფილოსოფოსებს კუნთ ფიშერსა და ვინდელბანდს (ფილოსოფიას), კლინკესა და ლაბანდს (სახელმწიფო სამართალს)¹.

ცხადია, გერმანიიდან დაბრუნებული, ფილოსოფიურად და იურიდიულად განსწავლული ანდრონიკაშვილი, პეტერბურგის უნივერსიტეტში უკანასკნელი კურსების სპეციალურ დისციპლინებს, რომლებსაც კითხულობდნენ გამოჩენილი პროფესორები ტაგანცევი, ფონიციკი, დიუვერნუა, მარტენსი და სხვები, უფრო ღრმად და სრულყოფილად შეითვისებდა, ვიდრე მისი თანაკურსელები.

სხვადასხვა დროის და მიმართულების ფილოსოფიურ მოძღვრებათა შესწავლამ, რომლებშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ზნეობის საკითხების განმარტებას, კიდევ უფრო გაუძლიერა და განუმტკიცა მას ყოველი მოქმედების განსჯისადმი ზნეობრივი თვალსაზრისით მიდგომა.

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ლუარსაბ ანდრონიკაშვილი ჩაირიცხა პეტერბურგის ოლქის ნაფიც ვეჟილთა კორპორაციაში ნაფიცი ვეჟილის თანამშემწედ.

ადვოკატურაში მუშაობის მთელი 17 წლის განმავლობაში მისი საქმიანობა გვიჩვენებს, რომ მას თავიდანვე გადაწყვეტილი ჰქონდა რევოლუციური მოძრაობაში მონაწილეობისათვის პასუხისმგებამი მიცემულ პირთა დაცვა.


პირადად მე მოწვევ ვარ ორი შემთხვევისა: სენატში საკასაციო წესით ვანსახილველი იყო საქმე მსჯავრდადებული მემამულისა, რომელმაც თავისი მიწები ნაწილ-ნაწილ, კერძო ხელწერილებით ჯერ გლეხებს მიჰყიდა, შემდეგ იგივე მიწები მთლიანად და ოფიციალურად მიჰყიდა სახელმწიფო საადგილმამულო საგლეხო ბანკს.

განაჩენი გასაუქმებელი იყო პროცესუალური დარღვევების გამო.

დასაცავად ამ საქმეზე ანდრონიკაშვილმა უარი თქვა, გაკვირვებულ მეგობრებს კი აუხსნა, „უხნეო საქმეს ხელს ვერ მოვიდებო“.

მეორედ სენატშივე განსახილველი იყო საქმე მსჯავრდადებულისა, რომელმაც ძიძიშვილებს ჩასაფრებით მოაკვლევინა თავისი საყვარლის ქმარი. აქაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაშვებული იყო პროცესუალური დარღვევები და განაჩენი გასაუქმებელი იყო. ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა ისევ ზნეობრივი მოსაზრებებით არ მიიღო საქმე დასაცავად და 5000 მანეთი უკან დააბრუნა.

¹ იხ. თ. წერეთელი, „ანდრონიკაშვილი, როგორც პოლიტიკური დამცველი, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1963 წ. № 2.



ბ. ს. უტყევსკი იგონებს: „ლ. ნ. ანდრონიკაშვილის უკვე პირველი ნაბიჯები არაჩვეულებრივი იყო“, იგი „ყველაზე ნაკლებად ფიქრობდა არა თუ „უზომო“ ჰონორარებზე, არამედ ზომიერზედაც კი. 1900 წელს იგი შევიდა ნაფიც ვეჟილთა თანაშემწეების მემარცხენე ჯგუფში, რომლებმაც მიზნად დაისახეს უსასყიდლო დახმარება გაეწიათ პეტერბურგის განაპირა რაიონების მუშებისა და ღარიბი მოსახლეობისათვის.

ამ ჯგუფმა დააარსა „საკონსულტაციო ბიურო“. ლუარსაბ ანდრონიკაშვილი იყო მემარცხენე ახალგაზრდა ადვოკატთაგან შემდგარი „პოლიტიკურ დამცველთა ჯგუფში“ ერთ-ერთი ორგანიზატორი და ამ ჯგუფის საქმიანობის ყველაზე აქტიური მონაწილე... „ნაფიც ვეჟილის თანაშემწედ ყოფნის დროს ყურადღება მივაქციე, რომ ლ. ანდრონიკაშვილი არასოდეს არ გამოდიოდა სისხლის სამართლის საქმეებზე (ბ. ს. უტყევსკი გულისხმობს საერთო ხასიათის სისხლის სამართლის საქმეებს, — გ. თ.)... გავიგე, რომ ადვოკატურაში შესვლისას მან გადაწყვიტა არასოდეს არ ეწარმოებინა სისხლის სამართლის საქმეები და დამცველად გამოსულიყო მხოლოდ პოლიტიკურ საქმეებზე. ამ გადაწყვეტილებას იგი განუხრელად მისდევდა“.

ბუნებრივად იბადება კითხვა: რით შეიძლება აიხსნას, რომ იურისტი, რომელიც ადვოკატთა კორპორაციაში ჩაირიცხა, რომელსაც, როგორც ეს ვ. გ. მაყაშვილის ფრიად საინტერესო წერილიდან² ჩანს, არ დაუტოვებია სისხლის სამართლის მეცნიერების არც ერთი ძირითადი თეორიული საკითხი, რომ არ წამოეყენებინა თავისი საკუთარი, სხვა მეცნიერთაგან დამოუკიდებელი, ორიგინალური განმარტება და ამასთან ერთად სხვა მეცნიერთა დებულებების ამომწურავი, ღრმა და ნათელი განმარტება, — თავს არიდებდა საერთო ხასიათის სისხლის სამართლის საქმეებზე ბრალდებულთა დაცვას, რაც ადვოკატურის ჩვეულებრივ დანიშნულებას ეწინააღმდეგებოდა და მიუღებელიც იყო?

ერთის მხრივ ამაზე პასუხს იძლევა მის თანამედროვეთა მოგონებებში აღნიშნული ლუარსაბ ანდრონიკაშვილის გადაწყვეტილება დაცვას მხოლოდ რეგულაციური მოძრაობის მონაწილენი.

მაგრამ ასეთი პასუხი ამომწურავად ვერ ჩაითვლება.

ლ. ანდრონიკაშვილთან ერთად და ერთდროულად პოლიტიკურ დამნაშავეთა დაცვას ეწეოდნენ პეტერბურგის ოლქის ცნობილი ადვოკატები ვლადიმერ მისხილ ბერენშტამები, ლევ ბაზუნოვი, ალექსი დემიანოვი და ბევრი კიდევ სხვა მაღალი კვალიფიკაციის ადვოკატი, და მისკლავში მოღვაწე ცნობილი ადვოკატები: მურავიოვი, მალიანტოვიჩი, ნიკიტინი, ტესლენკო და სხვ.

მაგრამ არც ერთ მათგანს უარი არ უთქვამს გამოსულიყო საერთო ხასიათის სისხლის სამართლის საქმეებზე ბრალდებულთა დამცველად.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ლ. ანდრონიკაშვილზე იმოქმედა ძველდროინდელი ადვოკატურის ერთერთი ავტორიტეტული წარმომადგენლის ვლადიმერ სპასოვიჩის გამოთქამამ, თითქოს ადვოკატის პროფესიის საბედისწერო ნაკლი ის არის, რომ სასამართლოში დამცველად გამოსვლისას იგი ერთგვარად გაორებული ხდებათ — ერკვევა რა ჭეშმარიტებაში თავისი უშუალო რწმენით, ხელოვნურად ქმნის თავისთვის სხვა რწმენას და ცდილობს ეს უკანასკნელი შთაგონის მსმენელებს.

სპასოვიჩის ამ დებულებას ღრმად მოაზროვნე და დაკვირვებული ლ. ანდრონიკაშვილი ვერ გაიზიარებდა, რადგან ეს დებულება სახელს უტეხდა ადვოკატთა მთელ კორპორაციას. იგი შეიძლება სამართლიანად ყოფილიყო მიჩნეული მხოლოდ ცალკეული ადვოკატებისა და არა „ადვოკატის პროფესიის“ მიმართ და გაქარწყლებული იყო მრავალწლიანი საადვოკატო მოღვაწეობით თვით სპასოვიჩის, სხვა გამოჩენილი ადვოკატებისა და პირადად ლ. ანდრონიკაშვილის მხრივაც, რომელთა მიერ დაცულ საქმეებში ვერ მოინახვება მსმენელთათვის თავისი რწმენის საწინააღმდეგო რწმენის შთაგონების ცდის შემთხვევები.

ამიტომ სპასოვიჩის აზრის გაგრცელება ადვოკატთა მთელ კორპორაციაზე და „ადვოკატის პროფესიაზე“ მცდარად უნდა ჩაითვალოს.

ჩვენი აზრით, ლ. ანდრონიკაშვილის მიერ საერთო ხასიათის სისხლის სამართლის საქმეებში დამცველად მონაწილეობაზე უარის თქმა აიხსნება უშთაერესად იმით, რომ საზოგადოებრივი ინტერესების თვალსაზრისით ასეთ საქმეებს იგი, პოლიტიკურ საქმეებთან შედარებით, ნაკლებ მნიშვნელოვნად თვლიდა, და რაკი, ამასთან, ასეთ საქმეებში მეტწილ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა ბრალდებულის მხრივ უნებობრივი ნორმების დარღვევასაც, მას ამ საქმეებზე დამცველად გამოსვლა არ იზიდავდა.

პოლიტიკურ დანაშაულში ბრალდებულთა დაცვისას ლუარსაბ ანდრონიკაშვილი სასამართლოში გამოდიოდა არა მარტო როგორც დამცველი იურისტი, არამედ როგორც მოქალაქე, რომელიც მთელი თავისი არსებით თანაუგრძნობდა ყოველ მოქმედებას, მიმართულს თვითმპრობოლური ხელისუფლების წინააღმდეგ.

ამ გარემოებებმა და ლ. ანდრონიკაშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე გამოსვლის დროს რუსეთში არსებულმა ვითარებამ, განაპირობეს ანდრონიკაშვილის საადვოკატო მოღვაწეობის მიმართულება. „იგი მასწინვე აღმოჩნდა იმ მონაწილე ნა-

² ვ. მაყაშვილი, „ლ. ანდრონიკაშვილის მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობა“, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1963 წ. № 2, გვ. 59-88.

ფიც ვეჭილთა ახალგაზრდა თანაშემწეების „მემარცხენე ჯგუფში“, რომელიც მიზნად ისახავდა მონაწილეობა მიეღო თვითმკრობლობასთან ბრძოლაში.“³

ლ. ანდრონიკაშვილის დაუტოვებია სია 58 დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური საქმისა, რომელთა განხილვისას იგი იცავდა ბრალდებულებს. ლ. ანდრონიკაშვილი არ იხსენიებს პოლიტიკური საქმეების გაცილებით მეტ რიცხვს, რომელიც მისი შეხედულებით ნაკლებად მნიშვნელოვანი იყვნენ.

სხენებულ სიაში მიცემულია მოკლედ თვითველი საქმის ისტორია, შინაარსი, სამართალში მიცემულთა მიმართ წყაენებული ბრალდებები, საქმის განხილვის დრო და განმხილველი სასამართლოს დასახელება.

ვიქტორ ოგოლოვეცი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ვაჟიშვილის ერეკლე ანდრონიკაშვილისათვის გადაცემულ სელნაწერ მოგონებაში აღნიშნავს, რომ მას ნათლად და მკაფიოდ დაამახსოვრდა. „ლუარსაბ ნიკოლოზის ძე ანდრონიკაშვილი, რომელიც ინდივიდუალობით გაცილებით მაღლა იდგა თავისი წრის დონეზე და პეტერბურგის რევოლუციამდე იადვოკატურის ერთ-ერთი უდიდესი და უნიჭიერესი წარმომადგენელი იყო... იგი ყოველთვის შთაბეჭდილებას ახდენდა თავისი არაჩვეულებრივი ჭკაით, კულტურით, თავაზიანობით. ზრდილობიანად და რაღაც განსაკუთრებული სითბოთი ელაპარაკებოდა მასთან მოაუბრებებს... მაგრამ მიხელი ვილიამის ძე ბერენშტამი შეუბნებოდა, რომ ვერ ვიცნობდი ანდრონიკაშვილს — იგი რომ შენასა სასამართლოში, როდესაც ფრანკში გამოწყობილი, ადვოკატის საპატიო ნიშნით მეგრძე გამოდიოდა მის დაცვის ქვეშ მყოფთა ინტერესების დასაცავად. აქ იგი აღსავე იყო ენერგიით, ვნებით, ზოგჯერ თავშეუკავებელი ტემპერამენტით. მისი ცუცხლოვანი, მოხდენილად და ლოგიკურად აგებული სიტყვები ისეთ ზემოქმედებას ახდენდნენ, რომ ნაფიც მსაჯულებს ხშირად გამოჰქონდათ გამამართლებელი განაჩენი ისეთ საქმეებზეც კი, რომლებსაც ყველანი უიმედოდ „თვლიდნენ“.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილის უახლოესი მეგობრის, ცნობილი მეცნიერი იურისტის ზურაბ ავალიშვილისაგან ვიცი, რომ კანონმდებლობის ზედმიწევნით ცოდნით, დროულად და მოხერხებულად მისი მომარჯვებით, საქმის მასალის ამომწურავი ანალიზით, თვითველი წამოჭრილი საკითხის ფილოსოფიური სიღრმით გაშუქებითა და განმარტებით და უაღრესად დამაჯერებელი არგუმენტებით ანდრონიკაშვილმა პოლიტიკურ საქმეზე სამართალში მიცემული არაერთი და ორი რევოლუციონერი გადაარჩინა სახრჩობელას და კატორღაში სამუდამოდ ან ხანგრძლივად გაგზავნას.

თუ როგორ განიცდიდა ლ. ანდრონიკაშვილი იმ

პირთა ბედ-იღბალს, რომელთაც იცავდა, ამას მოგვითხრობს პროფ. თ. წერეთლის მიერ მოყვანილი ფაქტი: როდესაც გენ. ლაუნიცის მოკვლაში მონაწილე შრიფტარს ჩამოსხრთობა მიუსაჯეს, ანდრონიკაშვილმა მსჯავრდადებულს სულიერად გასამარგებლად განუცხადა, რომ მას გააკყვებოდა განაჩენის ასრულებამდე, ე. ი. სახრჩობელამდე. ლუარსაბ ანდრონიკაშვილს დაუტოვებია იმ პოლიტიკური ორგანიზაციების სია, რომლებსაც აქტიური წევრიც იყო და რომლებში მონაწილეობისთვისაც პასუხისგებაშიც იყო მიცემული სისხლის სამართლის დებულების სახელმწიფო დანაშაულთა მუხლებით.

„ადვოკატთა კავშირში“ მონაწილეობისათვის ლ. ანდრონიკაშვილი მიცემული იყო პასუხისგებაში 1903 წლის სისხლის სამართლის დებულების 126-ე მუხლით; ბაქოში წარმოთქმული სიტყვისა და თვითმკრობლობის დამხობის მოწოდებისათვის. პასუხისგებაში მისცეს იმავე დებულების 129-ე მუხლით.

დიდი დროის განმავლობაში ემალებოდა დაძებნას.

ორივე საქმეზე გასამართლებისაგან იგი გაათავისუფლა 1905 წლის რევოლუციის შედეგად გამოცხადებულმა ამინისტამი.

პოლიტიკურ საკითხებზე მრავალრიცხოვანი საჯარო გამოსვლებიდან ლუარსაბ ანდრონიკაშვილი აღნიშნავს მხოლოდ ორს:


1902 წელს პეტერბურგში დიდ საღამოზე, სადაც მან წარმოთქვა სიტყვა ცნობილი პუბლიცისტის და ფელეტონისტის ამფიტეატროვის სტატისთან დაკავშირებით, რომლისთვისაც ამფიტეატროვი გადაასახლეს, ხლო წარმოთქმული სიტყვის შედეგად ლუარსაბ ანდრონიკაშვილი საიდუმლო პოლიციის მიერ აღრიცხვავი იქნა აყვანილი როგორც „განსაკუთრებით არასამიედო“ პიროვნება, და პოლიციის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ მოხვდა.

1905 წელს ბაქოელ ნათის მრეწველთა ყრილობაზე ლ. ანდრონიკაშვილმა, როგორც ყრილობის თავმჯდომარედ არჩეულმა, წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ მომხდარი სოციალ-დემოკრატთათართა შორის) მოწყობილია ხელისუფლების აგენტების მიერ და მოუწოდებდა თვითმკრობლობის დამხობისათვის.

1906 წელს ლუარსაბ ანდრონიკაშვილი აირჩიეს ნაფიც ვეჭილთა თანაშემწეების თეორიული კონფერენციების ხელმძღვანელად და შემდეგ 12 წლის განმავლობაში (ე. ი. ოქტომბრის რევოლუციამდე — ე. თ.) იგი უცვლელად ედგა მათ სათავეში. ასეთი ხელმძღვანელობისათვის მხოლოდ გამოჩენილ, მეცნიერულად მომზადებულ ადვოკატებს ირჩევდნენ.

1917 წლის რევოლუციის შემდეგ ლ. ანდრონიკაშვილი ჩამოსცილდა საადვოკატო პრაქტიკულ საქმიანობას.

³ თ. წერეთელი. დასახელებული წერილი, გვ. 50.



ძველი დროის სხვა გამოჩენილი ადვოკატებისაგან განსხვავებით, რომელთა უმრავლესობაც რევოლუციას გაეთიშა და საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდა, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი მტკიცედ დარჩა მშრომელი ხალხის სამსახურში და აქტიურად ჩაება სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის საქმიანობაში — მონაწილეობდა ახალი იურიდიული ნორმების შემუშავებაში, საკონსულტაციო მუშაობას ეწეოდა საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი მმართველობის ორგანოებში (რუსეთში — სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში, ხოლო საქართველოში — სახალხო კომისართა საბჭოში), კითხულობდა ლექციებს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში; განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ლ. ანდრონიკაშვილს საქართველოში იურიდიული ცოდნის დანერგვასა და განვითარებაში.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილის საქმიანობა სამოქალაქო საქმეების დაცვის დარგში სრულიად შეუსწავლელი და გაუშუქებელია. ანდრონიკაშვილის ყოფილმა სტუდენტმა ერეკლე ძოძუაშვილმა მიაზბო, რომ ერთ-ერთ ლექციაზე ლ. ანდრონიკაშვილს გახსენებია შემდეგი საქმე: მისთვის მიუმართავს ფაბრიკის მესაკუთრე ქალს (მილიონერს) თხოვნით, რომ დასაცავად აედო სარჩელი დაზღვევის სააქციო საზოგადოების მიმართ მისი დაზღვეული ფაბრიკის გადაწვის გამო. სააქციო საზოგადოების ინტერესების დამცველად ყოფილა გამოჩენილი ადვოკატი ალექსანდრე პასოვერი. ლ. ანდრონიკაშვილს განუცხადებია რომ ამ საქმის საწარმოებლად აუცილებელი იყო გერმანიასა და საფრანგეთში არსებული მსგავსი ფაბრიკების ტექნოლოგიური პროცესების შესწავლა, რასაც დიდი დრო და ხარჯი დასჭირდებოდა, და საქმის წარმოების შედეგაც სათუთაო. ფაბრიკანტის ქვრივი

დათანხმებულა ყოველგვარ ხარჯებზე, ოღონდ საქმე ლ. ანდრონიკაშვილს ეწარმოებინა.

ამის შემდეგ ლ. ანდრონიკაშვილი გამგზავრებულა გერმანიაში და საფრანგეთში, გულდასმით შეუსწავლია სათანადო ფაბრიკებში წარმოების ყველა პირობები, გამოსულა სასამართლოში საქმეზე და, მიუხედავად მოწინააღმდეგე პასოვერის ძლიერი არგუმენტაციისა, საქმე ქვრივი ქალის სასარგებლოდ დაუმთავრებია.


დასასრულ, ლ. ანდრონიკაშვილის პიროვნების დახასიათებისათვის აუცილებლად მიმაჩნია ადვინიშო, რომ ჭაბუკობისას ლირიკული და პატრიოტული ლექსების ავტორი, სტუდენტობისას ა. ვოლინსკის წრეში ფილოსოფიის, ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგების შემსწავლელი ახალგაზრდა თანდათანობით გახდა მსოფლიო, რუსული და ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების საუცხოო მცოდნე და ამ საკითხებზე ფრიად საინტერესო მომხსენებელი როგორც საჯაროდ მოხსენებებით გამოსვლისას, ისე ვიწრო წრეში საუბრებისას.

ასეთი იყო ქართველი ერის შვილი — დრმა მოაზროვნე, ენციკლოპედიური ცოდნით შეიარაღებული, პირად ურთიერთობაში მეტად თავმდაბალი, გულისხმიერი და მგრძობიარე, ყოველი უპატიოსნობისადმი მკაცრი და უღმობელი ლუარსაბ ნიკოლოზისძე ანდრონიკაშვილი, რომელმაც გადაჭარბებით განახორციელა რუსეთის დიდი მეცნიერი იურისტისა და ადვოკატის ვლადიმერ სპასოვიჩის ანდერძისებური გამოთქმა: „საპატიო სიმაღლეზე რომ ვიდგეთ, საჭიროა, სამართლებრივ ნორმებს გარდა, ვხელმძღვანელობდეთ ზნეობრივი წესების მტკიცე კოდექსით“.

გიორგი თაყნისიძე.

ეკონომიკური პოლიტიკა

როცა სწავს, სჯიან



სასამართლო დარბაზი გარინდულიყო განაჩენის მოლოდინში. სამართალში მიცემულთა სევდიანი და შურისმაძიებელი გამოსხედა მათს სულიერ მღელვარებას ამჟღავნებდა.

დასანანია, — წამით გაიფიქრა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა აპოლონ ფალავანდიშვილმა, როცა შეათვალა საბრალდებო სკამზე მყოფნი, — მაგრამ ამათ ვერაფერს აპატიებს აღამიანი. კაცის სიკვდილი მოიფიქრეს და აღასრულეს კიდეც.

საფეთქელთან ნერვი შეტოვდა და ხელი წინ გაშლილ მკვლევლობის საქმეს წასწვდა. გული მოთოკა, თავი შეიმაგრა და სასამართლო დარბაზს გახედა.

დარბაზში მსხდომნი სასამართლოსაგან ელოდნენ სამართლიან სიტყვასა და განსჯას, დამნაშავენი — შებრალვებას. მო-

სამართლის ხმამ სასამართლო დარბაზს ამცნო:

— საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით... სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

მოსამართლეს სწამდა, რომ სიკეთისა და ბოროტების ბრძოლაში სიკეთეს უნდა გაემარჯვა, თუნდაც მძიმე მსხვერპლის ფასად.

— რა ცუდად დაიწყეს ცხოვრება ამ ბიჭებმა, — გულდაწყევტით ჩაილაპარაკა თავის სამუშაო კაბინეტში შესულმა აპოლონმა და ფანჯარასთან მივიდა. ცის სილურჯეში თეთრი ღრუბლები მიცურავდნენ.

...მაშინაც ასე მშვიდად დაძჳურებდა ზეცა ქართულ მიწას. მაგრამ ომის ხმაურში აღამიანებს მოსვენება დაეკარგათ. მაშინ იგი ამ ახალგაზრდების ტოლი იყო და მიდიოდა იქ, სადაც სიცოცხლე ყველაზე მეტად ფასობდა. ჩრდილო კავკასიაში ბილიკები უღელტეხილებისაკენ მადლდებოდნენ და მხვერავი მეავტომატე, ახალგაზრდა იურისტი სიკვდილთან პირისპირ მტრის საცეცხლე წერტებს ინიშნავდა, შემდეგ კი მისივე მეთაურობით ბატალიონი სისხლისმღვრელი ბრძოლებით ათავისუფლებდა უკრაინის, ბელორუსიისა და პოლონეთის მიწებს.

ომგადახდილი იურისტი აპოლონ ფალავანდიშვილი მუშაობას იწყებს რესპუბლიკის პროკურატურაში სასამართლოებში სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორად, ხოლო საკავშირო გენერალურ პროკურატურასთან არსებული ხელმძღვანელ მუშაკთა ერთწლიანი კურსების დამთავრების შემდეგ დაინიშნა საქართველოს სსრ პროკურატურის არასრულწლო-

ვანთა განყოფილების უფროსად. მალე მას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად ირჩევენ. უკვე ცხრამეტი წელია იგი ამ საპატიო საქმიანობას ეწევა... დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, საპატიო სიგელებით. ამ ცოტა ხნის წინათ რეს-

პუბლიკის დამსახურებული იურისტის წოდება მიენიჭა.

... მომავალი პროცესის მსვლელობა ესახებოდა ფიქრებში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს.

მარიკა სილაბაძე

მთავარი და კეთილი მიზანი




კარგია, როცა არსებობს მთავარი საქმე! ცხოვრებაში ის ერთბაშად როდი მოვა, მაგრამ რაც დრო გადის, მით უფრო უსისხლ-ხორცდები მას, მით უფრო მეტ სულიერ ძალდონეს უთმობ და ეს მთავარი საქმე მართლმსაჯულების სამსახურია ქ. თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის ავთანდილ დომენტის ძე სულავასთვის.

მისი შრომითი ბიოგრაფია განუყრელად არის დაკავშირებული იუსტიციის ორგანოებთან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრებისთანავე საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კადრების განყოფილების უფროს რევიზორად იწყებს მუშა-

ობას, ხოლო 1949 წლიდან სახალხო სასამართლის საპატიო სახელს ატარებს. ამ დროის მანძილზე მრავალ სასამართლო პროცესს თავმჯდომარეობდა და თავმჯდომარეობს ა. სულავა. ზოგიერთი მათგანი დაეიწყებას არ ეძლევა...

1961 წელი. სამსჯავრო სხდომა მიმდინარეობს. სამართალში მიცემულები სახელმწიფო ქონების გამტაცებლები არიან. მთავარ დამნაშავეს თავი გამოიმწვევად უჭირავს და სასამართლოს ყურადღებას არარსებულ ფაქტებზე ამახვილებს. თანამონაწილე კი უცოდველი სახით შეჰყურებს მოსამართლეს, აქოდა მე რას მერჩითო. მოწმეები ურთიერთსაწინააღმდეგოდ ლაპარაკობენ, ცვლიან თავიანთ ადრეულ ჩვენებებს. დარბაზში მსხდომთაც თითქოს ეჭვი ეპარებათ გამოძიების მასალებისა და სამსჯავრო სხდომის მიმდინარეობის მიმართ.

მოსამართლე გრძნობს ამას, გრძნობს საქმის სირთულესა და სიმძიმეს. იგი ფაქტებზე მიუთითებს. — არ მახსოვსო, — მესხიერებას აბრალებს სამართალში მიცემული. ამ უკანასკნელის საქმეში არსებულ ჩვენებებს აქვეყნებს ა. სულავა და შემდეგ მოწმეს სთხოვს საქმის ვითარება მოჰყვეს. სიმართლე თანდათან თავს იჩენს. სხდომა გრძელდება. ერთი ეპიზოდის დადგენის შემდეგ სასამართლო შემდგომ ეპიზოდს განიხილავს. ერთი მხრივ, თითქოს შეუძლებელია ამდენი წვრილმანის დამახსოვრება, მნიშვნელოვანი ფაქტების გამოყოფა



უმნიშვნელოსაგან და ამასთან ერთად საჭიროა, რომ თვითეულმა დარბაზში მყოფმა იგრძნოს სამართლიანობა. მოსამართლის გონება გამოთიშულია ყოველგვარი ცრურწმენისაგან, ყოველგვარი წინასწარშეგონებისაგან. არც ისე ადვილია სიმშვიდის შენარჩუნება, როდესაც სამართალში მიცემულები და მოწმეები აშკარად ცრუობენ. მაგრამ თავმჯდომარე თავშეკავებულია. ხმას მხოლოდ მაშინ იმაღლებს, კამათი რომ შეწყვიტოს სამართალში მიცემულებსა, ამ ყოფილ „მეგობრებსა“, და მოწმეებს შორის, ახმაურებული დარბაზი რომ დააწყნაროს.

ექვსი დღე მიმდინარეობდა პროცესი. დამნაშავეებს მკაცრი სასჯელი მიეზღოთ. ვერაგინ ვერ შეძლო სასამართლო შეცდომაში შეეყვანა. მართლმსაჯულების ნამდვილ სკოლად იქცა ეს პროცესი სხდომაზე მყოფთათვის და განაჩენიც ყველამ სამართლიანად ჩათვალა.

ამ ორიოდე წლის წინათ სამართალში მიცემულის სკამზე ვ. ა-ი იჯდა. სამსახურებრივი დაუდევრობა ედებოდა ბრალად. სამართალში მიცემული თავს ვერ სწევდა მაღლა, ზუსტად ჰყვებოდა თავის დანაშაულებრივ ქმედობას. გულწრფელად პატივდებოდა სასამართლოს, ამიერიდან წესიერად ვიმუშაებო. ჩანდა, რომ დანაშაული — შემთხვევითობა იყო მის ცხოვრებაში. ამავე აზრს იზიარებდა კოლექტივიც. სასამართლომ პირობითი სასჯელი აკმარა დამნაშავეს და არც შემცდარა — ორი წელი გავიდა მას შემდეგ და მისი უბანი ყველაზე მოწინავეა საწარმოში. და ასეა ყოველთვის: სანამ ადამიანის ბედს გადაწყვეტდეს ბევრს ფიქრობს, ფიქრობს დამნაშავეზე და დანაშაულის მიზეზებზე. ამ დროს მას ყოველთვის ძალა და კეთილი

ნება ამოძრავებს; ძალა — იმიტომ, რომ ძირფესვიანად და საქმის ცოდნით განასხვავოს ის მრავალრიცხოვანი და მრავალმხრივი საკითხები, რაც სამართალში მიცემულთა ქმედობით წამოიჭრება მის წინაშე; ნება — იმიტომ, რომ მოქმედებს მხოლოდ სამართლიანად, არ ემორჩილება არავითარ წინარწმენასა და არავითარ ემოციებს.

და ყოველთვის — განაჩენისა თუ გადაწყვეტილების გამოტანისას, სასამართლოს მუშაობის ხელმძღვანელობისას თუ მასთან მიღებაზე მოსულ მოქალაქეებთან საუბრისას — ავთანდილ დომენტის ძე სულავა არა მარტო თავის პროფესიულ ცოდნასა და დიდ გამოცდილებას ემყარება, არამედ ადამიანური სინდისით, ადამიანური მოვალეობით მოქმედებს.

პროფესიულ საქმიანობასთან ერთად ა. დ. სულავა ბევრ ყურადღებას უთმობს ამხანაგური სასამართლოებისა და სახალხო რაზმეულების მუშაობას. იგი იურიდიული ცოდნის კარგი პროპაგანდისტი და პოპულარიზატორია; ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიკომის პლენუმის წევრია და რაიონული საბჭოს დეპუტატი.

მეოთხედი საუკუნე მართლმსაჯულების სამსახურში!

მთელი ამ დროის განმავლობაში არც ერთი საყვედური და მითითება, სამაგიეროდ მადლობები, ჯილდოები, სიგელები კარგი მუშაობისათვის მრავლად გვხვდება მის პირად საქმეში.

თავისი მუშაობის ოცდამეექვსე წლისთავე ავთანდილ დომენტის ძე სულავას კვლავინდებურად ასულდგმულებს მთავარი და კეთილი მიზანი — მართლმსაჯულების სამსახური, სამართლიანობის სამსახური.

ლამარა ისაბაძე

ქორეა და ბიბლიოთეკა

ნაშრომი პირობით მსჯავრზე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა ო. კოლუაშვილის ნაშრომი „პირობითი მსჯავრის ზოგიერთი საკითხი“, რომლის რედაქტორია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი მ. კომახიძე.

ავტორს მიზნად დაუსახავს პირობითი მსჯავრი განეხილა, როგორც მოქალაქეთა აღზრდის ერთ-ერთი საშუალება, რადგან პირობითი მსჯავრის ფართოდ და სწორად შეფარდების შესაძლებლობა სავსებით შეეფერება საბჭოთა სისხლის სამართლის ძირითად პრინციპებს.

ცნობილია, რომ ჩვენს ქვეყანაში სასამართლო ორგანოები ერთადერთია, რომლებიც სასჯელს უფარდებენ დანაშაულის ჩამდენ პირებს, ამასთან ერთდროულად ითვალისწინებენ ადამიანთა აღზრდასა და გამოსწორებას, ცხოვრების სწორ გზაზე დაყენებას.

ვ. ი. ლენინი მოითხოვდა რა დანაშაულის ჩამდენ პირთა დასჯას, ამავე დროს მოითხოვდა მათ მიმართ ისეთი ღონისძიებების გატარებას, როგორცაა: პირობითი მსჯავრისა და საზოგადოებრივი ვაკიცხვის ფართოდ გამოყენება, თავისუფლების აღკვეთის შეცვლას შრომა-გამსწორებელი სამუშაოებით და ა. შ. აქედან გამომდინარე ავტორი სამართლიანად ჩერდება და აკეთებს ექსპურს იმის შესახებ, თუ როგორ ჰქონდა პირობითი მსჯავრის გამოყენება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველი დღეებიდანვე.

ცნობილი მკვლევარისა და მეცნიერის შ. გრინგაუზის აზრის საწინააღმდეგოდ, თითქოსდა საბჭოთა სისხლის სამართალში სპეციალური მითითება პირობითი მსჯავრის შესახებ პირველად ნახსენებია იქნა 1919 წელს, მეცნიერულ წყაროებზე დაყრდნობით ო. კოლუაშვილი ამტკიცებს, რომ პირობითი მსჯავრის შესახებ მსჯელობას ადგილი ჰქონდა უფრო ადრე. ამის საილუსტრაციოდ ავტორი მიუთითებს № 2 დეკრეტზე სასამართლოს შესახებ და მოჰყავს სათანადო დოკუმენტური მასალა.

ეხება რა პირობითი მსჯავრის გამოყენების საკითხს 1918-1919 წლებში და მის დადებით მხარეებს, ავტორი აშუქებს ავგოთვე იმ ხარვეზებს, რასაც იმ პერიოდში ჰქონდა ადგილი პირობითი მსჯავრის გამოყენებისას.

ნაშრომში თანმიმდევრობით არის გაშუქებული საკითხი — პირობითი მსჯავრის განვი-

თარების შემდგომი ეტაპები. აქ ავტორი აღნიშნავს, რომ თუ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში პირობითი მსჯავრმა ჰყოფა ფართო გამოხმაურება, შემდეგ წლებში იგი შედარებით შემცირდა. აქ ავტორი ლაბარაქობს ამის გამომწვევ ობიექტურ მიზეზებზე. ამის შემდეგ იგი ეხება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 27 მარტის ბრძანებულებას „ამინისტრის შესახებ“ და 1954 წლის 14 ივლისის ბრძანებულებას „საპატიმრო ადგილებიდან ვადამდე პირობითი განთავისუფლების შემოღების შესახებ“. ამ წლებიდან აღნიშნულმა ბრძანებულებებმა და პარტიის პოლიტიკამ საგრძნობი გავლენა მოახდინა, რათა სასამართლო პრაქტიკაში უფრო ფართოდ ყოფილიყო გამოყენებული პირობითი მსჯავრი.

ეხება რა პირობითი მსჯავრის იურიდიულ ბუნებას საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით, ავტორი კრიტიკულად მიმოიხილავს იურისტ მეცნიერთა მოსაზრებებს ამ საკითხზე. ამასთან სამართლიანად შენიშნავს, რომ როდესაც ლაბარაქია პირობითი მსჯავრის იურიდიული ბუნების ერთიანობის გაგებაზე, პირველ რიგში უნდა გადაწყდეს საკითხი პირობითი მსჯავრის სასჯელის ცნებასთან დამოკიდებულების შესახებ. კერძოდ, გარკვევით უნდა ვუპასუხოთ კითხვას: ითვლება თუ არა პირობითი მსჯავრი სასჯელის სახედ?

ნაშრომში დამუშავებულია ისეთი საკითხები, როგორცაა საგამოცდო ვადა პირობითი მსჯავრის დროს, საგამოცდო ვადის დაწყების მომენტი, საგამოცდო ვადაში მსჯავრდებულის მიერ კანონით დადგენილი პირობების დარღვევის შედეგები. ამასთანავე ავტორი ნაშრომში საკმარისად იყენებს სასამართლო პრაქტიკის მასალებს.

სარეცენზიო ნაშრომში ავტორი იძლევა სწორ დასკვნებს პირობითი მსჯავრის შეფარდების მთელ რიგ სადავო საკითხებზე, კარგად აანალიზებს სასამართლო პრაქტიკის მასალებს.

გვაქვს ზოგიერთი შენიშვნებიც:

ო. კოლუაშვილი აღნიშნავს, რომ პირობითი მსჯავრის გამოყენებისას აუცილებელი არ არის ამ პირის მიერ თავის დამნაშავედ ცნობა და ჩადენილი დანაშაულის გულწრფელად მონანიება, ხოლო თავდებქვეშ გადაცემისათვის კი საჭიროა, რომ დამნაშავემ გულწრფელად

აღიაროს თავისი დანაშაული და მოინანიოს ჩანადენი. ამასთან პირი არ შეიძლება გადაცემულ იქნეს თავდებქვეშ, თუ ის წინათ მსჯავრდებულო იყო განზრახ დანაშაულისათვის. აქ საჭირო იყო აღნიშნულიყო, რომ პირობითი მსჯავრის გამოყენება არ ცნობს ასეთ შეზღუდვას და რომ ამ ინსტიტუტთა განსხვავება მდგომარეობს მათ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შინაარსში, ე. ი. აქ ავტორს უნდა ეთქვას, რომ თავდებქვეშ გადაცემა და პირობითი მსჯავრდებულის ხელახლა აღსაზრდელად საზოგადოებრივობისათვის გადაცემა სხვადასხვა ინსტიტუტებია.

ცნობილია, რომ საბჭოთა სისხლის სამართალი იცნობს ისეთ ინსტიტუტსაც, როგორიც არის ამა თუ იმ დანაშაულისათვის კანონით

გათვალისწინებულ უდაბლეს საზღვარზე ნაკლები სასჯელის ან სხვა უფრო მსუბუქი სახის სასჯელის დანიშვნა. მართალია, აღნიშნულ ინსტიტუტს საერთო არა აქვს რა პირობით მსჯავრთან, მაგრამ ამის აღნიშვნა საჭიროა იმისათვის, რომ ერთგვარი ზღვარი იქნეს გავლებული უდაბლეს საზღვარზე ნაკლები სასჯელის ან სხვა უფრო მსუბუქი სახის სასჯელის დანიშვნასა და პირობით მსჯავრს შორის.

ეს მცირეოდენი შენიშვნები არ აყენებს ჩრდილს ი. კოლუაშვილის საინტერესო ნაშრომს.

ზ. მესხინაშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი

ნეკროლოგი

ქ. ფ. ქავთარაძე

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი იურისტი, სკკპ წევრი 1940 წლიდან, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი, პერსონალური პენსიონერი კონსტანტინე ფარნაოზის ძე ქავთარაძე.

ქ. ფ. ქავთარაძე დაიბადა 1904 წელს საჩხერის რაიონის სოფელ წითელსოფელში. 1981 წლიდან, უმაღლესი იურიდიული განათლების მიღების შემდეგ იგი მუშაობს სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე. 1939 წელს კი მუშაობას იწყებს საქართველოს სსრ პროკურატურაში საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორად.

30 წელზე მეტი იმუშავა რესპუბლიკის პროკურატურაში ქ. ფ. ქავთარაძემ. მთელი ამ ხნის მანძილზე იგი გამოირჩეოდა როგორც ღრმად ერუდიტი იურისტი, გულისხმიერი მუშა-

კი, სოციალისტური კანონიერების ერთგული გუშაგი. მისი ყოველმხრივი ნაყოფიერი მუშაობა არა ერთხელ ყოფილა წახალისებული. დაჯილდოებული იყო როგორც მთავრობის ჯილდოებითა და სიგელებით, ასევე გენერალური და რესპუბლიკის პროკურორის ფასიანი საჩუქრებითა და სიგელებით.

ქ. ფ. ქავთარაძე ამხანაგებსა და მეგობრებში სარგებლობდა ავტორიტეტითა და დიდი სიყვარულით.

1967 წელს პენსიაზე გასვლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მას კავშირი არ გაუწყვეტია მშობლიურ კოლექტივთან.

ქ. ქავთარაძის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი

ვ. ა. ზამბახიძე

გარდაიცვალა სკკპ წევრი 1937 წლიდან ტიკო ალექსის ძე ზამბახიძე. იგი დაიბადა სოფელ განახლებაში (ჩოხატაურის რაიონი) მუშის ოჯახში, 1908 წელს.

საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1926-1930 წლებში კომკავშირულ სამუშაოზეა, იყო ქობულეთის კომკავშირის სამაზრო კომიტეტის ბავშვთა კომუნისტური აღზრდის ბიუროს თავმჯდომარე.

დიდი ხნის მანძილზე ტ. ზამბახიძე მუშაობდა სასამართლო-პროკურატურის ორგანოებში. 1934 წლიდან 1938 წლამდე ბორჯომის რაიონის პროკურატურის გამომძიებელია, ხოლო 1940 წლამდე — იმავე რაიონის პროკურორი. 1940 წელს არჩეულ იქნა ქობულეთის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარედ. დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს საბ-

ჭოთა არმიის რიგებში. 1941 წლიდან 1945 წლამდე სხვადასხვა ნაწილებში ასრულებდა სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარის მოვალეობას. დემობილიზაციის შემდეგ მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის უბნის პროკურორად და სხვა თანამდებობებზე.

1968 წლიდან გარდაცვალებამდე იყო საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრი.

ამხ. ტ. ზამბახიძე უანგაროდ და კეთილსინდისიერად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობაში. დაჯილდოებული იყო რამდენიმე მედლით.

თავმდაბალი და გულისხმიერი ამხანაგის ტ. ზამბახიძის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი

ავტორთა საყურადღებოდ!

1. მასალები რედაქციაში წარმოდგენილ უნდა იქნას ორ ეგზემპლარად, მანქანაზე დაბეჭდილი ორ ინტერვალზე, ხელმოწერილი ავტორის მიერ. სტატიას, წერილს, კორესპონდენციას აუცილებელია დაერთოს შემდეგი ცნობები: ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი, მუშაობის ადგილი, მისამართი, ტელეფონის ნომერი.

ჟურნალის რედაქცია მკითხველებს აწვდის მოკლე ცნობებს ავტორებზე. ამიტომ მასალასთან ერთად რედაქციამ უნდა მიიღოს საჭირო დემოგრაფიული ცნობები ავტორის შესახებ (დაბადების წელი, როდის მიიღო სამეცნიერო ხარისხი ან წოდება, რამდენი შრომა აქვს გამოქვეყნებული, სად ეწევა სამეცნიერო-კვლევით, პედაგოგიურ ან პრაქტიკულ საქმიანობას).

2. თეორიული წერილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 12 გვერდს, სხვა მასალისა 8 გვერდს. რედაქცია დაინტერესებულია მიიღოს მოკლე ცნობები და შენიშვნები ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის პრაქტიკულ საქმიანობაზე.

3. ყველა ციტატა, რომელიც გამოქვეყნებულია მასალაში, აუცილებელია გულდასმით შედარდეს პირველწყაროებს და ვიზირებულ იქნას სტატიის ავტორის მიერ. სქოლიოში წიგნის ავტორის დასახელებასთან ერთად, უნდა აღინიშნოს მისი გამოცემის წელი, აგრეთვე ციტირებული მასალის გვერდი.

4 აუცილებელია მასალა დამუშავებული იყოს ლიტერატურულად თან დაერთოს სათაური და რეზიუმე რუსულ ენაზე.

5. რედაქციაში შემოსული მასალები, როგორც წესი, ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

6. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხები წერილობით არ ეგზავნებათ.

7. იმ ნაშრომზე, რომელიც შესრულებულია სამეცნიერო-კვლევითი გეგმის შესაბამისად, ჰონორარი არ გაიცემა.

8. სტატიები, რომლებიც გამოქვეყნებულია ან გადაგზავნილია სხვა პერიოდულ გამოცემაში, არ გამოქვეყნდება.

9. ამ პირობების დაცვის გარეშე გამოგზავნილი მასალა არ გამოქვეყნდება.

ფასი 50 ლლ.

6.9/136

ИНДЕКС 76185



СОВЕТСКОЕ ПРАВО № 3

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической Комиссии при Совете Министров
Грузинской ССР